821.353.1-2
ჭ-46

ოთარ ჭილაძე

ოცი ოთელო

ოცი ოთელოი
ოცდაბი

821.353.1-2
ჯ-46

ოთარ ჭილაძე

წათეს წითელი წალები

ლაბირინთი

პიესები

№ 39201

ნეკერი 2007

894.631
ჭ-462

გამომცემელი მარინე ცხადაია

რედაქტორი მანანა ბალიაშვილი

მხატვარი გია ცხადაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაია ფეიქრიშვილი

წიგნზე მუშაობდნენ: ნანა ბაღდავაძე
ლია სულაქველიძე

© ოთარ ჭილაძე, 2007

© გამომცემლობა „პეგასი“, 2007

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-99940-69-44-6

გამომცემლობა „პეგასი“
თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ.: 39 07 27; ტელ./ფაქსი: 42 10 00
ელ-ფოსტა: book@pegasus.ge
ვებ-გვერდი: www.pegasus.ge

ᲬᲐᲗᲔᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲬᲐᲚᲔᲑᲘ

(ისტორიული დრამა)

მონაწილეობენ:

ᲬᲐᲗᲔ
ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ
ᲛᲐᲜᲘᲜᲐ
ᲛᲐᲠᲣᲗᲐ
ᲐᲘᲔᲢᲘ
ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ
ᲞᲝᲔᲢᲘ
ᲑᲐᲙᲣᲠᲘ
ᲡᲐᲠᲙᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

1

ლაზიკის მეფის სასახლე. წათე სამეფო ტახტზე შემდგარა და სარკეში, რომელიც მსახურს უჭირავს, თავის წითელ წაღებს ათვალიერებს. ტახტის გარშემო დგანან: დედოფალი, ბაკური, ფარტაზი, აიეტი, პოეტი. დარბაზი ძაძითაა მორთული. იატაკზე, აქა-იქ, ჯერ კიდევ ყრია დამჭკნარი ყვავილი და დაფნის რტოები.

ᲬᲐᲗᲔ: უპირველეს ყოფლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემი მწუხარება გაიზიარა. (სლუკუნით) აღარ არის მამაჩემი...

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: დიდი გუბაზის სიკვდილმა ყველანი დაგვაობლა, მბრძანებელო.

ᲬᲐᲗᲔ: მე მაინც სხვა ვარ. თქვენ ერთი მეფე დაკარგეთ და მეორე შეიძინეთ, მე კი მამა მივაბარე მიწას.

ᲞᲝᲔᲢᲘ: მშობელი შვილმა უნდა დამარხოს, ჩემო ხელმწიფევ! ასე დაუდგენია ღმერთსა და ბუნებას.

ᲬᲐᲗᲔ: სხვათა შორის, ჩვენო ძვირფასო პოეტო, თქვენს სამგლოვიარო ხოტბას, მამაჩემის დაკრძალვაზე რომ წაიკითხეთ, ძალიან აუღლეევია ხალხი.

ᲞᲝᲔᲢᲘ: (თავმდაბლურად იღიმება. აშკარად კმაყოფილია.) არ ვარ ღირსი, მბრძანებელო. მოკვდავის ენა ვერ შესძლებს ჭეშმარიტი

ხოტბა შეასხას გუბაზის სახელს. მისმა სიდიადემ და თქვენმა მხარდაჭერამ მომცა ძალა, რათა საკუთარი შესაძლებლობისთვისაც გადამეჭარბებინა. საერთო განწყობილებამაც შეუწყო ხელი ჩემი ლექსის წარმატებას.

ᲬᲐᲗᲔ: მეც სწორედ მაგას მოგახსენებთ. თქვენმა ცდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თურმე იმასაც ამბობენ, დიდი გუბაზი შვილზე უფრო პოეტმა იგლოვაო. მართლა ასეა? (ოდნავი პაუზის შემდეგ) მთელ ლაზიკას თქვენი სახელი აკერია პირზე.

ᲞᲝᲔᲢᲘ: (შეშფოთებული) მბრძანებელო, მე მინდოდა, უპირველეს ყოვლისა, თქვენთვის მესიამოვნებინა. დამერწმუნეთ, სხვა აზრი და მიზანი არცა მქონია, არც შეიძლებოდა, რომ მქონოდა... (ხმაათრთოლებული) ჩემს ღატაკ გონებას თქვენი მფარველობისა და შთაგონების გარეშე არ ძალუძს შექმნას რაიმე ღირსეული და მნიშვნელოვანი... დამერწმუნეთ...

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: რა დროს ეგ არის, ადამიანო! ხალხი ისედაც დაწყვეტილია, სხვა რამეზე ილაპარაკეთ.

ᲬᲐᲗᲔ: (ტახტზე ჯდება. მსახურს ხელის აქნევით იშორებს. მსახური განზე დგება.) მოიცა, მოიცა... ნუ დამაბნევ. (პოეტს) მე სხვას ვამბობ და შენც ძალიან კარგად იცი, რასაც გეუბნები. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გაგიმეორებ: თქვენმა სამგლოვიარო ხოტბამ ხალხი ძალიან ააღელვა, მთელი ღამე ჩირაღდნებით დადიოდნენ და გუბაზისა და თქვენს სახელს ერთად გაიძახოდნენ, თითქოს გუბაზი ჩემი კი არა, თქვენი მამა ყოფილიყოს. (შემოდის მანინა. დედოფლის გვერდით დგება, დიდი ინტერესით ისმენს საუბარს.) ამის მიზეზი კი, მხოლოდ და მხოლოდ, ის ლექსია, დაკრძალვაზე რომ წაიკითხეთ, მერე გულწასული რომ დაეცით და თავი ისე ხეთქეთ კუბოს სახურავს, გვეგონა ტაძრის თაღი გაიბზარაო.

ДЕДОФАЛИ: (ბაკურს – გაკვრივებული) რა გაცინებს? (მანინას – მკაცრად) სად ბრძანდებოდი?

ПОЕТИ: (დამნაშავის ღიმილით) დიახ, თავი მართლაც მაგრად დავარტყი (ხელს იდებს შუბლზე), ახლაც მტკივა. გული კი სიცხის გამო შემიღონდა.

МАНИНА: (თავისთვის) საქალებოში ჩავედი. თეონაა ავად. წამალი ჩავუტანე.

ПОЕТИ: დამეთანხმებით, ძალიან ცხელოდა. ხალხს სახეზე ოფლი ისე ჩამოსდიოდა, თითქოს თავსხმაში დგანანო.

ДЕДОФАЛИ: (მანინას. მანინასკენ არც იყურება) კარგად ვიცი, სადაც ბრძანდებოდი. მამის მაინც მოგერიდოს, მგლოვიარეა. რა დროს ქუჩა-ქუჩა წანწალია...

ПОЕТИ: თანაც, არც ჩემი ნიჭი და არც მამათქვენის უთვალავი ღირსება არ მაძლევდა ლექსის შემოკლების საშუალებას.

МАНИНА: ხო, ზღვაზე ვიყავი.

ВАТОЕ: გეყოფა, გეყოფა. აკი გეუბნები, ეგ არ მაინტერესებს-მეთქი. შენ რომ მიგიშვან, დილამდე ილაპარაკებ.

ДЕДОФАЛИ: (წათეს) ილაპარაკოს, რატომ აჩუმებ? ცუდს რას ამბობს? (მანინას) ნუ სარგებლობ ჩემი მოთმინებით. რას უზიხარ, რა გინდა იმ ზღვასთან? ხალხს გიჟი ეგონები. აკი დაგდევენ კიდეც უკან. გათხოვილი მაინც არ იყო... ბავშვი ხომ აღარა ხარ?!

МАНИНА: აი, კაბა ისევ სველი მაქვს. ვიჯექი და ვუსმენდი. იმდენი რამე მითხრა, არაფერი აღარ მახსოვს.

ВАТОЕ: დედოფალო, ჩვენი საუბარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ გგონიათ.

МАНИНА: ჭკუა კი მაინც მომემატა. ახლა უკვე მტკიცედ ვიცი, რომ მე და შენ, ჩემო საყვარელო დედიკო...

ВАТОЕ: ჩვენი პოეტის ღვთაებრივ ნიჭს, თუ გახსოვთ, ჩვენც ყოველთვის ვაფასებდით. (პოეტს) მე მგონი, ვერც თქვენ უარყოფთ. (პოეტი, თანხმობის ნიშნად, ხელებს შლის.) მაგრამ ახლა საქმე მეფის ღირსებას ეხება.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: შვილსაც მიხედვა უნდა, მეფეე ბატონო. როგორ შვილსაც გავზრდით, ქვეყანაც ისეთი იქნება.

ᲬᲐᲗᲔ: მეფე კი მე ვარ! ესე იგი, მე მეხება. ხალხი მამის მოღალატედ მთვლის, მამის მკვლელის მსახურიაო. საბედნიეროდ, ეს მთელ ხალხს არ ეხება. მართალია, მამაჩემი მოკლეს, მაგრამ ეს მკვლელობა პირადი შურისა და სიძულვილის შედეგი იყო. მკვლელი ღირსეულად დაისჯება. ხოლო, რაც შეეხება რომს, იგი არის და ყოველთვის იქნება ლაზიკის ნამდვილი მეგობარი და მფარველი. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, მგონი, განსვენებული მამაჩემიც ამას გვეუბნებოდა. ეს ყველამ უნდა შეიგნოს, ერთხელ და სამუდამოდ. ვინც სხვანაირად ფიქრობს, ჩვენი მტერია და ნამდვილი მოღალატის სახელიც მას ეკუთვნის.

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: მეც უნდა გავაჩინო შვილი. მაგრამ ცოტა სხვანაირი... ჩვეულებრივი. მიწით მოთხუპნული, წვიმით გალუმპული, ქარით გაცრეცილი, ძეძვით დაკაწრული, ჭრიჭინასავით ხმაურიანი და ვაშლივით სრულყოფილი. გესმის, დედაჩემო? ვაშლივით უბრალო და სრულყოფილი.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: შვილი თუ გინდა, ქმარიც უნდა გინდოდეს. ვაშლის ჭამით ვერ დაორსულდები.

ᲬᲐᲗᲔ: (ხელს მაღლა სწევს, მბრძანებლურად) თუ ერთმანეთს არ ვაცალეთ, არაფერი გამოვა. (პოეტს) მე ჯერ არ მითქვამს, მოღალატე ხართ-მეთქი.

ᲞᲝᲔᲢᲘ: მოღალატე?

ᲬᲐᲗᲔ: მე ვთქვი, რომ თქვენმა ლექსმა, რომელიც ნამდვილად გრძელი იყო და ამიტომაც გაგვიჭირდა მისი ბოლომდე მოსმენა, ზოგიერთს, ჩვენით უკმაყოფილო ნაძირალას, საბედნიეროდ, ეს მთელ ხალხს არ ეხება, საშუალება მისცა, ამოჰფარებოდა განსვენებული გუბაზის სახელს და გულში მჯიღის ცემით, როგორც ვიტყვით ხოლმე, გაებუთურებინა თუ გაებოთურებინა...

ᲞᲝᲔᲢᲘ: (სხარტად) გაებითურებინა!

ᲬᲐᲗᲔ: დიახ, გაებეთურებინა ჩვენი ღვაწლი და დამსახურება ჩვენი დიდი სამშობლოს, რომის იმპერიის წინაშე.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (წათეს) ერთი-ორი ნაძირალა ლაპარაკად არ ღირს. (მანინას) ჩვენ სხვანაირი სისხლი გვაქვს. სიყვარული ბრიყვებისთვის მოგონილი ზღაპარია. თუმცა, აქამდე ყველაფერი შენით უნდა გესწავლა.

ᲬᲐᲗᲔ: დედოფალო, მე ჯერ არ დამიმთავრებია. კეთილი ინებეთ და მომითმინეთ.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (გაღიმებული უახლოვდება წათეს) ოოოხ, წათე, წათე! ეგ ხომ უკვე ვთქვით. ნახე, რასა გავს სასახლე. ასე დავხვდეთ სტუმრებს? რა მოგივიდა? შენ რომ სიბრაზე არ გიხდება! (მკაცრად) მეფე კეთილი უნდა იყოს, კეთილი და ლმობიერი... (პაუზის შემდეგ) ხალხს ასე ურჩევნია. აბა, შეხედე, შიშისაგან ყველას ენა მუცელში ჩავარდნია. (ეფერება, უყვავებს) აქ ვისაც ხედავ, ყველა შენი ერთგულია. დაიჯერე. დამიჯერე და არ წააგებ. აბა, მაჩვენე შენი ფეხუნა. (ფეხს მაღლა უწევს) შეხედეთ, შეხედეთ, როგორი წაღები აცვია! როგორ უხდება! კეისრული, პრიალა, ჭრაჭუნა! ჩემი პატარა კეისარი, კეთილი კეისარი. პაკ-პუკ, პაკ-პუკ, მობაკუნობს კეისარი! გზა მიეცით კეისარსა! (იცინის) ოოოხ, ჩემო წათე, როგორ გამაცინე.

ᲬᲐᲗᲔ: მოიცა, მოიცა-მეთქი. სირცხვილია... მართლა მიხდება?

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (წათეს ფეხს, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, უხეშად დაახეთქებს ძირს. მკაცრად) ამ წაღების გახდა უფრო ადვილია, ვიდრე ჩაცმა.

ᲬᲐᲗᲔ: ტყუილად მიბრაზდები. მე არც ახლა ვიტყოდი რამეს, ახლაც გავჩუმდებოდი, მაგრამ იმ ხალხს რა ვუთხრათ? მართლა რომ ჩამოვიდნენ, ასე გულხელდაკრეფილნი დავხვდეთ? ხალხი რომიდან მოდის მამაჩემის მკვლელის საპოვნელად, ჩვენ კი თითიც არ გავანძრიოთ? იქნებ მკვლელი ჩვენს შორისაა? რას იტყვიან: გეძინათო? დაბრმავდითო? მთლად გამოშტერდითო? მე ჩვენს პოეტს...

ДЕДОФАЛი: „ჩვენს პოეტს“, „ჩვენს პოეტს“,.. გავიგეთ, გეთანხმებით, შეცდომა მოუვიდა... (**დამფრთხალი პოეტი რაღაცის თქმას აპირებს, დედოფალი ხელით აჩერებს.**) შეცდომა მოუვიდა, მაგრამ უნებურად და არა წინასწარი განზრახვით. ამისთვის ხომ არ უნდა მოვკლათ?! თქვი, მოვკლათ? დავუძახო ჯალათს?

სასოწარკვეთილი პოეტი უმწეოდ იგრიხება, თითქოს უკვე თოკზე კიდიაო. პირზე ხელს იფარებს, მაგრამ მაინც ვერ იკავებს თავს და ყვირის:

პოეტი: მათქმევინეთ!

ДЕДОФАЛი: (**წათეს**) შენ გეკითხები, დავუძახო-მეთქი ჯალათს? (**წათე მხრებს იჩეჩავს**) არა, არ შეიძლება. (**ოდნავ დამშვიდებული პოეტი დედოფალს მოწიწებით უკრავს თავს.**) რა თქმა უნდა, არ შეიძლება. პოეტი მსუბუქი, ფრთოსანი არსებაა. როგორც კი ფრთებში მოჰკიდებ ხელს, ფერი ეკარგება. შეხედე, სამარიდან ამოღებულს დაემსგავსა. (**იცინის**) პოეტი, რომელსაც შენ მფარველობ, არასოდეს არაა საშიში, როგორც ნესტარამოცლილი ქვეწარმავალი, ანდა გაწვრთნილი მიმინო. ის შენს ცერზე ჯდომას უკვე შეეჩვია და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ათასში ერთხელ მაინც დაგიჭიროს მსუქანი მწყერი და სიამოვნებისგან აკრუტუნდეს, როცა თავზე ხელს გადაუსვამ (**თავზე ხელს უსვამს**). ამიტომაც, შენც უნდა მოითმინო და დიდბუნოვნად გაიღიმო კიდეც,თუ უნებურადდაგასკორავს ხოლმე. (**მკაცრად**) დასჯილი და განდევნილი პოეტია საშიში. მკვდარიც კი! მის დაგლეჯილ სხეულს ხალხი ავგაროზებად ინაწილებს და მერე შენც იძულებული ხდები, თავი მოიდრიკო, თავი დაიმდაბლო მისი ნეშტის წინაშე. (**პაუზის შემდეგ, ღიმილით**) ასე რომ, იფიქრე. დაუფიქრებლად ნაბიჯს ნუ გადადგამ, თორემ ეგ ლამაზი წაღუნებიც მალე გაგიცვდება. (**თავის ადგილას ბრუნდება.**)

ᲬᲐᲗᲔ: ჩვენ ძალადობის მომხრენი არასოდეს ვყოფილვართ. პირიქით, ჩვენი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა ჭეშმარიტების საშუალებით. ის კი არა, აქაც გვირევია ზოგიერთი, რომისა და ჩვენი მეგობრობის უარმყოფელი, ჩვენ კი ვითმენთ...

ᲐᲘᲔᲢᲘ: მბრძანებელო...

ᲬᲐᲗᲔ: (ყვირის) ჩვენ ჯერ ვითმენთ! (აიეტს) თქვენც მოითმინეთ, თუ შეიძლება. ჩვენ თვითონ დაგიძახებთ. დიახ, ზოგიერთს ჩვენი ყოფილი დამპყრობლის, სპარსეთისკენა აქვს ხელი გაშვერილი და ლაზიკის ნამდვილ ხსნას სპარსეთის ქვეშევრდომობაში ხედავს. უფრო მეტიც, გამოდის და სახალხოდ ქადაგებს ამ უაზრობას, დღეისათვის ყოვლად მიუღებელსა და მავნებლურს. ხალხიც უსმენს და, რა თქმა უნდა, ზოგიერთი, საბედნიეროდ, ეს მთელ ხალხს არ ეხება, იგესლება და იჟღინთება რომაელებისადმი დაუმსახურებელი და უსაფუძვლო ზიზღითა და სიძულვილით. მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ? სადა ვართ ამ დროს? მართლა გვძინავს? მართლა დავყრუვდით? მართლა დავბრმავდით? არა და არა! ჩვენ აქა ვართ, ტახტზე ვსხედვართ და ამ ტახტიდან ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერი გვესმის. მაგრამ იმის მაგიერად, უკიდურესი ზომები რომ მივიღოთ, საშოშივე რომ ჩავკლათ ამგვარი ბილწი, მე ვიტყოდი, ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის ყოვლად უკადრისი ზრახვა, და იმის ნაცვლად, რომ ჩვენი საერთო სახლიდან რაც შეიძლება შორს გავიტანოთ და გადავყაროთ ბოროტი გულისა და გონების ეს... ეს განავალი, მშვიდად ვსხედვართ და ველოდებით, ჩვენი დიდი უფალი როდის მოახდენს სასწაულს და როდის მოარჯულებს ამ გზააბნეულ ბატკნებს. სიტყვა „ბატკანს“ ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ირონიით ვხმარობ.

ᲐᲘᲔᲢᲘ: (მტკიცედ, ჯიუტად) მბრძანებელო!

ᲬᲐᲗᲔ: ახლა ბრძანეთ, რისი თქმაც გინდათ. გისმენთ. ოღონდ, სიტყვა-სიტყვით გაიმეორეთ ყველაფერი, რასაც კრებაზე ლაპარაკობდით. კეთილი ინებეთ და ჩვენც დაგვატკბეთ თქვენი მჭერმეტყველებით, ჩვენი ბნელი ხალხი ასე რომ აღუფრთოვანებია.

ᲐᲘᲔᲢᲘ: მართალია, ლაპარაკი მარტო ადამიანს შეუძლია, მაგრამ ხანდახან ადამიანის პირიდან ამოსულ სიტყვას გველის შხამიც ახლავს ხოლმე, ქათმის სიბეცეც და კამეჩის მოუქნელობაც. ბევრჯერ გაუგონებიათ ჩემთვის: თუ ასეთი გულადია, აქამდე სად იყოო, გულადობა ვისთან ჰქონდა მიბარებულიო? როცა ცალი ფეხი სამარეში გიდგას, ცეცხლთან თამაში ადვილიაო; თავისი დრო მშვიდად მოჭამა და ახლა სახელს ეპოტინებაო, რახან ისედაც ვკვდები, ბარემ სახელოვნად მოვკვდეო. არ უარვყოფ, ბევრ რამეში მართალნი არიან: სანამ შარვალი არ გამოგვეწვა, ნაღვერდალი ვერ დავინახეთ. უპირველეს ყოვლისა ჩემს თავზე ვამბობ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველას გვეხება.

ᲬᲐᲗᲔ: ხალხი ბევრი იყო? (მსახურს) მოახედე, ბიჭო, ეგ ოხერი სარკე!

ᲐᲘᲔᲢᲘ: დიახ, მბრძანებელო. მთელი ხეობა ისე გაივსო, თითქოს წყალი უცებ ადიდდაო. თუმცა, ფარტაზი ალბათ გეტყოდათ.

ᲬᲐᲗᲔ: გააგრძელე, გააგრძელე.

ᲐᲘᲔᲢᲘ: ყველაფერს მოგახსენებთ, დასამალი არაფერია. ვცდები თუ არა, ამას თქვენი მეფური გონება უკეთესად განსჯის, მაგრამ მე ჩვენი უბედური ლაზიკის სიყვარული მალაპარაკებს და ჩემი დღევანდელი სითამამეც ამ სიყვარულის ბრალია. უპირველესად იმას ვიტყვი, რომ არასწორად მოუტანიათ ჩემი ნათქვამი. არასოდეს და არც იმ კრებაზე არ მითქვამს, გინდათ თუ არა, სპარსელებს მივეკედლოთ-მეთქი. ანდა როგორ ვიტყოდი, როცა ჩვენთვის სპარსეთიც და რომიც ერთი და იგივეა, ოღონდ არ

ვიცი, რომელს უფრო ფართო ხახა აქვს, უმტკივნეულოდ რომ გადაგეყლაპოს.

ᲬᲐᲗᲔ: იქაც ეგრე თქვი?

ᲐᲘᲔᲢᲘ: იქაც. რადგან სწორედ იქ უნდა მეთქვა. ისიც ვთქვი, ჩვენს უბედურ სამშობლოს ასეთი მწარე დღე ჯერ არ გათენებია-მეთქი. ხალხმა ისე ამოიოხრა, გეგონებოდათ მთა ჩამოიქცაო. ჩვენი სამშობლო უფსკრულის პირას დგას და, შეიძლება, ხვალ ყველანი ამ უფსკრულში აღმოვჩნდეთ-მეთქი.

ᲬᲐᲗᲔ: გესმით? გესმით, რას ლაპარაკობს?

ᲐᲘᲔᲢᲘ: სპარსელები კი იმიტომ ვახსენე, იქნებ დღევანდელმა მძიმე მდგომარეობამ დახმარების სათხოვნელად ისევ მათთან მიგვიყვანოს-მეთქი.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (დამცინავად მომღიმარი) მოიცა, მოიცა აიეტ! ასე ხელაღებით ნუ გადაწყვეტ ყველაფერს. მართალია, მე წარმოშობით რომაელი 'ვარ, მაგრამ ამჟამად ლაზიკის დედოფალი მქვია, ლაზის ცოლი და ლაზის დედა. ასე რომ, ჩვენც შეგვიძლია, შეგეცილოთ მამულიშვილურ გრძნობებში, თუ ამას მამულიშვილობა ჰქვია. ცხოვრების დადგენილი გეზის ასე უცბად და ხელაღებით შეცვლა ჩვენს სულწასულობაზე და სიბეცეზე ხომ არ მეტყველებს? მოვიფიქროთ, მოვითათბიროთ. სად გაგონილა, ყველაფერი ერთმა კაცმა გადაწყვიტოს?

ᲐᲘᲔᲢᲘ: მეც ეგა ვთქვი: თავი იმდენი ვატრიალეთ აქეთ-იქით, გზიდან გადახვევა ვერც კი შევამჩნიეთ-მეთქი.

ᲬᲐᲗᲔ: ღმერთსა ვფიცავ, თუ ყურებს ვუჯერებდე. მართალია, მამაჩემის მეგობარი ხარ, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

ᲐᲘᲔᲢᲘ: ყველაფერს საზღვარი აქვს, მბრძანებელო. მამათქვენი რომაელებმა მოკლეს.

ᲬᲐᲗᲔ: ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. შენ ისა თქვი, რასაც გეკითხებით. დანარჩენს ჩვენ გავარკვევთ.

ᲐᲘᲔᲢᲘ: მამათქვენი რომაელებმა მოკლეს. რომმა აბრეშუმის პირბადე მოიხსნა და ენა

გამოგვიყო. უსაზღვრო მხოლოდ ჩვენი მოთმინებაა. საბედნიეროდ, დიახ, საბედნიეროდ, მტერმა ნამდვილი სახე დაგვანახვა: თეთრი, ფაფუკი ხელები და სისხლით გაჟღენთილი თვალები. ახლა არც მისი ვერაგული განზრახვის დანახვაა ძნელი, დიდხანს ვერც იმან დამალა თავი, საბნის ქვეშ სუნთქვა გაუჭირდა, შეშლილივით წამოვარდა საწოლიდან და ისე ღონივრად ჩაისუნთქა, ჰაერს, მტვერივით, ჩვენც თან მიგვაყოლა. გუბაზის ცხელი სისხლი მდინარესავით გადადის ჩვენს დაბეჩავებულ სულზე და ამ სისხლით ყველანი ხელმეორედ ვინათლებით. ჩვენი ახალი ღმერთი, ჩვენი ერთადერთი ღმერთი — თავისუფლებაა! რომი კი მონაა, ისევე როგორც ყველა დამპყრობელი, მონასავით ბილწი და დაუნდობელი, ავხორცი და გაიძვერა. მანვე დაანახვა მკვლელს გუბაზის მოღეღილი მკერდი და კისერი, ხელში კი ხანჯალი მიაჩეჩა.

ᲬᲐᲗᲔ: (ყვირის) მამაჩემს ორი ჭრილობა ფერდში ჰქონდა, სამი კი — ზურგზე.

ᲞᲝᲔᲢᲘ: მე მხოლოდ ერთი ჭრილობა მოვიხსენიე, ვარდივით წითელი და სურნელოვანი.

ᲬᲐᲗᲔ: (პოეტს) მე თქვენთან საუბარი უკვე დავამთავრე. შეგიძლიათ, გაჩუმდეთ. (აიეტს) იცოცხლე, ლაპარაკი კარგი იცი, კაცის გაბრიყვებაც შეგიძლია, მაგრამ ჩვენთან ეგ არ გაგივა. მართალია, ნიჭის წართმევა, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია, მაგრამ ენა ჩვენს ხელთაა. ნიჭი კი ზარივითაა, ენას თუ ჩამოხსნი, გინდა ყოფილა და გინდა არა.

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: აიეტი მართლაც საუცხოო ორატორია. გველივით მონუსხავს ხოლმე გამოუცდელ მსმენელს, მერე კი კისერზეც ადვილად შემოეხვევა. იმ დღესაც ჩვეულებრივი ამბავი დაგვემართა, აიეტის ლამაზმა სიტყვებმა ყველას გონება შეურყია. სიტყვა დიდი ძალაა, განსაკუთრებით მოსწრებულად თქმული. ვისაც მისი

ძალა საკუთარ თავზე არ გამოუცდია, ადვილად დამარცხდება. სიტყვის ქნევა უფრო სახიფათოა, ვიდრე ხმლისა. ხმლის ერთი დაკვრით, დიდი-დიდი, ერთი კაცი მოკლა, სიტყვით კი ერთბაშად შეგიძლია დააქციო მთელი ქვეყანა. ამიტომაც არ ვეთანხმები აიეტს. სიტყვის კაცს ჭკუაცა და სიფრთხილეც მეტი მართებს. როცა სიბრაზე სიკაპასეს ჰგავს, ხოლო ჭიდაობა — ფაფხურს, სჯობს სულ გაჩუმდე, გაჩუმდე და შეეგუო, სანამ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ᲬᲐᲗᲔ: (აიეტს) გაიგე?

ᲐᲘᲔᲢᲘ: არა, ფარტაზ, რომაელები სხვანაირი ხალხია. რაც უფრო დაბლა დაუხრი თავს, უფრო მაღლიდან დაგიწყებს ყურებას. მალე ქედის ძვალზე უკანალსაც შეგაფხანს. თუმცა ჩვენ არავითარი უსამართლობა არ ჩაგვიდენია რომაელების მიმართ, ჩვენი მეფე ქათამივით დაკლეს და მისი გულღვიძლი სახეში მოგვაყარეს, როგორც ძაღლებს ეკადრებათ. ჩვენი ბრალია, ჩვენ თვითონ ჩავუცუცქდით ძაღლებივით და არც შედეგმა დააყოვნა. ნუთუ ყოველთვის ძაღლები ვიყავით? ან ასე უცებ ვინ მოგვაშინაურა? რა მნიშვნელობა აქვს, რამ მოგვიყვანა აქამდე: ბედის უკუღმართობამ თუ მტრის ვერაგობამ, თუ ორივემ ერთად? მთავარია, რომ ასეთ საჭმელს შიმშილი სჯობს, ასეთ ყეფას — ყმუილი და ასეთ მეგობარს — ისევ შენს დამპალ ჯოხზე დაყრდნობა.

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: სიტყვას მაშინა აქვს ფასი, თუ სარგებლობის მოტანა შეუძლია. ადამიანი ყველაფერში სასარგებლოს დაეძებს. ტარო შინ მიაქვს, ქუჩეჩს კი დაუდევრად გადააგდებს ხოლმე, არ იჭმევა და იმიტომ. სიტყვაც ასეა, არც ყველა სიტყვა იჭმევა. იონჯით გამძღარი ცხენი ღონიერიცაა და სანდოც, ხოლო თუ ლენცოფაც შეაყოლა, თვითონაც გაგიჟდება და შენც გადაგჩეხავს. სიტყვას კი მეტი უბედურების მოტანა შეუძლია, რადგან სულივით უხორცოა და უჩინარი:

ვერც ბორკილს დაადებ, ვერც საწამლავს დაუდგამ, ვერც ქეჩეჩივით გადააგდებ. გინდა თუ არა, უნდა ატარო და შეინახო კიდეც. ამიტომ არ ვეთანხმები აიეტს. მისი სიტყვა ლენცოფას უფრო გავს, თუმცა ცხენებს იონჯად დაუყარა.

აიეტი: მოკლე ხმალი სიტყვით უნდა გააგრძელო, ფარტაზ. სიტყვა ხმალზე უნდა დასვა, თუ გინდა, რომ ყველამ დაგინახოს და დაგიჯეროს. ცარიელი წუწუნი არავის არ სჭირდება, არც აინტერესებს, გინდა იონჯა დაარქვი, გინდა ლენცოფა. სიტყვა მიწაზე უნდა დადო — სისხლიან მიწაზე — და მაშინ ვეღარავინ მოგერევა, რადგან ეს მიწა ჩვენი ძვლებითაა სავსე, ჩვენი სისხლითაა გაჟღენთილი და ეს ძვალი და სისხლი ყოველ წელიწადს პურად და ღვინოდ გვიბრუნდება, სისუსტისგან თავბრუ რომ არ დაგვესხას, მუხლი რომ არ მოგვეკვეთოს, რომ არ დავიჩოქოთ, ფარტაზ. თორემ მიწა გაგვიწყრება, პირთან მიტანილ ჯამზე ხელს აგვიკრავს და მამა-პაპის სისხლი სახეში შეგვესხმება.

ბაკური ხმამაღლა იცინის.

დედოფალი: (გაკვირვებული) რა გაცინებს?

ბაკური: კარგადა თქვა... გამეცინა.

დედოფალი: (მკაცრად) სასახლის მცველთა უფროსს მეტი თავდაჭერა მართებს... სიფრთხილეც. არ გაინტერესებს მაინც, სად დადის შენი ცოლი, რას აკეთებს? ზის და ზღვას უყურებს? მეტი არაფერი?

ბაკური: რა ვქნა, გამეცინა. ხომ არ მინდოდა?

აიეტი: ეტყობა, სიტყვა გამიგრძელდა.

წათე: ღმერთო ჩემო, გამიგრძელდაო! დასაბმელი ხარ, აიეტ, დასაბმელი! დამერწმუნე, ასეც მოხდება. (მსახურს) დამეკარგე აქედან!

აიეტი: თქვენ თვითონ ბრძანეთ, ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გაიმეორეო და მეც აღარ შევამოკლე. თუ გნებავთ, გავჩუმდები.

ᲬᲐᲗᲔ: არა, ბარემ თქვი. ჩვენც ვიცოდეთ.

ᲨᲐᲠᲢᲐᲮᲘ: მე მგონი, აიეტს ორი რამე ეშლება: მთელი ხალხის სახელით ლაპარაკობს და რასაც ლაპარაკობს, ადრეც ათასჯერ თქმულა და ამდენჯერვე დავიწყებულა. ჩვენ მაინც ბოლომდე უნდა მოვუსმინოთ და სატკივარიც გულისყურით უნდა გავუსინჯოთ, თუმცა ეს სატკივარი სამყაროსავით ძველია და ბებერი. ამ სატკივარს უაზრო სიამაყე და სულწასულობა აჩენს და არა გონივრული განსჯა. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ არავისზე ნაკლებად არ გვწყენია და არც განგვიცდია გუბაზის სიკვდილი. ხოლო რაც შეეხება ხალხს, მას მკვლელობა უფრო აინტერესებს, ვიდრე აღაშფოთებს ხოლმე. გუბაზი ჩვენ შორის ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე გულადი და ყველაზე ღონიერიც იყო, მაგრამ ეს ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე გულადი და ღონიერი, როგორც აიეტი ამბობს, ქათამივით დაკლეს. გუბაზს სამშობლოც ჩვენზე მეტად უყვარდა და ამიტომაც, ადვილი შესაძლებელია, თავის თავს თვითონვე მიუგზავნა მკვლელები, რათა ნაკლებად ჭკვიანებს, ნაკლებად გულადებსა და ნაკლებად ღონიერებს სათანადო დასკვნა გამოგვეტანა. რა თქმა უნდა, ჩვენი სული და გონება, უპირველეს ყოვლისა, შეაძრწუნა ამ მკვლელობამ, მაგრამ შეძრწუნებამ კი არ უნდა წამოგვშალოს, როგორც ჩაბუდრებული ქათმები — მელიის გამოჩენამ, პირიქით, უფრო მაგრად უნდა მივეკრათ მუცლებით ჩვენი ბუდის ფსკერსა თუ იატაკს. მელიას ერთი ქათამი მიჰყავს ხოლმე, დანარჩენი შიშისა და დაბნეულობის მსხვერპლი ხდება. ქათმებს ჭკუა რომ ჰქონდეთ, კრიახითა და ქოთქოთით გულს ზედმეტად აღარ გაიხეთქავდნენ და მელიასაც ისე დაელოდებოდნენ, როგორც გარდუვალ აუცილებლობას. მელიამ ქათამი უნდა წაიყვანოს, ქათამი უნდა წაყვეს. ბუნებას ასე უბრძანებია.

ᲐᲘᲔᲢᲘ: ის რომ აქ იყოს, ერთი წამით რომ

გაცოცხლდეს, თავზე ხელს არც ერთს არ გადაგვისვამდა. განა ჩვენ ქათმები ვართ?

პოეტი: მეც ჩემს ლექსში დაახლოებით ამგვარ აზრს ვაკითარებ, თუმცა ჩემი მრწამსი უკიდურესად განსხვავებულია.

ფათე: (პოეტს) თქვენი გამოსვლა ამჟამადაც ყოვლად უადგილოა. იძულებული ვართ, თქვენს საკითხს თავიდან დავუბრუნდეთ, უფრო საფუძვლიანად.

პოეტი: მბრძანებელო! მე, უბრალოდ, გაუგებრობის მსხვერპლი ვარ. რატომღაც შებრუნებულად გესმით ჩემი ნათქვამი. დამერწმუნეთ, უკეთესად ვფიქრობ, ვიდრე ვლაპარაკობ. ალბათ მომავალში მაინც...

ფათე: ჩუმად!

აიეტი: სასაცილოა და სატირალიც, როცა გონიერი არსება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ეგუება და იტანს მისთვის შეუფერებელ დამცირებას. ბევრი მკვლელობა მომხდარა ადრეც, შემზარავიცა და სამარცხვინოც, მაგრამ არა მგონია, რომელიმეს ასე იოლად ჩაევლოს.

დედოფალი: არა ხარ მართალი! ეს არ მოხდება! გუბაზი მართლაც მეფური პატივით დაიკრძალა, მკვლელები კი დაისჯებიან. თავს ნუ იღიზიანებ, აიეტ, შენი სიბრაზე უსაფუძვლოა, ჩვენი მოთმინება კი ნამდვილად ქების ღირსია. ამაზედაც იფიქრე.

აიეტი: ჩვენს დუმილსა და მოთმინებას, შეიძლება, სხვა სახელიც დაერქვას. მეტი სიფრთხილე გემართებს, დედოფალო, რათა მომავალში, მონაწილეებად თუ არა, ამ მკვლელობის თანამზრახველებად არ ჩაგვთვალონ. ის რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვავსებდა და დაგვძრახავდა კიდეც, რადგან მკვლელები ჯერ კიდევ მშვიდად დანავარდობენ მისი სისხლით მორწყულ მიწაზე. მიწას ყველაფრის ატანა შეუძლია, კაცის გულს კი — არა. მიწა გრილია, გულგრილობა კი დანაშაულია. წარმოიდგინეთ მაინც მის მკერდსა და კისერზე მშიერი ბარტყებივით პირდაღებული ჭრილობები. სანამ შურს

-39201-

-39201-

არ ვიძიებთ, იმ ჭრილობებს სულ ასე ეშიებათ. ღმერთო, როგორ საცოდავად მოკლეს, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს!

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: მოიცა, აიეტ, მოიცა. შენ უფრო ლამაზად ლაპარაკობ, ვიდრე ჭკვიანურად. სიბრაზემ და უბედურებამ გონება დაგვიბნელა. გინდაც მკვლელი რომაელი იყოს, მაინც უსამართლობა იქნება, მარტო ცუდი გამოვჩხრიკოთ, კარგი კი დავმალოთ. ცუდი და ბოროტი ყველგანაა. ერთი რომაელის უხამსობა არ შეიძლება მთელ რომს მივაწეროთ. არც ხალხის გაგიჟება და დაღუპვაა დიდი მამულიშვილობა. თუ ნამდვილი მამულიშვილი ხარ, ხალხი უნდა დაამშვიდო და მოთმინება უქადაგო, ისევ მის სასარგებლოდ. რომი მოწყალეა, მაგრამ ურჩების დასჯაც ეხერხება, მით უფრო, როცა ამ ურჩობას ღალატის სუნი უდის. რომს გრძელი ხელებიცა აქვს, აიეტ. ნუ დააგდებ ძველსა გზასო, ხომ გაგიგია?

ᲐᲘᲔᲢᲘ: გამიგია, დედოფალო, გამიგია. ჩვენს ძველ გზაზე ბალახი ამოვიდა. ცხენის ნაფლოქვარში წყალი ჩადგა და აშმორდა. ყორეს ეკალბარდი შეახოხდა და კედლის ბზარებში ჯოჯოები ჩასახლდნენ. წყაროს თვალი სილითა და ღორღით ამოივსო. ეს გზა კი ადრე ჩვენი გზა იყო, ომშიც ამ გზით წავსულვართ და ქალიც ამ გზით მოგვიყვანია. ამ გზაზე სიმღერაც გაგვიტანია და კუბოც.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (სიცილით) შენ რა გითხრა, აიეტ... რაღა დროს შენი ქალია!

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: მე კი ვამბობ, რომ ის გზა თვითონ დრომ დააძველა და დაივიწყა. ჩვენ იმ გზაზე ერთმანეთისთვის მხრის აქცევაც გვიჭირდა, რადგან ვიწროც იყო და მოკლეც. თითქმის იქვე მთავრდებოდა, სადაც იწყებოდა. სიცოცხლეს კი სივიწროვე არ უყვარს, მას ღონიერი მხრებიც აქვს და ჩვენს საბრალო ყორეებს [illegible] ამბავი კი არ უნდა გვაღონებდეს [illegible] — გვახარებდეს. ახლა ჩვენი გზაც რომში

№

მიდის. ჩვენც ხალხში გამოვედით, ჩვენც სახელი დაგვერქვა. ბოლმა და სიბრაზე მოსაზრების უნარს გვიკარგავს და ამიტომაც ჩვენი სათქმელი სხვისთვის გაუგებარი რჩება. მკელელობაც ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დედაკაცისთვის ორსულობა, ბავშვისთვის კბილის მოცვლა, ანდა ნაბილიკარზე ბალახის ამოსვლა. მშობიარობის ტკივილი დედაკაცს საწოლს არ აძულებს, მოცვლილი კბილის ნაცვლად უფრო ბასრი და გამძლე კბილი ამოდის, ხოლო ნაბილიკარის გვერდით ფართო შარაგზა გაჰყავთ. შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა. რა თქმა უნდა, გლოვა და მწუხარებაც ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომაც მისი დამალვა უაზრობაა, მაგრამ გამოვაჩინოთ იმდენი, რამდენიც იმის დასამტკიცებლადაა საკმარისი, რომ გლოვაცა და მწუხარებაც შეგვძლებია. მხოლოდ უგუნური მისტირის განვლილ უბედურებას, მწუხარებისგან ფეხქვეშ საყრდენი ეცლება და ბავშვივით თავიდან გასაზრდელი ხდება. გონიერი კი ყოველთვის წინ იყურება, მას არ აშინებს ბედის ტრიალი, ყოველგვარ ცვლილებას, ბუნებაშიც და ცხოვრებაშიც, მომზადებული ხვდება, როგორც თადარიგიანი გლეხი — ზამთარს. რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო. უცნაური და მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჩვენ უბრალოდ გვიან შევამჩნიეთ, როცა თვალში თითი გვატაკა და სიმწრის ცრემლი გვაღვრევინა. ყველაფერს, რაც კი ღმერთსა და ბუნებას შეუქმნია, ორი მხარე აქვს. უბრალო მოკვდავისთვის მეორე მხარე ყოველთვის ბნელში რჩება, რადგან მის დასანახად ზედმეტად უნდა გაისარჯოს. ის იმას ხედავს, რისი დანახვაც ადვილია. შიშველ სხეულზე ნაჭრილობევს ყველა ამჩნევს, მაგრამ რატომ გაჩნდა ნაჭრილობევი მაინცდამაინც ამ სხეულზე, ძნელი ასახსნელია. ნუ მოვინდომებთ ყველაფრის ერთბაშად გაგებას. სიდინჯე და მოთ-

მინება — ორივე გონების შვილია. (ოდნავი პაუზის შემდეგ) მე ყველაფერს ისე ვამბობ, როგორც კრებაზე ვილაპარაკე.

ᲬᲐᲗᲔ: თქვი, თქვი, ნუ ჩერდები.

ᲤᲐᲠᲢᲐᲬᲘ: კრებასაც თავისი წესი აქვს. ამან კი (ხელს აიეტისკენ იშვერს) ყველაფერი თავდაყირა შეატრიალა. ყოველგვარი წინასწარი განსჯის გარეშე, პირდაპირ დაადგინა: ხალხო, რომი აღარ გვინდაო; რომს ისევ მიდია ჯობნებიაო; ეგ ოხერი ჭიქა გააგდეთ და ისევ ხმალს მოკიდეთ ხელი, რადგან ცხოვრება, თქვენ რომ ასე მშვენივრად შეეგუეთ, უნდა შევცვალოთო. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დავადგენთ და მერე ვიმსჯელობთ?!

ᲬᲐᲗᲔ: არ შეიძლება. წესი — წესია. (მსახურს) სად დაიკარგე, ბიჭო! მოახედე ეგ ოხერი სარკე!

ᲤᲐᲠᲢᲐᲬᲘ: ტყუილად ნურავინ შეეცდება, შეცვალოს ჩვენი ხალხის ხასიათი. ის ერთხელ მიცემულ სიტყვას არასოდეს არ უღალატებს და ერთხელ აღებულ ვალდებულებასაც ბოლომდე შეასრულებს, პირნათლად და გულითადად. ჭეშმარიტი მამაკაცის კისერი ვალდებულების თოკითაა გადახვხილი. ნურც ჩვენი გულის აჩუყებას ცდილობენ შურისძიებაზე მოწუწუნე გუბაზის წარმოდგენით. წუწუნი და ცრემლი უმწეოთა ხვედრია, მეფეს კი არ ეკადრება, თანაც ლაზიკის მეფეს, თანაც გუბაზს!

ᲬᲐᲗᲔ: ერთი წუთით, ფარტაწ. ეგ სიტყვა არ დაგავიწყდეს. გუბაზი რომ დიდი მეფე და უბადლო მეომარი იყო, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება. თქვენ ყველანი ჩემზე კარგად იცნობდით, იცნობდით კი არა, მეგობრები იყავით მისი. მე მხოლოდ მოხარისის ბრძოლა მინდა გავიხსენო. გუბაზი რომ არ ყოფილიყო, ომს ნამდვილად წავაგებდით.

ᲐᲘᲔᲢᲘ: კი მაგრამ, თქვენ ხომ მაშინ რომში ბრძანდებოდით? თანაც ძალიან პატარა იქნებოდით ალბათ.

ᲬᲐᲗᲔ: დიახ, რომში ვბრძანდებოდი და პატარაც გახლდით, მაგრამ როცა გავიზარდე, ყვე-

ლაფერი მიამბეს. თქვენ თვითონ სად ბრძანდებოდით მაშინ?

ᲐᲘᲔᲢᲘ: მე გვერდით ვახლდი მამათქვენს, მბრძანებელო. ხმალი რომ გადაუტყდა, მე გამომგლიჯა ხელიდან. ის გაცილებით უკეთესად ხმარობდა იარაღს.

ᲬᲐᲗᲔ: ესე იგი, შენს მაგივრადაც ის იბრძოდა?

ᲐᲘᲔᲢᲘ: დიახ, ყველა ჩვენთაგანის საქმეს ის აკეთებდა. ჩვენ მხოლოდ აღტაცებულნი შევცქეროდით და გული სიამაყით გვევსებოდა.

ᲬᲐᲗᲔ: გააგრძელე, ფარტაზ. მე სხვა დროს მოვყვები. (მსახურს) მომწყდი თავიდან!

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: მე დავამთავრე, მბრძანებელო.

ᲬᲐᲗᲔ: (აიეტს) გასაგებია? აი, ჩვენ ასე ვფიქრობთ. ჩემი რჩევა იქნება, შენც ასე იფიქრო. ჯერ კიდევ დრო გაქვს, აიეტ, შენცა და ყველას, ვისაც ჩვენი ლაპარაკი ჭკუაში არ უჯდება. ხვალ კი, შეიძლება, გვიან იყოს: თუ რომი გვიბრძანებს თქვენს გამომჟღავნებას და დასჯას, დაგსჯით. მე პირში მთქმელი კაცი ვარ.

ᲐᲘᲔᲢᲘ: მბრძანებელო, მე მამათქვენს ერთგულების ფიცი მივეცი და სიკვდილამდე ამ ფიცს არ ვუღალატებ. ის რომ ცოცხალი იყოს, რომი ამდენს ვერ გაბედავდა. ამიტომაც მოიშორეს თავიდან. ჩემთვის ყველაფერი დიდი ხანია ნათელია. აღარც ფარტაზის სიბრძნეს აღარ ძალუძს ჩემი ბებერი გონების გარდაქმნა და გადაბირება. თუ სამშობლოს სიყვარული და მისთვის ზრუნვა დანაშაულად ითვლება, მე სასჯელისთვის მზად გახლავართ, როცა კი რომსა და თქვენს ბრწყინვალებას მოესურვება.

ᲬᲐᲗᲔ: მაგაზე ნუ იდარდებ, ეგეც მალე იქნება. ახლა კი, შეგიძლია წახვიდე. (მსახურს) ბიჭო, სარკე!

აიეტი თავს უკრავს წათეს, მერე დანარჩენებს და კარისკენ მიდის. წინ მანინა გადაუდგება, იატაკიდან დამჭკნარ ყვავილს აიღებს და გულზე მიიხუტებს.

მანინა: მოიცადე, აიეტ. დღეს ძალიან მომეწონე. ისე ლაპარაკობდი, თითქოს საცაა გული გაუსკდებაო. მართლა ღელავდი?

აიეტი: მე ყოველთვის ვღელავ, როცა ვლაპარაკობ, მაგრამ არ იქნა და არა ამ გულის გასკდომა.

მანინა: მეც სულ მასე ვარ, აიეტ. მართალია, დიდს არაფერს ვამბობ, მაგრამ ისე ვღელავ, თითქოს მაღალ კლდეზე ვიდგე და გადმოხტომას ვაპირებდე. იქნებ მართლა კლდის პირას ვდგავარ და არ ვიცი?

აიეტი: ნუ სულელობ. შენ რიღასი გეშინია? შიშს შენთან რა ხელი აქვს? ეგ სხვა რაღაც იქნება. შენხელა გოგოებს ასე ემართებათ ხოლმე.

მანინა: (ჯიუტად) მე კი მეშინია. ყველაფრის მეშინია. ასე მგონია, გაჩენის დღიდან რაღაცაში დამნაშავე ვარ, რაღაც დიდი ცოდვა მაქვს ჩადენილი, არ კი ვიცი — რა. სამაგიეროდ, ვიცი რომ პასუხი უნდა ვაგო ამ ცოდვისთვის. ადრე თუ გვიან, ყველაფრისთვის პასუხი მომეკითხება... (სევდიანად) როცა მარუთა დაბრუნდება.

აიეტი: მანინა!

მანინა: რა იყო? მარუთა ხომ დაბრუნდება? ადრე თუ გვიან, ხომ უნდა დაბრუნდეს? ისეთს რას ასწავლიან, აქამდე რომ ვერ დაისწავლა.

აიეტი: შენ ისევ შენსას აგრძელებ. რამდენჯერ გითხარი, შენ არაფერში არა ხარ-მეთქი დამნაშავე. შენ შენი გზა და ცხოვრება გაქვს, ყვავილის წვენით და ჩიტის ჭიკჭიკით გაჟღენთილი. იმას მოუარე, თორემ შენს წილ თაფლსაც სხვა ამოწოწნის და შენთვის მოჭიკჭიკე ჩიტსაც სხვა დაიჭერს. ის მხოლოდ დღესაა შენი და ყველაფერი დღესვე უნდა მოასწრო. მე რას მიყურებ? მე ჩემი წილი ცხოვრება უკვე მოვჭამე. შიშსა და ცოდვებზეც სხვა დროს ვილაპარაკოთ. წადი, ნუ ალოდინებ სიცოცხლეს. უშენოდ სიცოცხლეც მოწყენილია და უფერული.

მანინა: (თავისთვის, თითქოს არ უსმენსო) ქუ-

ჩაში რომ მივდივარ, ასე მგონია, ყველა ზიზღით მიყურებს და ყველას ერთი სურვილი აქვს: კეტი ჩამარტყას, ქვა მესროლოს, მომაფურთხოს, რამე ისეთი მითხრას, ადგილზე რომ მოვკვდე. გაქცევა მინდა, გავრბივარ კიდეც, მაგრამ ისევ იქ ვბრუნდები, საიდანაც გავიქეცი. (პაუზის შემდეგ) თითქოს გაწვრთნილი ცხენი ვიყო და ცირკის არენას გარშემო ვურბენდე. მივრბივარ კედლის გასწვრივ, თავჩაქინდრული. ვერ ვხედავ, მაგრამ სხეულითა ვგრძნობ ქვის ხორკლიან კედელს, მტკივნეულად რომ მიბიძგებს ხოლმე, შემთხვევით თუ გავეხახუნე. თითქოს იარუსების ღრიალიც მესმის, უნებურად თავს მაღლა ვწევ და, ღმერთო ჩემო, ყველა მიღიმის, ყველა თავს მიკრავს მოწიწებით, ბავშვები ყვავილებს მესვრიან... (მკაცრად) მე კი მეშინია მათი ღიმილისაც და მოწიწებული სალმისაც. ყვავილებისაც მეშინია. (აღელვებული) მითხარი, აიეტ, რისი ბრალია? შენ უკეთესად გეცოდინება.

აიეტი: მე ის ვიცი, რომ შენ არაფერში არა ხარ დამნაშავე. არაფერში. ჯერჯერობით მაინც. (ოდნავი პაუზის შემდეგ) სანამ ამ კედელს არ დაინახავ. (ღიმილით) აკი თვითონ ამბობ, სხეულითა ვგრძნობ, ვერ კი ვხედავო. (თავისთვის, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო) სანამ არ დაინახავ, სანამ არ გაუსინჯავ სისქე-სიმაღლეს, ვერც გაანგრევ და ვერც გადაახტები. ჯერ არც სახელი იცი ამ კედლისა და არც მისი დანიშნულებისა გაგეგება რამე. ეტყობა, ჯერ კიდევ პატარა ხარ. ამიტომაც უნდა ირბინო გაწვრთნილი ცხენივით ამ კედლის გასწვრივ. (უცებ, თითქოს გამოფხიზლდაო) პატარა ხარ, მანინა, პატარა. თმაში თივის ბულული ჩაგრჩენია (ხელს უსვამს თავზე), ხოლო ბიბილოებზე ვერცხლის წკრიალა საყურეები გკიდია. იცი, რაზე მღერიან?

მანინა: ტირიან. ტირიან ჩემი საყურეები: ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნიაო.

აიეტი: სიკვდილი ადვილია. ის მაშინაა შემზარავი, როცა წარმოვიდგენთ ხოლმე. სინამდვილეში ისიც ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დაბადება, კოცნა, ხის აყვავება. (ყვირის) მაგრამ თავის დროზე! (პაუზის შემდეგ, ჩვეულებრივი ხმით) თვითონ იცის, როდის მოვიდეს, ჩვენ არ გვეკითხება. სიკვდილით არაფერი არ იცვლება, შენს ადგილს სხვა დაიკავებს, რადგან ბუნებისთვის ყველა ერთია: მეფის ქალიშვილიცა და მწყემსი გოგოც.

მანინა: (ფიქრიანად) ნეტავი მართლა მწყემსი გოგო ვყოფილიყავი, იქნება მაშინ მარუთაც აღარ გადახვეწილიყო.

დედოფალი: უსირცხვილო! ქმარი მაინც არ გყავდეს! დაივიწყე ის ოხერი მარუთა. წავიდა. აღარ არის.

მანინა: სტყუი!

აიეტი: შენი წუხილი სიყმაწვილის სენია, მანინა. ეგ ყველამ უნდა მოიხადოს. სიკვდილზე კი ნუღარ იფიქრებ, თუ ჩემი მეგობრობა გინდა. ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა. შენ კი ლამაზი ქალი ხარ და ღირსიცა ხარ იგემო ყველა ამქვეყნიური ბედნიერება. რას მიყურებ? მართალს გეუბნები. სევდა და ჭმუნვა თავის დროზე თვითონვე მოვა. ისინი სამყაროსავით ბებრები არიან და ჩქარი სიარული არ უყვართ. ნურც ჩვენ ავაჩქარებთ. შენი სიკვდილი გაუგებრობა იქნება მხოლოდ, გაუგებრობა და უგუნურება, რაც კი ოდესმე კაცსა და ბუნებას ჩაუდენია. ამით მხოლოდ უმადური შვილის სახელს მოიპოვებ, ხოლო ამ სახელისთვის მსხვეპრლის გაღება უაზრობაა, არ ღირს. ნუ გავიწყდება, გუბაზის შვილიშვილი ხარ. ან შენს თავს უნდა ენდო, ან ბრბოს უნდა შეაფარო თავი. ბრბო სტიქიასავით ღონიერია და ბრიყვი. დამშვიდდი, ჩემო პატარა დედოფალო. გაიღეღე სული და ჩაიხუტე სიცოცხლე. შენი ფრთები სიყვარულია.

მანინა: სიყვარული?

აიეტი: როცა გიყვარს, სიკვდილი აღარ არსებობს.

მანინა: სიყვარული თუ არსებობს, აიეტ, სიყვარული.

აიეტი: (ღიმილით) განა ჩემი პატარა დედოფალი უარყოფს სიყვარულის არსებობას?

მანინა: (აღელვებული) არა, რა თქმა უნდა, არა. სიყვარულის გამო უნდათ სწორედ, კახპად რომ მაქციონ.

დედოფალი: ნუ სულელობ, მანინა!

მანინა: სრულებითაც არა. თუ კარგად დაუფიქრდები... თუმცა, მომისმინე, ასე უფრო ადვილად გაერკვევი. შენ ხომ იცი, აიეტ, რატომ გადაკარგეს მარუთა?! ჩემი გულისთვის! მე მომაშორეს! ჯერ ბავშვები არიან, მაგრამ მერე გვიან იქნებაო! არ მოეწონათ სასიძოდ, არ აღმოჩნდა ჩვენი შესაფერი. სასწავლებლად გავაგზავნეთო... ტყუილია! მე დავღუპე, სიყვარულმა დაგვღუპა ორივენი. სიყვარული უბედურების მოლოდინი ყოფილა მხოლოდ და აკი გამიმართლა კიდეც. თავიდანვე ვიცოდი, თავიდანვე ვგრძნობდი, ასე რომ მოხდებოდა. მეგონა, პირველი ვიყავი და ჩემამდე არავის განეცადა ამგვარი გრძნობა. საკუთარი სხეულისაც მეშინოდა. მეტირებოდა და ვიცინოდი, სიცხე მახრჩობდა და ვკანკალებდი, რადგან ნათლად ვხედავდი, დიახ, ვხედავდი, უდიდესი ნეტარების კართან რომ ვიდექი და მისი შეღება მხოლოდ ჩემს სურვილზე იყო დამოკიდებული. ჩემი ნამდვილი ცხოვრება იმ კარს იქით იწყებოდა, მაგრამ მაინც არ ვჩქარობდი, რადგან ნეტარების განცდის მოლოდინიც ძვირფასი იყო ჩემთვის და ეს მოლოდინი, ტკივილთან ერთად, სიამოვნებასაც მანიჭებდა. ვნატრობდი, სადმე, უკაცურ კუნძულზე, გაშლილ ზღვაში ვიყოთ-მეთქი, რომ ჩვენმა ახალშობილმა და სულელმა ენებამ ამ უთვალავ საგნებსა და კედლებში რამე არ იტკინოს-მეთქი. ყველა და ყველაფერი ჩვენი მტერი მეგონა. მართალიც ვიყავი თურმე. ყველაფერი

იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დედაჩემის რჩევითა და მამაჩემის ბრძანებით, დაგვაშორეს, გაგვთიშეს, გაგვგლიჯეს, დაგვამახინჯეს, რადგან ერთად ორივენი მართლა ლამაზები ვიქნებოდით. სასწავლებლად გავგზავნეთო... ტყუიან! ტყუილია! ცოცხალი რომ იყოს, ერთ სიტყვას როგორ ვერ მომაწვდენდა. აღარ შემიძლია, აიეტ, თვალები გამიწყალდა, სიზმარშიც ზღვასა ვხედავ: ცარიელსა და უსასრულოს...

დედოფალი: ზღვამ გაგაშტერა ასე, ზღვამ გიყო ყველაფერი... სხვანაირად იჭიკჭიკებდი, შვილი რომ გეჯდეს კალთაში.

მანინა: მერე ქმარი შემრთეს, ყოველმხრივ სანდო და ღირსეული: ხორბალივით არწყული, ვერცხლივით აწონილი, სატანსაცმლე ქსოვილივით გადაზომილი...

ბაკური: ჩემგან რა გინდა, ადამიანო... მადლობის მაგიერია?!

დედოფალი: ახია შენზე! ქმარმა ქალი უნდა დააშოშმინოს, ეგ კი გიჟივითაა, ხომ ხედავ?

მანინა: არასოდეს! ვერ ეღირსებით! (აიეტს) მოკლედ, ყოველმხრივ უნაკლო კაცი გამომიძებნეს საქმროდ. პირველად შემეშინდა, დავიბენი... მარტო ვიყავი, ტურის ლეშივით უპატრონო. გულიღა იყო ჩემი იარაღი, მეგონა, გამისკდებოდა და მისი ნაფლეთები ჩემ გარშემო ყველას დახოცავდა. „არა, არა-მეთქი“ — ვუყვიროდი ჩემს თავს, თითქოს ის იყო ჩემი მშველელიცა და დამღუპველიც. ჩემს ქმარს კი ვუთხარი: სხვა მიყვარს, სხვას ვეკუთვნი მკვდარიცა და ცოცხალიც, ან შენ რად გინდივარ ნასხვისარი-მეთქი. ვფიქრობდი: ახლა მომვარდება და კატასავით მიმახრჩობს, ან ხანჯლით თავს გამიპობს, ანდა შეტრიალდება და სამუდამოდ გამეცლება-მეთქი. იცი, რა მიპასუხა? (ბაკური იცინის) აი, ასე გაიცინა და მითხრა: არა უშავს, მე ყველაფერზე თანახმა ვარო. ეგ ამბავი ჩვენში დარჩებაო. სიყმაწვილის ცოდვები ყველას მოგვეტევებაო...

ბაკური: მართალია, ეგრე გითხარი. ცუდად მოვიქეცი?

მანინა: ხალხის თვალში ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ და მთავარი ესაა, დანარჩენი სალაპარაკოდაც არ ღირსო, აგერ ნახავ, ჭკუაში რომ ჩავარდები, თვითონვე გაგეცინება დღევანდელ დღეზეო.

ბაკური: მართალია. ეგრე ვთქვი. ეგ ჩვენი საქმეა და მარტო ჩვენ გვეხება. გაგონილა, ხალხო? მადლობის მაგიერია?

მანინა: (ყვირის) მეზიზღები, ჩემო ქმარო, მეზიზღები!

დედოფალი: სულელი ხარ, სულელი! სულელი და გატლეკილი. ყველაფერი კი არ უნდა თქვა. რამდენჯერ გითხარი, ცხოვრება ბუტია ბავშვივითაა-მეთქი, რასაც გაძლევს უნდა გამოართვა, თორემ აღარ შეგირიგდება, მეორეჯერ აღარ მოგცემს არაფერს.

მანინა: (აიეტს) გესმის?

აიეტი: (პაუზის შემდეგ) შენ არაფერში არა ხარ დამნაშავე, ამიტომ არც უნდა გეშინოდეს. პირიქით, ახლა შენი უფრო ეშინიათ, რადგან ყველაფერი შენი თვალითა გაქვს ნანახი და შენი ყურითა გაქვს მოსმენილი. შენი ხმამაღალი სიტყვის სიკვდილივით ეშინიათ. მაგრამ ეს სიტყვა არც დროზე ადრე უნდა თქვა, არც დროზე გვიან. ნაადრევსა და ნაჩქარევს მასხრად იგდებენ ხოლმე, დაგვიანებული კი არავის აღარ სჭირდება. მეც ასე მომივიდა. შენ კი უფრო ჭკვიანი უნდა იყო. შენ გუბაზის შვილიშვილი ხარ. გეყოფა, დაწყნარდი. ფერი აღარ გადევს. მე უნდა წავიდე. (მიდის).

მანინა: აიეტ!

აიეტი: (კარებიდან) არა-მეთქი! ამოიგდე ეგ ფიქრი თავიდან!

ფათე: დასაბმელი ხარ, აიეტ, დასაბმელი! „გუბაზის შვილიშვილი", „გუბაზის შვილიშვილი"... ჩემი შვილობა ცოტას ნიშნავს?! (მსახურს) ბიჭო, სარკე!

მანინა მარტო დგას, უაზროდ მისჩერებია სივრცეს, ეტყობა ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულა. მასთან მიდის ფარტაზი.

ფარტაზი: რაზე ფიქრობთ, პატარა დედოფალო?

მანინა დიდხანს, დაჟინებით უყურებს ფარტაზს, თითქოს ვერ ცნობსო. მერე თითქმის ძალით აჩეჩებს ყვავილს, აქამდე რომ ხელში ეჭირა, და წყნარად, ჩვეულებრივი ხმით იწყებს ლაპარაკს.

მანინა: ფარტაზ, ნუთუ მართლა გჯერა, რასაც ამბობდი? ნუთუ ესაა ერთადერთი გამოსავალი? თქვი, ფარტაზ, თქვი, ოღონდ სიმართლე თქვი, ერთხელ მაინც იყავი გულწრფელი. ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. (პაუზის შემდეგ, აღელვებული) რაც გინდა მთხოვე სამაგიეროდ... რაც გამაჩნია. ყველაფერს შეგისრულებ, ყველაფერს დავთმობ... ოღონდ სიმართლისთვის...

ფარტაზი: დედოფალო, თქვენ ჩემს ხელში გაიზარდეთ. შვილივით გიყურებთ...

მანინა: „დედოფალო", „დედოფალო"! დედოფალი დედაჩემია. არარსებული ქვეყნის დედოფალი... შენ ის მითხარი, რასაც გეკითხები. ოღონდ სიმართლე თქვი. სიმართლე მინდა, ფარტაზ. ნუთუ მარტო მე ვარ ასეთი? თუ მარტო მე ვარ, გავჩუმდები, ყველას და ყველაფერს შევეგუები და ვიცხოვრებ თქვენთან ერთად, მშვიდად და უზრუნველად, რახან ჩვენისთანებისთვისაც მიუცია ღმერთს სიცოცხლის ნება და უნარი.

ფარტაზი: დედოფალო, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, უბრალოდ ჯერ ასაკიც არ გიწყობთ ხელს ამდენი რამის გასაგებად. მე რომ სიმართლე გითხრათ, მაინც გამოცანად დარჩება თქვენთვის ყველაფერი. სხვისგან გაგებულ სიმართლეს ფასი არა აქვს. ყველა ადამიანს თავისი სიმართლე გააჩნია და ამ სიმართლეს თვითონ უნდა მიაგნოს, საკუთარი ცოდნით. ცოდნას კი თანდათან იძენს ადამიანი,

წვეთ-წვეთად, და ერთი წვეთი ცოდნის მისაღებად ბევრი რამე უნდა გადახარშო შენში: ცრემლიცა და ღიმილიც, გაწბილებაცა და წარმატებაც, სინანულიცა და სიხარულიც, სიძულვილიცა და სიყვარულიც, დაბადებაცა და სიკვდილიც, მორჩილებაცა და სიჯიუტეც... ყველაფერი, რაც კი ღმერთს მოუგონია და ადამიანს შეუთვისებია. სამაგიეროდ ცოდნის ის ერთი წვეთი წარსულის ჯურღმულებსაც გაგინათებს და მომავლის გამოცნობაშიც მოგეხმარება.

მანინა: აი, მეც ეგ მინდა სწორედ. მითხარი, ფარტაზ, რა გამოიცნო შენი ცოდნის ძვირფასმა წვეთმა? დარწმუნებული ვარ, ამ ხნის განმავლობაში ბევრ ნაგავს გადახარშავდა შენი გონება. რა გირჩია? თავისუფლებას მონობა ამჯობინეო? რომის ტაბლიდან გადმოვარდნილი შენივე ძვალი ღვთის წყალობად ჩათვალეო? შენს ენაზე ტირილს სხვის ენაზე სიმღერა გერჩიოსო?

ფარტაზი: ხო, ეგ მასწავლა.

მანინა: მეზიზღები, ფარტაზ, შენც მეზიზღები.

ფარტაზი: დედოფალო, ერთი ადამიანის სიცოცხლე მართლა არაფერს ნიშნავს, არაფერი არ შეიცვლება, იცოცხლებთ თქვენ თუ არა, მაგრამ როცა საქმე მთელ ხალხს, მთელ ქვეყანას ეხება...

მანინა: (ყვირის) მაშინ მონობა სჯობს სიკვდილს! გაჩუმება, თავის მოკატუნება, გარემოსთან შეგუება, არა?!

ფარტაზი: დიახ, დედოფალო. თქვენი ახალგაზრდა გონება კვიციევით ლაღია და დაუოკებელი. ახლა იგი ჭეშმარიტების შარაზე მიკუნტრუშობს.

მანინა: შენი ბებერი გონება კი, უთვალავი წლების ქსელში ობობასავითაა გახვეული.

ფარტაზი: ვინ იცის, იქნებ ამ ქსელში ერთი მსუქანი ბუზი კიდევ გაებას?!

მანინა: როდისღა, ფარტაზ? განა რამდენ ხანს აპირებ ცხოვრებას? ცას ხომ არ უნდა გამოეკერო?

ფარტაზი: ჩემი ნება რომ იყოს, არც მაგაზე ვიტყოდი უარს. სიცოცხლე დიდი მადლია. მას არ უყვარს, როცა არ აფასებენ. ის ვერც დიდ ხმაურს იტანს და ვერც სულსწრაფებს. ყველაზე მეტად მოთმინებას აფასებს.

მანინა: საოცარია, შენ რაღას ელი სიცოცხლისგან: პური ვერ დაგიღეჭია, წელკავისგან სახე ისე გაქვს დაჭმუჭნული, თითქოს ღამით ბალიშის ქვეშ ინახავდე. შენი კვნესა და კრუსუნი მთელ სასახლეს ესმის. გეგონება, დაშლილა და ხელახლა აკოწიწებენო.

ფარტაზი: რაც უნდა მწარე მოსასმენი იყოს, სიმართლეს ბრძანებთ, მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა ასე. ყმაწვილი და გამოუცდელი ყოველთვის ადვილად მოტყუვდება. მართალია, კბილები აღარ მაქვს, მაგრამ ნერწყვით დამბალი პურიც გემრიელია და რაც უფრო დიდხანს გააჩერებ პირში, მით უფრო სასარგებლო და ადვილად მოსანელებელიცაა, თუკი ღვინოსაც ნელა, სვენებ-სვენებით მიაყოლებ და არა ერთბაშად, როგორც ახალგაზრდებმა იციან. წელკავზედაც მართალი ბრძანეთ, თუმცა სიბერეს სხვა, უფრო აბეზარი თანამგზავრებიც ახლავს, შარდის შეხუთვას რომ თავი გავანებოთ. მაგრამ ტკივილიც ისეთივე აუცილებლობაა, როგორც შვება და ნეტარება. სანამ ტკივილს გრძნობ, ცოცხლობ კიდევაც. ხოლო რახან ცოცხლობ, ღმერთის საყვედური წვრილმან, ყოველდღიურ უსიამოვნებათა გამო, დიდი ცოდვაა. კვნესითაც მართლა ვკვნესი, ჩემი კვნესა სხვებს რომ აწუხებს, ისიც კარგად ვიცი, ვწუხვარ და სულგრძელად მიტევებას ვთხოულობ, მაგრამ არც უამისობა შეიძლება. ესეც სიკვდილ-სიცოცხლის ერთგვარი თამაშია. მართალია, ცოტას ვაჭარბებ, ვაზვიადებ, მაგრამ ასეთი ეშმაკობა დასაშვებია. სიკვდილსაც ესმის ჩემი კვნესა და აღარ ჩქარობს ჩემს წაყვანას, ამისთვის სიკვდილი შვება იქნება, მე კი გულჩვილობაში ჩამეთვლებაო. კიდევ ერთხელ

გთხოვ, მომიტევო, თუკი ჩემს კვნესას თქვენთვის ძილი დაუფრთხია. რა თქმა უნდა, ვერაფერი ზრდილობაა.

მანინა: ტყუილად მებოდიშები, ფარტაზ. მე თუ მძინავს, ღვთის რისხვაც ვერ გამაღვიძებს, თუ არა და, მსიამოვნებს კიდეც, მგონია, მართლა იტანჯები... შენც იტანჯები. ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველაფერი ასე მარტივია, ასე ადვილი? არ შემიძლია, ფარტაზ, აღარ შემიძლია, შემიბრალე.

ფარტაზი: აკი გითხარი, სიცოცხლეს არ უყვარს, როცა არ აფასებენ-მეთქი.

მანინა: არც მე მიყვარს სიცოცხლე, თუ სიცოცხლე მხოლოდ ესაა. განა სულ ასე არ იქნება? უსასრულოდ... სიკვდილამდე...

ფარტაზი: ხო, ასე იქნება. და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება, მით უკეთესი. სიცოცხლე პურია და ამ პურით გამძღარი კაცი ბრძენიცაა და ღონიერიც. ამ კაცს სიბერე ჰქვია, სიბერე კი განვლილი ცხოვრების მონელებაა, მშვიდად და უზრუნველად. მერე აღარაფერია, წყვდიადის გარდა. ახალგაზრდობა შიმშილია. შიმშილი კი ყველა ცხოველს აგიჟებს, წონასწორობას უკარგავს, სიფრთხილის გრძნობას უჩლუნგებს და ისიც მზადაა, ერთი ლუკმა პურისთვის შიშველი ხელებით მთელ ქვეყანას შეებრძოლოს. ქვეყანას კი რკინის ეკალი ასხია. ამ ეკალზე ბევრს შეუხვევია ხელიცა და გულიც. პური არსობისა ძნელი მოსაპოვებელია. უფრო ძნელია ამ პურზე უფლების მოპოვება. ამიტომ ყველა ვერ დაბერდება. დაბერებული კაცი ღმერთივით წმინდაა, მის მიერ ოდესღაც ჩადენილი ყველაზე შემზარავი დანაშაულიც კი, ცხოვრების ყოველდღიური ცეცხლითაა განწმენდილი, გასპეტაკებული და დანაშაულად აღარ ითვლება. მას გამოცდილება ჰქვია და ყველას საკუთრებაა, ვისაც მოხმარება შეუძლია. დაბერებული კაცი მოკვდავი ღმერთია! მისი ყოველი სიტყვა ოქროსავით ძვირფასია, ცრემლივით მარილიანია,

სისხლივით მძიმეა. თუ ადამიანმა თავისი ენებები ვერ მოინელა, დაიღუპება.

მანინა: ვიცი, ფარტაზ, ვიცი. მე არ დავბერდები და არც შენსავით ავყროლდები მონელებული ენებების სუნით. შენ ხომ ჰყარხარ, ფარტაზ, როგორც...

ფარტაზი: როგორც ხელმეორედ გათხრილი საფლავი, გახრწნილი გვამის სუნს რომ ამოუშვებს ხოლმე. მართალი ხარ, ჩემს ნაოჭებში ათასწლეულის მტვერია ჩამკვდარი, ჩრჩილსა და თაგვებს ჩემი მოსასხამი სულ მთლად დაუძენძიათ, ჩემს ტერფებს ბევრი ფუნა და ტალახი აუკრავთ თავიანთ გზაზე, ჩემი ყური და თვალი მარადიული სიმართლითაა დახშული... მეც ბევრჯერ გარდავცვლილვარ, მაგრამ არ მოვმკვდარვარ, რადგან ჩემი სიკვდილი არ შეიძლება. მე საჭირო ვარ და ვიქნები, სანამ იარსებებს სუსტი და ძლიერი, ბოროტი და კეთილი, სიმართლე და ტყუილი, მსხვერპლი და ჯალათი. ასე რომ, ყოველთვის ვიქნები. ჩემი სუნი სიძველის სუნია, იგი ყველა სუნზე ადამიანურია, ხოლო ყველაფერი კარგი და ნამდვილი, რასაც რაიმე ღირებულება გააჩნია, ამ სუნის გარეშე წარმოუდგენელია. შენ კი განწირული ხარ, თუკი ეს სუნი ყნოსვას გიღიზიანებს. ადამიანი საკუთარ სუნს ვერ უნდა გრძნობდეს.

მანინა: ის მაინც მითხარი, ფარტაზ, რამდენ ხანს სწავლობდი? რამდენი უნდა ისწავლოს კაცმა, შენსავით ბრძენი რომ გახდეს?

ფარტაზი: სწავლა სიბერემდეო, დედოფალო, სიკვდილამდეო.

მანინა: საბრალო მანინა, ბებერი მანინა, მკვდარი მანინა... გაჩუმდი, ღვთის გულისათვის! აღარ შემიძლია.

ზათე: კაცმა რომ თქვას, დასვენება არც ჩვენ გვაწყენს. (იზმორება, ამთქნარებს). უცებ ძილი მომერია. ამის ბრალია, ამის! (ფეხს უქნევს სარკეს.) რას გადამეკიდე, ბიჭო!

ფარტაზი: მართალს ბრძანებთ, დედოფალო. თქვენთვის ეს ნამდვილად მძიმე საუბარია.

თქვენს სმენას ახლა მხოლოდ მუსიკა და პოეზია უნდა ართობდეს. შეხედეთ, როგორ გვითვალთვალებს ჩვენი პოეტი. ერთი სული აქვს, როდის მიაქცევთ ყურადღებას. (ორივენი პოეტს უყურებენ. პოეტი მოწიწებით ესალმებათ. ფარტაზი მანინას „ნაჩუქარ" ყვავილს სრესს და საკუთარ ხელისგულებს ყნოსავს.) პოეზია საუკეთესო საშუალებაა დროის მოსაკლავად. ნუ იქნებით მკაცრი. უყურადღებოდ დარჩენილი პოეტებიც ყვავილებივით უცებ ჭკნებიან.

ფარტაზი მიდის. მანინა პოეტს უყურებს. პოეტი ერთხელ კიდევ ესალმება. მანინას სახეს თანდათან ღიმილი ეფინება. გათამამებული პოეტი კაბის კალთაზე ჰკოცნის.

ПОЕТИ: ღვთაებრივო...

МАНИНА: (სიცილით) ნუ მოიწყენთ, პოეტო, არ გიხდებათ. მეფის რისხვაცა და თქვენი მწუხარებაც წარმავალია. თქვენ ცოტა გადააჭარბეთ, რადგან ძალიან მოინდომეთ. ასეც ხდება ხოლმე. ხვალ კი ათმაგად გულუხვი იქნება მეფე, რათა ერთბაშად დაგავიწყოთ დღევანდელი უსიამოვნება. ვითომც არ ყოფილა. თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, ცხოვრება ზღვაა, ხან მიიქცევა, ხან მოიქცევა.

ПОЕТИ: დიახ. მე კი ამ ზღვაში თევზივით ვცხოვრობ. ყველასაგან დავიწყებული... ჩუმად, მარტო...

МАНИНА: (პაუზის შემდეგ, თავისთვის) გაება საცოდავი თევზი ბალახში. ფართხალებს, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია, ან რას გააწყობს, პატარა, ვერცხლისფერი ფრთები აქვს, თითქოს ცულით დაუმოკლესო. ახლა მოვა უფრო დიდი, უფრო მშიერი თევზი და საბრალო მანინას გადასანსლავს.

ПОЕТИ: (ღიმილით) მანინას კი არა — თევზს, ღვთაებრივო.

МАНИНА: ეგ სულერთია. მაგას არა აქვს მნიშვნელობა. (პაუზის შემდეგ, მკაცრად) რატომ ჩემზე არ წერთ ხოლმე? არ მოგწონვართ?

პოეტი: თქვენ სხვა ხართ. გულწრფელად რომ გითხრათ, მეც ძალიან მაწუხებს ეს ამბავი. თქვენ თვითონა ხართ პოეზია. მე როცა თქვენზე ვფიქრობ, მორჩა, აღარაფერი აღარ არსებობს, ყველაფერი თავზე მენგრევა. სამყარო პირველყოფილ სახეს იბრუნებს და მეც იძულებული ვარ ყველაფერი თავიდან დავიწყო: სიარულიც, ლაპარაკიც... სრულიად ახალ ენაზე, არარსებულ ენაზე. ამიტომ, მშველელს რომ ვეძახი, ყველანი მხრებს იჩეჩავენ, ვერ გაუგიათ, ვერ მიმხვდარან, რას ვეუბნები. მე ახლა თქვენ წინაშე ჩემს სისუსტეს ვამხელ, მაგრამ იმედი მაქვს, ეს საიდუმლო ჩვენ შორის დარჩება. პოეტსა და ლამაზ ქალიშვილს ყოველთვის შეუძლიათ ჰქონდეთ თავიანთი პატარა საიდუმლო. ხოლო პოეზია და სილამაზე, ამ შემთხვევაში თქვენი სილამაზე და ჩემი პოეზია, საუკეთესო მეგობრები არიან. თვითონ მიკვირს ხოლმე, იგივე სახეები, მეტაფორები თუ შედარებები, რომლებიც სხვა, ნებისმიერ შემთხვევაში თვალისმომჭრელ ბრწყინვალებას იძენენ, თქვენ წინაშე უფერულდებიან და უშნოვდებიან. პოეტურად რომ ვთქვა, თქვენი შთამაგონებელი სახე კალიასავით გადახტის ბალახის ერთი ღეროდან მეორეზე. როგორც კალია უსხლტება ხოლმე პატარა ბავშვის ჯერ კიდევ გამოუცდელ, გაუბედავ, მაგრამ ჟინიანსა და ჯიუტ თითებს, ისევე უსხლტებით თქვენც ჩემს ხელოვნებას. მე გაწბილებული პატარა ბავშვი ვარ, მანინა, კალიას ტრიალ მინდორში რომ გაუტყუებია და მიუტოვებია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ასე იქნება: ან კალია დაიღლება, ანდა ამასობაში ბავშვი წამოიზრდება და მოღონიერდება. აი, მეც ვიცდი. მართალია, მოლოდინი ტანჯვაა, მაგრამ შემოქმედებას ტანჯვა ისევე სჭირდება, როგორც... რას შეიძლება შევადაროთ? როგორც კალიას — ფრთები.

მანინა: კალიას ფრთები ისედაცა აქვს. ვისაც არა აქვს, იმას უფრო სჭირდება.

პოეტი: ასეც შეიძლება.

მანინა: მე კი მართლა ვგავარ კალიას. ერთი წამითა ვარ ბალახის ღერზე დასკუპული. ერთი წამით. ბალახი კი მიწისკენ იხრება, წუწუნებს, ტირის, არ უნდა რომ გამიჩეროს, არ ვუნდივარ, არ მოვწონვარ. უჩემოდ უკეთესად გრძნობდა თავს, წელში იყო გამართული, ყველაფერს ხედავდა. ახლა კი, ჩემი სიმძიმის გამო, იძულებულია დაიხაროს, მიწას დაჰკრას შუბლი, წელში გაწყდეს. ამიტომაც ტირის და წუწუნებს. (შეცვლილი ხმით, პაუზის შემდეგ) რატომ არ უნდა მომითმინოს ერთი წამით? ნუთუ ასეთი ძნელი ასტანი ვარ? მითხარი, პოეტო, ხომ უნდა მოითმინოს ბალახმა ერთი წამით პატარა, გამხდარი, დიდთვალება, მწვანე კალია?

პოეტი: ეს რთული საკითხია. რა ვიცით, იქნებ ითმენს, იქნებ სიამოვნებს კიდეც, მაინცდამაინც ის რომ აირჩია კალიამ და არა სხვა, მისი მსგავსი? ბალახი ხომ უთვალავია? იქნებ თვითონ კალიაა ასეთი სულსწრაფი, მოუსვენარი, და არ შეუძლია ერთ ადგილას დიდხანს გაჩერდეს? ასეთი ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თქვენ კი სრულებით არ გავხართ კალიას. მე კალია სხვათა შორის ვახსენე, დაუფიქრებლად. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, უკეთესი შედარების მონახვა.

მანინა: არა, ეს შედარება უფრო მომწონს. თქვენ ის მითხარით, კალიას თუ შეუძლია სიყვარული?

პოეტი: მანინა, მე დღეს ბევრი უსიამოვნება შემხვდა. საერთოდ ცუდ ფეხზე ვარ ამდგარი. თუ თქვენც ჩემი გაპამპულება გინდათ...

მანინა: მე მართლა გეკითხებით, სერიოზულად. არსებობს თუ არა სიყვარული? მიპასუხეთ. ოღონდ ნურც თქვენ გამაპამპულებთ.

პოეტი: სიყვარული? ღმერთო ჩემო, განა შეიძლება სიყვარულის სიტყვებში ჩამწყვდევა? არ ვიცი. არ შემიძლია. ვერ გიპასუხებთ.

მანინა: არც თქვენ იცით. (პაუზის შემდეგ) მე კი ვიცი, მაგრამ არ გეტყვით. მე შემიძლია სიყვარული დავინახო კიდეც. საკმარისია, ოთახში მარტო დარჩე, კარი მაგრად ჩაკეტო, ყველა სანთელი ჩააქრო, საბანი თავზე წაიხურო და ყბები ერთმანეთს ისე დააჭირო, საფეთქლები დაგებეროს და გეტკინოს. წევხარ მკვდარივით, გტკივა და ხედავ: მიფრინავს თავისთვის, მიხტუნაობს კენწეროდან კენწეროზე, ღორის ბუშტივით, უშნოდ გაბერილი, სულელი, სასაცილო... ქვევით კი, მიწაზე, ბავშვები მისდევენ, მუხლებს და იდაყვებს იტყავებენ, ქვებს ესვრიან, უყვირიან, ეძახიან... ის კი მიფრინავს, უდარდელი, თავისუფალი. (ყვირის) თუ არ უნდოდათ, რომ გაქცეოდათ, ქვა უნდა შეებათ, ან თოკის ბოლო პალოზე უნდა დაეხვიათ, ანდა წელზე... კისერზე! (პაუზის შემდეგ) ახლა უკვე გვიანაა. თვითონ თუ არ დაბრუნდა, ვერავინ ვეღარ დააბრუნებს. მაგრამ თავისით როგორ დაბრუნდება, თუ რამეს არ წამოედო და არ ჩაიფუშა? (შეშფოთებული) არა, დაბრუნდება. რა თქმა უნდა, დაბრუნდება, რამეს მოიფიქრებს. (მკაცრად) ჯერ კი ზის სიმარტოვის გამოქვაბულში, მუხლის თავებით სიბრაზის ლოდი უჭირავს, ზედ თავის სიძულვილს ანთხევს და იმ ფურთხში შურისძიების მახვილს ლესავს! აი, ეს არის სიყვარული! რა იყო? ფერი რატომ წაგივიდათ? ეს არის-მეთქი სიყვარული! სხვა ყველაფერი სისულელეა.

პოეტი: მანინა.

მანინა: აღარ მინდა თქვენთან ლაპარაკი. თავი გამანებეთ. (მიდის.)

პოეტი: დედოფალო, მე თქვენზე აუცილებლად დავწერ, ყველაზე საუკეთესო ხოტბას.

მანინა: (გასვლამდე) არ გაბედოთ! ნებას არ გაძლევთ! გესმით?!

სახტად დარჩენილი პოეტი იქით იყურება, საითაც მანინა მიეფარა თვალს, ვერ ამჩნევს დედოფალს, რომელიც ღვარძლიანი ღიმილით უახლოვდება. დედოფლის პირველ-

სავე რეპლიკაზე შემკრთალი პოეტი სწრაფად შემობრუნდება და უნებურად პირზე აიფარებს ხელს.

ДЕДОФАЛИ: ოხ, პოეტო, პოეტო! რომელ ერთს უნდა გასწვდეს თქვენი ღვთაებრივი ნიჭი. ასეთი ხელგაშლილობა მალე გაგაღატაკებთ.

ПОЕТИ: (სხაპასხუპით) დედოფალო... დედოფალო... თქვენ მაინც მომისმინეთ, ერთი წუთით მაღირსეთ თქვენი ყურადღება... მეც ხომ ადამიანი ვარ. ბოლო ხოტბა, თქვენდამი მოძღვნილი, ჩემს შესაძლებლობებსაც აღემატება. აი, ნახავთ. მე თქვენი ღვთაებრივი სილამაზის წყალობით საკუთარ თავსაც გადავაჭარბე.

ДЕДОФАЛИ: რა დროს ეგ არის. რამდენჯერ გაგაფრთხილე, დრო და ადგილი იცოდე-მეთქი. მე არ მიყვარს ორპირები. არც ის მიყვარს, როცა არ მიჯერებენ. ახლა შენთვის არ მცალია, თუ საჭირო იქნები, დაგიძახებენ.

ПОЕТИ: დედოფალო, მე დღეს უკვე განვიცადე შერისხული კაცის უმწეობა. მე დღეს უკვე ვიგემე გაწბილების სიმწარეც, მაგრამ თქვენი გულგრილობა, ერთად, ერთდროულად გამომტყვრალ ყველა უბედურებაზე მეტია.

ДЕДОФАЛИ: (მოწყალე ღიმილით) ენა რომ არ გქონდეს, თაგვები სოროში შეგათრევდნენ.

ПОЕТИ: (მაღალფარდოვნად) მე იმ სოროშიც შემყვებოდა თქვენი სინათლე.

ДЕДОФАЛИ: არ მიყვარს მლიქვნელები. შენც კარგად იცი. ასე რომ, თუ რამე სათხოვარი გაქვს, პირდაპირ მითხარი. მე არასოდეს არ ვივიწყებ ძველ ნაცნობებს, როგორი მომაბეზრებელნიც არ უნდა იყვნენ ისინი.

ПОЕТИ: ნუ იქნებით ასეთი მკაცრი, დედოფალო. მე თქვენ ოდესღაც მეგობარს მეძახდით. ჩემი ლექსებიც მოგწონდათ. ყოველ შემთხვევაში, მისმენდით მაინც.

ДЕДОФАЛИ: მე ახლაც გისმენ.

ПОЕТИ: (კითხულობს) თქვენი ფეხები — მარმარილოს თეთრი სვეტები...

ДЕДОФАЛИ: ჩემს ფეხებს შეეშვი, შენს თავზე იფიქრე,

ის გირჩევნია. მეფე ძალიან ნაწყენია. აიეტმაც უარესად გადარია. ზომა არ იცი არაფერში. ლექსს რომ წერ, ცოტა ჭკუაც უნდა მიაშველო. თუმცა, ამჯერად მთლად შენ არა ხარ დამნაშავე. ვინ იფიქრებდა, თუ ხალხი ასე მწარედ განიცდიდა გუბაზის სიკვდილს.

ПОЕТИ: რას ვიფიქრებდი... დედოფალო, იმედი მაქვს, მთლად არ გამწირავთ. მთავარი თქვენა ხართ. როგორც თქვენ იტყვით, მეფეც ისე მოიქცევა.

ДЕДОФАЛИ: (მკაცრად) როგორ მიბედავ!

ПОЕТИ: ღმერთო ჩემო, რა დაწყეველილ ფეხზე ავდექი!

ДЕДОФАЛИ: მეფემ უჩემოდაც კარგად იცის, როგორ მოიქცეს.

ПОЕТИ: იცის, დედოფალო, იცის! მეფემ ყველაფერი იცის. მაგრამ მამაკაცური სიმკაცრე თუ ხანდახან ქალურმა სინაზემ და სათნოებამ არ შეანელა...

ДЕДОФАЛИ: ვერ ვიტან მაგ სიტყვას.

ПОЕТИ: რომელს?

ДЕДОФАЛИ: რომელს და, „სათნოებას". თითქოს საწოლში ბაყაყი შემოგიგდესო. ფუჰ.

ПОЕТИ: დედოფალო, მე პოეტი ვარ.

ДЕДОФАЛИ: გოგოები მოატყუე, ჩემო მეგობარო. ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს. ხოლო, რაც შეეხება მანინას, ზომა იცოდე, მთლად ნუ გადარევთ იმ ბავშვს „დედოფალო-დედოფალოს" ძახილით.

ПОЕТИ: მანინა კალიაა, მწვანე, დიდთვალება კალია.

ДЕДОФАЛИ: ხომ ხედავთ, თავში აუვარდა. მე მიდგას ჯიბრში. დედის შეშურდა. ყველა ხომ მეფის ცოლი არ იქნება?! სად არის ამდენი მეფე!

ПОЕТИ: თვითონა თქვა, კალია ვარო. მე მხოლოდ მის სიტყვებს ვიმეორებ.

ДЕДОФАЛИ: განგებ, ჩემს ჯიბრზე, ჩემს დასამცირებლად დაწანწალებს ქუჩებში. მაგან უნდა გაიკითხოს, თუ სადმე გლახა და ობოლია; ყველა საპყარს და კეთროვანს მაგან უნდა მობანოს ჩირქი და ბალღამი; მაგან უნდა

მონათლოს ყველა ნაბიჭვარი... ვითომ, შენ კი არა, მე ვარ ნამდვილი დედოფალი, ჩემიაო ეს ქვეყანა. იცის, რომ ვერ შევეჩვიე აქაურობას... მეჯავრება, მეშინია, ვერ ვენდობი... რაც აქ ჩამოვედი, ფეხი არ გამიდგამს სასახლიდან.

ПОЕТИ: დედოფალო, თქვენი ჩამოსვლის დღეს მე რომ ხოტბა წავიკითხე, რომაულმა ლეგიონმა ფარებზე მახვილები ააბრახუნა.

ДЕДОФАЛИ: ოქროც ბევრი ჩაიჯიბე. რას იმადლები?!

ПОЕТИ: მე ჩემი ტალანტით ვცხოვრობ, ტალანტი კი რომაულად ფულსაც ნიშნავს.

ДЕДОФАЛИ: ჭკუით, პოეტო! რომაელებზე ფრთხილად ილაპარაკე. თანაც, სიკეთის დავიწყება სახიფათო სენია.

ПОЕТИ: რა დამავიწყებს, დედოფალო, თქვენს სიკეთეს. მარტო იმ ერთ ხოტბაში იმდენი ოქრო ავიღე, აღარ ვიცოდი, სად შემენახა. ფული ფულად და ჩემი სახელი დიდსა და პატარას პირზე ეკერა. თუმცა, სახელისგან უსიამოვნების მეტი არაფერი შემხვედრია.

ДЕДОФАЛИ: (იცინის) საოცარია.

ПОЕТИ: რა თქმა უნდა, საოცარია, ბუნებრივი რომ არ იყოს. თურმე ყველას თავისი გოლგოთა ელოდება.

ДЕДОФАЛИ: (იცინის) უსვინდისო! ეს უკვე უსვინდისობაა. მე სხვა პოეტებს ვგულისხმობდი... შენგან წმინდანი არ გამოვა. ოი, რა სულელი ხარ, ჩემო პოეტო.

ПОЕТИ: სხვა რა დამრჩენია, დედოფალო, თქვენგან შერისხულსა და გაძევებულს. გავიდებ მხარზე ჯვარს და შევუდგები აღმართს, თუმცა ბავშვობიდანვე მიჭირდა სიმძიმეების აწევა.

ДЕДОФАЛИ: შენ, მგონი, მართლა გინდა რომ გაბრაზდე.

ПОЕТИ: არ გაბრაზდე, ღვთაებრივო! არ შეიძლება! თქვენისთანა სათნო ადამიანს...

ДЕДОФАЛИ: რამდენჯერ გითხარი, ნუ ამბობ მაგ სიტყვას-მეთქი. აქამდე სახედარი დაიმახსოვრებდა. არასოდეს არ ყოფილა სათ-

ნოება ჩემი ნიღაბი. უბრალოდ, იძულებული ვარ დაგიყვავო, როცა მინდა რომ ჩაგქოლო; გაგიღიმო, როცა მინდა რომ პირში ჩაგაფურთხო; დაგასაჩუქრო, როცა მინდა რომ საკუთარი ტყავიც გაგაძრო. იმის ნაცვლად, მეც რომ რომში მეცხოვრა, ქვეყანა მენახა, კეთილშობილი მამაკაცის ენება განმეცადა, გომბეშოსავით ეზიავარ ამ აყროლებულ ჭაობებში, ყელამდე სავსე ბალღამითა და სიძულვილით. დიახ, მძულს ყველა და ყველაფერი... (ოდნავი **პაუზის შემდეგ, თითქოს უყვავებსო)** შენც მძულხარ, ჩემო პოეტო.

პოეტი: ჩემისთანა მდაბალი არსებისთვის ეგეც დიდი წყალობაა. გძულვართ, ესე იგი ვარსებობ.

დედოფალი: ერთი ბერძენი ამბობს: პოეტი მსუბუქი, ფრთოსანი არსებაა. საოცარია, პირდაპირ შენზეა ნათქვამი. წადი, იფრინე მსუბუქო არსებავ, შენი დასჯა მართლაც სისულელეა. ნეტავი ყველა პოეტი შენისთანა იყოს. თუმცა შენისთანა უფრო მეტია და მათ არსებობას თავისებური გამართლებაც გააჩნია. ისინიც ადამიანები არიან, ხოლო ყველა ადამიანს არ შეუძლია, სინდისის ქენჯნით გაიჩუმოს აყმუვლებული მუცელი. წადი, იფრინე მსუბუქო არსებავ, შენ სავსე სტომაქითა და ცარიელი სულით ჩახვალ სამარეში და ამით სამყაროს არაფერი არ მოაკლდება. იძინე მშვიდად. შენი სინდისი თავისუფალია, ვინაიდან არასოდეს არ შეუწუხებიხარ მას.

პოეტი: დედოფალო, ეს უკვე მეტისმეტია.

დედოფალი: მართალი ხარ, ძვირფასო პოეტო, მეტისმეტია, ბუნებრივი რომ არ იყოს. (მიდის.)

წათე: დედოფალო, რა ხანია გელოდები.

დედოფალი ტახტთან ჩერდება.

დედოფალი: (მკაცრად, წათეს) ჩემი სახელი თუ გახსოვს?

ნათე: რა იყო? რატომ მეკითხები?

დედოფალი: ჩემი სახელია ოქტავია, გვარი კი — ნერვა. ოქტავია ნერვა! ჩვენს გვარში მხოლოდ სახელოვანი მხედართმთავრები იზრდებოდნენ. ხოლო მამაჩემი თითქმის კონსულიც გახდა. როცა იგი ლაშქრობიდან რომში ბრუნდებოდა, გზაში ამბოხებულმა მონებმა მოკლეს.

შეტრიალდება და მედიდური ნაბიჯით გადის. ბაკური იცინის. სახტად დარჩენილი ნათე გაოცებული უყურებს მიმავალ დედოფალს. ცალი წაღი ხელში უჭირავს. ბაკური იცინის. ფარდა სწრაფად ეშვება.

2

ისევ ნათეს სასახლე. ნათე ტახტზე ზის, ცდილობს წაღის ჩაცმას. იქვე დგას სარკიანი მსახური.

ნათე: კაცს სიბერეში ფეხი გაზრდოდეს, პირველად ვნახე... ვეღარ ჩამიცვამს... უ-უფ! აკი მითხრა შენმა დედოფალმა, მაგის ჩაცმა უფრო ძნელია, ვიდრე გახდაო. ქალის ჭკუა მაინც სხვაა. ჩადი, შე ოხერო.

მსახური: ქონი წაუსვით, მბრძანებელო.

ნათე: აკი წავუსვი. უუუხ, შენი...

მსახური: ფეხზეც წაისვით, მბრძანებელო.

ნათე: ფეხზე? ქონი?

მსახური: უფრო ადვილად წავა, მბრძანებელო.

ნათე: შენ უნდა თქვა, კაცი ვარო. ხარ შენთვის არხეინად, არც ჭირი გადარდებს და არც ლხინი. იცი, რას ამბობს ფარტაზი? ფარტაზი ამბობს, მეფობას მსახურობა ჯობიაო. თუ იცი, რატომო? რატომო და... მსახური მთელი სიცოცხლე მეფის ნათელ შუბლს უყურებს, მეფე კი — მსახურის გამოყეყეჩებულ სახესო. გასაგებია?

მსახური: დიახ, მბრძანებელო.

ნათე: ფეხზე ქონი რომ წავისვა, წაღები შიგნიდანაც გაიქონება და გაფუჭდება. მერე? შენ გამომიცვლი? კიდევ რას ამბობს თუ

იცი ფარტაზი? ფარტაზი ამბობს, ბედნიერი რომ იყო, ცოტა ბრიყვიც უნდა იყოო. ხომ ხარ შენ ბედნიერი?

მსახური: დიახ. მბრძანებელო.

ფათე: ასე რომ იყოს, რა უჭირს ვითომ? ბოლომდე არ ჩადის... ძალიან ეტყობა?

მსახური: თუ სიარულში არ შეგიშლით, არაფერიც არ ეტყობა. თითქმის გაცვიათ, მბრძანებელო.

ფათე: „თითქმის", რას ქვია, ადამიანო! თუ გაცვია, უნდა გეცვას, როგორც წესი და რიგია. **(დგება. ტახტის გარშემო დადის ოდნავი კოჭლობით.)** სრულებითაც არ მიშლის... მიშლის კი არა... **(ისევ ტახტზე ჯდება.)** ისე, ადამიანს ერთი ფეხი რომ ჰქონოდა, ნამდვილად აჯობებდა. მორჩენილი ვიქნებოდით ამ დავიდარაბას. **(ცდილობს მეორე წაღის ჩაცმას.)** დიდი, დიიიდი კაცია ფარტაზი. მართლაც რომ აფსუსია მიწისთვის მისი სიბრძნე და დარბაისლობა. სადღაა მაგისთანა ხალხი. მაგრამ... მაგრამ რას იზამ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მაგის ხნისა ქვაც არ დაგორავს ჩემს სამეფოში. მამაჩემის სიკვდილმა ხომ სულ მთლად დააგლახაკა საწყალი. განიცადა და იმიტომ. პატარა ამბავია! შენს ხელში გაზრდილი, ადამიანი კი არა, საქონელი დაგენანება კაცს. **(ფიქრობს. უაზროდ იყურება წინ. ცალი წაღი მუხლებზე უდევს, ნაზად ეფერება, როგორც ცოცხალ არსებას.)** ხო, ხო, ხო, ხო! აკვირდები, რა გამოდის? მამაჩემის ბავშვობაში ეგ უკვე ხანში შესული კაცი ყოფილა, აბა ისე ვინ ანდობდა მეფის შვილს გასაზრდელად? მამაჩემს ბებერი არ ეთქმოდა, მაგრამ არც ბევრი აკლდა სიბერემდე. რომ არ მოეკლათ, შეიძლებოდა თავისითაც მომკვდარიყო. რაა ადამიანი?! ჩიტივითაა. დღეს უყურებ, ხვალ აღარ არის. ფარტაზი კი, რაც თავი მახსოვს, სულ ასეა, არც არაფერი ემატება, არც არაფერი აკლდება. დათოვლილ მთასავითაა, შიგნიდან ცარიელი კლდეა, კაჟი. აგერ ნახავ, მაგის დასამარხი თუ არ

გავხდით ყველანი. ხომ მართალია?

მსახური: დიახ, მბრძანებელო.

წათე: (გამოჯავრებით) „მბრძანებელო“, „მბრძანებელო“ — სხვა ვერაფერი ისწავლე ამ სასახლეში.

შემორბის მანინა.

მანინა: მამა! მამა! დაბრუნდა... ჩამოვიდა... მამიკო! ჩემი თვალით დავინახე, როგორ გადმობრძანდა ნაპირზე. პირველმა მე დავინახე. ისე მოდიოდა, თითქოს მთელი ქვეყანა მის დასახვედრად იყო გამოსული. სულელი! ყოყლოჩინა! აკი ვიცოდი... აკი გული მიგრძნობდა... აკი ვამბობდი: დაბრუნდება-მეთქი, დაბრუნდება-მეთქი, დაბრუნდება-მეთქი! ღმერთო ჩემო, რა ვუთხრა? როგორ ვუთხრა? შენ უნდა მიშველო, მამიკო, ყველაზე ღონიერო, ყველაზე ჭკვიანო, ყველაზე კეთილო, ყველაზე ლამაზო... (ეხვევა, გაშმაგებით კოცნის წათეს.) კეისართა კეისარო... შენ უნდა მომეხმარო, შენ უნდა მიშველო, მამაჩემო... არ უნდოდა-თქო, გელოდებოდა-თქო, ჩვენ ძალით გავათხოვეთ-თქო... (ყვირის) არა, მე გათხოვილი არა ვარ! მაგას ნუ ეტყვი!

წათე: მოიცა, გოგო, რამ გადაგრია? ხომ ხედავ, ვმუშაობ!

მანინა: (შემცბარი) მამა!

წათე: ეს უარესად დაპატარავებულა. რა უბედურებაა, მართლა ხომ არ შემიცვალა ვინმემ? (მანინას) წყნარად მითხარი, დალაგებულად... რამდენად გავიჭრა? მეც ხომ ადამიანი ვარ.

მანინა: მარუთა დაბრუნდა, მამა! ჩემი... აი, პატარა ბიჭი რომ იყო... ხანჯალი რომ აჩუქე, ვერცხლის ტარიანი... აღარ გახსოვს? ხომ გახსოვს, რატომ აჩუქე ხანჯალი? მე რომ გადამარჩინა, მამა. ცოფიან ძაღლს რომ გადაუდგა წინ, ჩემი გულისთვის. თვითონ უარესად შეეშინდა. მერე შეეშინდა, ძაღლი

რომ ჩაქოლეს. მთელი კვირა ბოდავდა — მიშველეთ, ცოფიანი ძაღლი მომდევსო.

ᲬᲐᲗᲔ: ცოფიანი ძაღლიო?! მერე შენს ქმარს ვერ უთხარი? ძაღლს კი არა, ლომს დაახრჩობს. (მსახურს) გააჩერე ეგ სარკე, ადამიანო! რამ გადაგრიათ ყველანი!

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: (დაბნეული, გაწბილებული, ათრთოლებული ხმით) ჯოხით გააქცია... ჩემი გულისთვის... ჩვენ ხომ ერთად ვიზრდებოდით, მამა... სულ ერთად ვიყავით...

ᲬᲐᲗᲔ: მთელი საათია ამ წაღებს ვიცვამ. გაგონილა ასეთი რამე? ბაკური სადღა დაიკარგა? ან დედაშენი სად ბრძანდება?

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: მამა?!

ᲬᲐᲗᲔ: ჰა? მე მითხარი რამე? ცივ წყალში უნდა ჩამეყარა ფეხები, სიცხისაგან დამისივდა ალბათ. (შემოდის ფარტაზი.) სადა ხარ, კაცო! ცუდი არაფერი მითხრა. ხომ მშვიდობაა ჩვენს ქვეყანაში?

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: ქვეყნისა რა მოგახსენოთ, სასახლეში კი დიდი არეულობაა.

ᲬᲐᲗᲔ: (ცდილობს წაღის ჩაცმას). ეგ არაფერი. სასახლეში ყოველთვის არეულობაა. მაინც რა მოხდა?

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: მარუთა დაბრუნდა.

ᲬᲐᲗᲔ: (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ჩურჩულით) მარუთა? აბა მარუთა?

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: (მტკიცედ. თან მანინას უყურებს სახეში.) მარუთა. თქვენ რომ გააძევეთ. ლიპარის შვილი.

ᲬᲐᲗᲔ: (ჩურჩულით. ვერ გარკვეულა) კი მაგრამ, ლიპარი რა ხანია დავსაჯეთ. ხომ დავსაჯეთ?

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: დიახ, ლიპარი ღირსეულად დაისაჯა სამშობლოს ღალატისათვის, პირში ადუღებული კუპრი ჩაასხეს. ხოლო მისი შვილი, მარუთა, მამის დანაშაულის გამო, თქვენგან შერისხული და განდევნილი, დაბრუნდა.

ᲬᲐᲗᲔ: (აღელვებული) როგორ თუ დაბრუნდა? აქ რა უნდა? ვინ დააბრუნა? მე ხომ ებრძანე...

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: თქვენ ბრძანეთ, მარუთა კი დაბრუნდა. ოქროს ბალთიან ქამარზე რომაელი მხედრის მახვილი ჰკიდია. ისეთი სანახავია, ქალებს

თვალები დაებრიცათ. მაღალი, ახოვანი. თავი მამასავით ამაყად უჭირავს, გვერდზე გადახრილი...

ᲬᲐᲗᲔ: (ყვირის) არ მინდა! არ შემოუშვათ! ხმალი წაართვით! ბაკურ, ბაკურ, ჩემსკენ! (შეშინებული ტახტს ეფარება. მანინა უკან-უკან იხევს და ზურგით კედელს აწყდება.) შინ არა ვარ! წასული ვარ... სამოგზაუროდ... სულეთში... კარი ჩაკეტეთ... არ შემოუშვათ... ცუდად გავხდები... ფარტაზ, სადა ხარ?

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: რა მოგივიდათ? გამობრძანდით, დამშვიდდით. მე ვიფიქრე, გავახარებ-მეთქი, თქვენ კი... სირცხვილია.

ᲬᲐᲗᲔ: (დაჩოქილი) შენცა, ფარტაზ! შენგან არ ველოდი! მე რა შუაში ვარ, ჩემგან რა გინდა? მე რასაც მეუბნებიან, იმას ვაკეთებ, ესაა ჩემი მოვალეობა. მიშველე, ფარტაზ, (მუხლებზე ეხვევა) მამაჩემის სულს გაფიცებ... წასართმევიც არაფერი მაქვს, არც თავში მიყრია რამე... მთელი ჩემი ქონება ეს წაღებია (გულში იხუტებს ჩაუცმელ წაღას.) ნუ წამართმევ, ფარტაზ, შენს მუხლებს შემოვევლე, შენ რაში გამოგადგება.. რა გინდათ ჩემგან?

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: წამოდექით, სირცხვილია! როგორ იქცევით! მანინა გვიყურებს.

ცდილობს ძალით წამოაყენოს. წათე უძალიანდება, ტახტის ფეხს ებღაუჭება.

ᲬᲐᲗᲔ: არა, ფარტაზ, არა. ეს ტახტი ნამდვილი ნუ გგონია. არც მე ვარ ნამდვილი, მეც მოგონილი ვარ, შეთითხნილი, ათასნაირი დამპალი ფესვისა და ბალახის ნახარში... სადაც უნდათ, იქ ჩამასხამენ. ნუ გშურს ჩემი, ფარტაზ, მამაჩემის სულს გაფიცებ, მომეხმარე, არ შემოუშვა. ეს ადგილი მხოლოდ ჩემია. მე სხვანაირად ცხოვრება არ შემიძლია, მართლა არ შემიძლია... მე ხომ ლაჩარი ვარ. ლაჩარი რომ ვარ ეს წაღებიც იმიტომ მაცვია, მეფეც იმიტომ მქვია. შენ კი ჭკვიანი ხარ, ფარტაზ,

ღმერთიეით ბრძენი ხარ. როგორ უყვარდი მამაჩემს... როგორ გაფასებდა... შენი გაზრდილები ვართ ყველანი...

ფარტაზი: ადექი-მეთქი! ბავშვი მაინც შეიცოდე!

ფათე: არ შემიძლია... როგორ გგონია, რა ვიქნებოდი, მეც რომ სხვებივით მეცხოვრა? აქამდე საერთოდ არ ვიქნებოდი, ფარტაზ. ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა. დიდი-დიდი, ისიც მამაჩემის ხათრით, ასისთავობა მოეცათ რომელიმე ლეგიონში, მაგრამ თუ პირველსავე ბრძოლაში არ მომკლავდნენ, ბრძოლის შემდეგ ფეხით დამკიდებდნენ ლაჩრობისთვის. მე ხომ მართლა ლაჩარი ვარ, ფარტაზ, თავს კი არ გაცოდებ, დამიჯერე. გემუდარები.. არ შემოუშვა...

ფარტაზი: მომისმინე! ჯერჯერობით საგანგაშო არაფერია (**წამოდგომაში შველის, ტახტზე სვამს. გამამხნევებლად უღიმის მანინას.**) ხომ შეიძლება, მარუთა მანინას ხელის სათხოვნელად იყოს ჩამოსული? ეს მარუთა სხვა მარუთაა. თქვენ რომ იცნობდით, ის აღარ არსებობს, გაქრა, გაითქვიფა... ბუნება კი სიცარიელეს ვერ იტანს. ამიტომ მისი ადგილი სხვა მარუთამ დაიკავა, რომაელმა მხედარმა, სახელმწიფო კაცმა. არავითარი სასწაული არ მომხდარა: ის მარუთა ბავშვი იყო, ყველა ბავშვივით სუსტი და სულელი, ეს მარუთა კი მამაკაცია ჭკვიანი და ღონიერი, ქვეყნის პატრონი და მარჩენალი, მოვალეობის ტვირთით დამძიმებული, საქმის მცოდნე და საქმის მოყვარული, მხვნელიცა და მთესველიც, დამკვლელიცა და გამტყავებელიც (**პაუზის შემდეგ, შეცვლილი ხმით**) მარუთას და მანინას ერთმანეთი უყვარდათ. ეტყობა, სიყვარული მართლა ჯიუტი ცხოველი ყოფილა, რახან აქამდე გაუძლია.

ფათე: (**ოდნავ დამშვიდებული, ჩურჩულით**) მანინა ხომ გათხოვილია?!

ფარტაზი: ეგ კი მართლა არაფერს არ ნიშნავს. (**მანინას**) მანინა ქმარს გაშორდება და მარუთას წაყვება. პირველები არ ვიქნებით, ვერც ვერავის გავაკვირვებთ. (**წა-**

თეს) მშვენიერი შემთხვევა გვაქვს ორი კურდღლის დასაჭერად: შვილსაც გაახარებ და მტერსაც შემოირიგებ. მარუთა ვაჟკაცია, რომაელი მხედარია — როცა ლაპარაკობს, ხელი უნებურად ხმლისკენ მიაქვს.

ᲬᲐᲗᲔ: კი მაგრამ, ჩემგან რა უნდა?

შემოდის დედოფალი, უკან მარუთა და ბაკური მოჰყვებიან. იგრძნობა, დედოფალი ცდილობს, გამოასწროს სტუმარს, რათა მეფე გააფრთხილოს, მარუთას რომაელი მხედარივით აცვია, მისი სამოსი და მორთულობა სიმდიდრისა და სისუფთავისგან თვალისმომჭრელად ბრწყინავს. თვითონაც მოხდენილი ვაჟკაცია, ლაღად ტანაყრილი, ქალურად ლამაზი. ოდნავ მოთენთილ, დახვეწილ მიმოხვრაზეც ეტყობა, თვითონაც რომ გრძნობს საკუთარ უპირატესობას. გამომწვევად იღიმება. დედოფალი მიმიკითა და ხელის შეფარული მოძრაობით რაღაცას ანიშნებს წათეს, მაგრამ წათე ვერ ამჩნევს, ის მთლიანად სტუმარს დაუპყრია. სტუმრის მომხიბვლელობითა და ადვილად შესამჩნევი მედიდურობით მონუსხული წათე უნებურად, ნელ-ნელა დგება ტახტიდან, თითქოს უფრო ღირსეულსა და ნამდვილ მპყრობელს უნდა დაუთმოს.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: მეფევ ბატონო, სამახარობლო თქვენზეა. მარუთა დაბრუნდა!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: (წათეს) ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ. რატომ წუხდებით? სიხარულით მივესალმები ლაზიკის სახელოვან მეფეს.

მარუთას მისალმებაში ირონია უფრო იგრძნობა, ვიდრე პატივისცემა და მოწიწება. წათე უხერხულად, გაუბედავად ჯდება.

ᲬᲐᲗᲔ: ლაზიკის მეფეც სიხარულით გეგებებათ თავის ქვეყანაში... სიხარულისგან ენა დამება... შვილივით მიყვარდი.

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: წარსულის გახსენება ყოველთვის როდია სასიამოვნო. დამერწმუნეთ, სჯობს მომავალზე იფიქროთ. წარსული გვამივით მძიმეა და ზედმეტი.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (ცდილობს დაასწროს წათეს.) რა დროს თქვენი წარსულია, ჯერ ყველაფერი წინაა. ღმერთო ჩემო, მანინაც სწორედ ახლა

დაიკარგა. მეგონა, აქ დაგვხვდებოდა, მამიკოსთან. უცნაური გოგოა. თუ ახლავე არ გავაგებინე, არასოდეს არ მაპატიებს. მართალია, გოგოებს მამა უფრო უყვართ, მაგრამ მაინც ჩემი კოპიოა, დედასავით ამაყია.

მარუთა: ნუ ღელავთ, დედოფალო, მანინას ნახვასაც მოვესწრებით.

დედოფალი: ალბათ გაგიჟდება. სულ თქვენს ხსენებაშია. ბედნიერია ქალი, ვისაც მეგობარი და ქმაგი ჰყავს.

მარუთა: დედოფალო, მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამეც წაიყოლა თან. ბავშვობა მიდის, სამაგიეროს კი არაფერს გვიტოვებს. შეიძლება, მანინამ ვეღარც კი მიცნოს.

ფათე: როგორ გეკადრებათ...

მარუთა: გაიზრდებოდა... დაქალდებოდა... მოხარული ვარ, ყველას ჯანმრთელად რომ გხედავთ.

დედოფალი: მანინას ერთი წუთითაც არ დავიწყებიხართ. დავიწყებიხართ კი არა, დილიდან საღამომდე ზღვასთან ზის, თქვენს მოლოდინში. ალბათ ახლაც იქაა. არც ქარია მისთვის და არც წვიმა, ყველა ხომალდს უნდა დახვდეს, თითქოს ყველა ხომალდი თქვენ ჩამოგიყვანთ. რომ ვეტყოდი, დედა შემოგევლოს, არ გაცივდე, შალი მაინც მოიხურე-მეთქი, რას ამბობ დედიკოო, რა გამაციებს, მარუთაზე რომ ვფიქრობ, მთელი ქვეყანა მზითაა გაჩახჩახებულიო. თქვენი სახელი ხომ მთელს ქვეყანას მოსდო. რაც ჩვენში ნათლობა შემოვიდა, ყველას მანინა უნდა ნათლიად, იციან მისი კეთილი გულის ამბავი და იმიტომ. ვერც მანინა ეუბნებათ უარს, ოღონდ ერთი პირობითო, ბავშვს იმ შემთხვევაში მოგინათლავთ, სახელად მარუთას თუ დაარქმევთო. (იცინის) ერთმა სულელმა... ოოხ, ღმერთო ჩემო... რომ გამახსენდება, მეც ასე სულელივით ვიცინი ხოლმე... მანინას უარი რომ არ ეთქვა ნათლობაზე, გოგოს დაარქვა მარუთა. საერთოდ, ქალი

უცნაური არსებაა და ყველა ქალს თავისი საკუთარი უცნაურობა გააჩნია, საკუთარი, განსაკუთრებული...

მარუთა: (იცინის) მშვენივრად, მშვენივრად ლაპარაკობთ, დედოფალო. გული ამიჩუყეთ. ბავშვობა გამახსენდა... ერთხელ მანინას წყალმა სანდალი წაართვა. გამოვუდექი, მაგრამ ვერ დავეწიე. გაწბილებული გამოვბრუნდი. თავი მომწონდა. ვვაჟკაცობდი. დაღონება რომ შემატყო, მეორეც გაიხადა და წყალში გადაისროლა. დაუნდობელი იყო ყოველთვის. ეეხ, კარგია ბავშვობის გახსენება... მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჩემო ძვირფასო დედოფალო, გუბაზი ბავშვს არ მოუკლავს. (მკაცრად) როგორ გგონიათ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გულუბრყვილო, ჩემი ბავშვური სიყვარულის გასახსენებლად გამოვიელიდი ამოდენა გზას?!

საერთო შეშფოთება

მანინა: (ყვირის) მარუთა! (ოდნავი პაუზის შემდეგ მშვიდად, ღიმილით) გამარჯობა, მარუთა.

დედოფალი: აი, მანინაც! როდის შემოიპარე, გოგო?

მარუთა: (ოდნავ შემცბარი, გაკვირვებული) მანინა... (კვლავ მტკიცე ირონიული ხმით) მიიღეთ ჩემი უმდაბლესი სალამი, მეფის ასულო. (ყველას) აკი ვამბობდი... როგორ დაქალებულა... გამშვენიერებულა... ქუჩაში რომ შემხვედროდა, ნამდვილად ვერ ვიცნობდი.

დედოფალი: გმადლობთ, ძვირფასო სტუმარო. თქვენი ქათინაური თქვენივე კეთილშობილების დადასტურებაა მხოლოდ. (მანინას) კაბა მაინც გამოგეცვალა! (მარუთას) მანინას დღეს ყველაფერი ეპატიება. თქვენმა ჩამოსვლამ ისე გაახარა, ისე დააბნია, სამკაული კი არა, თმის დავარცხნაც დავიწყებია. მე მაპატიეთ, დედას... თუმცა მეც ისე დავიბენი...

მანინა: (მარუთას) შენც ძალიან გამოცვლილხარ...

პირველად ვიფიქრე, ვინ არის ეს უცხო კაცი-მეთქი... იმედია, კარგად იმგზავრებდით... ჩვენი ჭაობების სუნმა ხომ არ შეგაწუხათ? ეს მამაჩემია... ეს დედილოა... ეს ფარტაზი... ფარტაზიც აღარ გახსოვს? ეს კი ჩემი ქმარია... თუმცა, გაგაცნობდნენ ალბათ. აი, ასე ვცხოვრობთ ჩვენ, შენ კი, როგორც გატყობ, კითხვაც არ გჭირდება.

დედოფალი: რა მოგივიდა, მანინა? წადი, შვილო, კაბა გამოიცვალე. ნუ გეშინია, არ მოვაწყენთ შენს სტუმარს.

მარუთა: დედოფალო, კაბა და სამკაული...

მანინა: (ყვირის) გაჩუმდი! (პაუზის შემდეგ, მშვიდად. ცდილობს, მოერიოს მღელვარებას). ახლა მაინც მაცალე, დედაჩემო. მარუთამ ყველაფერი უნდა იცოდეს. (მარუთას) ეს ჩემი ქმარია-მეთქი, მართალიც გითხარი და მოგატყუე კიდეც. თვითონ არ ვიცი, როგორ აგიხსნა. არა, პატიებას კი არ გთხოვ, ან გამართლებას, უბრალოდ უნდა დამიჯერო... მე ხომ მარტო ვიყავი, სულ მარტო... თუმცა არა, შენ ყოველთვის ჩემთან იყავი, მარუთა, შენ გამაძლებინე აქამდე. (დანარჩენებს) ახლა რაღას იტყვით, დაივიწყე ის ოხერი მარუთა, წავიდა, აღარ არისო... ხომ დაბრუნდა! რატომ დამღუპეთ, რატომ!

დედოფალი: (იცინის) როგორ დაგვაბეზღა ყველანი. ოოოხ, რა სულელი ხარ, შვილო. თუმცა შენიც მესმის, მესმის კი არა — მშურს; არა როგორც დედას, არამედ როგორც მეორე ქალს. ბედნიერია ქალი, ვისაც მეგობარი და ქომაგი ყავს.

ფათმ: ახლა ამის დრო არ არის, დედოფალო.

დედოფალი: არა, სწორედ ახლაა დრო. (ღიმილით) რადგან ჩემმა ქალიშვილმა მიჩივლა, მეც უნდა ვიმართლო თავი, არა როგორც დედოფალმა, არამედ როგორც დედამ.

მარუთა: დედოფალო, თქვენ არ გჭირდებათ თავის მართლება. ბოდიშს ვიხდი, ასეთი მოულოდნელი უსიამოვნებისათვის.

დედოფალი: აი, თქვენ კი ნამდვილად არაფერი გაქვთ საბოდიშო. არც ჩემს ქალიშვილს ვამტყუ-

ნებ. ჯერ კიდევ ბევრი რამე ეპატიება ასაკისა და თუნდაც დღევადნელი დიდი სიხარულის გამო. დიახ, მანინა მართალია. მანინა ჩვენ გავათხოვეთ, მაგრამ გათხოვებაცაა და გათხოვებაც. ეს უფრო ეშმაკური ფანდი იყო, ვიდრე ქალისა და კაცის კანონიერი შეუღლება. მანინას ქორწილი სასიძოების მოსაშორებლად გათამაშდა, სხვების დასანახად, სხვების გასაჩერებლად...

მანინა: დედა!

დედოფალი: დამაცადე. აქ უცხო არავინაა, სიმართლე კი ყველამ უნდა ვიცოდეთ. ბაკური ჩვენი კაცია და მხოლოდ ჩვენი ხათრით ითავა შენი ქმრობა. ამას შენითაც უნდა მიხვედრილიყავი აქამდე, მაგრამ არა უშავს, ახლა გაიგებ, ორივენი ერთად გაიგებთ და ორივემ ერთად გამომიტანეთ განაჩენი.

ბაკური: აგაშენა ღმერთმა. ერთი კი ვიფიქრე, მე არ შემახოცონ-მეთქი ხელი, მაგრამ ამ საქმეში მართალი ვარ. თავში საცემი სხვაც მეყოფა.

დედოფალი: მოიცა ბაკურ, მე ჯერ არ დამიმთავრებია. თუმცა, მოყოლას რა აზრი აქვს, სიკეთე უნდა დაინახო. მე ჩვეულებრივი დედა ვარ და ჩემი საზრუნავიცა და წუხილიც ჩვეულებრივია. ხმასაც არ ამოვიღებდი, შვილს რომ არ დავესმინე მარუთასთან, თითქოს მარუთა მახვილს იშიშვლებდა და ყველას ერთიანად დაგვერეოდა.

წათე: (აღელვებული) არავითარ შემთხვევაში... მანინა ქმარს გაშორდება. ასეთი რამე პირველი არ იქნება. ვერც ვერავის გავაკვირვებთ. მშვენიერი შემთხვევა გვაქვს, ორი კურდღლის... (წათე უცებ ჩუმდება, გრძნობს რომ შეტოპა. დაბნეული შესცქერის ფარტაზს.)

მარუთა: (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა... გააგრძელეთ, გააგრძელეთ. მშვენივრადა თქვით, ორი კურდღელიო... ხა, ხა, ხა... ერთ-ერთი კურდღელი ალბათ მე ვარ.

დედოფალი: (იცინის) მეორე კურდღელი კი მანინაა.

(წათეს, მკაცრად) ამის თქმა გინდოდა არა, მბრძანებელო?

ᲬᲐᲗᲔ: (დაბნეული იღიმება, მერე ისიც იცინის) ფარტაზი მყავს მოსაკლავი... ხე, ხე, ხე... მანინას ვინც უყვარს, ის ჩემთვის კურდღელიცაა და ლომიც.

მანინასა და ფარტაზის გარდა ყველანი იცინიან, გულიანად, ხმამაღლა. მარუთა იგრძნობს მანინას მზერას და გაჩუმდება. დიდხანს უყურებენ ერთმანეთს.

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: (მკაცრად) კმარა! (პაუზის შემდეგ) მე აქ უფრო დიდ საქმეზე ვარ ჩამოსული. ჩემი ვალია, ყველა ჩვენგანის ვალია, დავიმშვიდოთ სინდისი. ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, სანამ გუბაზის მკვლელი თავისას არ მიიღებს. (მანინას, ღიმილით) ამ საქმეში შენც უნდა მომეხმარო. შენ ხომ გიყვარდა პაპაშენი.

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: (დაბნეული) პაპაჩემი?

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: პაპაშენი მოკლეს. (ყვირის) მე მგონი, ამის ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, მაგრამ მკვლელი ჯერ კიდევ საპოვნელი გვყავს.

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: კი მაგრამ, მკვლელს აქ რა უნდა? პაპაჩემი ხომ რომაელებმა მოკლეს?

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: (ღიმილით) შენ ისევ ისეთი გულუბრყვილო დარჩენილხარ, მანინა. (ყველას, მკაცრად) გავიცინეთ და გვეყოფა. ვიმოქმედეოთ, სანამ დრო ჩვენს მხარეზეა. დაყოვნება მარცხის საწინდარია. (მანინას მხარზე ხელსა ხვევს და ნელა, ლაპარაკის შეუწყვეტლად მიჰყავს ბაკურისკენ.) სიტყვას გაძლევ, უსამართლოდ არავინ დაისჯება. შენ კი შენს საქმეს მიხედე, გუბაზის შვილიშვილი ხარ, ქმარი გყავს, მალე შვილიც გეყოლება, ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა. ცუდს ნურაფერს ვათქმევინებთ მტრებს. შენმა ქმარმა ლამის თვალებით შემჭამოს. მიდი, დაამშვიდე, რამე არ იფიქროს მართლა (მანინას ოდნავ უბიძგებს ბაკურისკენ. ბაკურს) ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ, ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა. ჩაიბარეთ თქვენი მეუღლე.

ბაკური: ყოფილიყო, ბატონო, გესაუბრათ... სულ თქვენს ხსენებაშია. მონატრებული ჰყავხართ. (იშორებს მანინას.)

დედოფალი: ყოჩაღ, ბაკურ! რაინდი ყოფილხარ! (სიცილით) ბაკური კი არა, როგორც ვატყობ, ჩვენც ზედმეტები ვართ ახლა.

მანინა: (ყვირის) არა! (უნებურად ეხუტება ბაკურს, როგორც შეშინებული ბავშვი მშველელს.)

ბაკური: (დაბნეულად მომღიმარი) მოიცა, დავიხრჩვი, ადამიანო. სტუმარია, რას იფიქრებს? მე სულ აქ არა ვარ? (ძალით მიჰყავს მარუთასთან) მარუთა ჩამოვაო, რომ იძახდი, აგერ, ბატონო, და უთხარი რაც გინდა. რისი გრცხვენია, მიეფერე, მიესიყვარულე... რკინისა ხომ არა ხარ?!

მარუთა: (ძალით იშორებს მანინას) ჩაიბარეთ-მეთქი თქვენი მეუღლე!

ბაკური: (ძალით იშორებს მანინას) რის მეუღლე, რა მეუღლე... აკი გითხრეს, ეგ თამაშობა იყოო!

მარუთა: (ძალით იშორებს მანინას) თქვენ რომ ჭკუა გქონდეთ, სწორედ ახლა უნდა დაიბრალოთ მანინას ქმრობა; ეგ თუ გიშველით რამეს. ნუ დაგავიწყდებათ, მანინა ჩემი ბავშვობის მეგობარია.

ბაკური: (ძალით იშორებს მანინას) არ გამოვა ეგ ამბავი. მე არაფერში არა ვარ დამნაშავე. აქ უკვე მოგახსენეს, როგორი ქმარიცა ვარ მანინასი. მე ერთი უბრალო მსახური ვარ და იმას ვაკეთებ, რასაც მიბრძანებენ.

მარუთა: (ძალით იშორებს მანინას) თქვენი სამსახური ჯერ არ დამთავრებულა და ჯერ ისიც საკითხავია, როგორ დამთავრდება. ხოლო სანამ მანინას ქმარი გქვიათ, უნდა მოუაროთ კიდეც.

ბაკური: (ძალით იშორებს მანინას) ჩემი სამსახური სხვა არის, ბატონო. მე სასახლის მცველი ვარ და ტყუილად ნუ გამრევთ ამ ამბავში. სხვა, რაც გინდათ, ის დამაბრალეთ, მანინას ქმრობაზე კი უარს ვამბობ, საქვეყნოდ ვაცხადებ, ყველას გასაგონად (მანინას) მიდი, ადამიანო, მიდი! რატომ

უნდა გადამკიდო ეს კაცი, შენ ხომ მაინც იცი, ჩვენი ცოლქმრობა რომ ტყუილია.

მანინა: არ მინდა, ბაკურ, არ მინდა... (ყვირის) ბაკური ჩემი ქმარია!

დედოფალი: ნუ სულელობ, მანინა! წადი, კაბა გამოიცვალე.

მარუთა: ბატონებო, ბატონებო! თქვენი სტუმართმოყვარეობა საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს მეტისმეტია (**მანინას ძალით მიათრევს ბაკურისკენ.**) თანაც როდის იყო, ასეთ ქრთამს ამდენი მოწმის თანდასწრებით იძლეოდნენ. (**იცინის**)

მანინასა და ფარტაზის გარდა ყველანი იცინიან.

დედოფალი: აკი ვთქვი, ჩვენც ზედმეტები ვართ-მეთქი... როგორ დაიბნა ჩემი გოგო. ასე იცის დიდმა სიყვარულმა. წადი-მეთქი, შვილო, გამოიცვალე ეგ ოხერი კაბა.

მანინა: არა! არა! ბაკური ჩემი ქმარია! მალე შვილიც მეყოლება. ხომ მართალს ვამბობ, ბაკურ? ხომ მართალს ვამბობ, დედილო?

დედოფალი: „დედილო“, „დედილო“... მომილოცავს, გენაცვალე.

მანინა: მალე შვილიც მეყოლება...

ბაკური: არ შეიძლება! ტყუილია!

მანინა: ...მაგრამ თქვენისთანა კი არა, ვაშლივით უბრალო და სრულყოფილი. მთაში უნდა წავიყვანო, გამოქვაბულში უნდა გადავმალო... აქ თუ დარჩა, აქ თუ გაიზარდა, მაშინ სჯობს, სულ არ დაიბადოს. მართალი ყოფილა აიეტი...

მარუთა: აიეტი? აიეტი რა შუაშია?

მანინა: ნისლი იქნება ჩვენი სამოსელი... ვარსკვლავი იქნება ჩვენი სანთელი... ხავსი იქნება ჩვენი სასთუმალი... ფოთოლი იქნება ჩვენი ჯამ-ჭურჭელი... (**დედოფალი იცინის**) მწყემსები ყველს გვაჩუქებენ, რძეს დაგვალევინებენ... გვასწავლიან ცეკვასა და სიმღერას, ლექსებსა და ზღაპრებს... (**დედოფალი იცინის**) გვასწავლიან, როგორ გამოვიცნოთ ნადირი, ფრინველი,

ქვეწარმავალი, ხე თუ ბალახი... (დედოფალი იცინის) ეს მგელიაო, ეს ტურაო, ეს მელაო, ეს გველიო, ეს ღრიანკალიო... ეს ბალახი აძინებს, ეს აცოფებს, ეს კი კლავსო... (დედოფალი იცინის) ხმაზე გამოვიცნობთ ხოლმე ჩხიკვსა თუ კაჭკაჭს...

დედოფალი: ოოოხ, შენ რა გითხრა, მანინა. რა დაგიშავეთ, ღმერთო, ასე სულელებად რომ გაგვაჩინე ქალები.

მარუთა: მანინა, ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ისიცა თქვი, რა საერთო გაქვს აიეტთან? რატომ ახსენე აიეტი? მაგრამ სანამ მიპასუხებდე, როგორც შენმა ბავშვობის მეგობარმა, წინასწარ მინდა გაგაფრთხილო, მაინცდამაინც თავს ნუ გამოიდებ აიეტის დასაცავად.

მანინა: მაგის სათქმელად ჩამოხვედი? ამდენ ხანს მაგას გასწავლიდნენ? აღარ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა. (მკაცრად) აიეტს რას ერჩი? რა ხელი გაქვს შენ აიეტთან?

ფათე: ხომ არ უნდა დამღუპო, შვილო, დაილაპარაკე ადამიანურად, რა მოგივიდა?

მარუთა: დამშვიდდით, მბრძანებელო. მანინა თვითონაც მალე მიხვდება, უსამართლოდ რომ მატკინა გული. (იცინის) ჩვენ მალე შევრიგდებით. ხომ მართალს ვამბობ, მანინა?

მანინა: ეგ სიცილიც იქ ისწავლე? (მკაცრად) რატომ ჩამოხვედი-მეთქი! ვინ დაგიძახა? ვინ მოგცა ნება?

მარუთა: ჯერ შენ უნდა მიპასუხო. შენ ხომ არ გითქვამს, რატომ ახსენე წეღან აიეტი? რა საერთო გაქვს აიეტთან? რაშია მართალი აიეტი?

მანინა: (პაუზის შემდეგ, უმწეოდ) აიეტს თავი გაანებე, მარუთა. შენ მარტო ჩემთანა გაქვს საქმე. რაღას თვალთმაქცობ? განა ეჭვი გეპარება შენს სიმართლეში? განა მტყუანს შეუძლია მეორე კაცის ასე ჩაქოლვა? მაპატიე, ყველაფერი მაპატიე, თუ შეგიძლია. მე ხომ არასდროს არ მიფიქრია, შენც რომ გტკიოდა, შენც რომ იტანჯებოდი... მე იმ დღესვე უნდა მომეკლა თავი, როცა ჩემს მშობლებს დავუჯერე,

დავყევი... დავმორჩილდი! ვიფიქრე, რა მნიშვნელობა აქვს, გათხოვილი მერქმევა თუ გასათხოვარი-მეთქი, ოღონდ თავი გაენებებინათ, ოღონდ აღარ გამეგონა ერთი და იგივე: აღარ არის მარუთა, დაივიწყე, ამოიგდე თავიდანო. ჩემი შეცდომა ისაა, შენს მაგივრადაც რომ ვფიქრობდი ასე, მეგონა შენც მოგეწონებოდა ჩემი ეშმაკობა... მე ხომ, ჩემი ჭკუით, ვეშმაკობდი, სხვებს თვალს ვუხვევდი... სინამდვილეში კი თვითონვე მქონდა თვალები ახვეული ჩემი სულელური იმედით. ბნელ კუთხეში მიყუჟული, ნაქურდალი ნიგვზით გამძღარი თაგვივით ვნეტარებდი და იმის დროც არ მრჩებოდა, შენი თვალითაც შემეხედა ყველაფრისთვის. მაგრამ არც ესაა ჩემი ბრალი; სიმარტოვემ გამომაშტერა, სიმარტოვემ გამაღატაკა ასე და ჩემი საკუთარი ტკივილის გარდა, არაფრის დანახვა აღარ მინდოდა. თითქოს მარტო მე მტკიოდა, თითქოს მარტო მე ვიტანჯებოდი... სხვები კი მხოლოდ იმიტომ არსებობდნენ, ჩემი ტკივილი რომ ეგრძნოთ, ჩემი სატანჯველი გაეგოთ და მსახურებად დამდგომოდნენ. შენც მათ შორის იყავი, ყველაზე მეტად შენ გავალებდი ამას და დღემდე ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ, მქონდა თუ არა საამისო უფლება. არც იმაზე დავფიქრებულვარ, თუ რამხელა სიძულვილს გინერგავდი გულში ჩემი უმეცრებითა და თავკერძობით. როგორ უნდა იცხოვრო ასე, ან მე როგორღა უნდა გიშველო?!

მარუთა: (იცინის) მე და ჩემმა ღმერთმა, მართლა დამაბნიე. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ან იქნებ, მამაშენის არ იყოს, შენც კურდღელი გგონივარ? ასე არაფერი არ გამოგვივა, მანინა. აკი გითხარი, მე სხვა საქმეზე ვარ ჩამოსული-მეთქი. ასეა თუ ისე, ახლა შენთვის არ მცალია, მერე კი ვნახოთ, რამეს მოვიფიქრებთ.

მანინა: (თავისთვის) მარუთა... მარუთა... მარუთა... მადლობელი ვარ, მარუთა, შენი.

მაგრამ განა შენ მარუთა ხარ? მე რომ არ გიცნობ? მარუთა პატარა ბიჭია... ჩვენ ხომ არასოდეს არ ვყოფილვართ ერთად. არასოდეს! რაღაცას იგონებ, ხომ იგონებ? შენ არც ჩემს სანდალს გამოჰკიდებიხარ და არც ცოფიან ძაღლს გადასდგომიხარ ჩემი გულისთვის (ყვირის) ტყუი! ტყუილია!

ᲬᲐᲗᲔ: მანინა, ნუ დამღუპავ, შვილო!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: დამშვიდდი, მანინა. მე ტყუილად მსაყვედურობ, ანდა რაღაცა გეშლება. უბრალო მხედარი და მეფის ასული? გინდაც ლაზიკის მეფის ასული? დამერწმუნე, არც შემეძლო ამაზე ფიქრი. (სიცილით) მე ახლა მხოლოდ სტუმარი ვარ. განა ასე ხვდებიან სტუმარს?

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: სტუმარი? სტუმარი მე ვარ. (ისევ თავისთვის) ის სხვა მარუთა იყო, საბრალო მარუთა, სულელი ბიჭი... შურს ვიძიებო, შენი გმირი ვიქნებიო... ეს რა მოსვლია?! რა დღეში ჩავარდნილა?! ახლა რაღა ეშველება? არაფერი აღარ ეშველება... აღარც არსებობს. ჩვენ მოვკალით ის პატარა ბიჭი. მაპატიე საბრალოვ, მე ვარ დამნაშავე, მე მიგატოვე, მე ვერ გიშველე, მე მივეცი დასაგლეჯად შენი თავი ცოფიან ძაღლებს, მაგრამ განგებ ვიბრმავებდი თავს, მეშინოდა და იმიტომ. სიმართლის მეშინოდა. ის კი არა, შენი იმედით ვცხოვრობდი დღემდე, მკვდარი ბავშვის იმედით... თავი მომქონდა, ვბაქიობდი, ასე და ასე ვუყვარვარ-მეთქი... სხვებს ვახარებდი. ესეც მაპატიე, თუ შეგიძლია. დღეიდან კი იძინე მშვიდად. დღეიდან აღარ შეგაწუხებ. ახლა ჩემი ჯერია. ახლა მე უნდა ვიძიო შური (ყვირის) შენი მკვლელი მოვიდა, მარუთა! გესმის, ბიჭო, შენი მკვლელი!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: (იცინის) აი, თურმე რისთვის მელოდებოდი.

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: (მოტეხილი, უმწეოდ) ხო, გელოდებოდი. სულ შენს მოლოდინში ვიყავი. ზღვის პირას ვიჯექი და ზღვას შენზე ველაპარაკებოდი. წყეულიმც იყავ, მარუთა, იმ მოლოდინისთვის.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲬᲐᲗᲔ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲑᲐᲙᲣᲠᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: ᲒᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲪᲝᲓᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲘ! ᲐᲠᲪ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲦᲐᲛᲔ. ᲬᲧᲔᲣᲚᲘᲛᲪ ᲘᲧᲐᲕ, ᲛᲐᲠᲣᲗᲐ, ᲘᲛ ᲣᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛ ᲒᲐᲗᲝᲨᲘᲚᲘ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!
ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲬᲐᲗᲔ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲑᲐᲙᲣᲠᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: ᲨᲘᲨᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲕᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲘ ᲡᲣᲚᲡ... ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ. ᲬᲧᲔᲣᲚᲘᲛᲪ ᲘᲧᲐᲕ, ᲛᲐᲠᲣᲗᲐ, ᲘᲛ ᲨᲘᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ!
ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲬᲐᲗᲔ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲑᲐᲙᲣᲠᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ

ᲛᲐᲜᲘᲜᲐ: ᲛᲝᲛᲘᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲘᲐ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝ, ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ (ᲐᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲣᲗᲐᲡ). ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ, ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ. (ᲗᲐᲕᲩᲐᲥᲘᲜᲓᲠᲣᲚᲘ, ᲬᲔᲚᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ.)
ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲬᲐᲗᲔ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!
ᲑᲐᲙᲣᲠᲘ: ᲛᲐᲜᲘᲜᲐ!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ. ᲘᲮᲡᲜᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲬᲛᲔᲜᲓᲡ.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (ᲑᲐᲙᲣᲠᲡ) ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔ! (ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ.)
ᲬᲐᲗᲔ: ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲐᲜᲘᲜᲐ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲡᲧᲘᲓᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ, ᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗ,

როგორც მამამ, ბოდიში მოგიხადოთ შვილის ყოვლად უმსგავსო და უღირსი საქციელის გამო. (**კმაყოფილია თავისი სიტყვით.**) შვილის დანაშაული მშობლებზედაც ვრცელდება.

მარუთა: მართალი ბრძანდებით. შვილებიც ასევე ვალდებულნი არიან პასუხი აგონ მშობლების ნაცვლად.

ფათე: (**თავისი დაუფიქრებლობით შემკრთალი**) მე... ამ შემთხვევაში...

მარუთა: მე ამ შემთხვევაში ყოველგვარი ქარაგმის გარეშე ვლაპარკობ.

ფათე: (**დარცხვენილი**) კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს.

მარუთა: საბოდიშო არაფერი გაქვთ, (**ხაზგასმულად, ირონიულად**), მბრძანებელო. გონება გულის ბატონია, ეს კი ორივესთვის, გულისთვისაც და გონებისთვისაც, ხელსაყრელია და სასარგებლო. ხოლო მანინასი მადლობელიც ვარ: სხვანაირად რომ შემხვედროდა, ვინ იცის, იქნებ მართლა... მე კი რომი მელოდება.

დედოფალი: ღმერთო ჩემო! წუხელ, სიზმარში, ვითომ ცირკში ვიყავი. წითელი კაბა მეცვა, თეთრი ვარდებით გაწყობილი. ჩემ პირდაპირ, მაღლა, კეისარი იჯდა, ღმერთივით მშვიდი და მშვენიერი. უცებ ჩემსკენ მოიხედა და დამაკვირდა. დიდხანს მიყურა. დავიბენი. სუნთქვა შემეკრა, არ ვიცოდი, თვალები სად წამეღო. მერე მსახურებს ჩემზე ანიშნა, მომიყვანეთო. მსახურებმა, რატომღაც, ლომზე შემსვეს. მთელი ცირკი მე მიყურებდა. ლომს ცალი თვალი გადმოგდებული ჰქონდა და სისხლი ლორწოსავით ჩამოსდიოდა. შურით გაფითრებული ქალები სახეზე მარაოს იფარებდნენ. კეისარმა რაღაც დამიძახა, მაგრამ დაჭრილი ლომი ისე საშინლად ღრიალებდა, ვერაფერი ვერ გავიგონე. დაძაბულობისგან გამომეღვიძა. იმედია, ამაღამ მაინც დარჩებით ჩვენთან. მოგვიყევით რომის ამბები. აქაურობამ სულ მთლად გამოგვაყრუა. თქვენისთანა

სტუმარი ნამდვილად ღვთის წყალობაა.

მარუთა: (ფიქრიანად) რომი... რომი კარგადაა. გაჩაღებულია. ბრწყინავს.

დედოფალი: რაც არ უნდა ძნელი იყოს, ერთი ღამე უნდა აგვიტანოთ. ასე ვერ გაგიშვებთ. (კოპწიობს) დამერწმუნეთ, ქალიშვილის დანაშაულის გამოსწორება დედასაც შეუძლია. დღეს მე ვიღებ თავზე თქვენს მასპინძლობას, არა როგორც ლაზიკის დედოფალი, არამედ როგორც რომაელი პატრიცია, ოქტავია ნერვა. რომაულად ვიქეიფოთ.

მარუთა: ერთი ღამით სიამოვნებით ვიქნები თქვენი სტუმარი, თუ საქმე არ გაგვიგრძელდა.

ფათე: ჯერ მანინამ ბოდიში უნდა მოიხადოს, ახლავე, ჩემთან ერთად. ფარტაზ, სტუმარს ღირსეული დახვედრა უნდა. შენ იცი, როგორ თადარიგსაც დაიჭერ.

ფარტაზი: მბრძანებელო, სანამ თქვენთან შემოვიდოდი, ყველაფერი მოვაგვარე. მე მგონი, თავს არ შევირცხვენთ.

მარუთა: ისევ ისეთია ჩვენი ფარტაზი, სულ არ გამოცვლილა. გახსოვთ, მე და მანინას ჯოხით რომ გამოგვიდექით? ხა, ხა... როგორ მოვცოცხეთ! თითქოს აფთარი მოგვდევდა.

დედოფალი: რომის ამბები მოგვიყევით, თუ შეიძლება. რა ხდება რომში ახალი? თუმცა ჩვენთვის ყველაფერი ახალია.

მარუთა: რომში დიდი ამბები ხდება, დედოფალო. ალბათ გაიგებდით, რა სასტიკად დავამარცხეთ გალები ზღვაზე. რომი ტრიუმფით შეხვდა თავის სახელოვან შვილებს. ამ ბრძოლამ ბევრი ახალი გმირი დაბადა. უპირველესი ამ გმირთა შორის მაინც გაიუს აცილუსია. მისმა სიმამაცემ და შეუპოვრობამ ერთხელ კიდევ განადიდა რომის სახელი მთელს მსოფლიოში. ნამდვილად უმაგალითო გმირობაა. მომისმინეთ და დამეთანხმებით. გაიუს აცილუსი პირველი აიჭრა მტრის ხომალდზე. უფრო სწორედ, როცა გაიუსმა ხომალდის კიდეს ხელი ჩასჭიდა, ვე-

ლურმა გალმა ცულის ერთი დაკვრით მარჯვენა მოასხიპა. მაგრამ გაიუსი მაინც აიჭრა მტრის ხომალდზე და ცალხელამ, საკუთარ სისხლში ამოსვრილმა, თავისი მძიმე ფარით ყველანი ზღვაში გადაყარა. ამბობენ, ისეთი შესახედავი იყო, ახლოს ვერავინ მიეკარაო. მხოლოდ რომს შეუძლია, ასეთი გმირობისთვის აღაფრთოვანოს ადამიანი. (პაუზის შემდეგ) მე კი სულ იმაზე ვფიქრობ, რამ ააღელვა მანინა ასე? რატომ უნდა დაეფრთხო მანინა ჩემს დანახვას? ვერ გამიგია. არ ვიცი... შეიძლება, მომეჩვენა კიდეც, მაგრამ მისი საქციელი ნამდვილად დამაეჭვებელია. თქვენ რას იტყვით, დეოფალო?

დედოფალი: მანინას საქციელი... დამერწმუნეთ, მეც არ ვიცი, რა ვიფიქრო. ასე მგონია, მე მომაფურთხა, დედას, დედოფალს...

მარუთა: მანინას რაღაც აწუხებს... (**პაუზის შემდეგ, მკაცრად**) მანინამ იცის გუბაზის მკვლელის ვინაობა!

ფათე: როგორ გეკადრებათ.

დედოფალი: გუბაზის მკვლელი? მანინამ? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. კი მაგრამ, თქვენ როგორღა შეატყვეთ?

მარუთა: თუ აქამდე არ გაამხილა, უნდა ვიფიქროთ რომ... უნდა ვიფიქროთ, რომ არც ახლა გაამხელს. ის ან დააშინეს, ანდა... არც მინდა რომ გავაგრძელო. მანინა ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ დააფრთხო, დააბნია... იგრძნო, რომ ვეღარ დამალავდა სიმართლეს. ის ხომ მიცნობს?! მან ხომ იცის ჩემი ხასიათი?! განა ასე ხვდებიან ბავშვობის მეგობარს? მაგრამ ახლა მანინას საამისოდ არ ეცალა. მისთვის მთავარი იყო, თავი დროულად დაეღწია ჩვენგან, ყოველ მიზეზს გარეშე, ყოველგვარი საშუალებებით, და ასედაც მოიქცა. ახლა მისთვის ყოველ წუთს ოქროს ფასი აქვს. ის მკვლელის გასაფრთხილებლად გაიქცა.

დედოფალი: ღმერთო ჩემო!

ფათე: შეუძლებელია!

ბაკური: თვალს და ხელს შუა გამისხლტა. თანაც სასახლიდან ნამდვილად არ გასულა. შემიძლია დავიფიცო. ისეთი აღელვებული იყო, ღორი ხარო, მითხრა.

დედოფალი: (ნერვიულად) როდის გითხრა, როდის?

ბაკური: ახლახან. იმის მერე ორასამდე თუ დაითელიდა კაცი, ისიც დიდი ამბავია.

მარუთა: (საქმიანად, მკაცრად) ესე იგი, მანინა თქვენ ნახეთ უკანასკნელად.

ბაკური: ასე გამოდის.

მარუთა: სად ნახეთ?

ბაკური: გავედი თუ არა, დავინახე. დერეფანში ტიროდა. კედელს მიჰკვროდა და ბავშვივით სლუკუნებდა. აღუ-მეთქი. ოთახამდე მივაცილე. ფეხზე ძლივს იდგა.

მარუთა: მიაცილეთ? ოთახში არ შესულხართ? (პაუზა) აბა, კარგად გაიხსენეთ.

ბაკური: (დამნაშავესავით) შევედი. (წათეს და დედოფალს, გახარებული) შემიშვა!

მარუთა: თქვენ მანინას ოთახში რა გინდოდათ?

დედოფალი: (ბაკურს) სად მივდივარო, არ უთქვამს?

ბაკური: როგორ მეტყოდა, დედოფალო, ოთახიდან ჯერ მე გამოვედი. ქალის ტირილს რომ ვუყურებ, ცუდად ვხდები, მართლა ღორი კი არა ვარ. (წათეს) მადლობელი ვარ, ჩემო ბაკურო. დედას გეფიცები, ჩემო ბაკურო, ასე მითხრა.

წათე: აკი ღორი ხარო?!

ბაკური: ეგეც მითხრა. ეგ ადრე მითხრა, დერეფანში. არ მომეკარო, ღოროო. ორჯერ თქვა. კი არ თქვა, იყვირა: ღორო, ღორო, არ მომეკაროო.

მარუთა: თქვენ არაფერი უპასუხეთ? შეიშნოვეთ ღორობა?

ბაკური: მოგცლია ერთი, ვიღაცა ხარ... ღორები თქვენში მოიკითხე.

დედოფალი: ბაკურ!

წათე: ბაკურ!

ბაკური: დედოფალო...

მარუთა: (წათეს) ნუთუ ვერ ხედებით, თქვენი

მსახური რაღაცას რომ მალავს? ან იქნებ ასეა საჭირო? იქნებ... თუმცა მივყვეთ საქმის ვითარებას. მსახური, რომლის თანდასწრებითაც დედოფალს შეუძლია იტიროს, საეჭვო მსახურია. რომში იყო ერთი ამგვარი შემთხვევა. ერთი რომაელი დიდებული ქალი თავისავე ეზოში იპოვეს, მიწაში ჩაფლული, ნაწილ-ნაწილ აჩეხილი. იცით, როგორ იპოვეს? შემთხვევით. სხვათა შორის, ღორმა ამოჩიჩქნა დინგით ქალის მშვენიერი ხელი. როგორ გგონიათ, ვინ იყო მკვლელი?

წათე: მკვლელი? რა შუაშია მკვლელი? ეს ჩემი სიძეა!

მარუთა: მსახური იყო მკვლელი. მისი ერთგული მსახური! (**წათეს**) ამ რამდენიმე წუთის წინ თქვენი ქალიშვილი ამ მსახურთან ერთად თავის ოთახში იყო და ტიროდა. მერე უცებ გაქრა, სასახლიდან კი არ გასულა. სად არის მანინა?

წათე: სად არის მანინა?

მარუთა: (**ხელს იშვერს ბაკურისკენ**) თქვენს სიძეს ჰკითხეთ.

წათე: (**ბაკურს**) სად არის კაცო, შენი ცოლი? აღარ იტყვი?

ბაკური: მბრძანებელო...

დედოფალი: თქვი. გიბრძანებ!

ბაკური: არ ვიცი, დედოფალო. შემიძლია, დავიფიცო, რამდენჯერაც გინდათ.

წათე: რას გამორბოდი, ადამიანო?! ვეშაპი ხომ არ იყო, ქალია, სულელია, გეთქვა რამე, დაგემშვიდებინა... სულ იმას რომ წუწუნებ, სულ იმას რომ გვსაყვედურობ, თქვენი ქალიშვილი ოთახში არ მიშვებსო, ახლა ხომ შეგიშვა?! შენი პირით ხომ თქვი, შემიშვაო?! მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილად მიკვირს შენი ამბავი.

შემოდის პოეტი.

პოეტი: მე მგონი, ახლა კი ნამდვილად გავიმარჯვე. ამჟამად საკუთარ შესაძლებლობებსაც

გადავაჭარბე. მშვენიერმა მუზებმა წყალობის თვალით... (უცებ ჩუმდება. გრძნობს, რომ ცუდ დროს შემოვიდა, მაგრამ აღარც გაბრუნება შეიძლება. ყველანი პოეტს უყურებენ. დაძაბული დუმილი) თუ ნებას მომცემთ... სხვა დროს გეახლებით.

მარუთა: (ზრდილობიანად მომღიმარი) მე თქვენ არ გიცნობთ. როგორ მოგმართოთ?

პოეტი: (გამოცოცხლებული) მე პოეტი გახლავართ... სხვათა შორის, რომშიც მიცნობენ.

მარუთა: ძალიან სასიამოვნოა. მე მომწონს პოეტები. უცნაური ხალხია, ვერაფერს გაუგებ: სიცილის დროს ტირიან, ტირილის დროს იცინიან. და საერთოდ, თუ არ მიწყენთ, ყველაფერს შებრუნებით ხედავენ, როგორც ყირაზე დამდგარი ჯამბაზები. პოეტის თავში, როგორც სხვენში, მარადიული უწესრიგობა სუფევს. მეთანხმებით?

პოეტი: (ოდნავ გამხნევებული) ერთი პირობით: თუ ამ უწესრიგობას პოეტურ უწესრიგობას დავარქმევთ.

მარუთა: რახან შინაარსი უცვლელი რჩება, რაც გინდათ ის დაარქვით. სახელი ქაფივითაა, ქაფის მოხდა კი შეიძლება, აუცილებელიცაა. მანინა ხომ არ გინახავთ?

პოეტი: მანინა? (ათვალიერებს დარბაზს) განა ასე ადვილია მანინას ნახვა? მანინა კალიასავითაა. მე არ მომიგონია ეს შედარება, თვითონვე თქვა, კალია ვარო. მწვანე. დიდთვალება. სხვათა შორის, მართლაც არის რაღაც მსგავსება. დგახარ, ესაუბრები, გგონია რომ გისმენს, მოიხედავ და სადღაა? სკუპ და სკუპ, მიხტუნაობს ბალახებზე. მანინა ერთ-ერთი ურთულესი და ამიტომაც საინტერესო თემაა. იმედი მაქვს, როდისმე ამასაც დავძლევ.

დედოფალი: რამდენჯერ გაგაფრთხილე, უნებართვოდ ნუ შემოხვალ-მეთქი.

პოეტი: ღვთაებრივო...

მარუთა: როგორ გეკადრებათ, დედოფალო. პოეტებს რომში ძალიან აფასებენ. კეისრები

სადილადაც პატიჟებენ ხოლმე. ნება მომეცით, დავკითხო დამნაშავე. (პოეტს) თქვენ კი აქეთ დადექით.

ПОЕТИ: (გაკვირვებული) დამნაშავე?

МАРУТА: (ბაკურს) სად არის მანინა!

ბაკური არ პასუხობს. გაოცებული პოეტი ხან ბაკურს უყურებს, ხან – მარუთას.

МАРУТА: თქვენ გეკითხებით. დაყრუვდით?

БАКУРИ: რა გინდა, ადამიანო, გამაგებინე? თუ სტუმარი ხარ, სტუმარივით მოიქეცი, რას დამყვირი მამინაცვალივით? მე ჩემი უფროსი მყავს, მე მხოლოდ ჩემს უფროსს ვემორჩილები. მე მსახური ვარ, მცველი. გასაგებია? მართლა სიძე ხომ არ გგონივარ? სიძე სახელად მქვია მხოლოდ.

მარუთა წათეს უყურებს და იღიმება. წათე უხერხულობისგან იშმუშნება, თვალებით მშველელს დაეძებს. ფარტაზი სახეგაქვავებული დგას, გულხელი დაუკრეფია, თითქოს რაც აქ ხდება, მას არ ეხება.

ВАТИ: უპასუხე, ბაკურ! როცა გეკითხებიან, უნდა უპასუხო. ხომ არ ვთამაშობთ?!

МАРУТА: სათამაშოდ ნამდვილად არ გვცალია. მე მგონი, არც საამისო განწყობაა. დიდი დანაშაულია ჩადენილი. ახლა მხოლოდ ღორის დინგია საჭირო, ღორის დინგი. (პოეტს) ეს ჩვენი პროფესიული გამოთქმაა. თქვენი პოეტური სმენისთვის, შეიძლება, ცოტა შეურაცხმყოფელიც იყოს, მაგრამ ფორმულასავით ზუსტია და მარტივი. დანაშაულის მოულოდნელ გამომჟღავნებას ნიშნავს.

ПОЕТИ: თუ შეიძლება, მე წავალ... სხვა დროს გეახლებით. სიმარტივე და სიზუსტე, რა თქმა უნდა, პოეზიასაც სჭირდება, მაგრამ ჩვენთან უფრო ძნელი მისაღწევია.

МАРУТА: (ყვირის) სად არის მანინა? ლაზიკის მეფის ასული! რომის ქვეშევრდომი!

БАКУРИ: (შემკრთალი, დაბნეული) არ ვიცი, მარკვენას გეფიცები, ღმერთს გეფიცები, პატიოსნებას...

მარუთა: ფიცისა მხოლოდ ველურებს სჯერათ. ფიცი ადვილია. გირჩევნია შენი ნებით აღიარო ყველაფრი, განაჩენის გამოტანის დროს გავითვალისწინებთ. თანაც, თუ ალღო არ მატყუებს, შენ მთავარი დამნაშავე არა ხარ. პოტურად რომ ვთქვათ, შენ ხანჯლის წვერი ხარ, ჩვენსკენ მომართული ხანჯლის წვერი, რომელიც იჩხვლიტება, ჭრის, კლავს კიდეც... თუ ხანჯლის ტარი უბრძანებს და დააწვება. მთავარი ძალა ტარშია. დარწმუნებული ბრძანდებოდე, ტარსაც მივწვდებით.

ფათე: ეგ გამორიცხულია. ბაკური ჩემი ერთგული მსახურია.

მარუთა: (მკაცრად) ყველაზე პირველად ერთგული მსახურები ხდებიან მოღალატეები. ეს არც პირველი შემთხვევაა, არც უკანასკნელი. ისტორიის საკუჭნაო სავსეა ასეთი ერთგულად მოღალატე მსახურებით.

ფათე: ღმერთო დიდებულო! (შიშისაგან იკუნტება) ხმალი წაართვით, ხმალი!

მარუთა: მათ ყოველთვის უტყუარი ხელი აქვთ. ზეპირად იციან, სად ფეთქავს მათი მბრძანებლის მთავარი გული. (ბაკურს) კიდევ ერთხელ გიმეორებ: გირჩევნია, აღიარო სიმართლე! (ბაკური უმწეოდ შლის ხელებს, მავედრებელი თვალებით შესცქერის ყველას. ხანგრძლივი პაუზა) მაშინ მე გეტყვით... მე ვიტყვი თქვენ მაგივრად. ახლავე დარწმუნდებით, რომ არც სიმართლის მოსმენაა ადვილი. თქვენ რომ აქედან გახვედით, მანინა დერეფანში გელოდებოდათ. დარწმუნებული იყო, გაჰყვებოდით, გაეკიდებოდით. მერე თავის ოთახში შეგიყვანათ, რადგან ეს იყო თქვენი ოცნება, თქვენი დიდი ხნის საწადელი, თუნდაც იმიტომ რომ, როგორც ახლახან თვითონვე ბრძანეთ, მარტო სახელად არ ყოფილიყავით სიძე. გეთანხმებით, მართლაც ძნელია, დამამცირებელია ასეთი სიძობა, გინდაც მეფისა. რა თქმა უნდა, ეს მანინამაც იცოდა, ყველაზე კარგად მანინამ იცოდა, და აი, სწორედ მაშინ,

როცა ყველაზე ნაკლებად ელოდებოდით ამას, მანინა დაგპირდათ, რომ დღესვე, როგორც კი ქათმები დაიბუდებდნენ, ბოლო მოეღებოდა მის უაზრო სიჯიუტესა და თქვენს უსასრულო მოლოდინს. წარმომიდგენია, როგორ გაგაოგნათ ამ მოულოდნელმა, გაუთვალისწინებელმა სიხარულმა. თქვენს ადგილას ყველა ისე მოიქცეოდა, როგორც თქვენ მოიქეცით. ვინ ეტყვის უარს, ვინ არ შეუსრულებს პირველ თხოვნას ქალს, რომელიც სანაცვლოდ თავბრუდამხვევ ვნებასა და მარადიულ ერთგულებას ჰპირდება. ამაში არ გამტყუნებთ, მით უფრო, რომ მანინას თქვენთვის დიდი არაფერი უთხოვია. თქვენ ალბათ გაგეღიმათ კიდეც, როცა მისი სათხოვარი მოისმინეთ. მანინას გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა უცებ, მოულოდნელად... ერთი სიტყვა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა გადაეცა ვიღაცისთვის, მაგრამ არც ის უნდოდა, სხვებსაც რომ შეემჩნიათ მისი სასახლიდან გასვლა. მართლაც, რა დროს სხვაგან წასვლაა, როცა სახლში სტუმრები არიან. ეს იმდენად დამაჯერებლად ჟღერდა იმ ქალის პირიდან, რომელსაც თქვენი პირუტყვული ჟინი საცაა უნდა მოეკლა, რომ თქვენ არც კი დაფიქრებულხართ, ასეთი გადაუდებელი, რა საქმე უნდა გამოსჩენოდა მეფის ქალიშვილს; ან რა სიტყვა იყო ამისთანა, სხვას რომ ვერ ანდო და თვითონ გაიქცა უბრალო მოახლესავით. თქვენ, რა თქმა უნდა, არც ამაზე დაფიქრებულხართ. თქვენ მხოლოდ მომავალ განცხრომაზე ფიქრობდით და ერთი სული გქონდათ როდის დაღამდებოდა. თქვენ არა მარტო გააპარეთ მანინა სასახლიდან, არამედ ჩვენი დაბრმავებაც მოიწადინეთ. თუმცა ესეც გასაგებია. არც ეს გაგემტყუნებათ. მიეფარა თუ არა მანინა თვალს, გულმა რეჩხი გიყოთ, ტანმა გიაზრათ, რაღაცა რომ დააშავეთ, უნებლიე მონაწილე რომ გახდით ბნელი საქმისა.

ახლა, გინდოდათ თუ არა, ბოლომდე უნდა დაგემალათ ყველაფერი. ასედაც მოიქეცით, მაგრამ უნებლიე დანაშაული გაწუხებდათ, გაბრმავებდათ, სხვათა სიბრმავის მოწადინეს, და ყოველ ნაბიჯზე გამჟღავნებდათ კიდეც. აბა, გაიხსენეთ, განა თქვენ თვითონ არ განაცხადეთ შემოსვლისთანავე, მანინა სასახლიდან არ გასულაო? კი მაგრამ, რატომ? განა ვინმემ გკითხათ, მანინა სასახლიდან ხომ არ გასულაო? წამოგცდათ, წამოგცდათ ის, რაც უნდა დაგემალათ, რისი დამალვაც გთხოვეს, რაც ძალით შემოგაჩეჩეს. ამიტომაც იყო, მართლა ღორივით რომ მოედეთ ღობე-ყორეს. ფიქრობდით, დროს მოვიგებ, ამასობაში მანინაც დაბრუნდება და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებაო. მაგრამ ანგარიში შეგეშალათ. თქვენ დაპატიმრებული ხართ, რომის იმპერიის სახელით. მომცეით ხმალი! **(ბაკური გაშტერებული დგას. მარუთა ქარქაშიდან აცლის ხმალს. მას ბოლომდე ასე ეჭირება ხელში შიშველი ხმალი.)** ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი. გუბაზის მკვლელობას ჩვენ არავის ვაპატიებთ. **(ყვირის)** რომი თქვენით უკმაყოფილოა! რომმა ყველაფრი იცის!

ᲬᲐᲗᲔ: **(სასონარკვეთილი)** შეუძლებელია.

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: ეს სიტყვა ჩვენთვის არ არსებობს.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: ხმა ამოიღე, ბაკურ! რამ გაგაჩუმა? მტრებით გაივსო ქვეყანა.

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: დიახ, დედოფალო, ლაზიკაში შეთქმულება მზადდება. ჩვენც სწორედ ამიტომა ვართ აქ. **(ბაკურს)** უკანასკნელად გეკითხები: სად წავიდა მანინა? სად არის აიეტი?

ᲑᲐᲙᲣᲠᲘ: **(გამოცოცხლებული)** აიეტი? **(პაუზის შემდეგ, უარესად დაბნეული)** აიეტი რა შუაშია?

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: მანინა აიეტის გასაფრთხილებლად წავიდა, ბრიყვო! აიეტის გასაფრთხილებლად. ჩვენ რომიდან ვხედავთ იმას, რაც შენს ცხვირწინ ხდება, მაგრამ ვერ შეგიმჩნევია. დიდი გუბაზი აიეტის მოკლულია. აიეტმა

მოკლა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომთან რომ მეგობრობდა. ვერ მოინელა... ვერ აპატია! (გაღიმებული უახლოვდება გაოგნებულ ბაკურს.) მცველთა უფროსს მახვილი თვალი უნდა ჰქონდეს (ხმლის წვერს თვალში ატაკებს და მშვიდად, აუჩქარებლად დაიხევს უკან. ბაკური თვალებზე ხელს იფარებს. თითებს შორის სისხლი მოთქრიალებს.) მეფის სიძესაც!

ბაკური: (ღრიალებს) ვაიმე, თვალი... ვეღარ ვხედავ... თვალი გამომთხარა... თვალი... ვაიმე... მტკივაااااა...

დედოფალი: ღმერთო ჩემო! ჩემი სიზმარი! (ბაკურს მივარდება, იხუტებს.) არა! არა! ამას რას ერჩი, მხეცო! მე სხვა მტრებზე ვთქვი, ჩვენს მტრებზე... (ბაკურს ანჯღრევს.) თქვი, უბედურო, თქვი! თავს ნუ იღუპავ!

წათე: დედოფალო, სირცხვილია!

დედოფალი: მე კი არ მრცხვენია. (ყვირის) არავისი არ მრცხვენია!

ბაკური: თვალიიი... ვაიმე... მტკივაااა...

დედოფალი: (ყვირის) ბაკური ჩემი საყვარელია! ბაკური ჩემი საყვარელია! მე ბაკურის ხასა ვარ!

წათე: სირცხვილია!

ბაკური: ვაიმე, თვალიიიი...

დედოფალი: (აღგზნებული) მე ქალი ვარ, ქალი! მე ჩემი საკუთარი სამეფო მაქვს და იქ მე ვარ ყველაფრის ბატონ-პატრონი! იქ ყველაფერი ისე ხდება, როგორც მე მინდა! თქვენი წესები და კანონები იქ არ ვრცელდება. ჩემი ენება და სურვილია წესიცა და კანონიც. გესმით? წესიცა და კანონიც. ეს წესი და კანონი ღმერთის გულზე ქალის ფრჩხილებითაა ამოკაწრული, ქალის სისხლითაა დაწერილი და განმტკიცებული. ხოლო რაც ქალის სისხლით იწერება — ხელშეუხებელია, გარდაუვალია, მარადიულია, ყველასთვის სავალდებულოა, საკუთარი შვილისთვისაც კი. რომელ სირცხვილზე მელაპარაკები, მონავ?! განა მთელი შენი ცხოვრება სამარცხვინო არაა? ერთი ხელით შოლტს რომ გადაგკრავენ, მეორეს საკოცნელად

მივარდები ხოლმე. რატომ არ გრცხვენია? ჩაიცვი ეგ ოხერი წაღა, ჩაიცვი! რამ გაგაშტერა?

ბაკური: ااااااა...

ნათე: მაინც არ არის სასიამოვნო, ჩვენი ოჯახური ამბების ასე საქვეყნოდ გამოჭენება. ყველაფერი შენი ბრალაი.

დედოფალი: არა, ეგ არ გამოვა, ჩემო ძვირფასო. გადაბრალება ადვილია. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით და ახლაც ერთად უნდა ვიყოთ. ჩვენ მხოლოდ ასე შეგვიძლია ცხოვრება. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ავიტანოთ ერთმანეთი. ეს ჩვენი ცხოვრებაა და მე სრულებითაც არ მრცხვენია. პირიქით, ძალიან მომწონს, საჩემოა, ჩემებურია. ფრთხილად იყავი: ჩემი სიყვარულიცა და სიძულვილიც თანაბრად საშიშია, არც ერთს არ სჩვევია უკან დახევა ან პატიება. ისინი ჩემი ხელებია, მე კი ყველაფერს ორივე ხელით ვიღებ, ორივე ხელით ვიხუტებ ხოლმე, მაგრამ ამ ორი ხელით ყველაფრის გადაგდებაც შემიძლია. ჩემი სული ალბათ იმ სისხლივითაა ცხელი და წითელი, ჭრილობიდან ამოღებულ დანას რომ ამოჰყვება. განა შენი ბრალი არაა, დედოფალი ჯარისკაცთან რომ ვწვები? გჯობია და იმიტომ... ისიც კი გჯობია. კაცი მაინცაა.

ნათე: (ნიშნისმოგებით) შენმა შვილმა კი არ ინდომა!

დედოფალი: ხო, არ ინდომა. იმიტომ, რომ ისიც შენსავით ბოთეა და სულელი.

მარუთა: მე მგონი, ცოტა გადავუხვიეთ გზიდან, დედოფალო.

ნათე: ყველაფერი კი არ უნდა თქვა... სირცხვილია.

დედოფალი: რა გეშველებოდა, ეგ სიტყვა რომ არ იცოდე. აკი გითხარი, არაფრის არ მრცხვენია-მეთქი.

ნათე: მართლა უსირცხვილო ყოფილხარ... განა არ ვიცი, რატომაც შეიძულე საკუთარი ქალიშვილი?! იმიტომ რომ კურო დაგიწუნა.

ДЕДОФАЛИ: მართალია! სანამ ბაკური ჩემი სიძე გახდებოდა, ჯერ ჩემი საყვარელი იყო. მე კი ქალიშვილს დავუთმე. ყველა დედა არ დაუთმობდა. (ბაკურს, მუჯლუგუნის ცემით) მოყევი, როგორც იყო. ნებას გაძლევ. ამისთვის არ დაგსჯიან.

ბაკური: ااااا... რა ჩემი ბრალია... ძალით შემრთეს... არ მინდოდა...

ფათე: გააჩუმეთ, ღვთის გულისათვის! აღარ შემიძლია!

ДЕДОФАЛИ: არა, ჩემო ძვირფასო! იმდენი ვაჟკაცობა მაინც გეყოს, სიმართლე რომ მოისმინო ბოლომდე. ჩვენ ცხოვრებამ შეგვაერთა — შენი სისუსტე და ჩემი ძალა, შენი სიბეცე და ჩემი გამჭრიახობა, შენი სიხარბე და ჩემი მომხვეჭელობა, დაბოლოს, შენი იაფი სული და ჩემი მძიმე ქისა — ყოველთვის ერთად უნდა იყოს, წონასწორობა რომ არ დაირღვეს. ჩაიცვი-მეთქი, ეგ წაღები კიდევ გამოგვადგება. (მარუთას) ეს არის ბაკურის მთელი დანაშაული, ეს კი თქვენ არ გეხებათ. პირდაპირ გეთქვათ, თქვენ ხომ აიეტი გაინტერესებთ?! ბაკური კი ამ საქმეში უბრალოა. აიეტია მოღალატე! აიეტია ჩვენი დაუძინებელი მტერი! აიეტს ყველანი ვეზიზღებით და არცა მალავს! ჩვენი დანაშაული მხოლოდ ისაა, აქამდე რომ ვერ მოვუარეთ, უთქვენოდაც.

ფათე: მართალია! აიეტი მოღალატეა! რამდენჯერ გავაფრთხილე კიდეც...

მარუთა: (პოეტს) ხედავთ, პოეტო, რა ამბები ხდება მიწაზე? ეცადეთ, დაიმახსოვროთ, ლიტერატურაც ისტორიაა. (დედოფალს) დედოფალო, თქვენი საქციელი მხოლოდ და მხოლოდ ქების ღირსია. ყველას როდი შეუძლია, აღიაროს დანაშაული. რაც არ უნდა პატარა და უმნიშვნელო იყოს იგი, მისი დამალვა ბოროტებაა. აიეტი ნამდვილად მოღალატეა. აიეტია გუბაზის მკვლელიც. ეს ამბავი ცნობილია ჩვენთვის, მაგრამ კარგია, თქვენგანაც რომ ითქვა. ჩვენ დიდხანს და მოთმინებით გელოდებოდით, როდის მიხვდებოდით

და იტყოდით ამას. ახლა კი ეჭვისთვის ადგილიც აღარ რჩება. დამნაშავე ცნობილია, განაჩენიც გამოტანილია, მაგრამ მისი აღსრულება არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვითა ჩანს. აიეტი ეშმაკი მტერია. ის მამულიშვილის ნიღაბსაა ამოფარებული და მისმა დასჯამ შეიძლება ხალხი ააღელვოს. ჩვენი საბრალო, ჩვენი სულელი ხალხი... ხალხს აიეტი თავისი კაცი ჰგონია, გუბაზის მადლი სცხიაო. ჩვენც ამაზე გვიკვდება გული, ამიტომ ვითრევთ ფეხს... მაგრამ სად წაგვივა? სად დაგვემალება? ცოდვა გამოდენის ბუნაგიდან. ვერ მოისვენებს, თუ ყველას არ დაანახვა სისხლიანი ხელები. რაც შეეხება ბაკურს, შეიძლება, ცოტა ავჩქარდით, მაგრამ საბოლოო ჯამში ბაკურიც დამსახურებულად დაისაჯა. მომავალში უფრო ფხიზელი მცველი იქნება **(ბაკურს უგდებს ყელსახვევს, რომლითაც ადრე ფურთხი მოიწმინდა.)** შეიხვიე! **(დედოფალი ბაკურს თვალის შეხვევაში ეხმარება.)** ცალთვალა მცველი უფრო საშიში შესახედავია, მტერს თავზარს დასცემს. ცალთვალა მცველი... **(პოეტს)** რას იტყვით, პოეტო? ხომ კარგია? ლაზიკის ციკლოპი.

ПОЕТИ. მე მგონი, მცველი საერთოდ ცალთვალა უნდა იყოს. ამბობენ, ცალი თვალით უკეთ ხედავენო.

ყველანი იცინიან. ბაკურიც.

ბაკური. აღარ მტკივა!

მარუთა. ახლა მთავარია დავადგინოთ, სად არის აიეტი? რატომ იგვიანებს მანინა?

შემოდის აიეტი.

АИЕТИ: მე აქ გახლავართ. მანინა კი, სამწუხაროდ, არსად არ წასულა. მკვდრებს სიარული არ შეუძლიათ.

ДЕДОФАЛი: ააჰ! (ბაკურს მკერდზე მიესვენება.)

აიეტი: მანინა სარდაფში გდია. თავთან თქვენი ნაჩუქარი სარკე უდევს, სარკის ნატეხი, სისხლში ამოსვრილი.

წათე: ფარტაზ, გესმის, ფარტაზ! მანინას თავი მოუკლავს! რა ხდება ჩემს სასახლეში!

ფარტაზი: მბრძანებელო, ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო.

ДЕДОФАЛი: (აიეტს) მკვლელო!

МАРУТА: (შეძრწუნებული, თავზარდაცემული, თითქმის ჩურჩულით) ღმერთო ჩემო! რა გავიგონე! მანინაც მოკლეს. ჩემი მანინა, ჩემი საბრალო სიყვარული, ჩემი დიდთვალება სიყვარული. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ნუთუ ამხელა გზა ამისთვის გამომატარე? ამოდენა ტკივილი განა ადრე არ არის ჩემთვის? მეც ხომ ბავშვი ვარ, მეც ხომ ახლა ვიწყებ, ღმერთო, ცხოვრებას! (წათეს, უყვირის) არა, შენ მწუხარებამ დაგაბრმავა. მანინა მოკლეს! მტრებმა შვილიც მოგიკლეს! ეს პოლიტიკური მკვლელობაა! (ისევ პირვანდელი ხმით, თითქოს თავისთვის) კი მაგრამ, ვინ გამონახეს ასეთი უგულო? ვისმოუბრუნდა ხელი? როგორ არ შეაძრწუნა შენმა გულუბრყვილო ხვეწნა-მუდარამ? ცრემლით სავსე შენმა თვალებმა? შენმა სუსტმა ხელებმა? ყვავილის მოწყვეტაც რომ უჭირდათ ხოლმე. იქნება მხეცი იყო? შიმშილისაგან გაცოფებული, ჩამპალი კბილის ტკივილისგან დაბრმავებული... (აიეტს, უყვირის) მხეცო! რატომ დაგლიჯე ჩემი ბავშვობა! (ყველას) ეს პოლიტიკური მკვლელობაა. საუბედუროდ, მკვდრებს არც ლაპარაკი შეუძლიათ, მაგრამ ბოროტმოქმედი თავისი ფეხით ბრუნდება ხოლმე დანაშაულის ადგილზე. მისი ადგილი აქაა! (ხელს აიეტისკენ იშვერს.) აი, მკვლელი! გუშინ ჩვენს ხალხს ბურჯი დაუნგრია, დღეს კი ოცნება მოუკლა! (აიეტს) რამ გაგაბოროტა ასე!

აიეტი: უგუნურებო! მანინას გვამი სარდაფში გდია, თქვენ კი... თამაშობთ. (პაუზის

შემდეგ) თუმცა ყველაფერი შესანიშნავად გათამაშდა, ნამდვილ მსახიობსაც შეშურდებოდა. ამ წარმოდგენას ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ: მსახიობებიც თქვენა ხართ და მაყურებლებიც. ხალხიც უნდა დაგესწროთ, ცხელ გულზე უფრო ადვილად გააბრიყვებდით. გამეორების დროს ყველაფერი ფერმკრთალდება. არც ჩემთვისაა ეს დღე ახალი: ფიქრსა თუ სიზმარში ბევრჯერ გამთენებია და ჩემი ბებერი კისერიც ჯალათის კუნძზე ბევრჯერ დებულა. აჰა, შეხედეთ, როგორ ცახცახებენ ჩემი ხელები. ისინი ოცნებაში გადატანილმა ომებმა დაქანცა, ყოყმანმა და გაუბედაობამ დააუძლურა ასე. დიახ, ეს უმწეობის ცახცახია და არა შიშისა. თქვენი მსხვერპლი მძინარე კაცივით უმწეოა. მისთვის ყველა გზა წინასწარაა მოჭრილი და ხელ-ფეხიც წინასწარა აქვს საიმედოდ შეკრული და შებორკილი, რათა მართლმსაჯულების მორიელმა თავისი გესლიანი საქმე მშვიდად აკეთოს. ასე რომ, გაბრძოლება, თავის დაცვა ანდა მართლება — სისულელეა. მას, მოსაჭრელად გამორჩეულ ხესავით, წინასწარა აქვს ტოტები შესხეპილი, რომლებითაც ადრე თანამოძმეებს ეხებოდა და თავის ფიქრსა და სათქმელს აგებინებდა. ახლა იგი ყველასათვის უცხოა, ყველასაგან განწირული და დავიწყებული. მას ნიკაპამდე ჩამოაფხატეს სიმარტოვის უხეში ქუდი და საერთო ხარხარში პანღურიც მიაყოლეს: ეს ერთი და სხვა მრავალიო. დე, ასე იყოს. მოსახდენი მაინც მოხდებოდა. მე სიკვდილის არ მეშინია. იქნებ სიკვდილია სწორედ ის ნეტარი თავისუფლება, რომლისკენაც ვილტვით ყველანი გაჩენის დღიდან?! ჩემი სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის, ჩემს ლაზიკას, მაგრამ მე უფრო ბედნიერი მოვკვდებოდი, ეს ჩემს სამშობლოსაც რომ შეეგნო და სცოდნოდა. მე მძულხართ თქვენ, იმიტომ რომ სამშობლო მიყვარს.

ჩემს უმნიშვნელო არსებობას მხოლოდ და მხოლოდ ეს სიძულვილი ასაზრდოებდა. ჩემი სიბრაზე და ზიზღი ადუღებულ კუპრად რომ იქცეს, ყველა თქვენგანს ყურებამდე მოსწვდებოდა. ეს მიხეთქავდა გულს და ეს მავსებდა სიამაყითაც. ღმერთო! რამდენჯერ ჩამივლია ისტორიის საჭისთვის ხელი, რამდენჯერ შემომიბრუნებია და, წყალქვეშა კლდეებს შორის, რამდენჯერ აღმომიჩენია ნათელი და ფართო გზა — გამარჯვებისკენ, თავისუფლების მზით განათებული ნაპირებისკენ. რამდენჯერ გამიჩეჩქვავს თქვენი ასისინებული თავი ჩემი აღტაცების კეტით, რამდენი მამხილებელი სიტყვა მითქვამს მტკიცე ხმითა და სახით, რამდენი მომაკვდინებელი ხერხი და ილეთი მომიგონებია... მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ღამით, ძილის წინ, მაგრად ჩაკეტილ ოთახში ხდებოდა, უძლურებისა და სიბერის სარეცელზე. მე ამ უძლურებამ დამაბერა, დამაწყლულა, გამომაშტერა. ისიც ჩემი ხნისაა და მე აქამდეც უყოყმანოდ მოვკვდებოდი, თუკი ისიც ჩემთან ერთად მოკვდებოდა. მაგრამ მისი ბაცილა ჯიუტია და ღონიერი, გამძლეა და ამტანი... და ალბათ მალე მთელ ტყეს მოედება. ტყე იღუპება. მთელი ტყე იღუპება. ტყეში კი, უზრუნველი სიმშვიდე ხავსივით ჩაწოლილა, ჩაფენილა, გავრცელებულა. ეს საბედისწერო სიმშვიდე ტყის ბინადრებსაც გადასდებიათ. გამძღარი დათვი გაჭყლეტილ სოკოებზე მოგორავს და მობოყინობს, ქვემოთ კი, მისი პირუტყვული ფიქრებისა და სურვილების ერთადერთი გამგები, ძუ დათვი ელოდება. აყვავებული ასკილის თაეზე მუმლის გასუსული ღრუბელი ბრუნავს. ტყე კი იღუპება, ზეზეულად იღუპება. საცაა ჩამოიქცევა მატლებისგან გამოჭმული კედლებიცა და ჭერიც, და ტყის უგუნურ ბინადრებს ქვეშ მოიყოლებს. გააფრთხილეთ, გააფრთხილეთ მაინც! ისინი ხომ ცხოველები არიან! ვერ

ხედებიან, ვერც მიხვდებიან, თავიანთი პირუტყვული ცხოვრებით გართულნი და, ამ ცხოვრებაში, როგორც სალაფავით სავსე კასრში, თავჩარგულნი და კმაყოფილნი. ისინი მხეცები არიან და მეტი არც მოეთხოვებათ. მე მაინც ვყვირი, მაგრამ პირი ვერ გამიღია, საკუთარი ხმა ყელში მეჩხირება; გაქცევა მინდა, მაგრამ ფეხები გამთბარი სანთლებივით მებრიცება... თითქოს საზარელ სიზმარში ვიყო. მარტოხელა კაცი შინიდან კუბოსაც ვერ გამოიტანს.

მარუთა: (ყვირის) გეყოფა! (პაუზის შემდეგ) იმის მაგივრად, მგლოვიარე დედის მაინც მოგერიდოს, დედის, რომელსაც ახლახან შვილი მოუკალი, მის წინ მიწა კოცნო და შენთვის არარსებული პატიება ითხოვო, სოფლის გიჟივით ათასგვარ სისულელეს ყბედობ და ამ ყბედობით შენი დანაშაული უფრო შემზარავი, უფრო აუტანელი ხდება. გეყოფა, აიეტ! ჩამოთავდა შენი საფქვავი, მოიკიდე ცოდვის ტომარა. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს იგი, მაინც სირბილით უნდა მიიტანო განმკითხველის კარიბჭესთან. სულის მოსათქმელად თუ შეჩერდი, სისხლის სუნზე ადევნებული ძაღლები დამჭკნარ წვივებში გეცემიან. ღმერთო! რამდენი სიბინძურეა ადამიანის სულში! რა გარეცხავს! მოწმე რომ არ ვიყო, დაჯერება გამიჭირდებოდა, ამბის მომტანს ათასჯერ მაინც დავაფიცებდი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ცხადია. ბოლო რგოლიც შეიკრა. ახლა შეგვიძლია, ეს შემზარავი ამბავი თავიდან ბოლომდე აღვადგინოთ. აი, ისიც. (აიეტს) სხვათა შორის, შენთვის ვყვები, უკანასკნელი იმედიც რომ გადაგიწურო. ლაზიკაში კლავენ მეფეს! მკვლელობის მიზეზი კი მხოლოდ ისაა, რომ ლაზიკის მეფე, აწ განსვენებული გუბაზი, ისევ და ისევ თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომს უმეგობრდება. მკვლელი სასახლეში მიღებული კაცია, ხალხი მეფის მეგობრადაც

თვლის. ამიტომაც ძნელდება მისი გამოცნობა. ის კი, ამასობაში, უარესად აბნევს გზა-კვალს, ცდილობს, თავისი ბინძური საქმე რომს გადააბრალოს, ვინაიდან ამ მკვლელობის ერთ-ერთი მიზანი ესეცაა: ხალხს, რომელმაც რომის მფარველობის ქვეშ ცოტა სული მოითქვა, რწმენა დაუკარგოს, შეაძულოს ნამდვილი მეგობარი და პირი ისევ სპარსეთისკენ, ლაზიკის დაუძინებელი მტრისკენ აქნევინოს. სამწუხაროა, რომ ამ ანკესზე მეფის შვილიშვილიც წამოეგო. თუმცა, ის მსხვერპლია, გაუგებრობისა და ტყუილის მსხვერპლი. ვერაგმა და გამოცდილმა ავაზაკებმა მისი უიღბლო სიყვარულიც რომს დააბრალეს: რომმა წაგართვა მეგობარიო, შენი მეგობრის მამაც რომის მტერი იყო და იმიტომ მოგაშორეს, იმიტომ გაგთიშეს, იმიტომ გაგამწარეს ასეო. ქალის მოტყუებას რა უნდა? მით უფრო, შეყვარებული ქალისას? მკვლელი ზეიმობს, მანინა მისი თანამზრახველია, ასე რომ, თითქოს საფრთხეც აცილებულია თავიდან. ვის მოუვა აზრად, მკვლელი შინ ეძებოს? მაგრამ მართლმსაჯულების მოულოდნელი გამოცხადება თავზარსა სცემს მანინას. ის მაშინვე ხვდება თავის შეცდომას, რადგან მართლმსაჯულებას სწორედ მისი მეგობარი მოუძღვება წინ. როგორ მოიქცეს? რა ქნას საბრალო გოგომ? დაუფიქრებლად აღიაროს დანაშაული? თუ ჯერ მკვლელიც გააფრთხილოს? ანდა რჩევა ჰკითხოს? ანდა პასუხი მოსთხოვოს მოტყუებისთვის? მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. და აი, მანინა უკვე მკვლელთანაა, ატირებული, აღელვებული, დაბნეული. მკვლელი ამშვიდებს, თავს იმართლებს, ისევ ცდილობს მოატყუოს იგი, მაგრამ მანინა ის აღარაა, რაც გუშინ იყო. მან თავისი თვალით ნახა, როგორ „დაუსჯია“ რომს მისი დაუძინებელი მტრის ვაჟიშვილი. მკვლელი ხვდება, მახეში რომ გაება. მანინას საბუთი უფრო

მტკიცეა და თვალნათელი. მკვლელი ღელავს, ხმაც ებზარება... მას ახლა მანინასიც ეშინია, ყველაზე მეტად მანინასი ეშინია სწორედ, რადგან ვეღარ ენდობა — ადვილი შესაძლებელია, მანინამ გასცეს იგი. ამიტომ, მანინა უნდა მოკვდეს, მანინა უკვე ზედმეტია. და აი, მკვლელის გონებაც გაცხარებული მუშაობს, არაფერი არ უნდა გამორჩეს, ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს. მისთვის კაცის მოკვლა ადვილია, მაგრამ აქ არ შეიძლება მანინას მოკვლა, მანინა იქ უნდა მოკვდეს, სადაც ეგულებათ, საიდანაც ვითომ ფეხი არ გაუდგამს. მკვლელი თავს იკატუნებს და მანინას პირდება, რომ თვითონვე აღიარებს ყველაფერს, იმასაც იტყვის, როგორ შეაცდინა მანინა. ახლავე იტყვის, მანინას თანდასწრებით, ოღონდ სასახლემდე მიაღწიონ. და მას მანინა სასახლეში მიჰყავს, ძალით მიათრევს, კატის კნუტივით, რადგან მანინას ფეხები უკან რჩება, რცხვენია, ესიკვდილება, თვალებში შეხედოს კაცს, რომელიც უსაფუძვლოდ შეურაცხყო, დაამცირა, გული ატკინა. და აი, ბუნებრივი დასასრულიც: (ყვირის) აიეტს მანინა სარდაფში ჩაჰყავს და ჩემი ნაჩუქარი სარკის ნამტვრევით ყელსა სჭრის, რათა ჩვენ, უგუნურებმა, უვიცებმა, ყველაფერი ისევ უიღბლო სიყვარულს გადავაბრალოთ. მკვლელს კი იმდენი თავხედობა ყოფნის, თავისი ფეხით გამოგვეცხადოს და აქეთ დაგვდოს ბრალი. (აიეტს) შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, სარდაფში რა გინდოდა?

აიეტი: გველო! იმის მაგივრად, კისრისტეხით შენც იქ ჩავარდე, მანინას ჯერ კიდევ თბილი სხეული გულში ჩაიხუტო და ბოდიში მაინც მოუხადო, ახალ სახრჩობელას აშენებ, მშვიდად და აუღელვებლად. არა, შენ მარუთა არა ხარ. შენ არც ადამიანი ხარ. ადამიანის გონებას ასეთი საშინელების მოგონება არ შეუძლია. მაგრამ რა ხარ? რა გქვია?

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: (ბაკურის მხარს მიყრდნობილი) მე დავ-
ღუპე. ჩემი ბრალია. დედურმა ალღომ
მიმტყუნა, მიღალატა, შემაცდინა... აკი
ვფიქრობდი, რა აქვთ-მეთქი ამდენი სა-
ჩურჩულო? როგორ გავჩუმდი, როგორ არ
ვკითხე: რა უნდა, რას გეუბნება-მეთქი?
თვითონ ვერ მითხრა, ვერ გამიბედა. მე
დაგღუპე, შვილო, უბედურო შვილო...
რამდენჯერ წავდგომივარ თავზე: კიბეზე
თუ ბნელ დერეფანში... ხეივანსა თუ
საჯინიბოსთან. ისე იყვნენ ხოლმე საუბრით
გართულნი, ვერც კი მამჩნევდნენ, თითქოს
ნიავმა ჩაიარაო. თურმე გულში რა
სდებია. მანინა ყოველთვის გაფითრებული
მეჩვენებოდა, ტუჩი კურდღელივით უთ-
რთოდა ხოლმე, თითქოს ნამტირალევიც
იყო... მაგრამ ვფიქრობდი, ჩვეულებრივად
თვალთმაქცობს, ამ ბებრის ჩიფჩიფს რო-
გორმე თავი რომ დააღწიოს-მეთქი. ეს
კი ჯიუტობდა, რაღაცას უმტკიცებდა
გაუთავებლად და თან ხელებსაც იშვე-
ლიებდა. როგორ არ დავეჭვდი? მე
დავღუპე. ოოოხ, მე დავღუპე...

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: ჩვენ ვიცით, რასაც „უმტკიცებდა“.
ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია.

ᲞᲝᲔᲢᲘ: უსვინდისო .ყოფილხარ, აიეტ. უგულო
და უსვინდისო. აი, სადამდე მიგიყვანა
შენმა სიგიჟემ. რას ვიფიქრებდი, თუ
მანინაზე სამგლოვიარო ჰიმნის დაწერა
მომიხდებოდა. რომ გაიძახოდი: თქვენთ-
ვის არც პატიოსნება არსებობს და არც
სიწმინდეო — ესაა სიწმინდე და პატიოს-
ნება? სამრეკლოზე შემომჯდარი ყვავივით
რომ დაგვჩხავლებდი ხოლმე: გამარჯობათ,
მონებოო — განა ასეთ სიმახინჯეს მონის
გარდა ვინმე ჩაიდენდა? სისხლის ერთი
წვეთი მთელ ქსოვილს აფუჭებს, ამ ლაქას
ვერაფერი ვერ გამორეცხავს.

ᲐᲘᲔᲢᲘ: იმედს ავყევი, ჩემო პოეტო, იმედს. ვფიქ-
რობდი, იქნებ ესენიც მიხვდნენ, იქნებ კიდევ
ეშველოთ-მეთქი... მაგრამ იმედმაც ეკლიანი
ძეძვი შემატოვა ხელში. რად მინდოდა,
ღმერთო, ასეთი იმედი, ხელმომჭირნე

კაცივით, დიდის ამბით რომ ჩამიდე უბეში. კაპასი ცოლივით არ მასვენებდა, მოსისხლე მტერივით არ მაძინებდა, კალთაში ჩაფრენილი შვილიშვილივით ძალით მიმათრევდა და აი, მიმათრია კიდეც უცოდველი ბავშვის სისხლის გუბესთან. გუბეში ჩაიხედეთ! ნამდვილი მკვლელის სახე იმ გუბეში ირეკლება.

ᲬᲐᲗᲔ: (თავჩაქინდრული, ტირის) რატომ მომიკალი შვილი, აიეტ, რატომ? მე მანინა მართლა მიყვარდა.

ᲐᲘᲔᲢᲘ: მანინა მართალია. ასეთ სიცოცხლეს ისევ სიკვდილი სჯობია. ერთადერთი ძალაც სიკვდილია ამ საზიზღრობის მოსასპობად. ყველას არ შეუძლია, ფარტაზივით ლოღნოს პური დაწყლულებული ღრძილებით მხოლოდ იმიტომ, რომ იარსებოს.

ᲤᲐᲠᲢᲐᲖᲘ: მე ტყუილად მსაყვედურობ, აიეტ. მე და შენ ერთი და იმავე ქალის მოზელილი ცომიდანა ვართ. მე და შენ ერთი და იმავე ხის ტოტები ვართ, ოღონდ სხვადასხვა მხარეს გაშვერილი. ჩვენი საერთო ფესვი ერთსა და იმავე მიწაშია და ჩვენი შიგნეულიც ერთი და იმავე წვენით ივსება. ჩვენ ერთი და იგივე ქარი გვაქანავებს, ოღონდ სხვადასხვანაირად: შენ უფრო მეტად, რადგან კენწეროსთან ახლოს ხარ, მე უფრო ნაკლებად, რადგან ფესვებთანა ვარ ახლოს. აიეტ, მე შენი მეორე მხარე ვარ და ჩემი არსებობით შენს არსებობასაც ვადასტურებ. ხოლო თუ მომისმენ და დამიჯერებ კიდეც, საყვედური საერთოდ არ გეთქმის, რადგან შენი არსებობის ერთადერთი აზრი და დანიშნულებაც ეს იყო: მარადიულ ქარში წრიალი, მარადიული ჭრილობის ხელახლა გახსნა და შეკერვა, მარადიული ტკივილის გადატანა, მარადიული შიშის დაძლევა, დაბოლოს, მარადიული მორჩილების ძონძებზე წოლა, მარადიული ამბოხისა და წინააღმდეგობის მიუხედავად. დამერწმუნე, აიეტ, უშენოდ ჩემი ცხოვრებაც უინტერესო გახდება, დაცარიელდება, დაიჩუტება, მაგრამ

შენს ნადგომზე, ან ცოტა ზევით, უფრო ახლოს კენწეროსთან, სხვა, შენისთანა ტოტი ამოვა. მე კი ისღა დამრჩენია, ჩემი მარადიული სიმშვიდითა და მოთმინებით დაველოდო იმ ტოტის ამოსვლას. ნურაფერზე ნუ გწყდება გული. შენ, რაც შეგეძლო, ყველაფერი გააკეთე, ოღონდ ახლაც, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ცოტა აჩქარდი, ცოტა დააგვიანე, ცოტა დააკელი, ცოტა გადააჭარბე, ცოტა ცეცხლი დაგაკლდა, ცოტა — ყინული, ცოტა თვალმა გიმტყუნა, ცოტა — გონებამ და, რაც მთავარია, ცოტა, თითქმის უმნიშვნელოდ ცოტა — გულმა! ეს საბედისწერო „ცოტა“ დაუწერელი კანონივით არსებობს და ვერავინ, ვერასოდეს ვერ შეაესებს ამ ნაკლულობას. დამერწმუნე, ყოველთვის ასე იქნება. ერთი რამით შემიძლია განუგეშო მხოლოდ, თუკი ამას შენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს: მე არ მჯერა, რასაც შენ აქ გაბრალებენ.

ᲐᲘᲔᲢᲘ: სამართლიანი ხარ, ღმერთო! მკაცრი და სამართლიანი! გაუბედაობაცა და ყოყმანიც დანაშაულია. მეც დამნაშავე ვარ. ამ მკვლელობაში ჩემი ხელიც ურევია. მე უფრო მეტს ვფიქრობდი და ვყოყმანობდი, ვიდრე ვმსახურობდი და ვიბრძოდი. მაგრამ მანინა რა შუაშია? ბავშვებმა რა დააშავეს? ნუთუ არ შეგეძლო, სხვა სასჯელი გამოგენახა ჩვენთვის. (ყველას, მკაცრად) ყველანი დამნაშავენი ვართ და ყველანი ვაგებთ პასუხს, ადრე თუ გვიან. (ფარტაზს) განა შენმა გულგრილობამ, (წათეს) შენმა სილაჩრემ, (ბაკურს) შენმა სიბრმავემ, (დედოფალს) შენმა სიხარბემა და გარყვნილებამ, (პოეტს) შენმა ყალბმა ქება-დიდებამ, ჩემმა ყოყმანმა და ამისმა უსვინდისობამ (ხელს მარუთასკენ იშვერს) არ დაამახინჯა ქვეყანა ასე? სპილოს ფეხებით გათელილი გვამივით. ბავშვებსაც კი, რომლებსაც არაფერი უნახავთ წყვდიადის გარდა, ამ სიმახინჯისგან თავზარი ეცემათ,

დამფრთხალი ცხვრებივით ერთმანეთს აწყდებიან და დედის საშოდან გამოყოლილი ბორკილებით ერთმანეთს ცხვირპირს უსისხლიანებენ. პირველი გრძნობა, რაც მათ გულსა და გონებაში იბადება, სიძულვილია, შავდღისთვის გადანახული ფულივით, შიშისა და უმწეობის ძონძებში გამოხვეული. ისინი შავი დღის შვილები არიან და ერთმანეთი ეზიზღებათ, რადგან ერთმანეთს გვანან და ერთად უფრო უმწეონი და ამაზრზენნი არიან. მათი თვალები სიბნელისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ მზესა და სინათლეს ერიდებიან, გაურბიან, რადგან სინათლეზე თვალები სტკივდებათ, თავბრუ ეხვევათ და მთვრალებივით ცხოვრობენ: სწრაფად და განუსჯელად. მათ ყველაზე მეტად საკუთარი სისუსტე და უვიცობა აღიზიანებთ, ამიტომ მათი საქციელი ყალბია, ნიღაბია, თანდაყოლილი მონური სულის დასამალად გამიზნული, მისაჩქმალად, ჩასაქოლად, მაგრამ ის ასე იოლად არ იმალება, არ იჩქმალება, არ იქოლება, ის სამუდამოდაა ჩათესლილი მათ სუსტ სხეულებში და თავიდანვე განწირულნი არიან. ამიტომაც, უფრო ადრე იღუპებიან, ვიდრე გაარკვევდნენ: ვინ არიან? რატომ არიან? რა სურთ? რა უნდათ? მათ არც დრო ყოფნით, სიყვარული მრუშობისგან რომ განასხვაონ, სიამაყე — თავხედობისგან, ბოროტება — სიკეთისგან, სიცოცხლე — არსებობისგან, სიმართლე — სიყალბისგან, აღშფოთება — სიგიჟისაგან, და, რაც მთავარია, მტერი — მოყვრისაგან. საცოდავი ბავშვები! ისინი ასეთებად იბადებიან. ჩვენ სამშობლო გოგოსავით გავყიდეთ მონათა ბაზარზე, ხოლო იმ გოგოს საშოში აღრეული თესლი ინთხევა, ბილწი და უნაყოფო.

მარუთა: აიეტ, თქვენც ბრწყინვალე მსახიობი ხართ, მაგრამ წარმოდგენა დამთავრდა. დანარჩენზე კულისებში ვილაპარაკოთ. ხალხს ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს, არ უნდა გადაღალო. რაც მას ეხება,

მან უკვე იცის, დანარჩენი ჩვენი საქმეა. რომში განსაკუთრებული კანონიცაა მსახიობებისთვის. შენ კი, მალე სულ სხვა სცენაზე მოგიწევს გამოსვლა. იქაც მოუთმენლად გელოდებიან. ვერ წარმოიდგენ, როგორ გელოდებიან, მოუთმენლობისგან სკამებზე ცქმუტავენ, ფეხებს აბრახუნებენ, კისრები ეღრიცებათ, ნერვიულობენ, ბრაზდებიან, როგორც საერთოდ სანახაობაზე მოსულ ხალხს სჩვევია. უარესად ნულა გავაბრაზებთ, მათი განაჩენი ისედაც მკაცრია. ნიღაბი შეგიძლია მოიხსნა, იქ შენი ნამდვილი სახე უფრო აინტერესებთ.

ᲐᲘᲔᲢᲘ: ყველაფერი სპექტაკლივით დაგიდგიათ, ყველაფერი წინასწარ გაგითვალისწინებიათ. ვერაფერს ვიტყვი. მართლაც ჭკვიანური ხერხია. კარგადაც გათამაშდა. სიმართლე და მთავარი ისევ წყვდიადში დარჩა და ალბათ ისევ დიდი ხნით. ჩემი საბრალო ხალხი ერთხელ კიდევ შეცდება დამოტყუვდება,ერთხელ კიდევ არასწორად აღფრთოვანდება და აღტკინდება საკუთარი სისხლის დანახვაზე, ერთხელ კიდევ დაიჯერებს, რომ სამართლიანობა ზეიმობს, რომ სანამ სამართლიანობა ზეიმობს, მასაც არაფერი გაუჭირდება და მშვიდად შეუძლია ეძინოს, ჭამოს და სვას, იმღეროს და იქეიფოს, რადგან ხმალს მის ნაცვლად უფრო ღონიერი რომაელებიც კარგად მოიქნევენ. მაპატიე, ჩემო ხალხო, ჩემო უბედურო ხალხო, თუ ვერაფერში გამოგადექი და თუ ჩემი ყოყმანითა და გაუბედაობით ხელი შევუწყე შენს გონებაში სიბნელის ჩასახლებას, შენს გაქსუებას, გადაგვარებას. ოდესღაც შენ ღირსეული მეომარი იყავი და ჭრილობებით დასახიჩრებული შენი სახე და სხეული მტერს თავზარს სცემდა, ხელ-ფეხს უბორკავდა, ბოღმით ახრჩობდა, ხოლო პატიოსან ხალხში აღტაცებას იწვევდა. მაინც მიყვარხარ, მიყვარხარ და მიხარია, შენი გულისთვის რომ ეკვდები, თუმცა

შენ, შეიძლება, ვერც კი გაიგო. ვერც გაიგებ. მე თვითონ უნდა მეთქვა შენთვის, მაგრამ, საუბედუროდ, ახლაც დამაგვიანდა. მე ახლა შენს თვალში მკვლელი ვარ მხოლოდ, უბედური მანინას მკვლელი, და შენც უფლება გაქვს, დღესვე მიწასთან გაასწორო ჩემი სახლი და ჯილაგი. მიდი, რაღას უცდი? მე წინასწარ მიპატიებია, რადგან ბრმა ხარ და ყრუ-მუნჯი. მიყვარხარ და მეცოდები, მიყვარხარ და ვამაყობ, რადგან ამ სიყვარულშია ჩემი ღირსებაცა და თავისუფლებაც.

ᲬᲐᲗᲔ: ნუ თვალთმაქცობ, აიეტ, ნუ თვალთმაქცობ. მე ყოველთვის გეუბნებოდი, სანამ დროა გონზე მოდი, ხალხს ნუ მიგიჟებ-მეთქი. „ხალხი“, „ხალხი“! ხალხს სიმშვიდე უნდა, პური და გართობა. ხალხი თუ გიყვარს, ამაზე უნდა გეფიქრა. ჩვენ კი ვფიქრობთ. ვფიქრობთ და ვაკეთებთ კიდეც. ვითონ არ იცი, რა გინდა: სპარსელები იყვნენ და არიქა, ვიღუპებით, რომო, შენ გვიშველეო, (ილიმება, თან მარუთას უყურებს) ახლა რომი არ მოგწონს. ღორის ბუშტივით ვიხტუნაოთ აქეთ-იქით?

ᲐᲘᲔᲢᲘ: მე არც რომი მინდა, არც სპარსეთი. ჩვენთვის ორივე ერთნაირი უბედურებაა, ერთმანეთს შორს არ წაუვლენ. მე ჩემი ლაზიკა მინდოდა, ჩვენი ლაზიკა: პატარა, საბრალო გოგო, ბაზრის ყაყანითა და მსუნაგი მუშტრის თვალებით დამფრთხალი გოგო, ძონძიც რომ არ შევარჩინეთ სიშიშველის დასაფარად.

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: კმარა! საკმარისია! საბედნიეროდ, ჭეშმარიტება დადგინდა. (პოეტს) პოეზიისგან პოლიტიკა იმითაც განსხვავდება, რომ ჩვენ ნაკლებს ვლაპარაკობთ და ბევრს ვაკეთებთ, თქვენ კი —პირიქით.

ᲞᲝᲔᲢᲘ: (ხელებს შლის, თითქოს თანხმობის ნიშნად, შემკრთალი, ცრემლნარევი ხმით) კი მაგრამ, კალია რომ მოკვდა, მწვანე, დიდთვალება კალია!

ᲛᲐᲠᲣᲗᲐ: ნამდვილად სამწუხარო ამბავია. დარწმუნებული ვარ, ყველა ჭეშმარიტი მამული-

შვილი მწარედ განიცდის ამ ამბავს და იძულებული იქნება, სირცხვილისგან თავი ჩაღუნოს. **(ხელს აიეტისკენ იშვერს)** ერთმა კაცმა, ერთმა მიხრწნილმა გარეწარმა მთელი ჩვენი ხალხი, მთელი ლაზიკა დაამცირა და შეაგინა რომის თვალში. დიდხანს ვერ ჩამოვიშორებთ ალბათ ამ სამარცხვინო ლაქას. შთამომავლობა არ გვაპატიებს. არ გვაპატიებს და მართალიც იქნება, როცა იკითხავს, სხვები სად იყვნენო? რას აკეთებდნენო? **(წათეს უყურებს დამცინავად მომღიმარი)** მთელი დღე სარკის წინ წაღებს იზომავდნენო? **(დარცხვენილი წათე თავჩაქინდრული ზის. მარუთა ახლა დედოფალს უყურებს)** კუროების გაყოფით იყვნენ გართულნიო? **(მიდის ფარტაზთან)** როცა ქვეყანაში ასეთი უმსგავსობა ხდებოდა, ისინი სეირს უყურებდნენ და მშვიდად ბერდებოდნენო? თქვი, რას უპასუხებ? **(ფარტაზი ჩუმად დგას)** გაჩუმდი! ვერაფერსაც ვერ უპასუხებ. მოქმედებაა საჭირო და არა თვალთვალი. მაყურებლის როლი ადვილია. შენ კი აიეტს ყველაზე ადრე იცნობდი და განგაშიც ყველაზე ადრე შენ უნდა აგეტეხა. შენ, ჩემო ბრძენო ფარტაზ. ყველაფერთან შეგუება არ შეიძლება, მავნებლობაა. აი, შედეგიც: მტერი სასახლეში შინაურივით ტრიალებს, იგესლება, ხრწნის და ალპობს ყველასა და ყველაფერს, ჩვენს ანკარა წყალს, ოფლითა და სისხლით მოპოვებულ წყალს, მტრის წისქვილზე ასხამს, ჩვენ კი გულხელი დაგვიკრეფია. **(ფარტაზი ხელებს ჩამოუშვებს.)** ხოლო მანინა, ჩემი ბავშვობის სიყვარული, ბავშვობასავით სუფთა და ლამაზი, აქოთებულ სარდაფში გდია და თავთან ჩემი ნაჩუქარი სარკე უდევს.

ᲬᲐᲗᲔ: **(ქვითინებს)** ჩემი შვილი, ჩემი ერთადერთი შვილი...

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ: **(მოთქვამს, სახეზე ხელებაფარებული)** ჩემო უბედურო მანინა... ჩემო უბედურო შვილო...

მარუთა: (ყვირის) თავთან ჩემი ნაჩუქარი სარკე უდევს! (პაუზის შემდეგ) ხოლო იმ სარკეში ჩვენი გულუბრყვილო და ლაღი ბავშვობა ირეკლება. (სასოწარკვეთილი) ღმერთო ჩემო, რა კარგი იყო, რა კეთილი! პირველად რომ ყვავილი მოვუწყვიტე, მაშინვე თმაში გაიკეთა და გაიქცა. სირბილში ყველას გვისწრებდა, ბიჭებსაც და გოგოებსაც. თხას ვეძახდით. მართლაც თხასავით სწრაფად დარბოდა. სად გარბოდა? სად ეჩქარებოდა? თურმე სარდაფში უნდა მომკვდარიყო, საბრალო ბეკეკა. (ყვირის) ღმერთსადაკეისარსვფიცავ,მკაცრიიქნება ჩემი სასჯელი. მე ახლა შენი მკვლელის ქვადქცეული გული მიჭირავს ხელში და ზედ ვლესავ შურისძიების მახვილს. იძინე მშვიდად! (საერთო, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, ჩვეულებრივი ხმით) ჩვენ კი იმაზე ვიფიქროთ, რას იტყვის რომი!

პოეტი: (თითქმის ტირის) კი მაგრამ, კალია რომ მოკვდა, მწვანე, დიდთვალება კალია?!

დასასრული

1969 წ.

ლაბირინთი

მონაწილეობენ:

ბაბილა პირველი – იგივე კოხბა
ბაბილა მეორე
მთვრალი – იგივე მწყემსი
ქალი – იგივე რახილი
კაცი
ხალხი

სცენის ერთ მხარეს მბჟუტავი ლამპიონი დგას. მეორე მხარეს – გამხმარი, ათასნაირად დაკრუნჩხული ხე. შუაში – მერხი. მერხზე სხედან ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე. ბაბილა მეორეს ბაბილა პირველის მხარზე ჩამოუდვია თავი. შეიძლება, სძინავს. შეიძლება, თავს იმძინარებს. ორივე უქუდოთაა, ძველი, გაქუცული პალტოების ქვეშ, შეიძლება, ავადმყოფის პიჟამო ანდა პატიმრის შარვალ-ხალათი ეცვათ. რაც მთავარია, ორივე, გარემოსავით, უფერულად გამოიყურება. უფრო სწორედ – ორივე კარგად არის შეხამებული გარემოსთან. ორნი არიან, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ერთ გაორებულ პიროვნებად აღვიქვათ ისინი. ასეთია ავტორის სურვილიც. ღამეა. ცივა. იგრძნობა ქალაქის დაძაბული დუმილი, რომელსაც დროგამოშვებით და ყოველთვის მოულოდნელად არღვევს ღამეული, შემაკრთობელი ხმები: მილიციელის სასტვენი იქნება ეს თუ ტრამვაის ზარი, მთვრალების ღრიანცელი თუ ქალის კივილი... სხვა მხრივ სრული სიწყნარეა.

ბაბილა მეორე: (თავს წამოწევს. გაიზმორება.) აღარ დავიწყოთ? გავიყინე. (ცოტა ხნის შემდეგ) მგონი, მართლა ჩამეძინა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე სიზმარი... თუკი, რასაკვირველია, მართლა მეძინა და თუკი, ისევ მე თვითონ არ წარმოვიდგინე ყველაფერი (იდაყვს წაჰკრავს ბაბილა პირველს.) არ მისმენ? რაზე ფიქრობ? შენც ხომ არ ჩაგეძინა? (იცინის) როდემდე ვის-ხდეთ ასე, შეყვარებულებივით!

ბაბილა პირველი: ამაზეა სწორედ ნათქვამი, ჩემი შენ გითხარიო. სიზმარი სიზმრად, მაგრამ ფილტვების ანთება თუ დაგემართა,

მე არ დამაბრალო. მე დასაძინებლად არ მომიყვანიხარ აქ. ძილი თუ გერჩია, დარჩენილიყავი. საწოლიც გქონდა და სითბოც.

ბაბილა მეორე: კარგი ახლა, მაპატიე. ძმრად ნუ წამომადენ ცხვირიდან. მეც არ ვიცი, რამ დამაძინა. სუფთა ჰაერმა გამაბრუა ალბათ (ყნოსავს ჰაერს) თუმცა, აქაურობაც საკმაოდ ყარს... (იცინის) იცი, რაზე მეცინება? ბავშვობაში ძალით მაძინებდნენ, სიბერეში კი ძალით მიფრთხობენ ძილს.

ბაბილა პირველი: იცინი თუ ახველებ? ვერაფერს გაიგებს კაცი შენსას. თუ იცინი, რა გაცინებს? და თუ ახველებ — ახია! არ უნდა დაგეძინა ამ სიცივეში. ჩვენ თუ ძილი გვაკლია, აღარ ყოფილა საშველი.

ბაბილა მეორე: ძილი ნამდვილად არ გვაკლია, მაგრამ არც ძალით დაძინებული კაცი ვარგა, არც ძალით გაღვიძებული. სხვამ კი არ უნდა მიკარნახოს, როდის ავდგე და როდის დავწვე — გუნებას უნდა ვეკითხებოდე. თან, დაგვცინიან კიდეც: აბა, ჩქარა ლოგინში... წესიერ ბავშვებს ამ დროს უკვე სძინავთ. ვიყავით კი როდისმე ბავშვები? მამაჩემმა იცოდა ასე — ნასადილევს ძალით უნდა დავეწვინეთ ყველანი, დიდიან-პატარიანად. (იცინის) არადა, თუკი რამე სურვილი, ნატვრა და მოთხოვნილება მქონდა, სწორედ მაშინ წამოყოფდა თავს. ვიწექი, ოფლგადამსკდარი, და ვიტანჯებოდი. ამიტომაც, მთელი ჩემი ბავშვობა ერთი გაუთავებელი მკვდარი საათი იყო და მეტი არაფერი.

ბაბილა პირველი: ძილში მივიპარებით ჩუმად, თუ უკვე არ გავპარულვართ მთლიანად. ჩვენ კი ვიცინით და ვიცინით.

ბაბილა მეორე: (წამოდგება, მერხის წინ გაივლგამოივლის და ისევ თავის ადგილზე დაჯდება.) კაცი მართლა დაბერდი

და ჭკუა არ მოგემატა. ცხოვრება რახანია უჩვენოდ მიდის. უჩვენოდ კი არ მიდის, ჩვენ გაგვირბის სწორედ — უქნარებსა და ყბედებს... ხოდა, ხველა დაგვახრჩობს თუ სიცილი, უკვე სულერთია, არც არაფერი მოაკლდება, არც არაფერი მოემატება ამით ცხოვრებას. სიზმრისთვისაც აღარ ვვარგივართ, თუკი, რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგის, მხოლოდ საამურის, მხოლოდ სანატრელის ხილვას ნიშნავს სიზმარი. ცხოვრებაც ადგა და ჩვენი თავი მოჩვენებებს მიუგდო. ისინიც, მშიერი ძაღლებივით, გეღრღნიან და გვწუწნიან, ვიდრე არ მობეზრდებათ. ჩვენ კი, ჭოტებივით თვალდაჭყეტილნი, ვთრთით და ვკანკალებთ გათენების მოლოდინში. (იცინის) ამიტომ მიკვირს მეც, მაინც რა თაფლი გეცხო მხარზე ამისთანა, სიცივის სარზედასკუპებულს, სულელ ნიბლიასავით რომ ჩამომეძინა მაშინვე. ალალიც დამავიწყდა და ძერაც... ვითომ სანდრო და ვარო ექთანი...

ბაბილა პირველი: (სასწრაფოდ აწყვეტინებს) და მაინც, ჩემო საბრალო ნიბლიავ, ჩვენ აქ სიზმრების სანახავად კი არ მოვედით, არამედ სამუშაოდ. თუ გნებავთ — საომრადაც. რაც არ უნდა მოხდეს, ყველამ ის უნდა აკეთოს, რისი გაკეთებაც შეუძლია.

ბაბილა მეორე: აკი სათამაშოდ მივდივართო?! ასე არ მეუბნებოდი?!

ბაბილა პირველი: გეუბნებოდი, მაგრამ თამაშს გააჩნია. თამაშიც თავისებური შრომაა, თავისებური ომია, მით უფრო, როცა სხვა ყველანაირი გზა მოჭრილი გაქვს, ვერც თოხს მოკიდებ ხელს, ვერც თოფს, რადგან, არც მეტი და არც ნაკლები, საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი გქვია. (ისმის მილიციელის სასტვენის ხმა) აბა, იერიქონის საყვირი! მსაჯულს არ სძინავს. მოსახ-

დენი მაინც მოხდება. ამიტომ, ჩვენც ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ვიდრე შეგვიძლია, ვიდრე პირში სული გვიდგას.

ბაბილა მეორე: ნუ მაშინებ, თუ კაცი ხარ. რომელ მსაჯულს არ სძინავს მაინც? ან რა უნდა მოხდეს ისეთი, რაც არ მომხდარა? თუ ასეა, ჩვენ რაღას ვუზივართ აქ? რა გვეთამაშება ამ შუაღამისას?

ბაბილა პირველი: ძალიან გთხოვ, სულ ერთსა და იმავეს ნუ მალაპარაკებ. როგორ თუ რა უნდა მოხდეს? აწი მოხდება, რაც მოხდება. მეორედ მოსვლა მოგონილი იქნება. ეტყობა, მართლა ცუდად მოქმედებს შენზე სუფთა ჰაერი. შედარებით სუფთა-მეთქი, მინდოდა მეთქვა. ჩვენ კი ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენი თამაშის მიზანი გართობა კი არ არის, სხვა თამაშების მსგავსად, არამედ ჭეშმარიტების დადგენა. ყველაფრის სხვაზე გადაბრალება არა მარტო ადვილია, უსვინდისობაცაა. ყველანი დამნაშავენი ვართ! აი, არსი ჩვენი არსობისა. ამის შემდეგ თითქოს აღარაფერი გვრჩება სათქმელი, მაგრამ სწორედ დანაშაულის გრძნობა გვაიძულებს გულახდილობას, უფრო ზუსტად — ჭეშმარიტების დადგენას. კიდევ უფრო ზუსტად — ორი უცნობის, ესე იგი, ჩვენი, ჩემი და შენი ჭეშმარიტი ბუნების გარკვევას; უცნობის ამოხსნას უცნობის დახმარებით, ოღონდ, მათემატიკური თვალსაზრისით კი არა, ანდა, მარტო მათემატიკური თვალსაზრისით კი არა, ფსიქოლოგიურითაც, ზნეობრივითაც და, თავისთავად ცხადია, პოლიტიკურითაც. და ეს ყველაფერი ხდება, მხოლოდ და მხოლოდ, უაღრესად მშვიდობიანი გზით — გამოკითხვის, ვიმეორებ, გამოკითხვის და არა დაკითხვის საშუალებით. ერთი

უცნობი, საკუთარი გულახდილობით, აიძულებს მეორეს, ანდა უკეთესი იქნება თუკი ვიტყვით, ავალდებულებს მეორეს, გარკვეული დროის მანძილზე, ანუ, თამაშის განმავლობაში, თავადაც იყოს გულწრფელი — რაც შეიძლება ზუსტად აღწეროს საკუთარი შეგრძნებები და რაც შეიძლება ამომწურავად გამოთქვას მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. რაც მთავარია, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენზეა დამოკიდებული, ვიქნებით თუ არა გულწრფელნი, თუნდაც ერთხელ, დროებით მაინც. აქედან გამომდინარე, ასევე მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ვაღიარებთ თუ არა დანაშაულს, რომელიც, შეიძლება, პირადად ჩვენ არ ჩაგვიდენია, მაგრამ რომელმაც თავისი თავზარდამცემი მასშტაბებისა და სისასტიკის გამო, დანაშაულის დამღა დაასვა ჩვენს ყველაზე უპატიოსნეს განზრახვასაც, რადგან დანაშაულია და საკმაოდ სერიოზულიც, როცა, ვთქვათ, გაუპატიურებულ გოგონას თავზე ხელს კი უსვამ, მაგრამ მოძალადეს საყვედურის თქმასაც ვერ უბედავ. პატიოსანი ხარ, მაგრამ მხდალი. უფრო სწორედ, არაფერი არ ხარ, რადგან ერთი აბათილებს მეორეს. თუ პატიოსანი ხარ, შენი ნებით არ იცხოვრებ გარეწრებში, ხოლო თუ მხდალი ხარ, ვერ იცხოვრებ, ძალიანაც რომ გინდოდეს. მაგრამ ეს სხვა საკითხია. ახლა მთავარია, ერთმანეთის გამოტეხვა კი არ დავისახოთ მიზნად, რასაც ცხოვრებამ მიგვაჩვია, არამედ გულახდილობის მაგალითი ვაჩვენოთ ერთმანეთს, რაც, თავისთავად ცხადია, გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. დავიწყოთ იმით, რომ გადაჩვეულნი ვართ გულახდილობას. სწორედ ამიტომ, სრულებითაც არ

არის გამორიცხული, ბევრი რამ ვერ გავიგოთ, განსაკუთრებით თამაშის დასაწყისში, როგორც, დავუშვათ, სირაქლემა ვერ გაიგებდა, რას განიცდის ცაში მოლივლივე ნებისმიერი ფრინველი, რამდენადაც აღარაფერი ესაქმება ცასთან, ცაში ლივლივთან, რაკი თავად უკვე გადაჩვეულია ფრენას. მართალია, დიდად არ განსხვავდება, მაგრამ აქ არც საპყრობილეა, არც საავადმყოფო. ამიტომ არც ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ გამომძიებლებივით ანდა ექიმებივით დაუნდობლები. უშიშრად, დაუეჭვებლად ვთქვათ, რისი თქმაც გვინდა. განა ეს ნაკლები ომია?! შიშითა და ეჭვით ნათქვამმა, შეიძლება, კეტი კი ააღებინოს ხელში მოთმინებადაკარგულ კაცს, მაგრამ არ მგონია, გააგდებინოს იგივე კეტი. ჩვენი უპირველესი ამოცანა კი სწორედ ესაა — კიდეე უფრო გამხეცება კი არა, ოდნავ მაინც გაადამიანება კაცისა. „დღეს რას უჩივით?“ „დღეს რა გტკივათ?“ „დღეს რაზე ფიქრობთ?“ — გაიძვერები! ვითომ საკუთარ კეთილდღეობაზე არ ფიქრობდნენ მხოლოდ. ჩვენი ავადმყოფობის ისტორია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, დიაგნოზის დასადგენად კი არ იწერება, არამედ საბოლოო განაჩენის გამოსატანად. ავადმყოფი ნომერი ორი — შენზე არ ვამბობ, ისე ვამბობ, სიტყვაზე — სასიამოვნო სიზმრებს ხედავს თურმე...

ბაბილა მეორე: აკი გითხარი, არასოდეს არ მინახავს-მეთქი სიზმარი. ისიც აღარ მჯერა, მართლა სიზმარი თუ იყო წეღან... შენ არ მიჯერებ და ისინი დამიჯერებენ?!

სადღაც ტრამვაი ჩაიქროლებს ზარის განუწყვეტელი წკრიალით.

ბაბილა პირველი: მეც ხომ გითხარი, ისე ვამბობ, სიტყვაზე-მეთქი. ღმერთი მოსთხოვთ პასუხს... მე მოვედი არა მშვიდობად, არამედ რისხვად.

ბაბილა მეორე: ეგ ეგრე არ არის.

ბაბილა პირველი: (გაღიზიანებული) რა არ არის „ეგრე"? შენ რა იცი, მე რას ვამბობ? შენ გგონია, ყოველთვის სხვათა ნათქვამს ვიმეორებ? ისეა, როგორც მე ვთქვი და არა როგორც შენ მოგესმა. ისე, რომ იცოდე, ციტატა სრულებითაც არ არის ჩემი ძირითადი იარაღი, თუმცა, რა დასამალია, ამ იარაღსაც საკმაოდ კარგად ვხმარობ. ჩემი გული სავსეა, ჩემი ბაგე — მეტყველი, რადგანაც გულის სისავსისგან მეტყველებს ბაგე. შენ კი იმიტომ გაქვს ენა ჩავარდნილი, არაფერი რომ არ გიყრია გულში. ცარიელი გული ცარიელ ჯიბეზე უარესია. ჯიბეს რაღაცით მაინც აივსებ, თუნდაც ქვიშით, გულს კი ვერაფერს მოუხერხებ. ერთი დღეც არ გიცხოვრია უშიშრად და იმიტომ. გულს შიში აცარიელებს. სტენდალი ამბობს — შიში სიცარიელეაო. მთლად ასე არ ამბობს, მაგრამ ასე გამოსდის. ხომ გახსოვს, როგორ აღწერს ბრძოლის ველს — „კაზაკებიო", დაიძახებს ვიღაცა და წამში დაცარიელდება იქაურობა, შენი გულივით. შენი ვატერლოო შენი გულია. „ვაიმე, ასე არ მოხდეს", „უიმე, ისე არ მოხდეს". არადა, მაინც ვაი და უი იქნება ჩვენს თავს, ასე მოხდება თუ ისე.

ბაბილა მეორე: არც შენ მყავხარ ამირანი! განა გულადი მხდალს აუხირდება, რატომ ხარ მხდალიო?! საკუთარი სიმხდალე რომ გაცოფებს, მეც იმიტომ მთათხავ ასე დაუნდობლად.

ბაბილა პირველი: მაგრამ, დასამშვიდებლად, ისიც შემიძლია გითხრა, რომ არც ერთი ადამიანი

არ არის მხოლოდ მხდალი, ან მხოლოდ გულადი. ადამიანი, საერთოდ, ორბუნებოვანია და დღეს ალბათ ძირითადად ამაზე გვექნება საუბარი. ორბუნებოვანია, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო ორი არსებისგან შედგება. ოღონდ, ამ ორი არსების დაპირისპირება ადამიანის ხასიათის გაორებასაც კი არ იწვევს, რაც ბუნებრივი იქნებოდა თითქოს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მის ხასიათს. ამ შემთხვევაში, დაპირისპირება თანხმობას, ჰარმონიას, წესრიგს ნიშნავს, რამდენადაც ადამიანის შემადგენელი ეს ორი ნაწილი ერთდროულად, უფრო ზუსტად კი, ერთსა და იმავე დროს, არასოდეს არ გამოდის ასპარეზზე, მით უფრო — ერთმანეთის საზიანოდ. ერთი ყოველთვის უთმობს მეორეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი უფრო შეეფერება არსებულ დროსა და გარემოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი უდრის ორს და, შესაბამისად, ორი — ერთს...

შემოდის მთვრალი.

მთვრალი: (მერხისკენ არც იყურება. ცალი ხელით ხეს მიებჯინება და დაჭრილივით გმინავს.) ვაიმე, დედავ! (ასლოკინებს) დიდი ბოდიში, ბატონებო. ეტყობა, შემციოდა. (ისევ ასლოკინებს) ალალი. ალალი-მეთქი! (გულზე ირტყამს მუშტს.) თუმცა, არა. ალალს ამბობენ, როცა სასულეში გადასცდებათ რამე. სლოკინზე არაფერს არ ამბობენ... უნდა შეაშინო, თუ გინდა რომ სლოკინმა გადაუაროს. კიდევ შემაშინე რააა...

იცით ეს ანეგდოტი? ისე, მართლა მოურჯულებელი ხალხი ვართ, უმადური — რანაირად აღარ გვაშინებენ, ჩვენ კი მაინც ვასლოკინებთ (ასლოკინებს) აი, ხომ გეუბნებით, ერთხელ კიდევ გიხდით ბოდიშს. მომიტევეთ სულგრძელად. როგორ გგონიათ, სწორედ მივდივართ? აქეთ არის ხომ გასასვლელი? (ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე ჩუმად სხედან. დაძაბულნი შესცქერიან მთვრალს.) მე მგონი, კაცი და კაცი ხართ თქვენ. (ასლოკინებს) არ გეწყინოთ. მართლა ზედმეტი მომივიდა. ხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. ესე იგი, სწორედ მივდივარ, არა? დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.

გადის.

ბაბილა მეორე: (შვებით) უჰ! გადავრჩით. კუდიანი ვარსკვლავი ამჯერადაც ასცდა დედამიწას. სიცოცხლე გრძელდება.

ბაბილა პირველი: არ ააყროლა აქაურობა, მამაცხონებულმა. თითქოს გვაკლდა. რას სვამდა მაინც ამისთანას?!

ბაბილა მეორე: რა ქნან მაგ უბედურებმაც, მოისპო ყველაფერი.

ბაბილა პირველი: რა ქნან? არაფერი. განსაცდელს გაეუძელით, ცდუნებას კი — ვერა.

ბაბილა მეორე: შენ ის მითხარი, უკვე ვთამაშობთ? ამას ჰქვია თამაში?

ბაბილა პირველი: თამაშით ჯერ არ ვთამაშობთ, მაგრამ აღარც ბევრი გვიკლია. უბრალოდ, ცოტა უფრო შორიდან უნდა დაგვეწყო. შორიდან კი არა, ახლოდან, დღეიდან, ამ წუთიდან. ვითომ პირველად ვხვდებით ერთმანეთს, ვითომ ჯერ არაფერი ვიცით ერთმანეთისა, მაგრამ ისეთი უშიშარნი და გულახდილნი ვართ, გაცნობისთანავე ეუხსნით ერთმა-

ნეთს ჩვენს დაძონძილ კარტებს. აი, ბატონო, მე ასეთი მსოფლმხედველობისა გახლავართ, ასე მესმის, ასე მწამს, ასე მიმაჩნია... მოკლედ, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი და მერე ვნახოთ. მთავარია, დრო ფუჭად არ დავკარგოთ უაზრო ლაპარაკით. ესეც მოსალოდნელია. როცა გჭირდება, სწორედ მაშინ დაგებმება ხოლმე ენა. როცა არ გიშლიან, მაშინ ვერ ამბობ სწორედ, რისი თქმაც გინდა, რაც თითქოს ენაზე გადგას გაჩენის დღიდან. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ საცდელი. ამიტომ ვართ აქ. ბნელში ნათქვამს სინათლეზე გაიგებენ.

ბაბილა მეორე: კი ბატონო, მე მზად ვარ. ოღონდ, თუ შემეშლება, ნუ გეწყინება. ყველანაირად ვეცდები, მაგრამ არა მგონია, რამე გამოვიდეს. შენ ხომ იცი, როგორ მიჭირს ლაპარაკი. ამიტომაც, არავის ესმის ჩემი.

ბაბილა პირველი: გასაგებია. წინასწარ ნუ ბოდიშობ. არც მე ვარ ციცერონი. მთავარია, გულწრფელები ვიყოთ და არ შევდრკეთ. სიტყვა კი არ უნდა მოვუჭრათ ერთმანეთს, პირიქით, შევაწიოთ. ახლა კი გაეჩუმდეთ ორივენი ცოტა ხანს.

ბაბილა მეორე: (ხალისით) ეგ ადვილი საქმეა. ეგ უფრო მეხერხება.

ორივენი კარგა ხნით ჩუმდებიან. ჯერ, სადღაც შორს, ორთქლმავალი შეჰკივლებს. მერე ტრამვაი ჩაიქროლებს, ისევ ზარის განუწყვეტელი წკრიალით.

ბაბილა პირველი: ჰმ, ჰმ... უკაცრავად, ჩემო ბატონო, მაგრამ ხომ არ მეტყოდით, რას ელოდებით ამ შუაღამისას ამ გათოშილ ბაღში?

ბაბილა მეორე: ესე იგი, დავიწყეთ. გასაგებია! თქვენ? თქვენი რას ელოდებით?

ბაბილა პირველი: კი მაგრამ, რატომ მეკითხებით?

ბაბილა მეორე: (აშკარად ღელავს) თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ჯერ თქვენ მკითხეთ იგივე. ასე არ არის?

ბაბილა პირველი: აგაშენათ ღმერთმა!

ბაბილა მეორე: ხოდა, მიპასუხეთ.

ბაბილა პირველი: მე კი არა, თქვენ უნდა მიპასუხოთ. აკი თვითონვე თქვით, ჯერ თქვენ მკითხეთო. მე დაგასწარით.

ბაბილა მეორე: (შემცბარი) დასწრება ადვილია.

ბაბილა პირველი: ადვილი რომ იყოს, თქვენ დამასწრებდით.

ბაბილა მეორე: (სიცილით) დაგასწრებდით და კარგ ღლავსაც დავიჭერდი.

ბაბილა პირველი: ჰმ, ჰმ....

ბაბილა მეორე: შენ არა თქვი, გულწრფელები ვიყოთო?!

ბაბილა პირველი: როგორც ვატყობ, კარგ საქმეზე არ უნდა იყოთ მოსული. იმიტომაც მალავთ. თქვენი ნებაა. გულწრფელად რომ გითხრათ, არც მაინტერესებს. უბრალოდ, ისეთი სახე გედოთ, შემეცოდეთ. ვიფიქრე, გამოველაპარაკები, გავამხნევებ-მეთქი. მეტი რაა ადამიანი. ხორცი არ იჭმევა ჩვენი და ძვალი. კი, ბატონო, ნუ მიპასუხებთ. თქვენი საიდუმლო, მხოლოდ და მხოლოდ, თქვენი საკუთრებაა და როგორც მოგესურვებათ, ისე მოექცევით: გინდათ დამალავთ — მაინც არაფერი დააკლდება ამით ქვეყანას, გინდათ გაამჟღავნებთ — თქვენივე ჭიის გასახარად. მე კი არაფერი მაქვს დასამალი და ეს არის ჩემი მთავარი საიდუმლო. უფრო სწორედ, არაფრის არ მეშინია. თუ მართლა გაინტერესებთ, რატომ ვზივარ ამ შუაღამისას აქ, ამ სიცივეში, ამ სიმყრალეში, არა თუ გულწრფელად, სიამოვნებითაც გიპასუხებთ. ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და ჰპოვებთ, დააკაკუნეთ და გაგიღებენ...

ბაბილა მეორე: მაპატიეთ, ცუდად თუ გამომივიდა. სრულებითაც არ მინდოდა თქვენი განაწყენება. ღმერთია მოწამე. მე მგონი, არ სჭირდება ამას ფიცი და მტკიცი. მე ერთი კეთილი კაცი ვარ, სიკეთეა ჩემი ხელობა. თუკი შეიძლება სიკეთეს ხელობა ეწოდოს საერთოდ. თუმცა, რატომ არ შეიძლება? ვის რა დაუშავდება ამით? თუ მიშავდება, მე მიშავდება ისევ. ამ ხელობით პურს ვერ შეჭამ, თავს ვერ გაიტან წლიდან წლამდე. სამაგიეროდ, პანღური და დაცინვა არ მოგაკლდება. და მაინც, დამერწმუნეთ, ჯერ არავისთვის მიწყენინებია. ვერც ვაწყენინებ, გინდაც მინდოდეს. საამისოდ არც ძალა მომდევს, არც თანამდებობა მიწყობს ხელს, მით უფრო, არც ჩინი და წოდება. ის კი არა, თავად თუ შემხვდა რამე საწყენი, რაც არც ისე იშვიათად ხდება ხოლმე, იმასაც გულში ვიკლავ. ანდა, სხვამ რატომ უნდა გაიგოს და რატომ უნდა მოიშხამოს შენს გამო გუნება. მიეგდე კუთხეში და ილოკე ჩუმად ნატკენი თათია თუ ფრთა — გააჩნია, ვითარებიდან გამომდინარე, ვინ ხარ იმჟამად: ძაღლი თუ ანგელოსი. ძაღლსაც და ანგელოსსაც საკუთარი სატკივარი აქვს და ყოფნის კიდეც. თავზეც გადასდის. იმ დღეს სანდრომ მითხრა, ერთხელ კიდევ უნდა მოვიკლა თავიო, ეტყობა, კარგად ვერ მოვკვდი, რაღაც-რაღაცები მაინც მაწუხებსო. იმ უბედურს მართლა სჯერა, ერთხელ რომ მოკვდა უკვე...

ბაბილა პირველი: სანდრო მხდალია. სიკვდილში იმალება. სიკვდილი გამოსავალი ჰგონია... (**გაღიზიანებული, მკაცრად**) გაანებე სანდროს თავი! რა შუაშია სანდრო?! რა გვესაქმება სანდროსთან?

ბაბილა მეორე: (**შემკრთალი, აჩქარებული**) ხოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემო ბატონო,

ყველას საკუთარი სატკივარი აქვს-მეთქი. თქვენ რომ შემეკითხეთ წეღან, აქ რას ელოდებითო, ისე ვიყავი ჩემს ფიქრებში, ესე იგი, ჩემს სატკივრებში გართული, პირველად ვერც კი მივხვდი, რას მეკითხებოდით. ისიც კი ვიფიქრე, ამ კაცმა ალბათ ჩემი ამბავი იცის და მაპამპულებს-მეთქი. სიკეთე კი მივითვისე წეღან, მაგრამ, მე მგონი, დიდი ვერაფერი სიკეთეა შენთვის სრულიად უცნობ ადამიანს გული გაუწყალო მისთვის ალბათ ასევე სრულიად გაუგებარ სატკივრებზე წუწუნით. სხვათა შორის, საშინელი ეჭვიანიც ვარ, რაც სრულებითაც არ შეეფერება, უფრო სწორედ, არ ეკადრება ჩემი ხელობისა და, რაც მთავარია, ჩემი ასაკის კაცს. ეჭვიანობა ხომ დაულვინარი გონებისა და დაუხარჯავი ძალ-ღონის უკანონო ნაშიერია. მე თუ მკითხავთ, საყმაწვილო სენია და მეტი არაფერი. აუტკივარი თავის ატკივებაა და ამიტომაც განვიცდი ასე ძალიან. ნამდვილად რომ არაფრად მჭირდება ზედმეტი ტკივილი. ერთი კაცის კვალობაზე არც ტკივილი დამკლებია და მაინც სიცოცხლეს ვებღაუჭები. საერთოდ, ამ ბოლო დროს, ვეღარ ვერევი თავს და, რაც უფო ძნელი ასატანია, აღარ მჯერა, როდისმე თუ დაადგება საშველი, როდისმე მართლა თუ დამთავრდება ყველაფერი, რა-საკვირველია, ჩვენიანად. ამავე დროს, საკუთარ სიკვდილს რომ წარმოვიდგენ, ისე შევძრწუნდები ხოლმე, თითქოს ჩემი სიკვდილიც ჩვეულებრივი მოვლენა კი არ იქნება, არამედ ენით უთქმელი, გაუგონარი უსვინდისობა, როგორც ბუნებისგან, ისევე კაცისგან. რაღა სანდრო და რაღა მე. არა, სად სანდრო და სად მე. სანდრო ცოცხალი მკვდარია, მე

კი მკვდარიც ვცოცხლობ. რაღაც განსაკუთრებული, უფრო სწორედ კი, არანორმალური, ნამდვილად არის ჩემში. არა მარტო კაცის, ბუნების კანონსაც ვარღვევ: ბებერი გავჩნდი და ბავშვად ვკვდები. თუ შეგიძლიათ, გამიგეთ და მაპატიეთ.

ბაბილა პირველი: საბოდიშოდ არ უნდა გაგეხადათ საქმე. საერთოდ, ვერაფერი ზრდილობაა წარამარა ბოდიშის მოხდა. ვიდრე ფეხს დაადგამდეთ, ჯერ დაინახეთ, სად დგამთ ფეხს. თავიდანვე რომ გეთქვათ, ამასა და ამას ველოდებიო, უშფოთველად, უჩხუბრად გაირკვეოდა გასარკვევი. მერე კი, თუ, რა თქმა უნდა, დაინტერესდებოდით, მეც აგიხსნიდით აქ მოსვლის მიზეზს. თუმცა, ახლაც შემიძლია გითხრათ, არაფერი მაქვს დასამალი. (ისმის მთვრალების ღრიანცელი: გაურკვეველი ფრაზისა თუ სიმღერის ნაფლეთები.) აგე! ჩვენი მეგობარია. უპოვია თავისი დოსტები.

ბაბილა მეორე: (ფიქრიანად) ეგენი სხვები არიან.

ბაბილა პირველი: ყველა ერთნაირია! მაგათ უკვე გააკეთეს არჩევანი. აწმყო წარსულის უარმყოფელი უარიყოფა მომავლისაგან, რადგან აწმყო თვითონაც წარსულად უნდა იქცეს ხვალ, მომავალი კი აწმყოდ. ასე რომ, წარსულიც, აწმყოც და მომავალიც თავიდანვე სამგზის უარყოფილია ერთმანეთისგან. ყველაფერი ამაოა, როგორც ამბობს წმინდა წიგნი. თამაშსაც არ გვაცლიან ამ წამხდარ ქვეყანაში. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ზრდილობისთვის შემეკითხეთ, რაც შემეკითხეთ. ანდა, კიდევ უარესი — შიშის გამო. ისევ შიშის გამო. სინამდვილეში კი, თქვენი თავის გარდა, არაფერი გაინტერესებთ.

ბაბილა მეორე: (ცდილობს სიტყვა ჩაურთოს) ბატონო ჩემო, ეს უკვე...

ბაბილა პირველი: (აწყვეტინებს) კი გვიყვარს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი, მაგრამ მაინც თავი გვირჩევნია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეჭვიანები ვართ, ურწმუნონი... არც გაგვემტყუნება. განა ადვილი დასადგენია, ვინ არის ნამდვილად მოყვასი? თქმით იტყვი, გაკეთებით ვერ გააკეთებ. შორს რომ არ წავიდეთ, განა ვინმეს მოუბანია ჩვენთვის ჭრილობები? თანაც, ზეთითა და ღვინით... განა ვინმე თვითონ ჩამოხდა და ჩვენ შეგვსვა სახედარზე? არავითარ შემთხვევაში. ხომ ასეა? თქვით, ნუ გერიდებათ. არც პირველი იქნებით, არც უკანასკნელი...

ბაბილა მეორე: როგორ გეკადრებათ? თქვენ, უბრალოდ, ვერ გამიგეთ. პირიქით, ძალიან მაინტერესებს და სიამოვნებითაც მოგისმენთ, თუკი ღირსად ჩამთვლით და გამანდობთ თქვენს გულისტკივილს. ყველა სიკეთესათან ერთად, დროც უფრო მალე გავა ასე. გავიყინე.

ბაბილა პირველი: აი, ხომ ხედავთ! მართალი ვარ თუ არა?! თქვენ იმიტომ კი არ მომისმენთ, მართლა რომ გაინტერესებთ, რამ მოიყვანა მეორე ადამიანი, იგივე თქვენი მოყვასი, ამ უკაცურ, უკაცრავად პასუხია და, ათასი ძაღლისა და მამაძაღლის შარდით აქოთებულ ბაღში, არამედ თავი რომ შეიქციოთ და დროსაც ააჩქარებინოთ ფეხი. აი, ამას ჰქვია სწორედ ადამიანური გულგრილობა. უღრმესი მადლობა. სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო. სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ — გულგრილობა მონათა თვისებაა. თუმცა, მონობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ამის დროც მოვა, თანდათან. უფრო სწორედ, გვინდა თუ არა, მაინც ვერ ავუქცევთ გვერდს. თქვენ კი მართალი ბრძანდებით: ნამდვილად არ შეიძლება ყველა მოყვასი იყოს.

განა ყაჩაღების ნაწამები კაცი ყველამ ერთნაირად შეიცოდა? იმ გზაზე მღვდელმაც ხომ ჩამოიარა უფრო ადრე, მაგრამ ზედაც არ შეუხედავს...

ბაბილა მეორე: არ შემიძლია ეს ოხერი ლაპარაკი და რა ვქნა?! ვერასოდეს ვერ ვამბობ იმას, რისი თქმაც მინდა. ძალიან გთხოვთ, ნუ მომაქცევთ ყურადღებას... შენ რაღა გაღიზიანება გინდა, ისედაც დასაბმელი ხარ.

ბაბილა პირველი: პირიქით, პირიქით... დიახაც რომ მისასალმებელია თქვენი გულწრფელობა. განა ჩვენი მიზანიც ეს არ არის?! ვიყოთ გულწრფელნი, რათა ერთხელ და სამუდამოდ, თუნდაც მარტო ჩვენთვის, გავარკვიოთ, ვინ ვართ, რომელი ვართ იმ ორიდან — ვინც ნაწამებ კაცს გვერდი აუარა, თუ ვინც შეიცოდა ნაწამები კაცი...

ბაბილა მეორე: პირადად მე, ჩემი მოკლე ჭკუით, ნაწამები კაცი უფრო უნდა ვიყო, ვიდრე მისი შემწყნარებელი ან არშემწყნარებელი. ჩემს გზაზე უმალ უმოწყალო მღვდელი ჩამოივლის, ვიდრე მოწყალე სამარიელი.

ბაბილა პირველი: მეც სწორედ ამის დასადგენად მოვედი თქვენთან. ვიფიქრე, ეს კაცი, შეიძლება, სულაც ჩემი თანამზრახველი აღმოჩნდეს-მეთქი. არა, მთლად ასე არ იყო. პირველად შემეცოდეთ. ისეთი სახე გედოთ... თუმცა, თქვენს სახეზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა ამ ხნის განმავლობაში და თუკი მოხდა, უარესობისკენ — ახლა უფრო საცოდავად გამოიყურებით, (ხმას უწევს) თითქოს ძალით მოეყვანოთ ვინმეს აქ! ვიფიქრე, მივალ, მოვბან ჭრილობებს-მეთქი, თუმცა, არც ზეთი მაქვს, არც ღვინო. ის დრო წარსულს ჩაბარდა, ღვინო და ზეთი თან რომ დაჰქონდათ, იქნებ ნაცემი და ნაწამები შეგვხვდეს ვინმეო. ახლა ნაცემი და ნაწამები

კაცი ყოველ ნაბიჯზე იმდენი შეგ-
ხვდება, რა ღვინო და ზეთი აუვა!
სამაგიეროდ, დღემდე განუცდელი
სიახლოვე ვიგრძენი თქვენს მიმართ,
უცებ, უმიზეზოდ... ნათესაური გრძნო-
ბა გამიჩინეთ, კი არ გამიჩინეთ, დიდი
ხნის წინათ გაჩენილი, შეიძლება
თანდაყოლილიც, დღეს გავითავისე
პირველად თქვენი წყალობით. ალ-
ბათ ცოტა გარემოს ბრალიცაა —
სიბნელე, სიცივე, უხილავი მილი-
ციელის სასტვენის ხმა, უხილავი
მთვრალების ღრიანცელი, უხილავი
ორთქლმავლების კივილი და დიახაც
რომ ხილული სიბინძურის აუტანელი
სუნი. თფუი! თუმცა, რატომ,, თფუი"?
ეს ჩვენი მშობლიური სიმყრალეა.
ჩვენც ამ სიმყრალემ დაგვაკავშირა.

ბაბილა მეორე: ღმერთო ჩემო, რა წყალში ჩავვარდე?!
განა მე უარვყოფ ამას? რასაც ამ-
ბობთ, ყველაფერში გეთანხმებით.
თქვენი გულის მოსაგებად არ გეუბ-
ნებით. არც ისე იოლია თქვენი გუ-
ლის მოგება. ეგ მაინც ვიცი. მაგრამ,
ბოლომდე თუ გულწრფელები ვიქ-
ნებით, წესიერად თვითონ არ მესმის,
რატომ გეთანხმებით ყველაფერზე.
შეიძლება, მომწონს თქვენი ლაპა-
რაკი. შეიძლება, სიცივის ბრალიცაა,
უფრო კი — შიშისა. შიშით, რა
თქმა უნდა, მეშინია, თანაც, მარტო
თქვენი კი არა, ყველაფრის — იმ
მთვრალისაც, იმ უხილავი მილი-
ციელისაც, ორთქლმავლის კივი-
ლისაც — ყველაფრის, რაც კი
ღმერთს გაუჩენია და რაც კაცის ხელს
თავისგან დაუმატებია. მარტო იმისი
არ მეშინია, რომ მეშინია, რადგან
სანამ მეშინია, ვარსებობ კიდეც. ასე
რომ, ძალიან გთხოვთ, სიტყვაზე
დამიჯეროთ: თვითონაც არ ვიცი,
რამ მომიყვანა აქ. რა თქმა უნდა,
საკუთარი სიბინძურით აქოთებულ

ლოგინში გდება ჯობია მაინც, სხვათა სიბინძურით აქოთებულ ბაღში ჯდომას. თქვენ ალბათ გულში გეცინებათ, რას ჩერჩეტობს ეს კაციო; სახეზეც გეტყობათ, არ გჯერათ ჩემი, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, გულწრფელი ვარ, როგორც ყოველთვის...

ბაბილა პირველი: მაინცდამაინც, თავმდაბალი არ უნდა იყოთ.

ბაბილა მეორე: დამცინით?

ბაბილა პირველი: ნაწილობრივ. და აი, რატომ: თქვენ ჩემზე ქარაფშუტა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ეს კი, თავისთავად ცხადია, თქვენს სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. როგორ შეიძლება, ადამიანი სრულ ჭკუაზე იყოს და არ იცოდეს, გარკვეულ დროს რატომ იმყოფება გარკვეულ ადგილზე, ამ შემთხვევაში, აქ, შარდის სუნით აქოთებულ ბაღში. მაგალითად, მე ვიცი! და ალბათ ყველაფერზე უკეთ ეს ვიცი სწორედ. უკვე დიდი ხანია ვიცი. პირველივე დღიდან. როგორც კი ჭკუაში ჩავვარდი. როგორც კი საქმეს მოვკიდე ხელი, კანონის შესატყვისი მუხლიც მაშინვე მივუყენე ჩემს საქმიანობას. ჩემი საქმიანობა კი, ძირითადად, ფიქრია. რაზედაც მინდა, იმაზე ვფიქრობ. ჩემთვის არ არსებობს ნებადართული და აკრძალული. ამიტომ, სასჯელისთვისაც მზად ვარ. ასე ჯობია. უნდა იცოდე, რას აკეთებ, უფრო სწორედ, რითი შეიძლება დამთავრდეს ის, რასაც ნებაყოფლობით აკეთებ. ყველა გონიერი ადამიანი ასე იქცევა, რასაკვირველია, თუკი მოწოდებით მონა არ არის. ამგვარი საქციელი ნამდვილად დასაფასებელია. სხვათა შორის, მაღლაც აფასებენ. აფასებენ, რადგან ამის შემდეგ მათი სამუშაოც მინიმუმამდეა დაყვანილი. მხოლოდ

პიროვნების დადგენა და დაკითხვის ოქმზე — რომელიც, შეიძლება, დაკითხვამდეც შედგეს — ხელის მოწერაღაა საჭირო. ესეც, რა თქმა უნდა, ფორმალობაა, მაგრამ აუცილებელი. ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი ფორმალობებისგან შედგება სახელმწიფო მმართველობა. ერთხელ, ერთმა გამომძიებელმა მითხრა, შენთან მუშაობა სასიამოვნოცააო; ჩაუძიებლად და გამოუძიებლადაც ყველაფერი ნათელიაო; ენაზეც ის გაქვს, რაც გულში გიდევსო. თქვენთან და თქვენისთანებთან კი საქმე გაჭირდება. თქვენი სახის დამნაშავე სახელმწიფოს არ უყვარს, თუმცა, საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს დამნაშავეთა გასამრავლებლად. თქვენი სახის დამნაშავე განსაკუთრებულად რთულია — დანაშაულის არათუ ჩადენა, აღიარებაც ეძნელება. თუმცა, უმთავრეს შემთხვევაში, თავს დამნაშავედ ალბათ არცა თელით. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, პირწავარდნილი მონები ხართ. არ მინდოდა ამ სიტყვის ხმარება ჯერ, მაგრამ მაიძულეთ, თქვენ მაიძულეთ! მოწოდებით მონები ხართ, უსახო, უსახელო არსებები, იოლად შემგუებლები ყველაფერთან: სიბნელესთანაც, სიცივესთანაც, შიშთანაც, სიბინძურესთანაც... მონობა თქვენთვის, უპირველეს ყოვლისა, გარანტირებული არსებობაა, როცა თავისუფლება თავისთავად სულ ბეწვის ხიდზე სიარული გახლავთ — დღევანდელი გაგებით, რასაკვირველია. ამიტომაცაა, თქვენნაირები, რომლებიც ყველა დროში უმრავლესობას წარმოადგენენ, ბობოქარსა და მშფოთვარე ცხოვრებას, რაც იგივე თავისუფლებისთვის ბრძოლაა, მშვიდსა და უფერულ არსე-

ბობას არჩევენ ყოველთვის, რაც ნებაყოფლობითი, ლამის ხორციელ მოთხოვნილებად ქცეული მონობაა და მეტი არაფერი. გარანტირებული, თანაც სხვის მიერ დაცული არსებობა საუკეთესო, მრავალგზის ნაცადი მისატყუარია საწყალი ადამიანისთვის — ძნელად თუ მოარიდებს პირს. იმის გულისთვის რა არის, რომ არ იკისროს. ბაბილონის ფეხსადგილსაც მორეცხავს, ავგიას თავლასაც გამოხვეტავს. თავისუფალი მაშინ ხარ მხოლოდ, როცა იმას აკეთებ, რისი გაკეთებაც საჭიროა, შენთვის თუ არა, ვიღაცისთვის მაინც. მონა კი მხოლოდ იმისკენ ისწრაფვის, რაც სინამდვილეში არც არსებობს, მხოლოდ იმას აკეთებს, რაც არავის სჭირდება, არც სხვას და არც თავად, რისი გაკეთებაც საერთოდ დანაშაულია, უკეთეს შემთხვევაში კი — უაზრობა. სინამდვილეში ხომ არც ბაბილონის ფეხსადგილი არსებობს, არც ავგიას თავლა. ისინი, ასე ვთქვათ, მარადიული, ჩვენ უკან მომავალთა დასაშინებელი სიმბოლოებია და იმ ქვეყნისა თუ ქვეყნების უკეთ წარმოსაჩენად იხმარება, სადაც მონური შრომა, ანუ, უაზრო და უნაყოფო ფუსფუსი ღირსების საქმედაა ქცეული თავად სახელმწიფოს მიერ.

ბაბილა მეორე: (თავისთვის იმეორებს) ბაბილონის ფეხსადგილი, ავგიას თავლა... ჩვენს ქვეყანას რომელი მიესადაგება უფრო, თქვენი აზრით?

ბაბილა პირველი: ჩვენს ქვეყანას? ჩვენი ქვეყანა, ჩემო უცნობო მეგობარო, ყოველმხრივ განსაკუთრებული შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში.

ბრუნდება მთვრალი.

მთვრალი: კარი არა აქვს ამ ბაღს, თუ რაშია საქმე?! ვერ გავაღწიე ვერაფრით. ცოლი რომ მელოდებოდეს შინ, არ დამიჯერებს, როგორ თუ ვერ გამოხვედი ბაღიდანო. მაშინვე იეჭვიანებს — ალბათ ვიღაცასთან ერთად იყო ბაღში და ის არ უშვებდაო. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ალბათ ქალების ამბავი. წავალ-წამოვალ, ისევ აქა ვარ. გამარჯობათ. ერთხელ კიდევ გამარჯობათ, ბატონებო. ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია? ან იქნებ ის მაინც ამიხსნათ, რატომ ვერ გავსულვარ აქედან? რა ძალა მაკავებს ვითომ ამისთანა? მარტო სიმთვრალის ბრალი არ უნდა იყოს ეს — შემოსვლა თუ შევძელი, გასვლა რატომ არ უნდა შემეძლოს?! ვერც იმას ვირწმუნებ, მთელი სიცოცხლე აქა მაქვს გატარებული-მეთქი. საიდანღაც ხომ მოვედი? საიდანღაც კი არა, აგერ, ხუთი წუთის წინ, სუფრაზე ვიჯექი, რიყეში. სხვები იქ დარჩნენ, ბრძოლის ველზე, მათლაფებში პირჩამხობილნი. ვინც სხვას უგებს მახეს, თავად გაებმება შიგ. ესე იგი, არც თქვენ გაქვთ საათი! ან იქნებ გეშინიათ, წაგვართმევსო?! ნუ გეშინიათ. თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა. ერთი წესიერი ლოთი ვარ მხოლოდ. ნამუსის ქუდი მახურავს. რასაკვირველია, სიმბოლურად, რადგან ქუდი საერთოდ არ მხურებია. არც არის მოდაში. თავშიშველები დავდივართ, პოეტებივით... ყველა ქართველი ხომ პოეტია?! თქვენც თავშიშველები ჩანხართ აქედან, თვალი თუ არ მატყუებს. ასე არ არის?! ასეა! მაგრამ რად გინდა? თურმე, არც თქვენ იცით, რა დროა, რომელი საათია ქვეყანასა ზედა.

ბაბილა პირველი: ბატონო ჩემო, ჩვენ არ ვიცით, თქვენ ვინ ბრძანდებით, მაგრამ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, ჩვენ თქვენი არ გვეშინია.

მთვრალი: ჩემი არ გეშინიათ? კი მაგრამ, რატომ უნდა გეშინოდეთ ჩემი? აქამდეც მივედით უკვე? თუმცა, რატომ „უკვე“? ისევ. ისევ და ისევ. მარად და მარად. ასეთია ხვედრი წრის ბინადართა. ადამიანი ადამიანისთვის ნამდვილად საშიშია. მაგრამ, საცა სამართალია, მე უფრო უნდა მეშინოდეს თქვენი. თქვენ ორნი ხართ, მე კი — ერთი.

ბაბილა მეორე: აბა, მე თუ მკითხავთ, სწორედ ის შემთხვევაა ახლა, როცა ორი უდრის ერთს, ერთი კი — ორს.

მთვრალი: თანაც მთვრალი ვარ. ფეხზე ძლივს ვდგავარ. საათი გკითხეთ მხოლოდ, სხვა ხომ არაფერი დამიშავებია?! რაც მომივიდა, ახალგაზრდობით მომივიდა. იქნებ დამზოგოთ მომავლისთვის... ობოლი ვარ...

ბაბილა პირველი: საათისა რა მოგახსენოთ, ნამდვილად არა გვაქვს, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, მით უფრო თქვენმა შემხედვარემ, რომ უკვე დიდი ხანია, სიბნელის ჟამი დგას ქვეყანასა ზედა. გახსოვთ ალბათ ორბელიანის წერილიდან — საერთოდ თუ წაგიკითხავთ — „დაბნელდა, ტასო, საქართველოში.“

მთვრალი: ვერ უყურებთ კურკას! ჯერ კიდევ როდის შეუმჩნეია! დიახაც რომ დაბნელდა, თავი და ბოლო ვეღარ გაგვირჩევია. ერთი ის გამაგებინა, ამ ბაღში როგორ აღმოჩნდი და აღარაფერი არ მინდა თქვენი. საათს არ მეუბნებით, გზა მაინც მასწავლეთ.

ბაბილა პირველი: იმდენი არ უნდა დალიოთ, სახლის გზა აგერიოთ. ხელიდან წახვედით ყველანი, ერთნაირად... თუმცა, რა ჩემი საქმეა, ბოლოს და ბოლოს.

თავზე ბუზს არ ისვამთ, არადა პირველები ვარდებით წუმპეში, მაწანწალებივით. არ გეკადრებათ, ნამდვილად არ გეკადრებათ.

მთვრალი: მაწანწალებივით კი არა, ჩემო ბატონო, არამედ როგორც ჭეშმარიტ მაწანწალებს შეეფერებათ! განა თქვენც ასეთები არ გინდოდით?! განა გავუწბილეთ მოლოდინი ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულ ქვეყანას?! სხვათა შორის, მთელი ჩემი ბედნიერი სიყმაწვილე მშობლიური სახლის ძებნას შევალიე, ქუჩაში რომ არ მეწანწალა, მაგრამ ამაოდ, ამაოდ...

ბაბილა მეორე: გაანებე თავი. რას ჩააცივდი, რას ერჩი ამ პატიოსან ახალგაზრდას? ნამდვილად რომ არაფერი დაუშავებია. (მთვრალს) მიბრძანდით, გეთაყვა, მიბრძანდით. საათი არ გვაქვს, მაგრამ ვარაუდით სამი შეიძლება იყოს და სამის მესამედიც. დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, რადგან რაც აქ ვსხედვართ, არც ერთი ჰიმნი არ გაგვიგია... ალბათ გამოგვეპარა, ანდა ჯერ ადრეა, თორემ, ერთ-ერთს მაინც დაუკრავდნენ აუცილებლად.

მთვრალი: არადა, ჩვენში რომ ვთქვათ, ვალდებულებიც ხართ, მიპასუხოთ, როგორც თუნდაც უფროსებმა. მე მხოლოდ ის გკითხეთ, რისი გაგებაც ახალგაზრდას მხოლოდ უფროსისგან შეუძლია — დრო და გზა — რა დროა და საით წავიდე მეთქი...

ბაბილა მეორე: (ხელით აჩვენებს) თქვენ იქიდან მოხვედით.

მთვრალი: კი მაგრამ, იქით ხომ უარესად ბნელა?!

ბაბილა პირველი: სიბნელიდან მოხვედით.

მთვრალი: მართალი ბრძანდებით. თუკი ტასოს დროს უკვე ბნელოდა, ცხადია, მეც სიბნელიდან მოვიდოდი. ყველანი სიბნელიდან მოვდივართ. ერთი წამით თუ დაეყოვნდებით ამ სამოთხეში

(ხელს მოატარებს ჰაერში) და ისევ სიბნელეს ვუერთდებით. ვინ იცის, რამდენი ხნით, თუ სამუდამოდ არა. თქვენი არ იყოს, მეც სიბნელის ლუკმა ვარ. დააღებს სიბნელე პირს და — ჰამ — გადამსანსლავს თავფეხიანად. ასე, ა!

გადის.

ბაბილა პირველი: თავხედი. ლოთი. უზნეო!

ბაბილა მეორე: მაგას რაღას ერჩი? თავისი უბედურებაც ეყოფა.

ბაბილა პირველი: მაგის ბრალია ყველაფერი. მაგისთანების! ხომ ხედავ, რას დაამსგავსეს აქაურობა. ბაბილონის ფეხსადგილს, ავგიას თავლას... ვერ შეიშნოვეს საკუთარი სიღარიბე, ვერ დააფასეს საკუთარი უმწეობა — სხვისი სიმდიდრე და სხვისი სიძლიერე ამჯობინეს... ის სხვა ამჯობინეს გაძევებულ ღმერთს და იმიტომაც დაბორიალობენ უთავბოლოდ ღმერთის დანატოვარ სიცარიელეში. კარისთვის ვეღარ მიუგნიათ. ეს საშიში, სახიფათო სიცარიელეა — ამოუვსები, უკიდეგანო, უჭერო, უფსკერო: ვერაფერს მოეჭიდები დიდი ხნით, საიმედოდ. ასე უნდა იხეტიალო სულ, სულ, სულ... აი, ამას ჰქვია განკითხვის დღე, მეორედ მოსვლა. ჩვენ კი, იმის მაგივრად, რომ „ვიგლოვ-ვიტიროთ, თმა ვიგლიჯოთ და ვიქვითინოთ“, ისევ იმედის ჭიას ვეფერებით, მონური თავგამოდებით ველაქუცებით: იქნებ, იქნებ, იქნებ... ხვალ თუ არა ზეგ, ზეგ თუ არა მასზეგ, მასზეგ თუ არა როდისმე, როდინობის კვირაში. კი არ მეშორებაო, მაგრამ მეჭორებაო. ყველანი დამნაშავენი ვართ: მეც, შენც, ისიც. ჩვენც, თქვენც, ისინიც... ყველანი! დიახ, ყველანი!

არ იქურდოთო და ვიქურდეთ. არ იმრუშოთო და ვიმრუშეთ. არ მოკლათო და მოვკალით. თანაც როგორ! სისხლის ზღვა დავაყენეთ. სისხლში ვდგავართ ყელამდე და მაინც სისხლი გვწყურია, მტრისა კი არა, საკუთარი, ერთმანეთის, მოყვასისა — რატომ შენ და არა მე, რატომ შენი და არა ჩემი, რატომ შენთვის და არა ჩემთვის... უკუდო ამპარტავნები ვართ, შინ ძლიერნი, გარეთ მხდალები. მტერი არც ვიცით, ვინ არის.

ბაბილა მეორე: მე არაფერში არა ვარ დამნაშავე. ღვთის გულისათვის... თუმცა, ახლა, შენი ლაპარაკის შემდეგ, ისეთი გრძნობა მაქვს. (ისმის ქალის **განწირული კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!**), ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს წუთია რაღაც საშინელი ბოროტმოქმედება ჩამედინოს. არადა, ამ წუთას, მგონი, მართლა კლავენ ვიღაცას. გესმის? ყოველ წუთას კლავენ ვიღაცას, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდე, არც ჩვენ გავვარდებით საშველად, არც სხვა ვინმე. სამაგიეროდ, ჩვენც ყველა მკვლელობის თანამონაწილენი ვართ, რადგან სხვა არაფერი არ შეგვიძლია. თქვენ არა გაქვთ ასეთი გრძნობა? მე მაქვს. თანაც, ეს გრძნობა თითქოს ახალი კი არ არის ჩემთვის, თანდაყოლილია, (ისმის ქალის **კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!**) თითქოს ამ გრძნობასთან ერთად დავიბადე. უფრო სწორედ, თითქოს იმიტომ დავიბადე საერთოდ, ეს გრძნობა რომ გამჩენოდა. ამავე დროს, ეს გრძნობა თითქოს ჩემი კი არ არის, ვიღაცამ მომახვია თავს. ვიღაცამ კი არა, შენ, თქვენ... თქვენი გაუთავებელი ქადაგებებით. ზუსტად მაინც ვერ ვამბობ, რისი

თქმაც მინდა. დამნაშავე არა ვარ, მაგრამ არ მიკვირს, დამნაშავედ რომ ვგრძნობ თავს. (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) თანაც, სრულებითაც არ ვცდილობ ამის დამალვას, არ შემიძლია და აკი არც ვმალავ. არც უარვყოფ. დამნაშავე კი ნამდვილად არა ვარ. არა ვარ. არა ვარ...

ბაბილა პირველი: ნუ იტყვი. წინასწარ მაინც ნუ იტყვი. ყველაფერი პირობითია. რაც შენთვის უდანაშაულობაა, ის სხვისთვის, შეიძლება, მიუტევებელი დანაშაული აღმოჩნდეს, და პირიქით. ესე იგი, კაცმა რომ დაგიჯეროთ, არც გიქურდიათ, არც გიმრუსიათ, არც არავინ მოგიკლავთ?!

ბაბილა მეორე: (მხურვალედ) ღმერთმა დამიფაროს!

ბაბილა პირველი: მით უარესი თქვენთვის.

ბაბილა მეორე: (გაკვირვებული) მართლა მეუბნებით თუ ვთამაშობთ?

ბაბილა პირველი: (ყვირის) რას ჰქვია, ვთამაშობთ! (ცოტა ხნის შემდეგ, ჩვეულებრივი ხმით) რასაკვირველია, ვთამაშობთ. აბა, რისთვისა ვართ აქ? რამდენჯერ ვთქვათ ერთი და იგივე?! მით უარესი თქვენთვის, ჩემო ბატონო, უფრო მკაცრად მოგეკითხებათ პასუხი. მსაჯულებს არ უყვართ, როცა ბრალდებული მიტევების, დიდსულოვნების გამოჩენის საშუალებას არ აძლევთ. პირადად მე, მიქურდია კიდეც, მიმრუშია კიდეც და კაციც მომიკლავს. თანაც, არა ერთი და ორი. შეიძლება, ჩემი ხელით არა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. რას ვიზამთ, როგორც ფრანგები ამბობენ, ასეთია ცხოვრება, ეს სამი ლოდი უდევს საფუძვლად — ქურდობა, მრუშობა, მკვლელობა. თუ ცხოვრება გინდა, სამივე უნდა შეგეძლოს, ანუ, სამივე ლოდს უნდა მოჰყვე ქვეშ ერთდროულად, სამივე

ლოდს სათითაოდ უნდა გაესრესინო შენი ნებით, ჭიაყელასავით. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია. თევზი თუ გიყვარს, ფეხიც სველი უნდა გქონდეს. ასეთია ხალხური სიბრძნე. ყოველ შემთხვევაში, ასეთია არსი ჩვენი არსობისა. უფრო სწორედ, ყველანი ასეთები ვართ და იმიტომაც არ ვთვლით თავს დამნაშავედ. და მართლაც, როცა ყველა დამნაშავეა, თავისთავად აღარც დანაშაული არსებობს, ანდა დანაშაული აღარ ჰქვია და ამდენად, არა მარტო შესაბამის სასჯელს, არამედ შესაბამის ჯილდოსაც იმსახურებს. მაგრამ სასჯელი განა ჯილდოზე მძიმე ასატანია? განა სასჯელიც თავისებური ჯილდო არ არის? ყოველ შემთხვევაში, ორივე ერთნაირად გვაიძულებს თავის მოდრეკას ვიღაცის, ჩვენზე ძლიერის წინაშე, ორივე ერთნაირად გვიბორკავს ხელ-ფეხს, ენას, სულს... რადგან ერთნაირად დამამცირებელია, გსჯიან თუ გაჯილდოებენ.

ბაბილა მეორე: თქვენ, ეტყობა, ჩემი შეშინება დაგისახავთ მიზნად. არადა, სრულებითაც არ გაგხართ ასეთ ადამიანს. თანაც, თუ არ მიწყენთ, ამგვარ „ნებაყოფლობით გულახდილობას“ ისევ დაკითხვა მირჩევნია. მეცოდინება მაინც, რისი გაგება უნდათ ჩემგან. დამეთანხმებით, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ზოგჯერ ნებისმიერ ძალადობაზე ძნელი ასატანია.

ბაბილა პირველი: კი მაგრამ, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ „ასეთი ადამიანი“? — სხვათა დამშინებელი, ფსიქო-ტერორისტი.

ბაბილა მეორე: როგორ გითხრათ... ძნელი სათქმელია. მართალია, გარეგნობა ყოველთვის ზუსტად ვერ წარმოაჩენს ადამიანის შინაგან ბუნებას, მაგრამ...

ბაბილა პირველი: ძალიან გულუბრყვილოდ აზროვნებთ. თქვენ მართლაც არ შეგიძლიათ, სერიოზული მტერი იყოთ სახელმწიფოსი. ნუ დაამთავრებთ. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. მაგრამ ჩემს აზრს, სადაც ჯერ არს, რასაკვირველია, ნაკლებად გაუწევენ ანგარიშს.

ბაბილა მორე: ღმერთო ჩემო, რაღა, მაინცდამაინც, მე... რაღა, მაინცდამაინც, აქ... რაღა, მაინცდამაინც, დღეს...

ბაბილა პირველი: (დაინტერესებული) ვითომ, რა ისეთი დღეა დღეს? ააა, გასაგებია. ყველა დღე ისეთივე განსაკუთრებულია, განუმეორებელია და ერთადერთია, როგორც დღე დაბადებისა და სიკვდილისა. ადამიანი ხომ, გარკვეული თვალსაზრისით, ყოველდღე ხელახლა იბადება და ყოველდღე ერთხელ კიდევ კვდება. ოღონდ, სხვა კი არა, თვითონაც ვერ ატყობს ამას. ამიტომ, არც მე ვიცი, მოგილოცოთ თუ მოგისამძიმროთ — ჯერ გასარკვევია, ხელახლა დაიბადეთ დღეს, თუ ერთხელ კიდევ მოკვდით. თუმცა, ჭკვიანი კაცი ამბობს, მკვდარი ცოცხალზე ბედნიერიაო, ხოლო, ორივეზე ბედნიერია ის, ვინც საერთოდ არ დაბადებულა. მაგრამ რაკი ერთხელ დაიბადეთ, ყოველ შემთხვევაში, უეთესი მომავალი ნამდვილად განაღდებული გაქვთ — სიკვდილი არ აგცდებათ. რაღა თქვენ გამოგტოვებთ, მაინცდამაინც. ასეთი უსვინდისობა სიკვდილისგანაც წარმოუდგენელია. იქამდე კი რამენაირად გაიყვანთ დროს, თუნდაც, ჩემთან საუბრით. არც ისე ბევრს ცხოვრობს ადამიანი, ბოლომდე ვერ ამიტანოთ. თუმცა, ერთი კია, ყველა ადამიანის სიცოცხლე ერთი და იმავე საზომით არ იზომება. მაგალითად, ღარიბი მეტს ცოცხლობს, ვიდრე მდიდარი; მში-

შარა გულადზე დღეგრძელია. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება, მათუსალაზეც ხნიერი აღმოჩნდეთ ბოლოს, თქვენი ჯიბისა და გულის ამბავი რომ ვიცი. და მაინც, მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა — გილოცავთ და, ამავე დროს, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.

ბაბილა მეორე: ყოველდღე სანდრო კვდება. მაგრამ მაინც ბედნიერია.

ბაბილა პირველი: ბედნიერია? სანდრო? (**გაღიზიანებული**) ხომ გითხარი უკვე, გაანებე სანდროს თავი-მეთქი!

ბაბილა მეორე: მთელი სიცოცხლე მკვდარი ვიყავი და ბედნიერებამ გამაცოცხლაო. ყველაფერზე ძნელი ასატანი მაინც ბედნიერება ყოფილაო. სიცოცხლე ძველებურად არ მინდა, მაგრამ სიკვდილიც აღარ შემიძლიაო. ვარო ექთანი უყვარს. (**შემცბარი**) არ უნდა მეთქვა შენთვის... მაგრამ შენგან რა დაიმალება! მაინც მათქმევინებდი. მოლოცვისა და მოსამძიმრებისთვის კი დიდი მადლობელი ვარ.

ბაბილა პირველი: მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ გგონიათ, შენ და... სანდროს. შე სულელო, ვარო ექთანს მართლა დასამშვიდებელი წამალი კი არ შეჰყავდა... შეჰყავს სანდროს დუნდულაში — აწვალებდა... აწვალებს. ცარიელი ნემსით ჩხვლეტდა... ჩხვლეტს. თანაც, რამდენჯერმე, მთელი ძალითა და მონდომებით. სანდრო ითმენდა... ითმენს, ის კი ერთობოდა... ერთობა. მე საერთოდ ყველაფერი ვიცი, მაგრამ ენაზე კბილის დაჭერაც შემიძლია. თქვენ კი ყველაფერი, რაც იცით და არ იცით, მარტო ენაზე კი არა, სახეზეც გაწერიათ. არ შეიძლება, ნამდვილად არ შეიძლება. ადამიანს ან რამე უნდა ჰქონდეს დასამალი, ან თავი მაინც უნდა ეჭიროს ისე, ვითომ რაღაცას ვმალავო. შენ კი ფეხზე მოარული

ცნობარივითა ხარ. (ცხვირზე ჰკიდებს ხელს) საინტერესოა, იფურცლები თუ არა. (იცინის) არ გეწყინოს, ვთამაშობთ.

ბაბილა მეორე: (გამწარებული) ნელა! მტკივა! მართლა მტკივა! ეს რა თამაშია! ეს უკვე... საერთოდ აღარ ვითამაშებ შენთან. სრულებითაც არ არის სასაცილო.

ბაბილა პირველი: ოოოოხ! როგორ არ არის... დამერწმუნეთ, დამერწმუნეთ, ასე გულიანად... ერთი ამ ოცი წლის წინ გამეცინა, დიაგნოზი რომ დამისვეს, და ერთიც დღეს. დიახაც რომ განსაკუთრებული დღე ყოფილა. ნუ გეწყინებათ, თქვენი შეურაცხყოფა გუნებაშიც არ გამივლია. თუ გატკინეთ, ბოდიშს გიხდით. მაგრამ ასე გულიანად... რა დაბნეული სახე გადეეთ, რომ იცოდეთ. ერთი თქვენსავით დაბნეული მეგობარი ადრეც მყავდა, ეგრეთ წოდებულ სიჭაბუკეში, სტუდენტობისას... სტუდენტობის ჟამი თქვენც კარგად მოგეხსენებათ — ჟამი მოსმენისა და ჟამი დასმენისა... საპირფარეშოში წყლის ჩამოშვება ავიწყდებოდა.

ბაბილა მეორე: (გამწყრალი) თუ ქარაგმებით ლაპარაკობთ, მართალი არ ხართ. წყლის ჩამოშვება კი არ მავიწყდება, წყალი არ მოდის საერთოდ. ანდა, მაშინ არ მოდის, როცა საჭიროა.

ბაბილა პირველი: კმარა. გვეყოფა. აკი ბოდიში მოგიხადე. მე სხვა მიკვირს და სხვა მაოცებს. თუ დაკვირვებიხარ, არაფერი არ სწყინს ადამიანს ისე, როგორც ცხვირზე ხელის მოჭერა. რაც გინდა, ის უყავი, ოღონდ, მის უდიდებულესობას ნუ შეეხები. ადამიანის მთელი სიამაყე ცხვირშია თავმოყრილი. ჩვენი მაგალითი ავიღოთ თუნდაც. მე რომ თქვენთვის პანღური ამომერტყა, ან ყური ამეწია, მაშინვე დამნაშავედ

ჩათვლიდით თავს, დაფრთხებოდით, დაიმორცხვებდით და, უპირველეს ყოვლისა, ჩემი გულის მოგებას შეეცდებოდით, თავის ქიცინითა და ხელების ფშვნეტით, პირობასაც დამიდებდით, არასოდეს რომ აღარ გაიმეორებდით ამგვარ... თუმცა, არც იმას იკითხავდით, რაში გედებოდათ ბრალი, რითი დაიმსახურეთ პანღური და ყურის აწევა. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ოდნავ შემეხო ჩემი ორი თითი თქვენი ცხვირის უკიდურესი წერტილისთვის, წვერისთვის, ყუმბარასავით აფეთქებულიყავით, სისხლი თვალებში მოგწოლოდათ, ყბა მოგცქეოდათ და... სიამოვნებითაც მომკლავდით ალბათ, მკვდრის რომ არ გეშინოდეთ. ნუთუ უარესი შეურაცხყოფა მართლა არავის მოუყენებია თქვენთვის? ნუთუ უსაფუძვლოდ შეგინებულ, უფლებააყრილ კაცს, რომელიც აღარც ცოცხლებში ითვლება და აღარც მკვდრებში, აუცილებლად ცხვირზე უნდა მოუჭირო ხელი, საბრძოლველად რომ აღეგზნოს?! სხვას ვერაფერს ხედავთ თქვენს გარშემო შეურაცხმყოფელს, დამამცირებელს, დამამდაბლებელს? და თუ ხედავთ, როგორ შეგიძლიათ აიტანოთ ყველაფერი მკვდრის გულგრილობით? მართლა ხომ არ მოვმკვდარვართ ჯერ? თქვენ ხომ ნამდვილად ცოცხალი ხართ? მე როცა ხალხს მოეუწოდებდი, თქვენ პირზე ხელს მაფარებდით, კალთაზე მექაჩებოდით, ხალხის მტრობას მწამებდით, თითქოს ჯერ არავის ეთქვას თქვენთვის, თავისუფლების ძებნაში მკვდარი სჯობს მონობაში გადიდკაცებულსო. ასე იყო სულ, ასეა დღესაც და ხვალაც ასე იქნება. არ შეიძლება, შეუძლებელია,

ერთი აზრი გექონდეს ჩვენ, ერთი გზა, ერთი მიზანი... ამიტომაც არ ვართ ღირსნი თავისუფლებისა. ამიტომაც ვმარცხდებით და დავმარცხდებით ყოველთვის. ჩემი მიზანი ვარსკვლავივით კი ანათებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე დროს, ვარსკვლავივით უნაყოფოცაა. ამიტომაც მერქვა ვარსკვლავის შვილი ოდესღაც, ვარსკვლავის შვილი კოხბა, სახალხო გმირი! რასაკვირველია, ცენზორის დასაბნევად, გზა-კვალის ასარევად. მე რომ უნივერსიტეტის სცენაზე გამოვიდოდი, გოგოებს გული უღონდებოდათ. განსაკუთრებით, ფილოლოგებს. გახსოვთ? რასაკვირველია, გახსოვთ. კარგად გახსოვთ. სხვებსაც ახსოვთ. იმიტომაც ეშინიათ ჩემი. არც ერთმა ტირანმა არ იცის, კიდევ როდის ამოვბრწყინდები მისი კეთილდღეობის ხელოვნურ ცაზე... როდის დავუფეთებ აღვირახსნილი ცხოვრებით აქოთებულ წყვდიადს მის მორჩილ ქვეშევრდომებს. ესე იგი, თქვენც.

ბაბილა მეორე: რაც მართალია, მართალია — დიდებული სანახაობა იყო. ახლაც ცხადად დამიდგა თვალწინ ყველაფერი. გაფითრებული პროფესურა. აღგზნებული სტუდენტობა. სცენაზე ამბოხი, დარბაზში ჩურჩული და მუჯლუგუნები. სკამი რომ არ ეყოთ, იატაკზე იჯდა ხალხი. ნემსი ვერ ჩავარდებოდა. სხვათა შორის, მართლა ბევრს შეუღონდა იმ დღეს გული, ფილოლოგსაც და ქიმიკოსსაც. ზოგს სიცხისგან, ზოგს — შიშისგან. და მაინც ის დრო სჯობდა. ახალგაზრდები მაინც ვიყავით. ლუკმის შოვნა უფრო ჭირდა, ვიდრე დაღეჭვა. როგორ თქვით წეღან? ჟამი მოსმენისა და ჟამი დასმენისა... სუსტია ადამიანი. ვინ იცის, იქნებ ჩვენც ხალხი

გამოესულიყავით, სხვანაირად რომ წარმართულიყო ცხოვრება...

ბაბილა პირველი: აი, კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი წმინდა გულუბრყვილობისა თუ გულუბრყვილო სიწმინდისა. ჯერ ერთი, ცხოვრება ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ წარიმართებოდა სხვანაირად. მესაჭემ თავისი საქმე იცოდა. მეორეც ერთი, გინდაც არ გამოვეპანღურებინეთ უნივერსიტეტიდან, მაინც არავინ მოგვცემდა საიმისო განათლებას, მართლა გამოვდგომოდით ვინმეს. სწავლა სხვაა, სავალდებულო სწავლა კი — სხვა. სავალდებულო, სწავლა იქნება თუ თამაში, დამნაშავეებს ამრავლებს მხოლოდ. დამნაშავის აშენებული ქვეყანა კი ჯერ არავის გაუგია. თუ ჩემი არ გჯერათ, უფრო ყურადღებით მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ... ადამიანი მარტო სუსტი რომ იყოს, კიდევ უშველიდა თავს, მაგრამ, საუბედუროდ, დაუნდობელიცაა. ხიდან ნიჩბის ტარიც გამოითლება და ცულისაცო, მაგრამ მთავარი ხე კი არ არის, მთავარი გამომთლელია. ჩვენც ასეთებად გამოგვთალა ვიღაცამ, ჩვენზე ჭკვიანმაც და ღონიერმაც...

ბაბილა მეორე: ბატონო ჩემო, ადამიანი ნამდვილად სუსტი არსებაა და ნამდვილად ემორჩილება ძალადობას. ეს ათასგზის დამტკიცებულია უკვე. მაგრამ შენ თუ მართლა გული შეგტკივა ადამიანზე, ზედმეტად არ უნდა დააჭირო ფეხი. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, უნდა გეცოდებოდეს, ხანდახან მაინც. სიმხდალეც, სიბეცეც, დაუნდობლობაც დროთა განმავლობაში შეძენილი თუ გამომუშავებული თვისებები და მიდრეკილებებია და, მხოლოდ და მხოლოდ, ბიოლოგიური ინსტინქ-

ტებით, თავდაცვის ჟინითაა განპირობებული. ბევრი უაღრესად ადამიანური მანკიერება თავად ადამიანის ბრალი არ არის. თავსმოხვეულია გარემოებისა თუ მტრების მიერ. ერთს ყოველთვის შეუძლია მეორის დაშინება, დამდაბლება, გამოთაყვანებაც კი, მაგრამ კეთილშობილ ადამიანს ფიქრადაც არ უნდა მოსდიოდეს ამგვარი რამ, რადგან ამგვარი ფიქრის, განზრახვისა თუ მიზნის გაჩენასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, თვითონვე კნინდება, უფასურდება და კვდება კიდეც, რამდენადაც თავისი ფიქრით, განზრახვითა თუ მიზნით არავითარი სიკეთის მოტანა აღარ შეუძლია საზოგადოებისათვის, ზოგადად ადამიანისთვის...

ბაბილა პირველი: (ხელს აიქნევს) საკმარისია. აკი ერთხელ უკვე გითხარით, გულუბრყვილოდ აზროვნებთ-მეთქი. გულუბრყვილობა ყველაზე დამამცირებელი თვისებაა ადამიანისთვის — ჯიბის ფანარივითაა, მარტო ფეხის წვერს თუ გაინათებ იმის დახმარებით, ორ ნაბიჯში ჩასაფრებულ ქვას კი ვერ დაინახავ, ვიდრე ფეხს არ წამოკრავ და კისერს არ მოიტეხ. ადამიანის უბედურება ის კი არ არის, მეორე ადამიანი რომ არსებობს, რომელსაც მისი დაშინება ანდა დაკნინება შეუძლია, როგორც თქვენ ბრძანებთ, არამედ იმიტომაა უბედური, საკუთარ თავს რომ ვერ მორევია, ანუ, ვერ გაუკეთებია არჩევანი კარგსა და ცუდს შორის, კეთილსა და ბოროტს შორის, სასარგებლოსა და საზიანოს შორის. ადამიანი, პირველ რიგში, საკუთრი თავის მტერია. იმიტომ რომ, ყველაფერი ორი აქვს. არა მარტო ფეხი ან ხელი, თვალი ან ყური... — ფიქრიც, აზრიც, მიზანიც,

თვალსაზრისიც... მდინარესავით, ორ ნაპირს შორის მიედინება სულ და არ იცის, ვერ დაუდგენია, რომელი ურჩევნია, მარჯვენა თუ მარცხენა, რომელ ნაპირს მიეტმასნოს უფრო მეტად, რომელს მიეხეთქოს მთელი ძალით, რომელს მიელამუნოს ვნებიანად და რომელს გაულაწუნოს მღვრიე ტალღა, სილასავით... მთელი სიცოცხლე ირჩევს, მაგრამ ისე უერთდება ზღვას, ანუ, ისე იკარგება, ითქვიფება, ქრება უსასრულობაში, არარაობაში, სიკვდილში — არჩევანს ვერ ასწრებს, საშოვარზე გამოშვებული, ხელცარიელი უბრუნდება გამჩენს. მიწა ხარ და მიწად იქეცო. უფრო სწორედ, წყალი ხარ და წყლად წადიო. უფალო, განანათლე ცოდვილი სული მონისა შენისა... მაგრამ ვისი? განა ვიცით, ვინა ვართ? არ ვიცით, იმიტომ რომ, ისიც ვართ და ისიც. ანდა, ისიც გვინდა ვიყოთ და ისიც, კარგიც და ცუდიც, კეთილიც და ბოროტიც, მდიდარიც და ღარიბიც, შესაშურიც და შესაცოდიც, თავისუფალიც და მონაც... ამიტომ, ცოტა ხნით გვერდზე გადადეთ თქვენი გულუბრყვილობა და რაკი ასეთი კარგი შემთხვევა მოგცათ ღმერთმა, გამოიყენეთ. გამომიყენეთ-მეთქი, ჩემზე მოგახსენებთ. დღეს ლაპარაკის გუნებაზე ვარ და არ დაგზარდებით ზოგიერთი რამის გარკვევას. საკითხის გამარტივების მიზნით, გამარტივებას კი მსმენელთა მომზადება და შესაძლებლობანი გვაიძულებს მხოლოდ, გადაიდეთ მაგალითებზე. ავიღოთ პირველივე მაგალითი, რომელიც ენაზე მოგვადგება. ვთქვათ, მგელი და ირემი. გასაგებია?

ბაბილა მეორე: რა თქმა უნდა, გასაგებია. მგელი და ირემი. რა ძნელი გასაგები კიდევ ეს არის?!

ბაბილა პირველი: მაგრამ იმის გაგებაც თუ შეგიძლიათ, პირადად თქვენ ერთდროულად ორივე რომ ხართ — მგელიც და ირემიც?! ალბათ შეგიძლიათ. ამაზე ადრეც ვილაპარაკეთ. ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ არ შეგიძლიათ აირჩიოთ, არ იცით, რომელი გირჩევნიათ, რომელი გინდათ იყოთ საბოლოოდ, სამუდამოდ...

ისმის მილიციელის სასტვენის ხმა.

ბაბილა მეორე: რომელი მირჩევნია? ალბათ მაინც ირემი მინდა ვიყო.

ბაბილა პირველი: დამეთანხმეთ, რომ „ალბათ" სრულებითაც არ გამოხატავს თქვენი პასუხის სიმტკიცეს. მაგრამ დავუშვათ, რომ მართლა ირმობა გირჩევნიათ. მაშინ ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, მე მგელი ვიქნები და ყველანაირად შევეცდები ჩემი მგლური მოვალეობის აღსრულებას. თქვენ ალბათ, ოდესაც, თუნდაც ბავშვობაში, გიტირიათ კიდეც ყელგამოღადრული ირმის წარმოდგენაზე. ხომ მართალია? **(ბაბილა მეორე თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.)** წარმოდგენაზე-მეთქი, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, თუ გინახავთ, მხოლოდ ზოოპარკში გინახავთ ირემი. შესახედად პირწავარდნილი ქალაქელი არსება ხართ, ასფალტზე გაზრდილი. ალბათ გულიც გადაგბრუნებიათ ასევე წარმოდგენილი მგლის კბილების ღრჭიალზე, ირმის გამოფატრულ მუცელში რომ შეუყვია თავი და უკანა ფეხებით ფხოჭნის მიწას, იმასღა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ხორცი აართვას ნადავლს, ვიდრე მიწა უზამდეს პირს, თავფეხიანად, ხორციან-ძვლიან-ტყავიანად. ხომ მართალია?

ბაბილა მეორე: (შეშფოთებული) მართალია. მაგრამ...

ღვთის გულისათვის... ისედაც სული
კბილით მიჭირავს ამ სიბნელეში.

ბაბილა პირველი: აი, აქედან იღებს სათავეს თქვენი
გულუბრყვილობა, რომელიც, დროთა
განმავლობაში, უვიცობასა და სიმხდა-
ლეში გადაზრდილა. უვიცობამ და
სიმხდალემ, ბუნებრივია, შეცდომა
ჩაგადენინათ: (ყვირის) კი არ უნ-
და გექვითინათ შეყვარებულ გოგო-
ნასავით, სიხარულის ყიჟინა უნდა
დაგეცათ, ბრიყვო! გულს რწმენა და
იმედი უნდა ჩაგსახვოდათ, რადგან
თქვენ თვალწინ მარადიულობის,
ურთიერთგაგებისა და პატივისცემის,
გარდუვალობისა და აუცილებლობის
რიტუალი სრულდებოდა... და კიდევ
მრავალჯერ აღსრულდება ალბათ.
თუნდაც დღესაც, ახლავე, ამ წუთას...
ორივე აქ ვართ — მგელიც და ირემიც!
ხელს რა შეგვიშლის ვითომ? მე შენ
გეტყვი, მილიცია გამოჩნდება დროზე,
ანდა ვინმე გამველელი აიტკიებს
ჩვენი გულისთვის თავს, ზეთითა და
ღვინით მოგვბანს ჭრილობებს. თავი
ქვას გიხეთქიათო — მოგვაძახებს,
თუ მართლა ჩამოიარა ვინმემ, და
წავა ბაღიდან გასასველელის სა-
ძებნელად. მაშ ასე, მე მგელი და
შენ ირემი! ახლავე შეგახრამუნებ;
(ხელებს იფშვნეტს სიამოვნებისგან)
ისე შეგახრამუნებ, მარტო რქები
და ჩლიქებიღა დარჩება შენგან...
და კიდევ — შიგანი, კუპატივით
გატიკნული. (სიცილით) მგელი კი
ვარ, მაგრამ რაც არ იჭმეევა, არ
ვჭამ.

ბაბილა მეორე: საშინელებაა.

ბაბილა პირველი: არ ვარგა. თქვენს შეძრწუნებას და-
მაჯერებლობა აკლია. ინტონაციას
მიაქციეთ ყურადღება. ინტონაციას
დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს რომ
ჩვენმა მსახიობებმაც იცოდნენ, დი-
დად მოიგებდნენ. ინტონაცია სიტყვის

გასაღებია. სიტყვის გაღება კი ისევე შეიძლება, როგორც კარისა. საქმე ის არის, რომელ კარს მოუნახავ სიტყვას და რა დაგხვდება იმ კარს იქით: საკუჭნაო თუ საძილე ოთახი, საკანი თუ პალატა, სენაკი თუ მღვიმე. თუ სწორ ინტონაციას აირჩევთ, ესე იგი, თუ კარგად მოარგებთ სიტყვას გასაღებს, მაშინ სხვებიც დაინახავენ და მიხვდებიან, რას ეძახით თქვენ, დავუშვათ, საშინელებას. აბა, დავიწყოთ.

ბაბილა მეორე: საშინელებაა!

ბაბილა პირველი: ასე თითქოს არა უშავს. გასაღები ხელთა გაქვთ, მაგრამ ხელი გიკანკალებთ...

ბაბილა მეორე: საშინელებაა!!

ბაბილა პირველი: საკმარისია. ამჯერად ესეც კმარა. რომი ერთბაშად არ აშენებულა.

ბაბილა მეორე: მე მართლა მეშინია. ჩვენს მეტი ბაღში არავინაა. იმ მთვრალმაც ალბათ უკვე რახანია გააღწია აქედან. ვინ იცის, მეორე პირ სიზმრებს ხედავს.

ბაბილა პირველი: ჩვენი აქ ყოფნა მარტო იმითაა გამართლებული, მარტონი რომ ვართ. ჩვენ რასაც აქ ვიტყვით, ამ სიბნელეში — მოედნებზე იქადაგებენ. მეორეც ერთი, მე ჯერ არ დამიმთავრებია სათქმელი. დიახ, მგელი და ირემი ერთი არსებაა. აი, ეს არის თვალნათელი მაგალითი ორბუნებოვანებისა. ორი არსება ერთი მთლიანი ორგანიზმია. ორი უდრის ერთს. მაგრამ ჩვენ ცხოვრების მაცდურ ლინზაში ერთს ორად ვხედავთ, როგორც მთვრალი საკუთარ გამოსახულებას — სარკეში. ჩვენი მთვრალი ასე იოლად ვერ დაიძინებდა, გინდაც გაეღწია აქედან. ძალიან იყო მთვრალი. არა მარტო ორად ვხედავთ, არამედ ორ სრულიად განსხვავებულ არსებადაც. მართლაც, სად მგელი და სად ირემი! მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა ასე.

ლინზის ბრალია. ლინზის კი არა — ჩვენი, რადგან ჩვენივე დაუდევრობის გამო, ყოველთვის გვავიწყდება ლინზის თვალიდან მოშორება. ლინზა კი მართლაცმაცდურია.ნამდვილადეშმაკის ხელსაწყოა. ყველა ჩვენი შეცდომა ლინზის ბრალია. გასაგებია?

ბაბილა მეორე: (ფიქრიანად) გასაგებია.

ბაბილა პირველი: ჰოდა, თუ გასაგებია, დასკვნა თვითონ გამოიტანე. მე მგონი, მაგალითი იმდენად მარტივია და, ამავე დროს, იმდენად ნათელი, დასკვნის გამოტანა ნორმალურ ადამიანს არ უნდა გაუჭირდეს, თუ განგებ არ კამათობს, უფრო სწორედ კი, თუ დროის გასაყვანად კამათობს მხოლოდ, გასართობად.

ბაბილა მეორე: კი მაგრამ, რატომ ხდება, ირემი ყოველთვის რომ ირემია, მგელი კი — მგელი. ერთხელ პირიქითაც მოხდეს. ერთხელ ირემი მგელი იყოს, ხოლო მგელი — ირემი.

ბაბილა პირველი: მეც მაგას ვამბობ სწორედ! სხვაგან ქრის შენი გონება, სანდროსთან. ვარო ექთანთან. ტყუილად მილაპარაკია ამდენი ხანი და ესაა. რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე. დამშვიდებული ბრძანდებოდე, ასეთი გარდაქმნა აუცილებელიცაა. მგელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მგელი, თუკი თავად ურჩევნია მგლობა ირმობას და, რაც მთავარია, დრო და გარემო უფრო მგლისთვისაა შესაფერი, ვიდრე ირმისთვის, უფრო მგლური ბუნების გამოვლენას უწყობს ხელს და ამდენად, შესაბამისად იზრდება მგლობისკენ მიდრეკილებაც. მარტივად რომ ვთქვათ, მგლობა ირმობაზე ხელსაყრელია. ალბათ — პრესტიჟულიც.

ბაბილა მეორე: (სევდიანად) ასეა ყოველთვის.

ბაბილა პირველი: არა. უბრალოდ, ჩვენი თვალთახედვაა მოკლე. ყოველთვის ასე არ არის,

ოღონდ, ვერავინ ამჩნევს, როდის და როგორ ხდება ეს დიდებული სახეცვლილება. როდის, რანაირად იქცევა ხოლმე მგელი ირმად, ირემი კი — მგლად. მთავარია, ერთ-ერთი აუცილებლად ირემი იყოს, მეორე კი მგელი — საძებარი რომ არ გახდეს საჭიროების შემთხვევაში. ერთდროულად ყველას ირმობა, ანდა ყველას მგლობა რომ მოუნდეს, აირევა ყველაფერი. წარმოიდგინეთ, თეატრში ჰამლეტსაც ხელმწიფესავით რომ ეცვას.

ბაბილა მეორე: (დაინტერესებული) ეგ რაღა შუაშია? მე მგონი, თქვენს მოსაზრებას, ამ შემთხვევაში, ცოტა დაზუსტება სჭირდება. განა სამოსელის გამოა ჰამლეტი ჰამლეტი, ხელმწიფე კი ხელმწიფე?!

ბაბილა პირველი: რასაკვირველია. თეატრში ნადვილად ასეა. და არა მარტო თეატრში. თეატრი, უბრალოდ, ზოომუზეუმივითაა — ნამდვილი მხეცების ნაცვლად, იქაც ფიტულები დგას და ყველა მათგანს გარკვევით აწერია — იკბინება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია პიესის ავტორსაც და სპექტაკლის რეჟისორსაც. ასე რომ, ხელმწიფე იქამდეა ხელმწიფე, სანამ სცენაზეა. კოსტუმსაც ეს დანიშნულება აქვს მხოლოდ — ვისაც მეფის კოსტუმი აცვია, ის მეფეა, ვისაც მასხარისა — მასხარა. მაყურებელი ასე უფრო იოლად მიხვდება, ვინ ვინ არის, თორემ მარტო ავტორის ტექსტისა და რეჟისორის მიზანსცენების ანაბარა, შეიძლება, გაუჭირდეს იგივე ხელმწიფისა და ჰამლეტის გარჩევა. რამდენია, საერთოდ რომ არა აქვს წაკითხული „ჰამლეტი“! რამდენია, საერთოდ რომ არ უსმენს ტექსტს თეატრში! ამიტომ, მეფეს მეფის ტანსაცმელი უნდა ეცვას, ჰამლეტს —

ჰამლეტისა. თუ არ მოსწონთ, ამაზე ადრე უნდა მოილაპარაკონ, როლების განაწილებამდე, რადგან იქამდე ორივენი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, საშტატო ერთეულები, და, ადვილი შესაძლებელია, ორივენი მეფობაზე ოცნებობდნენ. სცენაზე კი, ისევე როგორც ცხოვრებაში, აუცილებელია, ერთი მეფე იყოს, მეორე — ჰამლეტი. ორი ჰამლეტი ერთდროულად ისევე აუტანელია, როგორც ორი მეფე. წარმოიდგინე, კარგ დროს, კარგი ქვეყნის კარგ რესტორანში კარგი სადილი შეუკვეთო და პირველ-მეორის ნაცვლად ორივე პირველი ან ორივე მეორე კერძი მოგიტანონ.

ბაბილა მეორე: პირადად მე, სიამოვნებით შევჭამდი ახლა ორ ულუფა კატლეტს, ან ორ ულუფა ხარჩოს.

ბაბილა პირველი: მე კარგ ხალხზე მოგახსენებთ, კარგ ქვეყანაზე, კარგ დროსა და კარგ რესტორანზე. მასშტაბების გარდა, თეატრში დროც შეზღუდულია, უფრო სწორედ, დროის მარადიული დინებიდან, რომელსაც ვერავითარი საათი ვერ აღნუსხავს, ჯადოქრის მიერ ის პატარა მონაკვეთია ამოგლეჯილი და ჩარჩოში ჩამწყვდეული, როცა ჰამლეტი მხოლოდ ჰამლეტი იყო, ხელმწიფე კი — მხოლოდ ხელმწიფე. ისინი სახეცვლილებას ვერ ასწრებენ, ვერ ახერხებენ, რადგან სულ ჩვენ თვალწინ არიან. ორივენი, როგორც იტყვიან, მუჭში გყავს გამომწყვდეული და, როგორც არ უნდა უნდოდეთ, უკან დასახევი გზა აღარ რჩებათ. სხვათა შორის, ისევ, როგორც ჩვენ. მაგრამ თეატრზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ერთს კი გეტყვით: თუ იცით, რატომ გაქვთ საყელოზე ღილები აჭრილი? ბოლომდე რატომ არ გეკერებათ საყელო?

ბაბილა მეორე: (ხელს ისვამს ყელზე) საყელო? ღმერთო ჩემო, მართლა როგორი მოღღეღილი მაქვს საყელო. თანაც ამ სიცივეში...

ბაბილა პირველი: იმიტომ რომ, მარადიული ტუსაღი ხარ. თუ გნებავთ, მარადიული სნეული. საკნისა თუ პალატის ბინადარი... ეს ერთი და იგივეა. უსაყელო კაცი საკეტმოშლილი ჩემოდანივითაა, ვისაც უნდა, ის გახსნის და გაქექავს. უსაყელო კაცზე ბატონობენ, საყელოიანი ბატონობს. თუ გახსოვს, სანამ უშანგი ჰამლეტი იყო, სულ საყელომოღღეღილი პერანგი ეცვა.

ბაბილა მეორე: (დამცინავად) ესე იგი, თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ ჰამლეტი როდისმე ხელმწიფედ იქცევა?!

ბაბილა პირველი: რა თქმა უნდა. ეს ჩვენზე უფრო შორსმჭვრეტელ კაცს მიაჩნდა დასაშვებად და ამიტომაც გამონახა ერთადერთი გზა, რომელიც სამარადისოდ გადაარჩენდა ჰამლეტს, ხელს შეუშლიდა ჰამლეტის გახელმწიფებასა და ხელმწიფის გაჰამლეტებას. სიკვდილი! სიკვდილი მართლაც ერთადერთი გზაა, რადგან სანამ ცოცხალია, ამ საქმეში ვერავის ენდობი, ვერც ჰამლეტს — ისიც ადამიანია და ისიც სულ არჩევანშია.

ბაბილა მეორე: (კვიმატურად მომღიმარი) თქვენი თვალსაზრისით, ჰამლეტი თვალთმაქცი ყოფილა. ალბათ — ოფელიაც. ორივენი, ჩვენი არ იყოს, იგონებენ გიჟობას.

ბაბილა პირველი: აი, კიდევ ერთი გამოხატულება უკვე მრავალგზის შემჩნეული თქვენი გულუბრყვილობისა. განა როდისმე ვთქვით, თაღლთმაქცობენო, გიჟობას იგონებენო... ისინი, უბრალოდ, იმ წუთას, იმ მარადიულ წუთში ისე ცხოვრობენ, როგორც შეუძლიათ, როგორც უნდა იცხოვრონ, როგორც ჰამლეტს და ოფელიას, ისევე რო-

გორც სპექტაკლის სხვა ნებისმიერ მონაწილეს, ეკადრება და შეშვენის. ხოლო შორიდან მაყურებლები, მათ შორის თქვენც, ვისაც მათი ცხოვრება არ მოგწონთ, ამბობთ, გიჟები არიანო. გიჟებად სხვები თვლიან იმათ, რადგან ხელს აძლევთ იმათი სიგიჟე. გიჟობით ბევრი რამის ახსნა შეიძლება, ბევრი რამის გამართლებაცა და გამტყუნებაც. მაგრამ განა შეიძლება გიჟმა თავი მოიკლას?

ბაბილა მეორე: სანდრო?! სანდრომ ხომ მოიკლა ერთხელ თავი? ერთხელ კი არა, ბევრჯერ... აბა, თუ ბიჭი ხარ, უთხარი ჩვენს ექიმს, სანდრო გიჟი არ არის, გიჟობას იგონებსო.

ბაბილა პირველი: ისევ სანდრო! სხვა სახელი არ იცი? სანდრო ალბათ მართლა გიჟია, თორემ რამდენჯერმე კი არ მოიკლავდა თავს, არამედ — ერთხელ და სამუდამოდ, საბოლოოდ, ნამდვილად. სანდროს ჰგონია, მართლა იკლავს თავს. ეს კი სიგიჟის კლასიკური სიმპტომია. სხვათა შორის, ჩემი თხოვნა იქნება, სანდროს ნულარ ახსენებ. ვითომ არ არსებობს. მიზეზს სხვა დროს გეტყვი, ახლა ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი. ისე, რამდენი გიჟია, დადგენილიც და დაუდგენელიც, მაგრამ კარის სახელურზე კი არ იხრჩობს თავს, თუნდაც, სხვათა ცოდვების მოსანანიებლად! ასე რომ, დაიმახსოვრე — გიჟები თავს არ იკლავენ. გიჟს გინდაც უნდოდეს სიკვდილი, მაინც ვერ მიხვდება, რა უნდა. ოფელიამ კი კარგად იცის, რაც უნდა. ყველაფერს მოფიქრებულად, გამიზნულად აკეთებს. მისთვის სიკვდილი მარადიულობასთან შეუღლებაა. სიკვდილის სარეცელი იგივე საქორწილო სარეცელია. ამიტომ, ვიდრე წყალში

გადახტებოდეს, ჯერ ყვავილებით რთავს წყლის ზედაპირს. გიჟი თავისებურად ბედნიერიცაა. ერთი ვარო ექთანი ყველა გიჟს ყავს. უბედურებაა, სრულ ჭკუაზე მყოფს, შენზე ძლიერმა თუ დაგიძახა გიჟი ხარო. მერე, დამეთანხმები, საწინააღმდეგოს, ანუ, სიმართლის დამტკიცება ძალიან ძნელია. მე თუ მკითხავთ, შეუძლებელიცაა, რადგან გიჟებივით სწორედ ნორმალური, სრულ ჭკუაზე მყოფი ადამიანები იქცევიან. შენ თუ სახელმწიფო ხარ და გული შეგტკივა შენს ქვეშევრდომზე, ისეთ დღეში არ უნდა ჩააყენო, გიჟივით მოიქცეს — გიჟივით იყვიროს, გიჟივით იხარხაროს, გიჟივით იხტუნაოს ქუჩაში და გიჟივით უბრიალოს თვალები გამვლელ-გამომვლელს...

ბაბილა მეორე: სად ხედავ ნეტავ გამვლელ-გამომვლელს. ერთი მთვრალი დაბორიალობდა და ისიც დაიკარგა. მცივა.

ბაბილა პირველი: (გაღიზიანებული) რაღაც არ გამოდის დღეს ჩვენი საუბარი. გავიგეთ, რომ ცივა! სხვათა შორის, ახლა რომ ცხელოდეს, ის იქნებოდა გასაკვირი და შესაშფოთებელი. თუმცა, მალე ალბათ ასეც იქნება — ზამთარში სიცივე, ზაფხულშიც სიცივე. სიბნელე ღამითაც და დღისითაც. აქეთკენ მიდის ყველაფერი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, კოლეგა ჩემო ირემო! გინდა გაგათბო?

ბაბილა მეორე: (დაეჭვებული) როგორ, თორემ კი. ხომ არ ჩამიხუტებ ამ შუაღამისას, ბაღის სკამზე? მართლა რომ გამოიაროს ვინმემ, ხომ გაგიჟდება? აკი იმ მთვრალსაც შეყვარებულები ვეგონეთ — კაცი და კაცი!

ბაბილა პირველი: (აღგზნებული) პირიქით, პირიქით. შენი ჩახუტება არც მიფიქრია. ან შენ რამ გაფიქრებინა. მართლაც რომ უცნაური ფიქრები მოგდის

თავში. რისი ბრალია, არ ვიცი. შენ თვითონ გაარკვიე. მე, უბრალოდ, იმის შეხსენება მინდოდა, შენ რომ ირემი ხარ, სხვათა შორის, შენივე სურვილით; მე კი — მგელი, ამ შემთხვევაში, იძულებით, რაკი არ-ჩევანი დამასწარი. მაგრამ, გათბობა თუ გვინდა, უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებთ. ირემი რომ მგელს გადაეყრება, რა უნდა ქნას? პირში ხომ არ ჩაუვარდება თავისი ნებით? ხოდა, რაკი ირმობა გირჩევნია, გაიქეცი, მე კი გამოგეკიდები.

ბაბილა მეორე: ესე იგი, ისევ ვთამაშობთ? აღარ მოგბეზრდა ამდენი თამაში? ყველაფერს სჯობია, დაებრუნდეთ. რაც არ უნდა იყოს, ჩვენი ტანსაცმელი ბაღებისთვის არ არის გათვალისწინებული. მართალია, აქაც იგივე სუნი ტრიალებს, მაგრამ მაინც რა შედარებაა.

ბაბილა პირველი: (მკაცრად, მგზნებარედ) მე რასაც გეუბნები, ის გააკეთე. გაიქეცი და გამოგეკიდები. თუ დაგეწევი, შეგჭამ. (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!)

ბაბილა მეორე: (მტკიცედ) არა!

ბაბილა პირველი: არა კი არა, კი! სანდროსი არ იყოს, მართლა კი არ შეგჭამ, ვითომ...

ბაბილა მეორე: არა-მეთქი. ყველაფერს ხომ არ დაგიჯერებ, ბოლოს და ბოლოს.

ბაბილა პირველი: ძალიან ადვილია. მთავარია, თავი დაირწმუნო, მართლა ირემი ვარ და მართლა შესაჭმელად მომდევნო (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) ნუ უსმენ. თვალები მაგრად დახუჭე, ორივე ბარძაყზე, რაც ძალი და ღონე გაქვს, იჩქმიტე, აი, ასე, და ჩქარ-ჩქარა იმეორე: ირემი ვარ, ირემი ვარ, მგელი მომდევს შესაჭმელადო. აბა, დავიწყოთ. (ისმის ქალის კივილი.)

ბაბილა მეორე: ირემი ვარ, ირემი ვარ... არ მინდა. გამანებე თავი. რა დროს თამაშია, მოკლეს ვიღაცა.

ბაბილა პირველი: ეგ იგივე ქალია, წეღანაც კიოდა. თვალები დახუჭე და მაგრად იჩქმიტე, გამეტებით, ვითომ მე მჩქმეტ.

ბაბილა მეორე: მტკივა. ირემი ვარ, ირემი ვარ... მგელი მომდევს შესაჭმელად. (ისმის ქალის კივილი.) ვაიმე, ჩემო არგა-ჩენილო ცოლ-შვილო. ხომ ხედავ, არ გამომდის.

ბაბილა პირველი: კარგია, კარგია! როგორ თუ არ გამოგდის... ოღონდ, გაზონზე არ გადახვიდე, ბილიკზე ირბინე. დრრრრ...

ბაბილა მეორე: (უხალისოდ გარბის) არა, არა, არა! მოიცა, ფეხზე გამძვრა.(ჩაცუცქდება, ფეხსაცმლის ზონარს იკრავს) როგორ ვირბინო ამ სიბნელეში. სანამ რამეს არ დავიმართებთ, არ გაჩერდები. რა იცი, რომ იგივე ქალია? ხმაზე სცნობ?

ბაბილა პირველი: ჩქარა-მეთქი. დრრრრ. თუ მგელი ვარ, დაგეწევი. დრრრრ... ქალი ნამ-დვილად იგივეა, ოღონდ, ეტყობა, მკვლელს მეტი მოუვიდა სასმელი — ვერაფრით ვერ მოახვედრა დანა, სადაც საჭიროა. ქალის კი არა, ღორი რომ ღორია, იმის დაკვლასაც ცოდნა უნდა. დრრრრ-მეთქი.

ბაბილა მეორე: (გარბის) არა, არა, არა...

ბაბილა პირველი: (მისდევს) დრრრრ... შიმშილისგან გული მიმდის... დრრრრ...

დარბიან მერხის გარშემო.

ბაბილა მეორე: არა, არა, არა...

ბაბილა პირველი: დაგეწიე, დაგეწიე, დაგეწიე. დრრრრ... (დაეწევა, მერხზე გადააქცევს და ზემოდან დააცხრება მართლა მგე-ლივით.)

ბაბილა მეორე: მტკივა, მხეცო! მართლა მტკივა!

ბაბილა პირველი: დრრრრ...

ბაბილა მეორე: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ! მტკივაااა!

ბაბილა პირველი: არა უშავს, გაუძელი. დრრრრ... სამაგიეროდ, აღარ შეგცივდება. დრრრრ...

შემოდის მთვრალი

მთვრალი: **(მიირბენს მერხთან, აშველებთ.)** ბატონებო, ბატონებო... როგორ გეკადრებათ! გაუშვით ხელი... გაუშვი-მეთქი ხელი!

ბაბილა პირველი: **(მოუბრუნდება, კბილდაკრეჭილი)** დრრრრ...

ბაბილა მეორე: მიშველეთ! მტკივა!

მთვრალი: მილიციას დავუძახებ, იცოდეთ, **(ატყუებთ)** აგე, მილიციაც. აქეთ! აქეთ! ჩქარა! კაცი კაცს ჭამს! დაჭამეს ერთმანეთი! **(მილიციის ხსენებაზე, ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე მაშინვე „დამშვიდდებიან" და ისევ ერთმანეთის გვერდიგვერდ დასხდებიან მერხზე, დაღლილობისგან ხმამაღლა სუნთქავენ. თან მოჩაჩულ ტანსაცმელს ისწორებენ.)** შეგეშინდათ ხომ? დამშვიდდით. მოგატყუეთ. რა უნდა მილიციას ამ უკუნეთში? თქვენი კი ნამდვილად მიკვირს, რა ვერ გაიყავით მაინც ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში? რას დაერიეთ ერთმანეთს? იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს გაუფრთხილდეთ, ერთმანეთს გააძლებინოთ... თუმცა, იქნებ, მართლაც ეს იყოს უკანასკნელი გამოსავალი. ლაბირინთში ვართ, ბატონებო. უკეთესობის იმედი ნუ გექნებათ. პავლე ისევ სავლედ იქცა. მთელი ღამეა, დაბმული ჯორივით ვარტყამ წრეებს. სუნი მაინც არ გცემთ? ეს განწირულობის სუნია, ასეთი ამაზრზენი. აღსასრულის სუნია! ბოლოს და ბოლოს, მადლობა ღმერთს, მოხდა მოსახდენი, ძვირფასო რადიომსმენელებო და ტე-

ლემაყურებლებო... თქვენც — ყველა ჯურის მოთვალთვალენო და ყოველ წამს მოყურადებულნო! მოხდა მოსახდენი...აღსრულდა.კაცობრიობამ, როგორც იქნა, დაასრულა თავისი მოკლე, მაგრამ ფრიად სამარცხვინო გზა კანიბალიზმიდან კანიბალიზმამდე! ხოლო, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს ამბავი განსაკუთრებულადაა მნიშვნელოვანიცა და საამაყოც, რამდენადაც, მაინცდამაინც, ჩვენი თანამემამულენი (ხელს მიუშვერს მერხზე მსხდომთ) მიიჭრნენ პირველები საფინიშო ხაზთან. ასე რომ, მართალია, კაცობრიობის არსებობის უკანასკნელ წამს, მართალია, კაციჭამიობით, მაგრამ მაინც შევძელით ჩვენი სანუკვარი ოცნების ახდენა, მაინც მოვიპოვეთ საერთაშორისო სახელი და აღიარება...

ბაბილა პირველი: (ჯერ კიდევ უჭირს ლაპარაკი.) ძალიან გთხოვთ, ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეში.

მთვრალი: როგორ გეკადრებათ! რა ჩემი საქმეა... უბრალოდ, მე ვიფიქრე... აბა, გვერდს ხომ ვერ აგივლიდით უბრად, რა ვიცოდი, რა გიჭირდათ... ყველაზე მეტი გამშველებელს მოხვდაო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

ბაბილა პირველი: დიდი მადლობა. ტყუილად შეწუხდით. ჩვენ არც გასაყოფი გვაქვს რამე, არც კაცის ხორცს გეახლებით... ჩვენთვის ვთამაშობთ.

მთვრალი: (გულწრფელად გაკვირვებული) თამაშობთ?! (მბჟუტავი ლამპიონისკენ აღაპყრობს ხელებს.) ღმერთო დიდებულო, მთლად ნუ შემშლი, ნუ გამაგიჟებ... რა დამალევინე ამისთანა, არაფრით რომ აღარ გამომნელდა! გამიშვი... გამიშვი! გამიშვი, ქვეყნად ვიარო... გეეედრები! (ბაბილებს) კი მაგრამ, რა დროს თამაშია? რა გეთამაშებათ?

ბაბილა მეორე: (ბაბილა პირველს, ნაძალადევი სიცილით) მგონი მართლა შემოგეჭამე ამ თამაშ-თამაშში. სისხლი მომდის (მთვრალს) შეგვციოდა, მეგობარო, და ცოტა გავიქეც-გამოვიქეცით გასათბობად.

მთვრალი: თუკი გცივათ, თქვე დალოცვილებო, შინ რატომ არ მიდიხართ?

ბაბილა პირველი: (აღელვებული) ში-ინ? თქვენ იცით, რას ნიშნავს „შინ“? მე მაგალითად, აღარ ვიცი. არც ამან (ხელს მიუშვერს ბაბილა მეორეს.)

ბაბილა მეორე: არც მე.

ბაბილა პირველი: ჩვენ აღარც გვახსოვს, როდის წამოვედით შინიდან...

ბაბილა მეორე: და, რასაკვირველია, აღარც ის გვჯერა, როდისმე თუ დავბრუნდებით შინ...

ბაბილა პირველი: ამიტომ, ძალიან გთხოვთ, ნუ იხმართ ისეთ სიტყვას, რომლის მნიშვნელობაც წესიერად არ გესმით თავად...

ბაბილა მეორე: სხვას კი ტყუილუბრალოდ უფორიაქებთ ისედაც აწეწილ სულს...

ბაბილა პირველი: ბევრად აჯობებს, თუკი ერთმნიშვნელოვან სიტყვებს დავჯერდებით, ყველასათვის ერთნაირად გასაგებს, როგორიცაა, ვთქვათ, ციხე, ლაზარეთი, კლინიკა... ოღონდ, ნუ დაგვცინებთ, შინ წადითო.

ბაბილა მეორე: სნეულის დაცინვა დიდი ცოდვაა, მიუტეველი.

ბაბილა პირველი: გინდაც ბავშვი დაგეჩაგროთ.

ბაბილა მეორე: იმიტომაც ყარს ასე აქაურობა...

ბაბილა პირველი: იმიტომაც მივქრით თავქვე, უფსკრულისკენ...

მთვრალი: მეც ეგ გითხარით მხოლოდ, ნუ კადრულობთ, რაც არ გეკადრებათ-მეთქი. ნუ დავჭამთ ერთმანეთს-მეთქი... მე რა ვიცოდი, ვინ იყავით... გულთმისანი ხომ არა ვარ?!

ბაბილა პირველი: ახლა იცით? მიხვდით? ამქვეყნად ყველაფერი პირობითია, დროებითია, ცვალებადია. ხვალ, შეიძლება, მე ვიყო ექიმი...

ბაბილა მეორე: თქვენ კი — ავადმყოფი.

ბაბილა პირველი: სინამდვილეში, მე და თქვენ ერთი განუყოფელი მთლიანობა ვართ.

ბაბილა მეორე: სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით დღეს... უფრო სწორედ, ამას ვთამაშობდით.

ბაბილა პირველი: თქვენ მხოლოდ დროის ამ გარკვეულ ეტაპზე ხართ ექიმი...

ბაბილა მეორე: მე კი — გიჟი.

ბაბილა პირველი: უბრალოდ, ამჯერად, თქვენ დამასწარით თეთრი ხალათის ჩაცმა...

ბაბილა მეორე: და ამიტომაც გახდით ექიმი. ექიმი ის არის, ვისაც ექიმის ხალათი აცვია.

ბაბილა პირველი: მე კი, ჩემივე სიზარმაცის და დაუდევრობის გამო, სნეულის ხალათი და ფლოსტები მერგო.

ბაბილა მეროე: იმიტომ რომ, ჩვენს შორის ერთ-ერთი აუცილებლად ექიმი უნდა იყოს, მეორე კი — სნეული.

ბაბილა პირველი: ორივენი ერთდროულად ვერც ექიმები ვიქნებით, ვერც სნეულები.

ბაბილა მეორე: ჰამლეტისა და ხელმწიფისა არ იყოს, ყველაფერი აირ-დაირევა.

ბაბილა პირველი: საბედისწერო აღრევა მოხდება ყველაფრისა, არა მარტო ხალათების, ყველაფრის — მრწამსთა, მიზანთა, მისწრაფებათა,შეხედულებათა,ოცნებათა, ხასიათთა, სახელთა, ენათა, სქესთა, ხალხთა... ყველაფრის!

ბაბილა მეორე: ეს კი ნამდვილად სახიფათოა, არა მარტო თქვენთვის, ანდა ჩემთვის — საერთოდ სამყაროსთვის.

მთვრალი: კი მაგრამ, რატომ გგონიავართ ექიმი? რადგან მთვრალი ვარ?

ბაბილა პირველი: სნეულისთვის მთელი დანარჩენი სამყარო ექიმია! მაგრამ ამაზე სხვა დროს, უფრო დალაგებულად.

ბაბილა მეორე: ახლა თავიდან ვეღარ დავიწყებთ, ძალიან დავიღალეთ.

ბაბილა პირველი: სხვა დროს, სხვა დროს, თუკი ღმერთმა ისევ ინება ჩვენი შეხვედრა.

მთვრალი: ბატონი ბრძანდებით. ასე იყოს. ყოველთვის სიამოვნებით ვისაუბრებ თქვენთან.

ბაბილა პირველი: ხა, ხა... სიამოვნებით ისაუბრებთ! საუბარი არ გამოგვივა.

მთვრალი: (დაბნეული, გაკვირვებული, ცოტა ალბათ შეურაცხყოფილიც) ვითომ, რატომ?

ბაბილა პირველი: დაკითხვა ან გამოკითხვა კიდევ მესმის, საუბრისა კი რა მოგახსენოთ.

მთვრალი: (შემცბარი, შეურაცხყოფილი) ბატონო ჩემო...

ბაბილა პირველი: ხა, ხა... როგორ არა! რასაკვირველია! გიჟობისა არ ვიცი, ბრიყვები კი ნამდვილად არ ვართ. თქვენ ჩვენი „საუბარი" საანალიზო განავალივით გჭირდებათ – გასაჩხრეკად, გასაქექად... რაღაც-რაღაცების დასადგენად, დასაზუსტებლად. თუნდაც — ჩვენი სიგიჟისა. სხვათა შორის, მე სრულებითაც არ მეთაკილება გიჟობა. — ჯერ კიდევ საკითხავია, ჩვენს დროში, ნაკლია თუ ღირსება. მაგრამ, რა გაეწყობა, ძალა თქვენს ხელშია. (წამოდგება და ხელს მხარზე დაადებს ბაბილა მეორეს) წავიდეთ, მეგობარო. დიდი მადლობელი ვარ შენი, თანაგრძნობისთვის, თანადგომისთვის. რომ იცოდე, დღესაც ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა მწვერვალამდე, მაგრამ ჭეშმარიტების წყეული ლოდი ისევ დაგვიგორდა.

მთვრალი: (დაბნეული, შეწუხებული) თქვენ რატომ მიდიხართ, მე წავალ... ნეტავი, საერთოდ არ შემოვსულიყავი ამ წყეულ ბაღში. ასე რომ მცოდნოდა, მეც იქ დავიძინებდი, დუქანში, მაგიდაზე...

ბაბილა პირველი: (ბაბილა მეორეს, აღგზნებული) წაველით, წაველით. საკმარისია. შინ, შინ... საკანში, პალატაში, სენაკში... ჩვენც ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს, და სრულებითაც არ ვართ ვალდებულნი, ამ შუაღამისას, ყველა ამვლელ-ჩამვლელს...

მთვრალი: (ყვირის) მეც მათქმევინეთ ერთი სიტყვა! (ჩვეულებრივად) ნუ სარგებლობთ ბოროტად ჩემი სიმთვრალით. მთვრალი კაცი, კარგი კაცო — ნათქვამია. ხოდა, რაკი ნათქვამია, მეც იძულებული ვარ ანგარიში გავუწიო, თორემ თქვენზე ნაკლები გიჟის რა ვთქვი მე. რომ მომდექით და მაგინებთ ეს ღვთისნიერი ხალხი, გამაგებინეთ მაინც, რა დავაშავე. თუ საჭიროა, ბოდიშსაც მოვიხდი. თქვენ არ იფიქროთ... ღმერთი, რჯული, არაფერი გამეგება ექიმობისა, იურიდიულზე ვსწავლობდი...

ბაბილა პირველი: (ჯდება) მაშინ, ჯერ თქვენ გაგვაგებინეთ, რატომ თავად არ წახვალთ შინ? რას გვიტრიალებთ გარშემო? რას გვითვალთვალებთ შორიდან? მეთვალყურე და ზედამხედველი გვაკლია ვითომ ჩვენ?!

მთვრალი: (ნირწამხდარი) რას ბრძანებთ, ბატონო... როგორ იფიქრეთ ასეთი რამ... (სინანულით) თუმცა, არც ესაა გასაკვირი. არავის აწერია შუბლზე, რა უდევს გუნებაში. და მაინც ძალიან მატკინეთ გული. მართლა ვერ გავსულვარ ამ ბაღიდან. თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, არც მინდა. ამაზე უკეთესი ადგილი არსად მეგულება. ლოთი კი ვარ, მაგრამ ხანდახან ლექსებსაც ვწერ. ვპოეტობ, ჩემი ჭკუით. ვგიჟპოეტობ. თქვენი გულის მოსაგებად არ ვამბობ, მართლა მჭირს ეს ავადმყოფობა. ასე დავდივარ და ვიგონებ ათას სისულელეს. მაგრამ მაინც უფრო ლოთი ვარ, ვიდრე პოეტი. პოეტებისგან განსხვავებით, ჯერ ვსვამ და მერე ვწერ. პოეტები კი პირიქით იქცევიან. ეს არის არსებითი განსხვავება. თუ გინდათ, წაგიკითხავთ რამეს. თუმცა, მაინც წაგიკითხავთ, გინდაც არ მომისმინოთ. მე უმალ პოეტი ვარ, ვიდრე. ვიდრე...

არ უნდა გეკადრებინათ ჩემთვის... ძალიან მატკინეთ გული. მეტი რომ არ შეიძლება. მაგრამ მაინც გეტყვით ლექსს. იქნებ, მალამოდ მოგეცხოთ გულზე. პოეტურად ვამბობ, რასაკვირველია. პოეტობა მალამოს წასმაა, ჭრილობის მობანაა. მაშ ასე: *ღვთიშობელო, გადმომხედე მაღლით*... ჩვენი ქვეყანა ხომ ღვთიშობლის წილხვედრია. ის გვიცავს და გვიფარავს განსაცდელისგან. ასეა დადგენილი. ასე სწამს ხალხს. უფრო სწორედ, ასე სწამდა. *ღვთიშობელო, გადმომხედე მაღლით — დამეკარგა მშობლიური სახლი.* იქნებ თქვენ იცოდეთ, შემთხვევით, სად არის ჩემი მშობლიური სახლი? რაც არ უნდა იყოს, მაინც უფროსები ხართ, მამის ტოლები. მართლა გეუბნებით, არ გეხუმრებით. არც თავს გაცოდებთ. გულახდილობა გულახდილობის წილ...

ბაბილა პირველი: (**დამცხრალი, შემრიგებლურად**) ისე არ უნდა დათვრეთ, სახლის გზა დაგავიწყდეთ. სირცხვილია. ახალგაზრდა კაცი ხართ, არ გეკადრებათ. რა იცით, რა ხდება ხვალ, იქნებ ხვალაც ვიყოთ, იქნებ არ იღუპება ქვეყანა...

ბაბილა მეორე: ერთი ჭკვიანი კაცი ამბობს, ახალგაზრდები იმიტომ გვაღიზიანებენ, ჩვენს ახალგაზრდობას რომ გვახსენებენო. კვირტი თავისით არ ჩნდება ჰაერში, ხეს გამოაქვს.

ბაბილა პირველი: შენ ჩემი საწინააღმდეგო გათქმევინონ რამე და, შემთხვევას როგორ გაუშვებ ხელიდან. მე მინდა რომ ჩვენი შვილები ჩვენზე უკეთესები იყვნენ. თუ გვიშველის, ეს გვიშველის მხოლოდ... მე არაფრის არ მეშინია. რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

მთვრალი: თქვენ მე ვერ გამიგეთ, უბრალოდ... მეც რასაც ვამბობ, სიმთვრალით კი არ ვამბობ, სიმართლეს მოგახსენებთ.

თუმცა, მეშინია. ეს თქვენი დამსახურება უფროა, ვიდრე ღვინის. ღვინო კი არ გათამამებს, გაბრუებს. თქვენ კი... რაღაცნაირად მომეწონეთ თავიდანვე. აღსარების გუნებაზე დავდექი, ისეთი ახლობლები მეჩვენეთ. ბეღურებივით ისხედით. მობუზულები. *ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი...* ეს ჩემი არ არის, მაგრამ ჩემსას სჯობს. რა ღირს დღეს ორი ბეღურა? არაფერი. მაგრამ, ღმერთი თუ არსებობს, ნურაფრის გეშინიათ. თქვენი თმაც დათვლილია. ძლივს შევიკავე წეღან თავი და კიდევ კარგი შევიკავე, მაინც ვერ გამიგებდით, იტყოდით, სიმთვრალისგან ტირისო. სახლი თითქოს მაქვს, მაგრამ ამავე დროს, როგორ გითხრათ, თითქოს არცა მაქვს. თითქოს ვიღაცამ ამიკრძალა ჩემს სახლად ჩავთვალო, თუმცა, მხოლოდ იმ სახლის კედლებში მახსოვს მამაც, დედაც, ჩემი თავიც... მამაჩემი იმ სახლიდან წაიყვანეს. დედაჩემიც იმ სახლიდან გამოვასვენე. და მაინც ჩემი არ არის. საერთოდ არ არის თითქოს ამქვეყნად. თითქოს დამესიზმრა, მომელანდა და ხელი რომ გავიწვდინე — გაქრა. არის და არც არის, მეკუთვნის და არც მეკუთვნის, მახსოვს და არც მახსოვს. ეკლესია ხომ ღმერთის სახლია?

ბაბილა მეორე: (თანაგრძნობით) დიახ. ღმერთის სახლია.

მთვრალი: მერე? როგორ გგონიათ, ცხოვრობს ღმერთი ეკლესიაში?

ბაბილა მეორე: (შეწუხებული) ამდენი აღარ ვიცი... ალბათ — არა.

მთვრალი: მაშინ ისიც გეცოდინებათ, რატომ არ ცხოვრობს.

ბაბილა მეორე: აი, ეგ კი ნამდვილად არ ვიცი. (მიუბრუნდება ბაბილა პირველს) მგონი, არც შენ იცი.

ბაბილა პირველი: მე რა შუაში ვარ? შენ გეკითხებიან

და შენ უნდა უპასუხო. მე რა ვიცი და არ ვიცი, ჩემი საქმეა.

მთვრალი: (ბაბილა პირველს) თქვენ იცით, რატომ არ ცხოვრობს ღმერთი ეკლესიაში?

ბაბილა პირველი: არა.

ბაბილა მეორე: რატომ და... ჩვენ არ დავაცალეთ ცხოვრება.

მთვრალი: იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ვერ ეტევა. ღმერთი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი ეკლესია. მეც ღმერთივითა ვარ — საკუთარ სახლში ვერ ვეტევი, ადგილს ვერ ეპოულობ, ვერ დავმჯდარვარ, ვერ დავწოლილვარ... ამას ჰქვია, ბატონებო, „შინ". მოჩვენებებითაა სავსე იქაურობა. ჩემთვის ადგილი აღარ რჩება. მე კი იმათ შევიწროებას, ისევ ამ აქოთებულ ლაბირინთში ხეტიალი მირჩევნია. ხან დედა საქმიანობს თითქოს რაღაცას, ხან მამა გამომხედავს, დაბნეულად მომღიმარი, რაღაცაზე მობოდიშე... იმათ მხოლოდ იქა აქვთ ადგილი, მხოლოდ იქ არიან... იქ იქნებიან სულ, სულ, სამარადისოდ, სანამ ის სახლი არ დაინგრევა, სანამ, ერთხელ და სამუდამოდ, არ აღიგვება პირისაგან მიწისა. თუ შეიძლება, მეც ჩამოვჯდები ცოტა ხანს. დავიღალე (ჯდება *ბაბილა მეორის* გვერდით.) *ღვთიშობელო გადმომხედე მაღლით, მაპოვნინე მშობლიური სახლი.* ტყუილად არ მოგწონთ. თუმცა, რაც მართალია, მართალია, უაღრესად ავტობიოგრაფიული ლექსი გახლავთ. ლექსი კი არა, სულის ფრაგმენტი, ნაწილაკი სულისა. *ღვთიშობელო გადმომხედე მაღლით...* მელოდია აშკარად გრანელისაა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი სესხება მიღებულია საერთოდ პოეზიაში. მე, პირადად, არ მეთაკილება. პირიქით. შემოდგომის

საღამოა მშვიდი — ეს გრანელია. *ღვთიშობელო, გადმომხედე მაღლით* — ეს კი მე გახლავართ. *შენს წინაშე მუხლმოყრილი ვდგავარ, სხვის შემყურეს, სხვის ნებაზე მავალს და უაზრო ხეტიალით დაღლილს, მაპოვნინე მშობლიური სახლი.* (სიცილით) პოეზიის საღამოს გახსნილად ვაცხადებთ!

ბაბილა პირველი: (აღელვებული) არ ვიცი, ვინ ბრძანდებით თქვენ, მაგრამ ნება მომეცით, ბოდიში მოგიხადოთ წელანდელი თავშეუკავებლობისთვის. უფრო გულახდილად რომ ვთქვათ, უნდობლობისთვის. იმედი მაქვს, გამიგებთ და მომიტევებთ. ეს ხომ ჩვენი საერთო სენია. ამავე დროს, მადლობა მინდა გადაგიხადოთ... დიახაც რომ მშვენიერი ლექსია. მართალი ბრძანეთ, გინდაც ღვინითა და ზეთით მოგებანოთ ჩვენთვის ჭრილობები. ასე რომ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, რა საქმეც არ უნდა გქონდეთ ამ ბაღში, შეგიძლიათ თამამად და თავისუფლად იგრძნოთ ჩვენთან თავი, როგორც თქვენს უახლოეს მეგობრებთან, გინდაც ნათესავებთან...რასაკვირველია,თუკი ეს რამეს ნიშნავს თქვენთვის. დამერწმუნეთ, გულწრფელად გეუბნებით. (მიუბრუნდება ბაბილა მეორეს) ხომ მართალია? ხომ მეთანხმები?

ბაბილა მეორე: (ისიც არანაკლებ აღელვებული, აფორიაქებული) რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა... (მთვრალს) მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა. თქვენ მარტო არა ხართ. ბევრი შეცდომაა ჩადენილი. რას ვიზამთ, ეს ყოფილა ჩვენი ბედი. უნდა გამაგრდეთ. ქართველის ნათქვამია, ბოლოს და ბოლოს, ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებსო. არადა, ჭირმაც მარტო ჩვენთვის მოიცალა თითქოს... იმი-

ტომ რომ, ჯერჯერობით, ჩვენ კი არ ვმაგრდებით, ჭირს ვამაგრებთ — ყველანაირად ვუწყობთ ხელს, უფრო მტკიცედ რომ მოიკიდოს ჩვენს შორის ფეხი.

მთვრალი: მაპატიეთ, გუნება თუ გაგიფუჭეთ ჩემი უაზრო ლაპარაკით. თქვენთან მართლა თავისუფლად ვგრძნობ თავს. ხმამაღლა, მგონი, საერთოდ არ წამიკითხავს ლექსი. რა თქმა უნდა, საკუთარი. თითქოს ადრეც გიცნობდით, ყოველთვის... უფრო სწორედ, თითქოს თქვენ მიცნობდით თავიდანვე, დაბადებიდანვე და ჩემზე უკეთესად იცით ყველა ჩემი ნაკლი, ყველა ჩემი სისუსტე. არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ ჩემი აზრით, ესეც ერთგვარი ბედნიერებაა. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად სასიამოვნოა, როცა არც არაფერი გავალდებულებს და არც არაფერი გაიძულებს შენი ნაკლისა თუ სისუსტის დამალვას. მე ერთ დროს მართლა წესიერი კაცი ვიყავი. სათნო დედა მყავდა, ღვთისნიერი. უნდა ვიფიქროთ, მამაც კარგი იყო, რახან წამართვეს. პოეზიის სიყვარული ალბათ დედისგან მომდევს. თვითონ არ წერდა, მაგრამ ბუნებით იყო პოეტი. ყველა ეცოდებოდა — ადამიანი, ცხოველი, მცენარე... სულ ვიღაცას ტიროდა — ნაცნობს, უცნობს... სულ ცრემლი ედგა თვალში. მამის გულისთვის იურისპრუდენციის შესწავლა გადავწყვიტე, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ლოთი გამოვედი. (დამცინავად) წიგნიერი, ზრდილი, მაგრამ მაინც ლოთი და სხვა არაფერი. სანამ დედა მყავდა, ერთი და იგივე პერანგი ორი დღე არ მცმია ზედიზედ. ახლა კი მარტო ვარ, როგორც ლოთს შეეფერება. ღვთის ანაბარა ვარ დარჩენილი.

უფრო სწორედ, ჩემნაირების ანაბარა. ჩემნაირი კი ბევრია. სწრაფად ვმრავლდებით. საამისოდ, დიახაც რომ, საუკეთესო პირობებია შექმნილი. ჩვენ ბევრნი ვართ – შერისხულთა, დაჭერილთა, დახვრეტილთა და, ბოდიში მომითხოვია, დაყვერილთა შთამომავლები. პაპაჩემი ავადმყოფი ცხენივით ჩააყენეს ორმოში და შაშხანის ტყვიით გაუხვრიტეს შუბლი. მამა არ ვიცი, როგორ მომიკლეს. დილის ოთხ საათზე რომ გაიყვანეს შინიდან, მერე აღარ გვინახავს. ხვდებით ალბათ, როდინდელ ამბებს გიყვებით. პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ ცხადად მახსოვს ყველაფერი. ცხადზე უფრო ცხადად. რაც მახსოვს, მტკივნეულად ვგრძნობ კიდეც. მამაჩემი გამწარებული ეძებდა პერანგის მაჯის შესაკვრელს — აქ დავდე წუხელ ჩემი ხელითო — შესჩიოდა მის წასაყვანად მოსულებს. ჩვენგან, ქუჩაში გაზრდილებისგან, არავინ იმსახურებს მადლობას. მე ვიცი, რასაც იმსახურებენ, მაგრამ რად გინდა... კაცი არ არის, სიტყვა ვანდო, ფიქრი ჩემი გავუზიარო. ან ქურდობს, ან საქმოსნობს, ან ჩემსავით ლოთია. ან კიდევ უარესი — მთლად რინდებშია გადავარდნილი. გათიშულია. ხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. თქვენი კი მართლა დიდი მადლობელი ვარ, ადამიანად რომ ჩამაგდეთ. მერსი მუსიე, დანკე მაინე ჰერ, გრასია სინიორე, თენქიუ ვერიმაჩ, ოგრომნოე ვამ სპოსიბო... დედაჩემს უნდოდა, რომელიმე უცხო ენა მესწავლა, მაგრამ ვერაფერი ვისწავლე საერთოდ. რამე რომ მესწავლა საფუძვლიანად, თუნდაც, ლურსმნის მიჭედება, არც ახლა ვიყბედებდი ამდენს. სხვათა შორის, ლაყბობისთვის ხუთი წელია. მაგრამ

რა უნდა მესწავლა? ვისგან უნდა მესწავლა? ჩემი დიპლომი ახლაც უნივერსიტეტის არქივში დევს. მელოდება. მელოდოს რამდენიც უნდა. მე უდიპლომო სასიძო ვარ. დიპლომისთვის კი არ ვისწავლე, იურისტი მინდოდა გამოვსულიყავი, მამა რომ დამეცვა, გამემართლებინა მაინც... ყაჩაღობა კი ნამდვილად არ შემიძლია. ფულს ვერ წავართმევ ვერავის. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, დედაჩემის სული არ მომცემს ნებას. დედაჩემივით, მეც ყველა მეცოდება: სულიერიც და უსულოც, გლახაკიც და ავაზაკიც, აბანოს მოლარეც და ტრესტის მმართველიც. რომ წარმოვიდგენ ხოლმე, რა დღეშია, როგორ შფოთავს და ნერვიულობს, როგორ უჭირს, ერთის მხრივ, სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა, მეორე მხრივ კი, უკვე სამუდამოდ გაზულუქებული, სულწაწყმედილი, ზნეშეცვლილი ცოლ-შვილის გაწბილება, გული შემეკუმშება ხოლმე, ცრემლმა ლამის დამახრჩოს. არ გეწყინოთ და, თქვენც მეცოდებით. ძალიან მეცოდებით. არ კი ვიცი, რატომ, რა გჭირთ ჩემი შესაცოდი. ბეღურებივით კი სხედხართ, მაგრამ მართლა სჯობიხართ ყველაბეღურას. მოკლედ, ლოთის მეტი არაფერი გამოვიდა ჩემგან. ეს უნდოდა სახელმწიფოსაც. შენც სუ, მეც სუ! ჩემგან რა გესწავლებათ! ბაღიდან ვერ გავსულვარ, თორემ, ამდენი ნამდვილად გამეგება. თუმცა, ბევრი რამე მაინც არ მესმის. არ მესმის, მაგალითად, რატომ ისმის ტელეფონის ყურმილში ზუსტად იმის ხმა, ვისი ხმის გაგონებაც იმ წუთას გინდა. ანდა, რატომ ისმის რადიოში სულ იმის ხმა, ვისი ხმის გაგონებაც აღარ შეგიძლია. რამდენი ხანია არ ვყოფილვარ ასე

კარგად! ელაპარაკობ, ელაპარაკობ, თვალები კი თავისთავად მეხუჭება. ბავშვობიდანვე ვიცი ასე ზეზეურად ჩამოძინება. მძინავს და დავდივარ, ელაპარაკობ, სხვების ლაპარაკიც მესმის. დედა მატყობდა მარტო — წამიყვანდა და ძალით ჩამაწვენდა ლოგინში. არ უნდოდა, სხვებსაც სცოდნოდათ, მთვარეული რომ იყო მისი შვილი. (ბაბილა მეორეს) შეიძლება, მხარზე ჩამოგადებთ თავს? ერთი წუთით მხოლოდ. გადამივლის და ავდგები (პალტოს საყელოს მაღლა იწევს და მხარზე თავს ადებს ბაბილა მეორეს.)

ბაბილა მეორე: კი ბატონო, ოღონდ, არ დაგეძინოთ მართლა. გაცივდებით. ძალიან ცივა.

ბაბილა პირველი: (აღელვებული) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ახლა თქვენი დაძინება. ნამთვრალევი ხართ.

მთვრალი: (თვალდახუჭული) ახლავე წამოვდგები (პალტოს საყელოს უფრო მაღლა იწევს, უკეთესად ეწყობა) ახლავე წამოვდგები. *ღვთიშობელო... გადმომხედე... მუხლმოყრილი... ვდგავარ...*

ბაბილა მეორე: (ჩურჩულით) მგონი, მართლა დაიძინა.

ბაბილა პირველი: (ისიც ჩურჩულით) ეძინოს ცოტა ხანს, არა უშავს. ჩემს პალტოს დავაფარებ და აღარ შეცივდება (დგება, პალტოს იხდის და მშობლიური მზრუნველობით აფარებს მთვრალს).

ბაბილა მეორე: (დაძაბული ზის, ფრთხილობს, არ გააღვიძოს მთვრალი) შენ? შენ არ შეგცივდება?

ბაბილა პირველი: მე არ შემცივდება. მიჩვეული ვარ. თანაც მღვიძავს. მაგას კი სძინავს და, რაც მთავარია, მთვრალია. (ჯდება თავის ადგილზე.) აი, ჭეშმარიტი სახე ჩვენი საბრალო ახალგაზრდობისა — ლოთობს, რადგან არ უნდა, რომ ლოთი იყოს. უზნეობით ებრძვის უზნეობას. ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არა უწყიან... პირიქით, რამეთუ

მშვენიერად უწყიან, რა სჭირთ და ისიც კარგად იციან, ვისგან და რისგან სჭირთ, რაც სჭირთ.

ბაბილა მეორე: ასე თუა, სჯობს არ იცოდნენ.

ბაბილა პირველი: რატომ? ცოდნას არცოდნა სჯობს?

ბაბილა მეორე: ამათთვის — კი! თუკი, ჩვენი არ იყოს, ესენიც ცოდნას ეკვლევინებიან. აბა, სიმართლე რომ არ იცოდნენ და თავს მართლა ბედნიერი ქვეყნის ბედნიერ შვილებად თვლიდნენ, ასე კი არ დასნეულდებოდნენ, ასე კი არ დაბერდებოდნენ ნაადრევად, უსიხარულოდ, უიმედოდ — იქნებოდნენ არხეინად — ჯანმრთელები, ლაღები, ღორმუცელები... გოჭებივით დაყრიდნენ თავიანთ მსგავსებს და იცხოვრებდნენ უდრტვინველად, უტკივილოდ — აღლუმიდან აღლუმამდე — დოლების ბრაგუნით, საყვირების ჭყივილით, დროშების ფრიალით...

ბაბილა პირველი: შენ ასე გგონია? მე კი, რატომღაც, სხვანაირად ვფიქრობ. იმიტომ კი არა, შენი საწინააღმდეგო რომ უნდა ვთქვა აუცილებლად, იმიტომ რომ, სხვანაირად ვფიქრობ. ჩემი აზრით, ასე ცხოვრობენ სწორედ და ასე იმიტომ ცხოვრობენ, ჯერ კიდევ რომ არ იციან ბოლომდე სიმართლე. ნახევარმა სიმართლემ დააფრთხოთ. უფრო ზუსტად, სიმართლის იმ პატარა ნაწილმა, რომლის გაგებაც ჯერჯერობით შეუძლიათ. ტანით გრძნობენ, გონებით კი ვერ მისწვდომიან და სწორედ საკუთარი მოუმზადებლობა, საკუთარი სისუსტისა და სიპატარავის შეგრძნება აიძულებთ, დაუნდობლები იყვნენ პირველ რიგში საკუთარი სიცოცხლის მიმართ. თავქუდმოგლეჯილნი გაურბიან სინამდვილეს, მაგრამ გასაქცევი არა აქვთ არსად. წარსულმა შთანთქა მომავალი. ამიტომაც, მომავლისა

არ სჯერათ, წარსულის კი ეშინიათ. ეშინიათ მკვდარი მამის წარმოდგენაც, მკვდარ დედასთან გამოლაპარაკებაც. ეს კი იმიტომ ხდება, უფრო ადრე რომ გადმოყარეს ისინი ბუდეებიდან, ვიდრე ფრთები შეებუმბლებოდათ. გაფრენაზე კი არ ოცნებობენ, ის ადარდებთ, თავი სად შეყონ — ერთი დღით, ერთი საათით, თუნდაც ერთი წუთით რომ დაემალონ სინამდვილეს. სირაქლემები არიან და არა, ვთქვათ, ბელურები. ჩვენსავით. მშობელი კი უყვართ, მაგრამ უცხოდ გრძნობენ იმასთან თავს. ყველაზე მეტად სწორედ იმასთან ეუფლებათ სიუცხოვის გრძნობა. მშობელმა დაზოგა და თავის დროზე არ უთხრა სიმართლე. ანდა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ვერ მოასწრო, გნებავთ, ვერ მოახერხა სიმართლის თქმა. ამათ კი ასაკმა შეუშალა ხელი, თავის დროზე რომ გარკვეულიყვნენ ყველაფერში. ძალიან პატარები იყვნენ მაშინ, არც აქეთ, არც იქით... და გაიხლიჩა, გაიპო ჯაჭვის ის რგოლი, რომელიც აერთებდა, აერთიანებდა მშობელსა და შვილს, როგორც სიხარულში, ისე ჭირსა შიგან... მაგრამ, ვიდრე ყმაწვილი კაცი სინამდვილეს უძალიანდება, თუნდაც საკუთარი ჯანმრთელობის საზიანოდ, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა. აი, როცა სინამდვილეს შეეგუება, მიიღებს, შეითვისებს — მაშინ კი... მაშინ კი დროა, სოლომონ რომა ფეხი გაჭიმოს საქართველომა...

ბაბილა მეორე: ღმერთო, რა საცოდავია ადამიანი (პაუზის შემდეგ) რა ტკბილად სძინავს. ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნად. ხვრინავს კიდეც. გესმის?

ბაბილა პირველი: იხვრინოს, იხვრინოს. ყველაფერს ნუ აქცევ ყურადღებას. ადამიანი საერ-

თოდ ხვრინავს ხოლმე ძილში. მით უფრო — მთვრალი.

ბაბილა მეორე: მართალი ბრძანდებით. ადამიანი ხვრინავს...

ბაბილა პირველი: (სიცილით) ირემი ყვირის. ირემო მთასა მყვირალოო — ხომ გაგიგია?!

ბაბილა მეორე: (ნიშნის მოგებით) მგელი ყმუის!

ბაბილა პირველი: სირაქლემა დარბის, ბეღურა დაფრინავს...

ბაბილა მეორე: ადამიანი კი ხვრინავს...

შემოდიან ქალი და კაცი. ქალს ხელში თაიგული უჭირავს, კაცს ფოტოაპარატი ჰკიდია მკერდზე.

ქალი: ვერ უყურებთ, როგორ არხეინად დასკუპებულან ჩემს სკამზე! აბა, ახლავე აბრძანდით, თუ შეიძლება! სხვა ადგილი მოძებნეთ. ეს ჩემი სკამია.

ბაბილა მეორე: ससससუ! ხომ ხედავთ, სძინავს! ეს წუთია ჩაეძინა.

ქალი: (ნირწამხდარი) სძინავს? რატომ სძინავს? (აკვირდება მთვრალს.)

ბაბილა პირველი: აბა, თქვენი აზრით, მკვდარია?!

ქალი: (გაღიზიანებული) ვითომ, რატომ არ შეიძლება მკვდარი იყოს! სხვა არავინ მომკვდარა ჯერ?!

ბაბილა პირველი: რატომ გვიბრაზდებით, ქალიშვილო... ამ, ამ... ქალბატონო. ღვთის წყალობით, ჯერ არავის დაუნომრავს ბაღში სკამები. მაინცდამაინც, აქ თუ გინდოდათ დაჯდომა, ადრე უნდა მოსულიყავით. უნდა დაგესწროთ ჩვენთვის. ასეთია ცხოვრების წესი. ჩვენ რა ვიცოდით, გული ხომ არ გვიგრძნობდა, შუაღამისას რომ დაგვადგებოდით თავზე.

ბაბილა მეორე: (ღიმილით) მონდომებული კაცი უფრო ბნელ ადგილებსაც მონახავს ამ ბაღში.

ქალი: (გაწიწმატებული) თქვენ ხომ არ გგონიათ, საკოცნაოდ შემოვედით აქ! ეს ჩემი მეუღლე გახლავთ, (კაცი,

მისალმების ნიშნად, ქუდს მოიხდის და მაშინვე დაიხურავს.) უცხოელი მეცნიერია!

ბაბილა მეორე: (დამფრთხალი) უცხოელი?

ბაბილა პირველი: (მკაცრად) სასიამოვნოა.

ქალი: მეუღლისთვის მინდოდა მეჩვენებინა... უფრო სწორედ, ერთხელ კიდევ მინდოდა დავმჯდარიყავი ამ სკამზე, ვიდრე სამუდამოდ მოვშორდები აქაურობას... სამუდამოდ მოგშორდებით თქვენ. მერე, თუ გინდათ, სულ აქ ისხედით. თქვენთვის დამილოცნია. (აკვირდება მთვრალს) ძალიან მეცნობა თქვენი მეგობარი. რატომ სძინავს? მთვრალია? აი, ისევ წამომახურა სახეზე. რამე თუ მეწყინა, ასე მემართება — ცხელი ქარი შემაფრინდება მაშინვე. ახლა ხომ ცივა? თქვენ ხომ გცივათ? მე კი ვიწვი. სული მეხუთება. ყარს აქაურობა.

ბაბილა პირველი: (წამოდგება) დიახ, მართალი ბრძანდებით, ყარს აქაურობა. საწყენი კი ნამდვილად არაფერია. მობრძანდით, დაბრძანდით. ყველა დავეტევით. ჩვენ წავიდოდით, მაგრამ... ხომ ხედავთ, სძინავს.

ქალი: არა, არა... თქვენ რას მიშლით. გავნერვიულდი უბრალოდ (ძალით სვამს მერხზე ბაბილა პირველს) ან თქვენ რა შუაში ხართ, ან თქვენი მეგობარი. (აკვირდება მთვრალს) ნამდვილად სადღაც მინახავს, ვერ კი გამიხსენებია. აფორიაქებული ვარ საერთოდ. ბედნიერებისგან ვარ აფორიაქებული. მოულოდნელი ბედნიერებისგან. თქვენ თუ იცით, მართლა რა დიდი ბედნიერებაა, ხვალ რომ ვეღარ განახავთ. ხვალ კი არა, დღეს... დღესვე. თქვენს ხმას რომ ვეღარ გავიგებ... ამ სუნს რომ ვეღარ ვიგრძნობ... არ იცით, არ იცით, თქვენთვის გაუგებარია. ძალიან

ბებრები ხართ საიმისოდ, ეს რომ გაიგოთ. ვერც მამაჩემს გავაგებინე. ისიც თქვენსავითაა. კეტით ვერ გააგდებთ აქედან. იცით რატომ? იმიტომ რომ აქ, ამ მშობლიურ მიწაში აქვს ჩამარხული ფული. ის ფული კი სხვაგან არსად გადის...

ბაბილა პირველი: ქალბატონო...

ქალი: არა, ნუ გამაჩუმებთ. მალაპარაკეთ.. უკანასკნელად. თუნდაც, პირველად. როგორც გნებავთ. პირველად და უკანასკნელად. ხვალიდან... არა, უკვე დღეიდან, თქვენც გექნებათ ბედნიერება — აღარ მიყუროთ, აღარ მისმინოთ... დღეს კი, ნება მომეცით, ყველაფერი ვთქვა, რაც აქამდე ვერ გითხარით, ჩემი სიმხდალისა თუ თქვენი სიყრუის გამო. მაშ ასე, ხვალ... ხვალ კი არა, დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ... ღმერთო, დღეს უკვე ხვალ არის — ჩემი ბურდღაც აღარ იქნება აქ. ბოლო წამს მაინც, მაინც მომივლინა ღმერთმა მხსნელი. მაინც შეისმინა ჩემი ლოცვა-ვედრება თუ წყევლა-კრულვა — თავზე საბანწაფარებული რომ ვუთვლიდი ყოველღამე, გამოლენჩებამდე, გულის გახეთქვამდე... დედაჩემს კი შეყვარებული ვეგონე, უიმედოდ შეყვარებული, როგორც ყველა ქართველი ქათამი. ვერაფრით რომ ვერ გამომტეხა, თანამზრახველობა შემომთავაზა, როგორც ჩემზე გამოცდილმა, ცხოვრებაში უკვე გაწაფულმა, ყველა სისაძაგლის ჩემზე უკეთ მცოდნემ. შენ იმის ვინაობა მითხარი, დანარჩენი მე ვიცი, ბოლოს და ბოლოს, ვაყიდინებ მამაშენსო. საცოდავებო! ბნელებო! უგულოებო! განა შეიძლება, აქ ცხოვრობდე და გიყვარდეს! მარტო ამ სკამზე მწყდება გული... ამ სკამზე ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარი მოკვდა... ღმერთო დიდებულო! რასაკ-

ვირველია. თავიდანვე როგორ ვერ მიეხვედი, მე სულელი. სწორედ იმას გავს თქვენი მეგობარი. დავინახე თუ არა, გული გადამიქანდა. თანაც, მაინცდამაინც, ამ სკამზე... მაგრამ ეს არ არის მთავარი...

ბაბილა პირველი: (შეწუხებული) ქალბატონო...

ქალი: (ჯიუტად) ეს არ არის მთავარი...

ბაბილა მეორე: ნამდვილად სამწუხაროა... რაღა ახლა დაეძინა ამასაც... მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, თუ შეიძლება. ჩვენ კი ავდგებით, მაგრამ ამას რა მოვუხერხოთ. მართალია, მხოლოდ სძინავს, მაგრამ ესეც უფრო იქითაა, ვიდრე აქეთ...

ქალი: (ყვირის) ეს არ არის-მეთქი მთავარი! მთავარია... მთავარია, ბრმად რომ არ დავრჩი ბოლომდე, ბრმად რომ არ დავრჩით ჩვენი მშობლებივით, თქვენსავით... მეც იმ დღეს ამეხილა თვალი, ამ სკამზე, აქედან დავინახე პირველად ჩემი საცოდაობა, ჩემი სიმახინჯე...

ბაბილა პირველი: დიახაც რომ განსაკუთრებული სკამი ყოფილა ეს სკამი თქვენთვის — საყდარივით, საფლავივით. მე მინდოდა მეთქვა, თქვენთვისაც განსაკუთრებული ყოფილა-მეთქი. ჩვენ გვეგონა, მარტო ჩვენთვის იყო ასეთი. მართალია, აქ არც ერთი ჩვენთაგანი არ მომკვდარა ჯერ, მაგრამ ყველაზე მძაფრად ამ სკამზე ვგრძნობთ სიკვდილის გარდუვალობას. არადა, ვინც სიკვდილს ივიწყებს, ის ხომ სიცოცხლესაც უაზროდ ფლანგავს. ასე რომ, მადლობა ღმერთს, თუნდაც სიკვდილი მაინც რომ გვაერთებს ძველებს და ახლებს, თუ გნებავთ, მშობლებს და შვილებს. დიდი ბოდიში, მაგრამ რა შეემთხვა თქვენს მეგობარს? რამ მოკლა ასე ახალგაზრდა? ბაღში რატომ მოკვდა-მეთქი, მინდოდა მეკითხა. გულმა უმტყუნა ალბათ. დღეს

ხომ ესეც ჩვეულებრივი ამბავია. სვამდა?

ქალი: ჩემი მეგობარი კი არ მოკვდა, მოკლეს. საერთოდ არ სვამდა. უფრო სწორედ, იმდენს არ სვამდა, სასმელს რომ მოეკლა. პატარები ვიყავით ჯერ, არც ვიცოდით გული საით გვქონდა. არა, ცოტას ისიც სვამდა, როგორც ყველა ჩვენთაგანი, ერთმანეთის დღეობებზე. სისხლისგან დაიცალა უცებ. ტყვია ფეხში მოხვდა, მაგრამ მაინც მოკვდა. აქვე დაჭრეს, ზემოთ, ქუჩაში, კაშირგაბმულობის სახლთან. (ხელს აიქნევს უმისამართოდ) აქამდე თავისით მოვიდა. მე ხელს ვაშველებდი მხოლოდ. გვეგონა, გამოვაღწიეთ, გადავრჩით... ერთი წამით ჩამოვჯექით ამ სკამზე, სულის მოსათქმელად, და აღარც წამომდგარა. რას ვიფიქრებდი, თუ მოკვდებოდა. თვითონაც არ ეგონა. სულ იმას წუხდა, შინ როგორ მივიდე ასე, სისხლში ამოსვრილიო. მშობლების ეშინოდა. ქუჩაში წივილ-კივილით გადადიოდა ხალხი ერთმანეთზე, იმას კი (ხელს მიუშვერს მთვრალს) ასე ჰქონდა თავი ჩემს მხარზე ჩამოდებული. თქვენ ხომ არ იცით, რა გადავიტანე იმ დღეს... რა გადავიტანეთ იმ დღეს ბავშვებმა... იმ დღეს დამთვარდა ჩვენ თვის ყველაფერი — მშობელიც, მასწავლებელიც, უფროსიც, სამშობლოც! ჩვენი დიდი სამშობლო. ვერავინ დაგვიცვა. ვერავინ მოგვეხმარა. სოროებში შეძვრნენ ყველანი. ტყუილია. ტყუიან. იმ დღეს არავინ გადარჩენილა. ვინც შინ დავბრუნდით, უკვე სხვები, სხვანაირები დავბრუნდით. მე, მაგალითად, სამი წელი ჩაბნელებულ ოთახში ვიჯექი, ცხვირი არ გამომიყვია გარეთ. სწორედ ის წლები, სახეტიალოდ, სასეირნოდ რომ არის განკუთვნილი თავად ბუნებისგან.

ვერავის ვერ ვცნობდი, ყველასი მეშინოდა, ყველაფრისა. ფეხსადგილში წყალს რომ ჩამოუშვებდნენ, იმაზეც გული მისკდებოდა, დაფეთებული წამოვვარდებოდი ხოლმე. დედაჩემს რომ მოვეწამლე, მამას რომ გავეუპატიურებინე, არ გამიკვირდებოდა. თითქოს მინდოდა კიდეც, რაღაც მომხდარიყო ამისმაგვარი. მართლა ჩამოვჯდები ცოტა ხანს. დავიღალე ამდენი ლაპარაკით. (ჯდება ბაბილა პირველის გვერდით.) ახლა თუ ავტირდი, ნუ მომაქცევთ ყურადღებას. ასე მემართება ხოლმე. ჯერ ქადაგად დავეცემი, მერე კი სირცხვილისგან ვტირი. მოკლედ, მთლად დალაგებული არ უნდა ვიყო. მაგრამ გიჟიც არ ვარ ალბათ. იმედი უნდა ვიქონითო, ასეა. (კაცს) რიჩარდ, მოდი, შენც ჩამოჯექი, ყველანი დავეტევით. რა შორიდან გვიყურებ, აი, ასეთები ვართ ქართველები. (ბაბილებს) ეს ჩემი მეუღლეა. თუმცა უკვე გითხარით.

კაცი: (ისევ იხდის და იხურავს ქუდს) რიჩარდი.

ბაბილა პირველი: სასიამოვნოა. ბაბილა. ჩემს მეგობარსაც ბაბილა ჰქვია. მეორის სახელი ჯერ ჩვენც არ ვიცით. ვერ მოასწრო თქმა. უცებ ჩაეძინა.

ბაბილა მეორე: დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მიიღეთ, თუ შეიძლება, ჩვენი გულწრფელი...

კაცი: რა ბრძანეთ?

ბაბილა მეორე: (შემცბარი) არაფერი, არაფერი... უკაცრავად.

კაცი: ბაბილა? ბაბილა! ბაბილა, მგონი, აღრევას უნდა ნიშნავდეს. მე ენათმეცნიერი გახლავართ. ძალიან მიყვარს სიტყვასთან კირკიტი.

ბაბილა პირველი: მართალი ბრძანდებით. ბაბილა ნამდვილად აღრევას ნიშნავს. იმიტომაც გვქვია ორივეს. აღრეულები ვართ

ერთმანეთში. მეც ბაბილა, ეგეც ბაბილა. ხანდახან ისიც ვერ დაგვიდგენია, რომელი რომელი ვართ სინამდვილეში. ის ვარ მე, თუ მე ვარ ის. არა, მე ვარ მე, მე ვარ ის. მოკლედ, თავსატეხივითაა. ქაჯი მოიტეხს კისერს.

კაცი: (აპარატს იმარჯვებს) ერთი წუთით. თუ შეიძლება, გადაგიღებთ. გმადლობთ.

ბაბილა პირველი: თქვენი აპარატი ბნელშიც იღებს? ჩვენთვის ყოფილა გამოშვებული სპეციალურად.

კაცი: ხა, ხა, ხა, ხა... იეს. ბნელშიც იღებს. მიგიხვდით. მაგრამ, დამერწმუნეთ, მზვერავი არა ვარ. მეცნიერი ვარ, ქართველოლოგი. მიყვარს ქართული სიმღერა. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა.

ქალი: (ახსენებს) სულხან-საბა ორბელიანი.

კაცი: იეს. სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე სიცრუისა“.

ბაბილა მეორე: ამ ჩვენს მეგობარსაც გაუხარდებოდა თქვენი გაცნობა. თქვენ ენაზეც დაგელაპარაკებოდათ ალბათ. სხვათა შორის, ყველა ევროპულ ენას ფლობს თავისუფლად. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხედავთ, სძინავს.

ქალი: სხვათა შორის, ჩვენ დღეს მოვაწერეთ ხელი. არა, უკვე გუშინ. ღმერთო ჩემო, უკვე ერთი დღის გათხოვილი ვარ. დღეს მივფრინავთ. იცით, რა უთხრა მამაჩემმა რიჩარდს? ხომ გახსოვს, რიჩარდ?

კაცი: იეს!

ქალი: ფულის გამოჩენის რომ არ მეშინოდეს, საკუთარი თვითმფრინავით გაგაფრენდითო. უცხოელი ვერ გაიგებს ამას. მარტო ჩვენ შეგვიძლია ამის გაგება. ძვირფასი ქურქი გეკიდოს კარადაში და ვერ იცვამდე, მთელი სკივრი სამკაულები გქონდეს და ყალბი ოქროს საქორწილო ბეჭედი

გეკეთოს თითზე... ყველაფერი მკვდარია ჩვენთან. ქურქიც, სამკაულიც... მგონი, მართლა ვიხრჩობი. თქვენ არ გცხელათ? ყველაზე უბედური კი მაინც ჩვენებური ქალია, ქართველი მანდილოსანი! ცოლად არ გვირთავენ, არ მოვწონვართ, თან კი — პატიოსნები იყავითო. მარტო იმ უბედურს მოვწონდი. მართლა როგორ ჰგავს თქვენი მეგობარი. იმის მერე წესიერად აღარც შეუხედავს ჩემთვის ბიჭს. ის იყო და ის. მაგრამ იმასაც რომ დასცლოდა ცხოვრება, ახლა, ვინ იცის, აღარც ვეხსომებოდი. მაინც მიყვარს აქ მოსვლა, ამ სკამზე ჩამოჯდომა. ერთი წუთით ჩამოვჯდები, სულს მოვითქვამ და ისევ წამოვფრინდები, ჩიტივით. ეს არის ჩემი ავლადიდებაცა და თავგადასავალიც. კიდევ კარგი, ჩვენთანაც შემოუშვეს უცხოელები, თორემ რა გვეშველებოდა? მართლა დავიხრჩობოდით. რამდენი დაიხრჩო და იხრჩობა დღესაც! მაგრამ, უცხოელების წყალობით, ბევრი ეწია ბედსაც. თანაც, იმათ, უცხოელებს, სწორედ ის მოწონთ, რაც ჩვენს ბიჭებს ერცხვინებათ — დიდი თვალები, გრძელი ცხვირი, შავი თმა, დაგრეხილი ფეხები... მე კი არა, მართლა ყვავები დათხოვდნენ. მთელი ევროპა სავსეა ჩვენებური ყვავებით. დაყრანტალობენ თავიანთთვის ბედნიერად. რიჩარდ, ხომ მოგწონვარ, რიჩარდ!

კაცი: იეს!

ქალი: (ისტერიულად) არაფერზე არ მწყდება გული, არაფერზე!..

კაცი: ერთი წუთით. თუ შეიძლება. ვიღებ. გმადლობთ.

ქალი: იცით, დედაჩემი რაზე დარდობს? „გუმსა“ და „ცუმს“ რომ ვერ გასცდა თვითონ ვერაფრით... ერთი ასჯერ

უკვე მითხრა, მაჯობეო, თითქოს
როდისმე მართლა გავჯიბრებივარ
რამეში — ლობიოს შეკმაზვაში ანდა
მჭადის გამოცხობაში. რაც არ ვიცი,
არ ვიცი. დედაჩემმაც არ იცის და
იმიტომ... მაგრამ მაინც დედაა და არც
მე დავრჩები ვალში. რაც მასესხა,
მეც იმასვე ჩავასესხებ. როგორც კი
ჩავალ, ვიზას გამოვუგზავნი. რიჩარდ,
ხომ შეიძლება დედის დაპატიჟება?

კაცი: იეს!

ქალი: ჩამოვიდეს და იჯირითოს იქაურ
მაღაზიებში...

ბაბილა პირველი: მაინც რა ხდება ევროპაში ახალი,
ბატონო ჩემო, რას გვეტყვით კარგს?

კაცი: ევროპას ჯერ არა უშავს რა, მაგრამ
ძალიან ეშინია.

ბაბილა პირველი: ეგ არაფერი. პირიქით, კარგიცაა. ახ-
ლა ისეთი დროა, რაღაცის მაინც თუ
არ გეშინია, ექიმს უნდა გაესინჯო.

კაცი: ხა, ხა, ხა, ხა... იეს! იეს!

ქალი: (ადგება და კაცთან მივა.) მოდი,
ახლა შენ დაჯექი ცოტა ხანს, მე კი
გადაგიღებთ. ეს თაიგულიც დამი-
ჭირე. (აძლევს თაიგულს და კისრი-
დან ხსნის ფოტოაპარატს.) მე ნუ
მიყურებთ. გააგრძელეთ ლაპარაკი.
ცოტა კიდევ მიიწი ბაბილასკენ, რი-
ჩარდ, ბაბილებისკენ. ანდა, აჯობებს,
ხელს თუ გადახვევთ ერთმანეთს,
ევროპა და საქართველო. აი, ასე. თქვენ
კი, მეორე ბაბილა, ოდნავ აუწიეთ
თავი თქვენს მძინარე მეგობარს. ეგეც
ხომ უნდა აღიბეჭდოს სამარადისოდ.
ღმერთო ჩემო, მართლა როგორ გავს!
ასეთი იყო ისიც კუბოში. კარგია.
ვიღებ.

კაცი: გაუმარჯოს საქართველოს!

ბაბილა პირველი: (უხალისოდ) გაუმარჯოს.

ბაბილა მეორე: (უხალისოდ) გაუმარჯოს.

კარგა ხნით ჩამოვარდება საერთო დუმილი.

ბაბილა პირველი: ბატონო ჩემო... ჰმ. ჰმ... აი, თქვენ რომ ბრძანეთ, გაუმარჯოს საქართველოსო, მადლობის მეტი რა გვეთქმის. საქართველოს მართლა სჭირდება გამარჯვება. ერთი ტანჯული, უიღბლო ქვეყანაა... მე მინდა, თქვენ ეს იცოდეთ.

კაცი: იეს! იეს! რასაკვირველია.

ბაბილა პირველი: ამას წეღანდელი უნებლიე შეცდომის გამოსასყიდად არ გეუბნებით. აი, აპარატზე რომ გკითხეთ, ბნელშიც იღებს-მეთქი. არ იფიქროთ, ეჭვი შემპარვოდეს თქვენს პატიოსნებაში.

ქალი: (სიცილით) გესმის, რიჩარდ? აი, როგორი კარგები ვართ ჩვენ, ქართველები. ყოჩაღ, ბაბილა. თუმცა, საბოდიშოც არაფერია. ყველა საბჭოთა მოქალაქე ვალდებულიცაა უნდობლობა გამოუცხადოს ნებისმიერ უცხოელს, თუნდაც სიძეს.

ბაბილა პირველი: (აღელვებული) დამერწმუნეთ, ეს სულ სხვა შემთხვევაა. მე არაფრის არ მეშინია. მე შემიძლია უფრო გულახდილი ვიყო, ვიდრე თქვენ ელოდებით ჩემგან. მე შემიძლია ისიც კი მოგიყვეთ, თუ როგორ მოვხვდი პირველად საავადმყოფოში. გაინტერესებთ?

ბაბილა მეორე: კარგი ახლა, ვისა აქვს მაგის დრო!

ქალი: ჩვენ კი ძალიან გვაინტერესებს. არა, რიჩარდ?

კაცი: იეს, იეს. რა თქმა უნდა, საინტერესოა.

ბაბილა პირველი: ძალიან ძველი ამბავია, უხსოვარი დროისა. ჩემი ახალგაზრდობა მაქვს, რა თქმა უნდა, მხედველობაში. ხოდა, იმ უხსოვარ დროს, მწერალი მინდოდა გამოესულიყავი. განსაკუთრებით დრამატურგობა მიტაცებდა. ახლა კი ვიცი ამის მიზეზი — თეატრი მიყვარდა ბავშვობიდან — მაგრამ მაშინ ეჭვიც არ მეპარებოდა, უხვად რომ ვიყავი დაჯილდოებული ბუნე-

ბისგან მწერლური ნიჭით. ნიჭი აშკარად არ მქონდა, თორემ, მარტო იმის აღწერა გამითქვამდა საქვეყნოდ სახელს, რაც მე იმ ყმაწვილური გატაცებისთვის გადამხდა თავს.

ბაბილა მეორე: კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! რა გადაგხდა იმისთანა, რაც სხვას არ გადახდენია. ყველამ რომ ჩვენი თავგადასავლები ვწეროთ, წამკითხავი აღარ დარჩება.

ბაბილა პირველი: (არ აქცევს ყურადღებას) პირველ კურსზე ვიყავი უკვე, ერთი პიესა რომ დავწერე. რასაკვირველია, ალეგორიული. „კოხბა ანუ ვარსკვლავის შვილი". მე რომ მომწონდა, ეს გასაგებია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტის დრამწრეშიც მოეწონათ. დადგეს კიდეც. თავისთავად ცხადია, პირველად და უკანასკნელად. ვარსკვლავის შვილს მე თვითონ ვთამაშობდი. თავცოცხალი იმ როლს ალბათ უშანგი ჩხეიძესაც არ დავანებებდი. მე თუ რამე ან ვინმე ვიყავი მაშინ, მხოლოდ კოხბა ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კოხბა მინდოდა ვყოფილიყავი. მაგრამ მეც რომ შემძლებოდა, რაც კოხბამშეძლო,მაშინ,რასაკვირველია, პიესას აღარ დავწერდი. ადამიანი ხომ იმას წერს, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. მართლა გაინტერესებთ, რასაც გიყვებით? ან იქნებ ჩემი გულისთვის ყოვნდებით?

კაცი: ბრძანეთ, ბრძანეთ... აი, ჩემს მეუღლეს თუ არ ეჩქარება...

ქალი: არ მეჩქარება. არა, მეჩქარება. ძალიან მეჩქარება, მაგრამ მაინც გისმენთ.

ბაბილა პირველი: აბა, შეეცდები შევამოკლო. მაშ ასე, კოხბა რომაელების წინააღმდეგ აჯანყებს საკუთარ ხალხს. ან სიკვდილი, ან თავისუფლება. მთელი ქვეყანა ფეხზე დგას, ქალიან-კაციანად, დიდიან-პატარიანად. სხვათა შორის,

იმ დღეებში, როცა რეპეტიციებს გავდიოდით, ნამდვილი სახელი რომ დაეძახა ჩემთვის ვინმეს, არც მოვიხედავდი. მთელი არსებით კოხბა ვიყავი. კოხბას საფიქრალს ვფიქრობდი, კოხბას სათქმელს ვამბობდი, კოხბასავით დავდიოდი, რაც, გარკვეული მიზეზების გამო, დიდ დაბნეულობას იწვევდა ყველგან — უნივერსიტეტშიც, ქუჩაშიც... თქვენ წარმოიდგინეთ, სახლშიც. ის დღეები არც ნორმალურად დავნაყრებულვარ, არც ნორმალურად მძინებია. დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა — სადღაც, უდაბნოში კი არა, საქართველოში, თბილისში; მირიადი წლების იქით კი არა, დღეს, ახლა, ამ წუთას. კოხბა შემარქვეს ზედმეტ სახელად. კოხბა მოდის, კოხბა მოდისო — აყვირდებოდნენ ხოლმე მაშინვე უნივერსიტეტის წინ შეგროვილი უსაქმური სტუდენტები, როგორც კი დამინახავდნენ, და მეც, მისალმების ნიშნად, ბელადივით მაღლა ვწევდი ხელს. მოკლედ, კოხბა მარცხდება და, რომაელებისგან ლტოლვილი, მღვიმეში აფარებს თავს, თავის ხალხთან ერთად. სიტუაცია იძაბება. თუკი გუშინ ყველას დაუჭვებლად სჯეროდა წინამძღოლისა, დღეს, განსაცდელში ჩავარდნილებს, ყველაფერი აეჭვებთ. უფრო სწორედ, არაფრის აღარ სჯერათ. მოგეხსენებათ, რამდენი დრო, რამდენი შრომა, რამდენი გულისხმიერებაა საჭირო, ადამიანს იარაღის ხელში აღება რომ გააბედვინო, და რა იოლად გადააგდებს ხოლმე იმავე იარაღს, თუკი... თუკი, დავუშვათ, შიმშილი ვერ მოიკლა თავის დროზე. ადამიანი საბედისწერო ნაბიჯს ყოველთვის ხორცის კარნახით დგამს. ეს კოხ-

ბამაც იცის. მღვიმეში ჰაერი დამუხტულია. საცაა იჭექებს. არა მარტო ჩემი, ესე იგი, კოხბას ბედი წყდება, არამედ მთელი ხალხისა. ამ ბაღივით ყარდა ის მღვიმეც. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა, მაგრამ მაინც შემოვასწარით. სხვა გზა არ გვქონდა და იმიტომ. შიშნაჭამი, გულამოვარდნილი ხალხი ერთმანეთზე ეყარა აღნავლებულ, აკვნესებულ, აღრენილ სიბნელეში, სიბინძურეში. მე კი ისევ მჯეროდა სასწაულისა! უფრო სწორედ — ხალხის სიმტკიცისა, რაც, ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერ გარემოსთან, ნებისმიერ მდგომარეობასთან შეგუებაა და მეტი არაფერი. გულუბრყვილოდ მეგონა, სიკვდილს რომ ამჯობინებდნენ დამპყრობელთან სამსახურს. რამდენიმე მარჯვე მწყემსი ბიჭი საჭმლის საშოვნელად გავაგზავნე და ჩემს სატრფოს ვუხმე — თუ შევიტყობდი, ყველაზე უკეთ იმისგან შევიტყობდი, რა გუნებაზე იყო ხალხი: კიდევ ჰქონდა ბრძოლის ხალისი, თუ თავბედს იწყევლიდა უკვე, მე რომ ამიბა მხარი. (**წამოვარდება, ქალს ხელს ჩაჰკიდებს** და უფრო მგზნებარედ გააგრძელებს) რახილ! ძვირფასო რახილ!

ქალი: (**იცინის**) მე რახილი არ მქვია... არც თქვენი პიესა წამიკითხავს, არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ.

ბაბილა პირველი: (**აღელვებული, აღგზნებული**) მიპასუხეთ, რაც გინდათ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენც იმ მღვიმეში ხართ, კოხბასთან ერთად. ილაპარაკეთ ყველაფერი, რაც ენაზე მოგადგებათ, სულერთია... რახილ! ძვირფასო რახილ! ვერ გავამართლე შენი იმედი, ვერ გავხდი ღირსი სიყვარულისა... დამარცხებულს ქალთან არ აწვენენ, რახილ! მე კი დავმარცხდი. თუ ხვალამდე საჭმელი ვერ ვიშოვნე,

ხალხს ვეღარ გავაჩერებ, ვეღარ ავიყოლიებ და, ვინ იცის, რამდენი ხნით, თუ სამუდამოდ არა, ჩავუკლავ ბრძოლის ჟინს. მაგრამ სხვა გზა არ არის, აყმუვლებულ მუცელს სიტყვით ვერ გააჩუმებ. შენც უფლებამოსილი ხარ, ისე მოიქცე, როგორც გული გიკარნახებს. ღმერთმა ხომ იცის, მარტო კარგი მინდოდა შენთვის. მაგრამ თავიდანვე შევცდი, გულში რომ არ ჩავიკალი ეს მტანჯველი გრძნობა, რადგან, საერთოდ უფლებააყრილს, არც შენი სიყვარულის უფლება მქონდა. ვინც ქალის ტყვეა, ხალხს ვერ დაიხსნის! წადი, რახილ! შეგიძლია, დღესვე, ახლავე დაბრუნდე უკან. რომაელებს მოსწონთ ჩვენი ქალები. შენ კი ჩვენს ქალებშიც გამოირჩევი. ფლასსა და ლუკმას ყოველთვის იშოვი...

ქალი: (სიცილით) ჩემო ძვირფასო, როგორც მახსოვს, სულ სხვანაირად ჭიკ-ჭიკებდით გუშინ. თქვენი პირიდან დაპირებების ზღვა გადმოქუხდა. დღეს კი (მკაცრად) თქვენ კი არ შეცდით, მე შევცდი! მე არ უნდა ავყოლოდი გულს. მე შემეშალა არჩევანი. ქალს დამარცხებულთან მართლაც არ აწვენენ, მაგრამ სადაც დამარცხებულია, იქ გამარჯვებულიცაა ყოველთვის. ასე რომ, ჩემზე ნუ დარდობთ, თავს მიხედეთ. ჩემი ფასი გამარჯვებულმა უკეთ იცის. ფლასსა და ლუკმას მე მოგიტან ხოლმე, როცა ჯურღმულში ჩაგაყუდებენ... (იცინის.)

ბაბილა პირველი: რახილ!

ქალი: (გამოაჯავრებს) „რახილ“! ქალმა იმდენი კი უნდა იცოდეს, ვარსკვლავს შვილი რომ არ უჩნდება. შენც ჩვეულებრივი ქალის გაჩენილი ხარ, ჩემისთანა ქალისა. მაგრამ ცხელ სილაზე რომ დაწვება გულაღმა და

ვარსკვლავებით მოჭედილ ცას დაუწ-
ყებს ცქერას, რა არის რომ არ ირ-
წმუნოს სულელმა დედაკაცმა. ხალხს
აღარ სჯერა შენი, კოხბა! ქალები
გწყეველიან, კაცები კი იმუქრებიან.
იცი, რას ამბობენ? თუ თავისუფლე-
ბაა, თავისუფლება იყოსო, კოხბას
რომ უწვები, ჩვენ რაღა დავაშავეთო.
რატომაც არა?! რითი განსხვავდებით
ვითომ ერთმანეთისგან ამ აქოთებულ
მღვიმეში?!

ბაბილა პირველი: რახილ!

ქალი: (გამოაჯავრებს) „რახილ"! ყველამ
ის უნდა აკეთოს, რაც ღმერთს დაუ-
წესებია მისთვის. სისხლის ღვრას
კარგი არაფერი მოჰყვება, შენ გაი-
მარჯვებ თუ სხვა. ერთმა რომ
მოიპოვოს, მეორემ უნდა დაკარ-
გოს თავისუფლებაცა და ძალაუფ-
ლებაც. ახლა ის იქნება დაჩაგ-
რული, დამონებული. ახლა იმის
გულისწყრომა იქნება სამართლიანი.
ახლა ის აჯანყდება და ერთხელ
კიდევ შებრუნდება ყველაფერი
წაღმა-უკუღმა. აღარ შემიძლია.
ამოვიდა ყელში ერთი და იგივე.
არადა, საბოლოოდ არაფერი არ
შეიცვლება, მხოლოდ სიმწარეს მიი-
მატებს ადამიანი, სიმწარეს, ტან-
ჯვას, უბედურებას, სიკვდილს... სიკ-
ვდილს ხომ დამპყრობელიცა და
დაპყრობილიც ერთნაირად უხდის
ხარკს. ხოლო ძალაუფლებას ის ეტა-
ნება, ვისაც სხვა არავითარი სარგებ-
ლობის მოტანა აღარ შეუძლია. ხომ
გახსოვს, ხეებმა მეფის არჩევა რომ
გადაწყვიტეს?!

ბაბილა პირველი: შენ ყოველთვის ასე ფიქრობდი?

ქალი: (ამოიოხრებს, სევდიანად) ყოველთვის.

ბაბილა პირველი: აბა, ჩემთან რა გინდოდა?

ქალი: (იცინის) უკაცრავად. ერთი წუთით.
რაღაცაზე გამეცინა. რა მინდოდა და,
დროს ველოდებოდი, ჩემო ძვირფასო,

როდის გამეხსნებოდა გონება. ამ ბნელი და ბინძური მღვიმიდან თუ გავედი, უკეთესად შევძლებ სინათლისა და სიწმინდის დანახვას. ნეხვში უფრო ადვილია მარგალიტის პოვნა, ვიდრე ყალბი მარგალიტების გროვაში.

ბაბილა პირველი: ამ მღვიმეში ორივესთვის ადგილი არ არის, რახილ!

ქალი: ახალი ამბავი! რასაკვირველია, აქ მხოლოდ შენი ადგილია, შენი სადგომია, თუ გნებავთ — საფლავიც. მე კი დროებითა ვარ აქ. სულ რამდენიმე საათიღა დარჩა და გავფრინდები. მეც დავისვენებ და თქვენც. ავდარმა შემომდენა ამ მღვიმეში სულელი ბატკანი. აქედან უფრო ჭკვიანი გავალ და მეორეჯერ ტრიალ მინდორში აღარ დავხვდები ავდარს.

ბაბილა პირველი: აქედან ვერც ერთი ვეღარ გავალთ ცოცხალი — ეს ჩვენი საერთო აკლდამაა.

ქალი: არაფერი ისე არ ყარს, როგორც ადამიანი. ერთი საათიც არ არის, რაც ამ მღვიმეში შემოვედით და სუნთქვა აღარ შემიძლია. ვიხრჩობი.

ბაბილა პირველი: რას ვიზამთ, თავისუფლებისთვის ყველაფერი უნდა აიტანოს კაცმა. (ხელს გაიშვერს უჩინარი ხალხისკენ.) ისინი თავისუფლებისთვის კვდებიან.

ქალი: არაფერიც. ეგ საკენკი სხვას დაუყარეთ. თავისუფლებისთვის კი არ კვდებიან, სიკვდილის შიშით სძვრებათ სული. მღვიმიდან თავის გამოყოფისაც ეშინიათ. შიში აიძულებთ საკუთარი სიმყრალის ატანას. არადა, ვინმემ რომ აღუთქვათ სიცოცხლე, წამში დაიცლებოდა აქაურობა. გვამებისა და განავლის მეტი არაფერი დარჩებოდა აქ, შენთან, ვარსკვლავის შვილო. ადამიანს ყველაზე ძალიან სიკვდილისა ეშინია

და სიცოცხლისთვის გვამსაც შეჭამს და განავალსაც. ამაშიც მალე დარწმუნდები, თუ აქამდე ვერ დარწმუნებულხარ, ჩემო ძვირფასო, ჩემო შლეგო მიჯნურო! ადამიანის დამცირება თუ არ გინდა, გაანებე თავი, გაუშვი თვითონ აირჩიოს, რაც ურჩევნია. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მონობა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მონობისთვისაა გათვალისწინებული მისი ცხოვრების წესი, ხანგრძლივი არსებობისთვისაა გამიზნული, ხოლო გმირობა და თავგანწირვა წამიერი აღტკინებისა თუ თავსმოხვეული ცდუნების სავალალო შედეგია. შეგიძლია, სიტყვაზე დამიჯერო, ჩემს კისერზე მიწვნევია და საკმარისია, მარტო ჩემთვის კი არა, თქვენთვისაც, ყველასთვის. ხალხს სიცოცხლე უნდა, როგორიც არ უნდა იყოს ის — სიცოცხლე! ამიტომაც, ერთნაირად იოლად ეჩვევა სიმდიდრესაც და სიღატაკესაც. მისთვის თითქმის სულერთია, ღატაკი იქნება თუ მდიდარი, ოღონდ იცოცხლოს, ოღონდ ყოველდღე როგორმე ჩაიწყნაროს შიმშილისგან აყმუვლებული მუცელი, რამენაირად გაუყუჩდეს ტკივილს, დაიამოს ქეცის ქავილი... (მთვრალი თავს წამოსწევს და გაიზმორება.) აგე, შენი ბიჭებიც დაბრუნდნენ... (იცინის, თან თვალს არ აშორებს მთვრალს.) თუმცა არა. მარტო მოდის ვიღაც. მოდის კი არა, მორბის თავქუდმოგლეჯილი.

მთვრალი: (უცებ წამოდგება და იყვირებს) კოხბა! კოხბა! კოხბა! (მერე ბაბილა პირველის წინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქებს და მღელვარედ გააგრძელებს) გადავრჩი, კოხბა, გადავრჩი! ადონაის, დიდებულო, გეტრფი და გეთაყვანები! (ამასობაში, სიბნელიდან ნელა, გაუბედავად გამოდის

ხალხი – ერთნაირად დაკონკილ-
გაბინძურებული.) გადავრჩი, ხალხნო!
მარტო მე გადავრჩი. ყველანი
დაიღუპნენ. ყველანი დაიღუპნენ. მე
კი გადავრჩი!!!

ბაბილა პირველი: დალაგებულად მოყევი, რა მოხდა.
სხვები სად არიან?!

მთვრალი: (სხაპასხუპით) თავიდან ყველაფერი
კარგად აეწყო — პურიც ვიშოვეთ და
საქონელიც. მთელ ფარას მოვუყარეთ
თავი და მშვიდობით გამოვბრუნდით
უკან. ღამე მოვდიოდით. მთვარის
შუქზე. დღისით კი ღრანტეებში
ვიმალებოდით. მაინც დაგვინახეს,
მაინც დაგვეწივნენ. ვინც პირველმა
შეამჩნია ისინი, მაშინვე კომბალი
მოისროლა და ხევისკენ გაიქცა.
ჩვენ ჯერ ვერ მივხვდით, რა შეემთ-
ხვევა, რა მიარბენინებდა, მაგრამ
უკან რომ მოვიხედეთ და მტვრის
ღრუბელი დავინახეთ, ჩვენც გა-
დავყარეთ კომბლები. თუმცა, გაქ-
ცევას აზრი აღარ ჰქონდა — ოთ-
ხივე მხრიდან გვივლიდნენ, ფარის
ძაღლებივით. ბოლოს ერთად შე-
გვაგროვეს ცხვარიც და კაციც. ცხე-
ნებს ზედ გვაგდებდნენ. ცხენებით
გადაგვთელეს. ცხენის ფლოქვებით
დაგვჩეჩქვეს, დაგვნაყეს, დაგვფშვნეს.
მერე აღარაფერი მახსოვს. გონს რომ
მოვეგე, ხორცისა და ძვლის ფაფაში
ვიწექი. ძლივს ამოვფოფხდი, ძლივს
ამოვაღწიე იქიდან. ისინი უკვე
წასულიყვნენ. არ ვიცი, რამდენ ხანს
ვიყავი უგონოდ. შეიძლება, მთელი
დღე ვეგდე იქ, შეიძლება — მთელი
კვირა. ჰაერი რომ ჩავისუნთქე,
მერეღა გამახსენდა, რა მოხდა და
სად ვიყავი. ერთმანეთში აზელილ
ცხვარსა და კაცს სვავების ჯარი
ეხვია. იმათაც ძლივს დავაღწიე თავი.
სისხლიან ფრთებსა მცემდნენ სახეში,
უკან მაბრუნებდნენ, არ უნდოდათ ჩემი

გაშვება, თითქოს თავზესაყრელად არ ჰქონდათ ლეში, კაცისაც და ცხვრისაც. იმის მერე მოვრბივარ. მეორე დღეა, მუხლი არ ჩამიღუნავს, წვეთი წყალი არ ჩამსვლია პირში. მაგრამ რაკი გადავრჩი, აღარაფერს ეჩივი. ღმერთო, დიდებულო! ღმერთო, ჭეშმარიტო! შენი ფეხის მტვერი ვარ, შენი მადიდებელი...

ბაბილა პირველი: კი მაგრამ, რატომ გადარჩი? განა ამისთვის გაგიშვი?

მთვრალი: განა ჩემი ბრალია? გონზე რომ მოვეგე, ცოცხალი ვიყავი. სხვებს კი სვავები ძიძგნიდნენ. ეტყობა, ღმერთს არ უნდოდა ჩემი სიკვდილი. რა ჩემი ბრალია. თქვენ ხომ არ იცით, რას გადავრჩი! ცხენი თუ კაცის ხორცსა ჭამდა, არ ვიცოდი. მე კი გადავრჩი. მაინც გადავრჩი. ასე უნდოდა ადონაისს.

ბაბილა პირველი: ჩასაქოლი ხარ! **(დუმილის შემდეგ)** ხორცი უნდა წამოგეღო. ღმერთმა გონი იმიტომ დაგიბრუნა, ამათთვის **(ხელს იშვერს სცენაზე გამოფენილი ხალხისკენ)** საჭმელი რომ მოგეტანა. ესენი თავისუფლებისთვის იხოცებიან, შენ კი გადარჩი! ესენი შენი იმედით ცოცხლობენ, შენ კი მარტო შენთვის გადარჩი! ჩასაქოლი ხარ!

ხალხი: ჩასაქოლი ხარ!

მთვრალი: **(მიუბრუნდება ხალხს)** რა უნდა წამომეღო, ხალხნო, როგორ გამომერჩია ცხვრის ხორცი თქვენი თანამოძმეთა ხორცისგან?! კაცის ხორცს ხომ არ გაჭმევდით?!

ბაბილა პირველი: მაინც ჩასაქოლი ხარ. შენ ამ ხალხის ნდობა და მოლოდინი გააწბილე.

ხალხი: სიკვდილი მოღალატეს! სიკვდილი! სიკვდილი!

ხალხი შემოეხვევა დაჩოქილ მთვრალს, იგივე მწყემსს. ხოლო, ცოტა ხნის მერე, როცა ისევ გაიშლება, იმ ადგილას, მწყემსის ნაცვლად, ქვების ბორცვიღა დარჩება. მთვრალი ისევ მერხზე

დაჯდება და ისევ ბაბილა მეორეს ჩამოადებს მხარზე თავს. ხალხი დაბნეული, ნირწამხდარი შესცქერის ქვების ბორცვს და ნელ-ნელა იხევს უკან. რისხვა კი ამოანთხია, მაგრამ, ეტყობა, იმასაც მიხვდა, გადარჩენის ცხოველურმა ჟინმა უარესად რომ დააბრმავა, უარესად რომ დაამდაბლა და, ამასთანავე, სრულებითაც არ მოუტანა ნანატრი შვება. ამას, რა თქმა უნდა, ბაბილა პირველიც ანუ კოხბაც გრძნობს და ცდილობს ხალხის გამოფხიზლებას, დაშოშმინებას.

ბაბილა პირველი: ხალხნო, ღმერთი ჩვენთან არის... ნუ გავაბარებთ მტერს, ნუ ვათქმევინებთ, ეს ვინ ყოფილან, მუცელს დაბლა ჰკიდებიათ ღირსებაო. მართალია, ყველას გვშია, მაგრამ მაინც ნუ ვანაცვალებთ თავისუფლებას პურს. თავისუფლება პურზე უფრო ძნელი მოსაპოვებელია, ხალხნო! (ყვირის) გაუმარჯოს თავისუფლებას!

ქალი: წყეულიმც იყავ! (და მაშინვე პირზე მიიფარებს ხელს, თითქოს რაც თქვა, უნებურად წამოსცდა.)

ბაბილა პირველი: (უფრო მგზნებარედ) გაუმარჯოს თავისუფლებას!

ქალი: (გაღიზიანებული) წყეულიმც იყავ, კოხბა! შეიძლება გავაგრძელო?

ბაბილა პირველი: რასაკვირველია.

ქალი: შენ აღარა ხარ ჩვენი უფროსი. შენ ჩვენს თავს თავისუფლება გირჩევნია. მე კი ყელში ამომივიდა შენი თავისუფლება. აღარ შემიძლია! აღარ შემიძლია ვუყურო ამდენ სიკვდილს! დე, ისევ მონებად გაგვყიდოს დამპყრობელმა. დე, როგორც მოესურვება, ისე გვჯიჯგნოს და გვათრიოს, ოღონდ ნუ მოვკვდებით. სიკვდილიდან ველარავინ გვიხსნის. ამიტომ, არც სიკვდილის ნება გვაქვს. ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე ვუშველოთ თავს. მით უფრო შენ არა გაქვს ჩვენი მოკვლის ნება. სიცოცხლე განუწყვეტელი ტანჯვაა და ჩვენ ყველანი ამ ტანჯვისთვის ვჩნდებით. დანარჩენი ტყუილია ყველაფერი, ზღაპარია, ოცნებაა, ჩვენებაა. მე მივდივარ

და ვერავინ შემაჩერებს, რადგან მივდივარ იქ, სადაც ღმერთმა მიმიჩინა ადგილი, თუნდაც — თავშესაფარი. ჩემი უფროსი მხოლოდ ღმერთია და ის შენზე ბევრად ლმობიერია! იმას ველოდებით, შენ კი — არა! მე მივდივარ, ხალხო! ვინ მოდის ჩემთან ერთად! დროზე გავაღწიოთ ამ წყეული გამოქვაბულიდან, თუ გვინდა რომ გადავრჩეთ, თუ გვინდა რომ ხვალაც ვიყოთ!

ხალხი ნელ-ნელა აჩოჩქოლდება და დარბაზისკენ დაიძვრება

ბაბილა პირველი: ნუ უსმენთ, ხალხნო! გაუმარჯოს თავისუფლებას!
ქალი: წყეულიმც იყავ!
ხალხი: წყეულიმც იყავ!
ბაბილა პირველი: გაუმარჯოს თავისუფლებას!

ნაწამები, გაძვალტყავებული, დაძონძილი ქალი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, ერთმანეთს ბრმასავით მიჰყვება და მღვრიე მდინარის ზვირთებივით ჩაედინება სცენიდან დარბაზში. ისმის შეძახილები: „წყეულიმც იყავ, კოხბა!" „მწყურვალს წყალი მშობლის სისხლად გექცეს!" „მშიერს პური მშობლის ხორცად გექცეს!" „თესლი გაგიქვაოს ღმერთმა!"

ბაბილა პირველი: (ყვირის) გაუმარჯოს თავისუფლებას! (ცოტა ხნის მერე, თავისთვის) ამიტომ არა ვართ ღირსნი თავისუფლებისა... ამიტომ ვმარცხდებით და ამიტომ დავმარცხდებით ყოველთვის...
ბაბილა მეორე: (გაოგნებული, შეწუხებული) შენ რა, ტირი? ღმერთო ჩემო, ტირის. მართლა ტირის! ეტყობა, როლში შეხვედი. არ მეგონა, შენც თუ შეგეძლო ტირილი.
ბაბილა პირველი: (ცოტა არ იყოს, შემცბარია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს) დიახ, ვტირი... და სრულებითაც არ მრცხვენია. აი, ხელითაც ნახე, უფრო რომ დარწმუნდე. (ბაბილა მეორის ხელს ძა-

ლით ისვამს სახეზე) ხედავ, რამხელაა მამაკაცის ცრემლის წვეთი! რომელი ყურძნის მარცვალი მოვა ამასთან! ამ მარცვლიდან შურისძიების ღვინო იწურება! (ქალს) ესეც იმ პიესიდანაა. (ისევ ბაბილა მეორეს) დაჭყლიტე, შემასრისე სახეზე. ეტყობა, უკვე დამწიფებულა. აბა, ნახე რა გემო აქვს, (ძალით ალოკვინებს საკუთარ ხელს) ნახე, ნახე, ნუ გეშინია. ღონეზე მოგიყვანს. ალოკე, დალიე, ჩაყლაპე — ნუ გერიდება. ეს ღვინო ყველა მსურველს ეყოფა. თავზეც გადაგვივა. ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლის. ჭერს ჩამოგვინგრევს... ერთ დიდ გუბედ დაგუბდება, შიგ რომ ჩავიხედოთ ყოველ წამს, სულ თვალწინ რომ გვედგას ჩვენი ჭეშმარიტი სახე — ნაადრევად დაბერებული, უმწეობით, ბოღმით, ჯავრითა და ოცნებით დასახიჩრებული. დღეს ერთმანეთს ვხოცავთ, ხვალ მართლა შევჭამთ ერთმანეთს... ღმერთო, მართლა როგორ ყარს ადამიანი! არა, ადამიანი კი არ ყარს, ეს სიმხდალის სუნია, სიბეცისა, სიმდაბლისა... დაუნდობლობის!

კაცი: ბრავო! სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ასეთ ბიბლიურ სცენებს თუ ვნახავდი საქართველოში. დიდებულია. ბრავო. დიდი მადლობა.

ქალი კაცს აპარატს დაუბრუნებს, თაიგულს გამოართმევს და მის გვერდით დაჯდება.

ქალი: მართლა ყველანი ვეტევით ამ სკამზე... (ბაბილა პირველს) ეს თაიგული თქვენ უფრო გეკუთვნით, მაგრამ ვერ მოგცემთ, მკვდრის სახელზე მაქვს წამოღებული...

ბაბილა მეორე: სხვათა შორის, რა მაგ სიტყვის პასუხია და, საზღვაო კატასტროფების დროს, ნებისმიერ ნავზე ყოველთვის გათვალისწინებულზე მეტი ხალხი

ეტევა თურმე. არქიმედის კანონი განწირულთა სასარგებლოდ მოქმედებს.

ქალი: (კაცს) ხელი მომხვიე. შემცივდა.

კაცი: აკი ვიწვიო?!

ქალი: (გაღიზიანებული) ვიწვოდი. ახლა კი მცივა. (ცოტა ხნის მერე) იმიტომ რომ, არ მჯერა. არა, იმიტომ რომ, ხან მჯერა, ხან კი არა. მართლა ბრიყვი უნდა იყო, ასე იოლად დაიჯერო. ა, რიჩარდ?! მითხარი, ხომ მართლა მოგწონვარ? ხომ გეყვარები სულ?

კაცი: იეს.

ქალი: იეს კი არა, ხო, კი, დიახ... ჩვენ სამი სიტყვა გვაქვს თანხმობის გამოსახატავად. ერთი არ გვყოფნის. სამგზის, სამნაირად უნდა განვაცხადოთ თანხმობა ყველაფერზე. უარის თქმა კი გვიჭირს. საერთოდ გვიჭირს. მე არ მიჭირს მხოლოდ. ხმამაღლა, საქვეყნოდ ვაცხადებ უარს ჩემს წარსულზე... მგონი, ისევ რახილივით ვლაპარაკობ. მეც შევედი, ეტყობა, როლში... და სამგზის თანახმა ვარ, დაუყოვნებლივ, თვითმფრინავში ჩაჯდომისთანავე, დავიწყო ახალი ცხოვრება — ახალი კი არა, ადამიანური, ჩვეულებრივი — ძვირფასი ქურქის ჩაცმა რომ არ შემეშინდება, ბრილიანტასხმული, ვარსკვლავიან ცასავით რომ ვიციმციმებ თეატრის ხავერდოვან ბინდბუნდში, გასტრონომში გული რომ არ შემიღონდება ათასნაირი შაშხის, ძეხვისა თუ ყველის დანახვაზე... (წამოვარდება) რიჩარდ! წასვლის დროა! წინ, სიცოცხლისკენ! ამ გვირგვინს კი აქ დავდებ. (დებს ქვების ბორცხვზე) აქ ჯობია. ეს უფრო ჰგავს საფლავს. შეიძლება საფლავიცაა, ვინმე უპატრონო, უსახელო მსხვერპლისა... ისინიც უპატრონოებივით დამარხეს, შუაღა-

მისას, სხვადასხვა სასაფლაოებზე. გზა-კვალის ასარევად. მხოლოდ დედები ჩააჭყიტეს ცალი თვალით შვილების კუბოებში. იცანით? დარწმუნდით? ხოდა, თუ დარწმუნდით, კარგად ბრძანდებოდეთ. საკმარისია. ხმა. კრინტი. თორემ! თორემ რა? დაგვაკელით ვითომ რამე? რიჩარდ, წავიდეთ, აღარ შემიძლია აქ გაჩერება. კარგად ბრძანდებოდეთ. ძალიან გთხოვთ, მართლა გიჟი არ გეგონოთ. თუმცა, ბრიყვს ისევ გიჟი სჯობია. (მიდის. პირზე იაფარებს ხელს, თითქოს ქვითინს იკავებსო.)

კაცი: კარგად ბრძანდებოდეთ. (ერთხელ კიდევ უღებს სურათს მერხზე დარჩენილებს.) ნამდვილად საინტერესო იყო. დიდი მადლობა.

ბაბილა პირველი: (ფეხზე დგება) კარგად ბრძანდებოდეთ. კეთილი მგზავრობა.

ბაბილა მეორე: კეთილი მგზავრობა. უკაცრავად, ვერ ვდგები.

ქალი და კაცი გადიან. ხანგრძლივი პაუზა.

ბაბილა პირველი: (ჯდება) წაიყვანა იაზონმა ჩვენი მედეა.

ბაბილა მეორე: (სიცილით) აუშენებს ოჯახს. (ცოტა ხნის შემდეგ) მედეასი რა მოგახსენო, რახილი კი ნამდვილად არის. უკეთეს რახილს ვერც წარმოვიდგენდი. მაინც რა უცებ გაერკვა ყველაფერში! ერთი არ წაუბორძიკია...

ბაბილა პირველი: შეიძლება ოჯახი არ აუშენოს, მაგრამ არც მამას მოუხარშავს მდუღარეში და არც შვილებს დაუხოცავს დანით. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მედეა არასოდეს ყოფილა ოჯახური კეთილდღეობის სიმბოლო. თუმცა, შენც მართალი ხარ, ეს მაინც სხვა ჩამოსხმაა – ახლებური, ჩვენებური... ამისთვის აქედან გაღწევაა მთავარი. ამით იწყება და ამითვე მთავრდება

მისი მრწამსიც და მიზანიც... აკი თვითონვე თქვა, არაფერზე მწყდება გულიო. მედეა რომ გახდე, უფრო ზუსტად, მედეობა რომ შეძლო, ბევრ რამეზე უნდა გწყდებოდეს გული: სამშობლოზე, მშობელზე, ძმაზე...

ბაბილა მეორე: მკაცრი ლაპარაკი იცი მაინც — დაუნდობელი. რა მაგის ბრალია. სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, დედა ნახე, მამა ნახეო. სამშობლოს რომ უღალატო, ჯერ უნდა გქონდეს სამშობლო. ჩვენ კი, ერთის, ერთადერთის მაგიერ, რამდენიმე დავახვედრეთ, არც ერთის ფასი რომ არ სცოდნოდა წესიერად. ჭალაში მკვდარი ჩიტივითაა — დიდ ქვაბში არ ეტევა, პატარაში სულ არ არის...

ბაბილა პირველი: ეგ მართლა კარგად თქვი. (იცინის) შენი აზრი რომ გავაგრძელოთ, ვერც მშობელს უღალატებს. იმიტომ რომ, არ უყვარს. დიდი-დიდი, დაასმინოს, როგორც არალეგალური მილიონერი და მკვდარი ფულის ჭირისუფალი. — ასე თუ არ მოიქცევი, იმ ბიჭს თუ არ მიყიდი, სადაც ჯერ არს... და ასე შემდეგ. არალეგალური მილიონერი ხომ იგივე რევოლუციონერია დღეს, უნდა თუ არა, მაინც უპირისპირდება ხელისუფლებას...

ბაბილა მეორე: ძმა არ ყავს, მეგობარი კი ქუჩაში მოუკლეს, ცოფიანი ძაღლივით. მართლაც რომ აღარაფერი აქვს დასაკარგი, სიქალწულის გარდა.

ბაბილა პირველი: მოკლედ, ჩვენ რომ შეგვეფერება, ზუსტად ისეთი მედეაა. ძველის, ნამდვილის აღარაფერი სცხია. ლანდიც აღარ არის იმისი. არაფერი აქვს იმასთან საერთო. იმას თუ ღირსების გადასარჩენად საკუთარი შვილების დახოცვაც შეუძლია, ეს ერთი ჩვეულებრივი თანამედროვე გოგოა, როგორც თვითონვე თქვა, ნორმალურ,

ადამიანურ ცხოვრებას დანატრებული. ერთი იმ ყვავთაგანია მხოლოდ, ევროპაში რომ დაყრანტალებენ თურმე გამეცნიერებული იაზონების წყალობით და იმის მადლობლებიც არიან, რასაც გამოძიძგნიან ცხოვრებას. არც იმას დაგიდევენ, ქმარი თუ აღარ ინდომებთ იქ. ალიმენტზეც სამგზის თანახმანი არიან წინასწარ, ოღონდ როგორმე გააღწიონ აქედან და, რაც მთავარია, ოღონდ აქ დარჩენილებს დაუყენონ თვალი. ის კი არ გაერკვა უცებ, როგორც თქვენ ბრძანეთ წელან, რახილის ხასიათში, არამედ მე, როგორც დრამატურგმა, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს შევძელი ამომეხსნა ზოგადად ქალის ბუნება.

ბაბილა მეორე: ძალიან დაუნდობელი ხარ, ძალიან... უსამართლოც. მართლა რომ გაწყრეს ღმერთი და ახდეს ოცნება, პირველ რიგში, შენიანებს გაავლებ ალბათ მუსრს. მტერს რომ არ უქნია, იმას იზამ. შენი საზომით თუ მიუდექი, კაცი არ შეგრჩება ხელში უნაკლო და უდანაშაულო. სხვებს ამტყუნებ, მაგრამ, ეტყობა, ვერც შენ გადაურჩი მონობას, შენც შეგეხო ბოლოს იმის მსახვრალი ხელი. არ შეიძლება, თავისუფლებას ქადაგებდე სულ და მონასავით დაუნდობელი იყო. რაც ჩვენს ხალხს უბედურება გადახდენია, საკვირველი ის არის, კიდევ რომ ახსოვს თავი, მშობლის სახელი, პირჯვრის გადაწერა... ფეხებს უნდა ვბანდეთ, მადლობას უნდა ვწირავდეთ ერთმანეთს ყველანი — მოთმინებისთვის, გაძლებისთვის.

ბაბილა პირველი: ახლაც მართალი ხარ, მაგრამ, ეტყობა, მაინც გავტყდით ბოლოს.

ბაბილა მეორე: ნუ გატყდები, თუ ბიჭი ხარ. ხომ ხედავ, რას დავემსგავსეთ. ყველა ჩივის, ყველა წუწუნებს... ყველას მარტო თავისი თავი ჰგონია უბედური

და ყველას მარტო სხვა ჰგონია
დამნაშავე — შვილს მშობელი, მშო-
ბელს შვილი... გატყდები კი არა...

ბაბილა პირველი: (ყვირის) მეც მაგას ვამბობ სწორედ!
ყველაფერზე სამგზის, სამჯერ, სამ-
ნაირად თანახმანი ვართ, ოღონდ
ცალი თვალით მაინც ჩაგვაჭყიტონ
შვილის კუბოში. აბა, მედეასთვის
მოეკლა ვინმეს შვილი, თუნდაც,
იმავე იაზონს!

ბაბილა მეორე: გაუბედავდა კიდეც!

ბაბილა პირველი: გაუბედავდა და...

ბაბილა მეორე: იმიტომაც აღარ გვინდა არავის, არც
ჩვენ, არც სხვას.

ბაბილა პირველი: აღარ გვინდა. აღარ გვინდა. რასაკ-
ვირველია, აღარ გვინდა. იმიტომ
რომ, აღარ ვგავართ იმას. დრომ ის
გაზარდა, ჩვენ კი დაგვაპატარავა,
რახილებად გვაქცია! იმის ფეხებთან
ვყეფთ და ვწკავწკავებთ გოშიებივით
— ხელები მაინც დამალე, ქალო,
ნუ მოგვჭერი თავი, ნუ გამოგვაჭენე
საქვეყნოდო... მაგრამ, ჩვენი გუ-
ლის გასახეთქად, ზურგს უკან კი
არ მალავს შვილების სისხლში
ამოსვრილ ხელებს, მკერდზე აქვს
ამაყად დაკრეფილი.

ბაბილა მეორე: სამაგიეროდ, ახალი, დღევანდელი —
ზუსტად ჩვენი ალი და კვალია.

ბაბილა პირველი: (აგრძელებს თავისას) ...ის ღირსების
გადასარჩენად იბრძვის აქამდე, ჩვენ
კი, პირველ რიგში, ღირსება დავ-
კარგეთ, თავი რომ გადაგვერჩინა.

ბაბილა მეორე: ნუ განსჯი და არც შენ განისჯებიო.
ნამდვილად დიდი სიბრძნეა ამ სიტყ-
ვებში ჩადებული. მაგრამ რად გინდა?!
როცა საჭიროა, ყოველთვის მაშინ
გვავიწყდება. გაუშვი, გაანებე თავი,
ყველამ მართლა ისე იცხოვროს,
როგორც უნდა, როგორც შეუძლია...

ბაბილა პირველი: (მგზნებარედ) პირიქით, პირიქით...
თორემ, წყალში ჩაგვეყრება მთელი
ღამის ნალაპარაკევი. ადამიანმა ისე

უნდა იცხოვროს, როგორც ევალება
და არა როგორც თავად სურს. მხო-
ლოდ ასე გადარჩება, მხოლოდ ასე
თუ აღუდგება წინ საკუთარ სიმხეცე-
სა და უზნეობას.

ბაბილა მეორე: ესე იგი, ისევ ვკამათობთ? აღარ
შემიძლია. მხარი ჩემი აღარ არის.
მაინც რამხელა ძილი გამოაცხო ამ
მამაცხონებულმა.

ბაბილა პირველი: ცოტაც, მეგობარო, ცოტაც მოვით-
მინოთ, საცა ამდენი გაგვიძლია, და
დამთავრდება ყველაფერი. აპოკა-
ლიფსი ბიბლიის უკანასკნელი თა-
ვია. გული მიგრძნობს, ბევრი აღარ
დაგვრჩენია. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი
საქმე უნდა ვაკეთოთ ბოლომდე
— მაინც ვთქვათ, რის თქმასაც
მოვასწრებთ.

ბაბილა მეორე: ჩემი აზრით, ჯობდა სერთოდ არ გა-
ვეჩინე დედაჩემს. მოთმინება მოთ-
მინებად, მაგრამ... აქამდე პოეტის
თავი ბუშტივით მსუბუქი მეგონა,
არადა, ქვასავით მძიმე ყოფილა.
(მთვრალს) მეგობარო, მეგობარო,
მოვედით... თბილისია! (იცინის)

ბაბილა პირველი: ძალიან კარგია, საკუთარი აზრი რომ
გაქვს ყველაფერზე... სწორედ ამის
დასადგენად ვსხედვართ აქ, ამისთვის
ვიტანთ სიცივესაც და სიბნელესაც,
მაგრამ საუბარს, თუ გნებავთ, კა-
მათსაც — თავისი წესი აქვს. არც
არაფრისმთქმელი დუმილით უნდა
ჩაუკლა მოწინააღმდეგეს ლაპარაკის
ხალისი და არც მრავლისმთქმელი
დაუდევრობით გამოგლიჯო პირიდან
სიტყვა...

ბაბილა მეორე: მე ხომ თავიდანვე გაგაფრთხილე,
არ მეხერხება-მეთქი ლაპარაკი?
არაფრის ისე არ მეშინია, როგორც
სიტყვის. არ იტყვი — შარია, იტყვი
და — უარესი.

ბაბილა პირველი: თუმცა, უნდა ვაღიარო, არც მე ვი-
ყავი ყოველთვის მართალი. მაგრამ

მომავალი, რასაკვირველია, თუკი იქნება, ამას ჩვენი თავისუფალი აზროვნების, გინდაც, აზროვნების თავისუფლების ნიმუშად მიიჩნევს მხოლოდ, რაც, თავისთავად ცხადია, ოდნავ მაინც მოგვწმენდს პირს შთამომავლობის წინაშე. ისე, დღესაც ბევრი სისულელე წამოვროშე ალბათ, რადგან დღესაც ბევრჯერ გავხდი იძულებული, უკან დამეხია და გვერდი ამეევლო იმ ბუნებრივი წინააღმდეგობებისთვის, ხმამაღალი აზროვნება რომ ბადებს საერთოდ. ეს წინააღმდეგობები კი სხვა არაფერია, თუ არა მოარული, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ჭეშმარიტებები, რომელთა უგულებელყოფა, შეიძლება, წონასა და მნიშვნელობას უკარგავდა ჩვენს საუბარს, მაგრამ, ამავე დროს, ერთფეროვნების მოსაწყენ იერსაც აშორებდა. მოკლედ, ჩვენი საუბარი იმ მდინარეს ჰგავდა...

ბაბილა მეორე: ჰგავდა კი არა, ჰგავს. ჯერ ღმერთმა იცის, საერთოდ დამთავრდება თუ არა.

ბაბილა პირველი: ... იმ მდინარეს ჰგავს, ქვიანი კალაპოტის გამო, იძულებული რომაა ათასნაირად გაიმრუდოს მოქნილი სხეული და სწორედ ამით შეიძინოს განუმეორებელი სილამაზე, მომხიბველლობა.

ბაბილა მეორე: იცი, რა მშურს ყველაზე ძალიან? თამამად, თავისუფლად რომ ლაპარაკობს კაცი და თვითონვე სჯერა, ზუსტად იმას ვამბობ, რისი თქმაც მინდოდაო.

ბაბილა პირველი: მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს შენს ნებაზე ცხოვრებას. არჩევანის წინააღმდეგი კი არა ვარ, როგორც შენ მოგეჩვენა წეღან...

ბაბილა მეორე: (შეწუხებული) საერთოდ აღარ ამოვიღებ ხმას.

ბაბილა პირველი: და მაინც, სავალდებულო ცხოვრება, ჩემი ღრმა რწმენით, შეგნებული ცხოვრებაა და არა, ვთქვათ, ვიღაცისგან დაძალებული. ესე იგი, გინდა, არ გინდა, მოგწონს, არ მოგწონს — მაინც ცხოვრობ, ძირითადად, რასაკვირველია, მტრის ჯიბრით. წარამარა თავს კი არ იკლავ სანდროსავით, არამედ მაინც ცხოვრობ, მიუხედავად ყველაფრისა. მტკიცედ დგახარ, ფეხს არ იცვლი ჯიუტად. გასაგებია?

ბაბილა მეორე: გასაგებია. მაგრამ ცოტა დავიბენი კიდეც. მგონი, მართლა ავირიეთ ერთმანეთში, მართლა მოხდა საბედისწერო აღრევა აზრთა, მიზანთა, მრწამსთა თუ ვნებათა. ან შენ ზიხარ ჩემს გულში, ან მე ვლაპარაკობ შენი პირით. თუმცა, როგორც ყოველთვის, ალბათ ვერც ახლა გამოვთქვამ ზუსტად, რასაც ვგრძნობ და განვიცდი. შეიძლება, შენ ისევ შენ ხარ, მე კი — მე და მხოლოდ დაღლილობის გამო ვიმეორებთ ერთსა და იმავეს, ხან შენ, ხან მე, ხან მე, ხან შენ. გაუთავებლად.

ბაბილა პირველი: დიახაც, დიახაც! სანამ სიბნელე სუფევს ქვეყანასა ზედა, ერთი და იგივე უნდა იმეორო სულ, ერთი და იგივე უნდა იმეორო სულ, როგორმე რომ გაარღვიოს წყვდიადი, როგორმე რომ გააღწიოს აქედან — სინათლეზე დაინახონ და მოედნებზე იქადაგონ მერე. ხოლო რაც შეეხება ადამიანს, ცხოვრების რანაირ მოდელშიც არ უნდა შეკეტო, თავისი ავი და კარგი მაინც თან შეყვება და იქაც, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვით, გარემოებისდა მიხედვით, ხან კარგი იქნება, ხან ავი, კარგიც და ავიც, ერთდროულად. შესაფერის გარე-

მოსაც, რასაკვირველია, თვითონვე შეიქმნის, ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ შეუგნებლად. გააჩნია, დროის ამა თუ იმ მონაკვეთში რითი იცხოვრებს — გუმანითა თუ გონებით. ამიტომაცაა, ჩემო ძმაო, ცხოვრება საინტერესო, ესე იგი, საშიში, დაძაბული, ხიფათებითა და მოულოდნელობით სავსე. და ასე იქნება სულ, რადგან ჩვენდა სასიკეთოდ, კარგს ისევე არ შეუძლია ავის მოსპობა, როგორც ავს — კარგისა. ერთ-ერთი მათგანის მოსპობა მეორის მოსპობასაც გულისხმობს, უკეთეს შემთხვევაში კი — მეორის დაკნინებას და გადაგვარებას. ამას კი თავისთავად მოჰყვება ადამიანის გამოყეყეჩება, სულიერი და გონებრივი იმპოტენცია, ფიზიკურზე რომ არაფერი ვთქვათ. მე მგონი, კაცობრიობის განვითარების სწორედ ამ ფაზაში შევდივართ ახლა. მოკლედ, მედეა არავითარ შემთხვევაში აღარ დახოცავს შვილებს, ოტელო აღარ დაახრჩობს დეზდემონას, ხვეისბერი გოჩა აღარ მოკლავს ონისეს... აღარ, აღარ, არაფრის გულისთვის, რადგან მათთვის სულერთი იქნება, ულალატებენ თუ არა მათი საყვარელი, მათი უახლოესი ადამიანები. ადამიანი ლოკოკინას დაემსგავსება. თუმცა, ახლავე ბოდიში უნდა მოვიხადო ლოკოკინასთან, ჩემი უვიცობის გამო, რამდენადაც ადვილი შესაძლებელია, ლოკოკინასაც გააჩნდეს თავისი ლოკოკინური ვნებები.

ბაბილა მეორე: აკი მალე გათავდება ყველაფერიო?! აკი გული მიგრძნობსო?! გათენდეს მაინც!

ბაბილა პირველი: ვნებებისა არ უნდა ეშინოდეს-მეთქი ადამიანს! აი, რისი თქმა მინდა მთელი დღეა. თუ უნდა რომ

თავისუფალი იყოს, არ უნდა ამოსდოს ვნებას აღვირი. ადამიანი ვნებებს ან იმორჩილებს, ან თავად ემორჩილება. ორივე შემთხვევაში მისი საქციელი უაღრესად ადამიანურია, ოღონდ, პირველი მონაა, მეორე კი — თავისუფალი შემოქმედი. უფრო მეტიც, ის მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა უყვარს, ანდა როცა სძულს, ანუ, როცა ვნებებსაა აყოლილი, ანუ, როცა იტანჯება. მაგრამ ყველას როდი შეუძლია ამ უაღრესად ადამიანური ტანჯვის ატანა! ის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სამაგიეროდ, ბევრზე ბევრია ისეთი, საწოლშიც რომ შეუძლია დროულად უკან დახევა, რათა მის ვნებას — ამ სიტყვას, რა თქმა უნდა, ბრჭყალებით ვხმარობ — რათა მის ვნებას არავითარი გართულება არ მოჰყვეს. „არ შეიძლება", „აკრძალულია" — რამდენი კეთილშობილი ვნებისთვის მოუკვეთავს თავი ამ ორ სიტყვას, ამ ორ ნაჯახს, რომლებიც ჩვენივე სიმხდალის, სისუსტისა თუ უმეცრების ჯართისგან გამოგვიდნია და ჩამოგვისხამს. ამავე ნაჯახების შიშით, რამდენი შეკითხვისთვის აგვირიდებია თავი, რამდენჯერ წაგვიყრუებია, რამდენჯერ აგვიფარებია მათთვის პირზე გონიერების ცივად გაოფლილი ხელი, რადგან თავდაცვის ცხოველურ ალღოს ისიც მიუნიშნებია ჩვენთვის, ნებისმიერი შეკითხვა თავისებური ამბოხება რომ არის, თუნდაც საკუთარი სიმხდალის, საკუთარი სისუსტისა და საკუთარი უმეცრების წინააღმდეგ. გახსოვს, რითი დავიწყეთ? ერთი ჩვეულებრივი, ყოვლად უწყინარი შეკითხვა მოგეცი და იმაზეც ვერ მიპასუხე. შეგეშინდა, დაფრთხი მაშინვე. შენი თქმისა არ იყოს, ლამის მართლა დაგვათენდეს თავზე და მაინც ვერ გაგიბედავს,

მაინც ვერ გაგიმხელია, რატომ ზიხარ აქ, რას ელოდები.

ბაბილა მეორე: (აღელვებული) კი ბატონო, გიპასუხებ. თუ გნებავთ, ნაწილ-ნაწილ... აქ რატომ ვზივარ? მოყვასი მეცოდება (ანიშნებს მთვრალზე). რას ველოდები? ველოდები, როდის გამონელდება ჩემს მოყვასს შხამი. გარკვევით ვამბობ? გაკმაყოფილებთ პასუხი?

ბაბილა პირველი: ტყუილია. ჩვენ ყველას ჩვენი საკუთარი სიმარტოვე გვჭამს და ჩვენი ერთად ყოფნაც ამას ადასტურებს მხოლოდ. სამი კი არა, ათასი კაცი რომ დასვა ახლა ამ ბაღში, მაინც ყველა მარტო იქნება, ყველა თავის ნიჟარაში შეკეტილი, შეყუჟული.

ბაბილა მეორე: სანდროს კი დასცინე წელან, მაგრამ, მგონი, შენც იმავე ნემსით უნდა იყო ნაჩხვლეტი. მთლად კი არ ტყუის ჩვენი მედეა, გინდაც რახილი — არასწორად ვცხოვრობთ ყველანი. კაცს ოჯახური სითბო და ქალის მზრუნველი ხელი სჭირდება.

ბაბილა პირველი: სანდროს კი არ დავცინე, ვარო ექთანის ტირანია ვამხილე ერთხელ კიდევ. არც სანდროს ჰყვარებია ვარო ექთანი, როგორც შენ გინდა დაგვიხატო. ბრმად სცემდა თაყვანს. მონური მორჩილება სწორედ ბრმა თაყვანისცემის ნაშიერია და არაფერი აქვს საერთო სიყვარულთან. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მონური მორჩილების უარყოფაა, ამბოხებაა მონური მორჩილების წინააღმდეგ. ამიტომაც ითვლება ავადმყოფობად, სიგიჟისა არ იყოს. ასე ურჩევნია ვიღაცას, უფლებამოსილსა და ყოვლისშემძლეს. თუმცა, საცა სამართალია, სიგიჟეცა და სიყვარულიც ყველა დროში ავადმყოფობად ითვლებოდა. ეს ჩვენი დამსახურება არ გახლავთ. ძალიანაც რომ გვინ-

დოდეს, ვერ დავიბრალებთ. სამაგიეროდ, ჩვენ ერთიცა და მეორეც ჩვეულებრივ მოვლენად ვაქციეთ, ანუ, ჩვეულებისამებრ გავაუფასურეთ. მაგრამ მაინც ამაოდ დავშვრით. სიყვარულშიც და სიგიჟეშიც, ჩემო ძმაო, ღმერთის ხელი ურევია. ჩვენს სურვილზე არც ერთი დადის და არც მეორე.

ბაბილა მეორე: (ღიმილით) — საინტერესოა! შენ თუ გყვარებია როდისმე... ვინმე...

ბაბილა პირველი: მდააა! შეაყარე კედელს ცერცვი! ჩვენ ბევრად კი არ განვსხვავდებით აბრეშუმის ჭიისაგან. მთელი სიცოცხლე ჩვენც ერთ პარკსა ვქსოვთ, შიგ რომ გამოვიხუთოთ ბოლოს. იმ პარკში მხოლოდ ჩვენი ხორცი და ძვალი ეტევა. სხვა ყველაფერი, რაც გვინახავს, გვიგრძნია და განგვიცდია, პარკის კედლებს გარეთ რჩება და თითქოს არც არსებულა არასოდეს...

ბაბილა მეორე: დიდი ბოდიში, ბატონო ჩემო. (იცინის) რა მაცინებს, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ერთი იცინის, თავს დასცინისო — მართალი უთქვამს ამის მთქმელს. დიდი ბოდიში. გულწრფელად გიხდით ბოდიშს. ვერაფერი ზრდილობაა სხვის სულში ჩაძვრენა. კაცს თუ რამის თქმა უნდა, თვითონვე იტყვის, მით უფრო, როცა მის თავზე ფოთლის- ხელა სივრცეა დარჩენილი, ცის უმნიშვნელო ნაფლეთი. ცოტაც და, პარკი სამუდამოდ მოიკრავს პირს. სიცილით კი დაძაბულობისგან ვიცინი ალბათ. ნერვების ბრალია.

ბაბილა პირველი: (იცინის) ეგ საკენკი სხვებს დაუყარე. მე დასამალი არაფერი მაქვს. (ჩვეულებრივად) არც არაფრის მეშინია, არც არაფრის მრცხვენია. (იცინის) რასაკვირველია, მყვარებია. თანაც, არა ერთხელ და ორჯერ. საერთოდ არ მახსოვს, რამდენი ქალი შემ-

ხვედრია ცხოვრებაში. მაგრამ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ერთი და იგივე ქალი მიყვარდა რამდენჯერმე, ოღონდ, ყოველთვის ახლებურად, ახალი სიძლიერითა და სიშმაგით. ეს არის და ეს. თუ ჩემმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილოს შენი ცნობისმოყვარეობა, თავს დააბრალე. მეტს მაინც ვერაფერს დავამატებ.

ბაბილა მეორე: (იცინის) საინტერესოა! მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილად საინტერესოა! მე მგონი, ბევრად უფრო სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვიდრე სანდროს სიყვარული თუ ბრმა თაყვანისცემაა.

ბაბილა პირველი: (ყვირის) გაანებე, ბოლოს და ბოლოს, სანდროს თავი! ერთი ახლა ხარ მართალი! არათუ სხვასთან, ანუ, ჩემთან, — საკუთარ თავთანაც ვერ გითქვამს სიმართლე. შენც ხომ იცი, სანდრო რომ აღარ არის?! ჩვენ ხომ ორივემ კარგად ვიცით, სამუდამოდ, საბოლოოდ რომ მოკვდა სანდრო დღეს და არაერთხელ კიდევ... ჩვენ ხომ სინამდვილეში სწორედ მკვდარ სანდროს გამოვექეცით? თითქოს, საკუთარი თვალით თუ არა ვნახავდით, როგორ გამოაგორებდნენ პალატიდან და, ზეწარწაფარებულს, როგორ შეაგორებდნენ საცხედრეში, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდა, ანუ, ჩვენთან ერთად, ისიც ყოველდღე ხელახლა დაიბადებოდა და ერთხელ კიდევ მოკვდებოდა. ტყუილია, თვალთმაქცობაა ყველაფერი... გარდა სიკვდილისა! სიკვდილმა თამაში არ იცის. ჩვენ, ჯერ კიდევ ცოცხლები, ვეთამაშებით სიკვდილს — მთელი ჩვენი სიცოცხლე სიკვდილთან კუკუმალაობის თამაშია, ვიდრე არ გავაბრაზებთ და ვიდრე არ გამოვიყვანთ მოთმინებიდან. ასე რომ, სანდრო აღარ არის. მობეზრდა

სიკვდილს იმის განუწყვეტელი თამაში. სანდრო აღარ არის. დაიმახსოვრე. და რაც უფრო მალე შეეშვებით ჩვენც უაზრო კუკუმალაობას, უკეთესი იქნება მკვდრისთვისაც და ცოცხლისთვისაც.

ბაბილა მეორე: (მოტეხილი, დათრგუნული) მართალი ხარ. კიდევ ერთხელ რომ მომკვდარიყო, საცხედრეში კი არ წაიღებდნენ, თავის საწოლში დატოვებდნენ. ვარო ექთანი რომ შესულა დილით, მკვდარი დახვედრია...

ბაბილა პირველი: (მკაცრად) არა! არც ახლა ხარ მართალი! ვარო ექთანი ვერ შესულა დილით... ვერ გაუღია კარი. ის შიგნიდან აწვებოდა თურმე კარს. კარის სახელურზე ყოფილა ჩამომხრჩვალი...

ბაბილა მეორე: (ყვირის) არა! ჯერ კიდევ ცოცხალი იყო! ვარო ექთანმა ცოცხალს მიუსწრო, მაგრამ ვერაფრით ვერ აღუდგინეს სუნთქვა. ვარო ექთანს ჩააკვდა ხელში.

ბაბილა პირველი: (მშვიდად) აი, ხომ ხედავ, ჩემზე უკეთ იცი ყველაფერი.

ბაბილა მეორე: (ჩვეულებრივად) ვიცი, თორემ, რამე ყრია ამ ცოდნაში.

ბაბილა პირველი: მაინც ეს იყო იმის ბოლო. ეს ჰქონდა აჩემებული. მთელი სიცოცხლე, ან მკვდარი იყო, ან თავს იკლავდა. ასე რომ, ადრე თუ გვიან, მაინც ასე მოხდებოდა. კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო.

ბაბილა მეორე: სამაგიეროდ... რაღა აზრი აქვს, მაგრამ, მე მგონი, მაინც უნდა ითქვას. სამაგიეროდ, არც სანდრო ყოფილა გიჟი. (იცინის) ამ შემთხვევაშიც, ყალბი თუ არა, აშკარად მცდარი აღმოჩნდა დიაგნოზი.

ბაბილა პირველი: რასაკვირველია. გიჟები თავს არ იკლავენ. ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა ვთქვათ ერთი და იგივე. გიჟები თავს არ იკლავენ.

(იცინის) ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! შენგან გადამედო ალბათ ეს უაზრო სიცილიც.

ბაბილა მეორე: (იცინის) ორნი იცინიან, ერთმანეთს დასცინიანო.

ბაბილა პირველი: დიახაც, დიახაც... ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, განა მართლა სასაცილო არ არის?!

ბაბილა მეორე: (სიცილით) რა?

ბაბილა პირველი: რა და, ყველაფერი. თუნდაც, ასე რომ ვსხედვართ აქ. რომელი ჭკუათ-მყოფელი დაჯდება ბაღში ამ სიცივე-ში, ასე უპალტოოდ, უქუდოდ. თუმცა, შენ პალტო მაინც გაცვია (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) განა სასაცილო არ არის, აქამდე რომ ვერ მოკლეს ეს ქალი, ასე რომ ყარს აქაურობა, ასე უსირცხვილოდ რომ ვატყუებთ ერთმანეთს და ასე უსირცხვილოდ რომ ვიტყუებთ თავს. ყველაფერი სასაცილოა. სხვათა შორის, ესეც, (ხელს მიუშვერს მთვრალს) ლოთია თუ პოეტი. თუ — ორივე ერთად. უპატრონო ძაღლივით, მაინცდამაინც, ჩვენ მოგვეკედლა. ამაზეა სწორედ ნათქვამი, მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მიმიყვანეო (ადგება და მთვრალთან მივა. აღვიძებს) მე-გობარო, გავიღვიძოთ. ბოლო გაჩე-რებაა! (ბაბილა მეორეს) ადექი, მომეხმარე, დავაწვინოთ. ამას ქაჯიც ვერ ჩააგდებს ახლა გონში. მკვდარი თუ არ არის უკვე. (ბაბილა მეორე მთვრალს ფრთხილად გამოაცლის მხარს და ადგება. თან დაბუჟებულ მხარს ისრესს, თან ვითომ ხელს აშველებს ბაბილა პირველს. ბაბილა პირველი მთვრალს მერხზე აწვენს და ზემოდან თავის პალტოს აფარებს. ბაბილა მეორეს) შენი პალტოც მომეცი.

ბაბილა მეორე: რატომ?

ბაბილა პირველი: მომეცი-მეთქი. (ბაბილა მეორე პალტოს იხდის და უხმოდ აწვდის. ბაბილა პირველი პალტოს რამდენჯერმე გადაკეცავს და მთვრალს თავქვეშ ამოუდებს.) აი, ასე! ასე უფრო ნაკლებად ემგვანება მკვდარს. აკი თავის მკვდარ მეგობარს მიამსგავსა იმ ძუკნამ წელან. ქალს თარსი ენა აქვს. მტერს შეუჩნდა ქალი, მტერს აუხირდა. მართლა არ მოკვდეს ეს უბედური. ამბადაც არ გამიგია, ასე დასძინებოდეს ვინმეს. (იცინის. თან იხრება და, ექიმივით, მკერდზე ყურს ადებს მთვრალს.)

ბაბილა მეორე: (სიცილით) იცოდე, რაღაცა გვეწყინება. არ შეგვრჩება ამდენი სიცილი.

ბაბილა პირველი: გვეწყინება და გვეწყინოს. არ გაგვიკვირდეს უცებ! (გაიმართება.) არა, საბედნიეროდ, ეს ჯერ არ მომკვდარა... მხოლოდ სძინავს.

ბაბილა მეორე: შენ თუ აკვირდები, დღეს სულ ლექსებით რომ ვლაპარაკობთ?!

ბაბილა პირველი: მართლაც ბევრი ვილაპარაკეთ დღეს. დროა, ცოტა ხელიც გავანძრიოთ. (იფშვნეტს ხელებს) აბა, დავიწყოთ! (იცინის) რას მიყურებ? როცა პოეტს სძინავს, მგლები იღვიძებენ.

ბაბილა მეორე: (იცინის) რამ გადაგრია? თავიდან იწყებ ყველაფერს?

ბაბილა პირველი: სიცოცხლე ყველაფრის თავიდან დაწყებაა. სხვა არაფერი. ხოდა, სიცოცხლე თუ გინდა, გაიქეცი, თავს უშველე... (იცინის) ერთ ადგილას ჯდომით არაფერი გამოვა — ან გავითოშებით, ან სიმყრალე დაგვახრჩობს. (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) იმ ქალს არ დაადგა მხოლოდ საშველი. მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვცადოთ. ცდა ბედის მონახევრეა. გაიქეცი! ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი. დრრრრ...

ბაბილა მეორე: არა!

ბაბილა პირველი: არა კი არა, კი.

ბაბილა მეორე: არა-მეთქი. (ისმის ქალის კივილი.) რა გეთამაშება, ადამიანს კლავენ შენს გვერდით!

ბაბილა პირველი: კი არ კლავენ, სწორედაც რომ ვერ კლავენ. ვერ დააყენეს საშველი. ეგ სულ ერთი და იგივე ქალია, სულელო. მარადიული. უკვდავი. შენ ნუ უსმენ. თვალები მაგრად დახუჭე, ორივე ბარძაყზე, რაც ძალა და ღონე გაქვს, იჩქმიტე, აი, ასე, და ჩქარ-ჩქარა იმეორე: ირემი ვარ, ირემი ვარ, მგელი მომდევს შესაჭმელადო. აბა, დავიწყოთ!

ბაბილა მეორე: (უხალისოდ გარბის) ირემი ვარ, ირემი ვარ, მგელი მომდევს შესაჭმელად... (ისმის ქალის კივილი.)

ბაბილა პირველი: (მისდევს) კარგია. კარგია. ნუ უსმენ... გაზონზე არ გადახვიდე, იცოდე.

ბაბილა მეორე: არა. არა. არა... მოიცა, ფეხზე გამძვრა. (ჩაცუცქდება, ფეხსაცმლის ზონარს იკრავს.) ბავშვივითა ხარ მართლა, ამხელა კაცი — რამე თუ აიჩემე, გათავდა...

უცებ მთვრალი მერხიდან წამოდგება და, სინათლიდან სიბნელეში შემოსული კაცით, ხელებგაწვდილი დგას. სიმთვრალისა აღარაფერი ეტყობა, ოღონდ, აშკარად აღგზნებულია, აფორიაქებული. თვალანთებული, სახეგაბრწყინებული იყურება წინ, დარბაზისკენ. ლაპარაკისას სუნთქვა ეკვრის, თითქოს ურბენიაო

მთვრალი: კოხბა! გადავრჩი. მარტო მე გადავრჩი, კოხბა!

ბაბილა მეორე: აგე, გეძახის. მადლობა ღმერთს, გაუღვიძია.

ბაბილა პირველი: ჩუ! მე კი არ მეძახის, სიზმარს ხედავს, სიზმარშია. აკი თვითონვე თქვა, მთვარეული ვარო.

მთვრალი:

გონს რომ მოვეგე, ხორცისა და ძვლის ფაფაში ვიწექი. ძლივს ამოვფოფხდი, ძლივს ამოვაღწიე იქიდან. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. შეიძლება, მთელი დღე ვეგდე იქ, შეიძლება, მთელი კვირაც. ჰაერი რომ ჩავისუნთქე, მერეღა გამახსენდა, რა მოხდა და სად ვიყავი. ერთმანეთში აზელილ ცხვარსა და კაცს სვავების ჯარი ეხვია. იმათაც ძლივს დავაღწიე თავი. სისხლიან ფრთებსა მცემდნენ სახეში, უკან მაბრუნებდნენ, არ უნდოდათ ჩემი გაშვება, თითქოს თავზესაყრელად არ ჰქონდათ ლეში, კაცისაც და ცხვრისაც. სიკვდილი მერჩია ასეთი გადარჩენას, მაგრამ სხვა გზაც არ იყო — მინდოდა თუ არა, უნდა გადავრჩენილიყავი — ვიცოდი, მელოდებოდი, ვიცოდი, ჩემს იმედზეღა იყავი მხოლოდ. ღმერთმაც ამიტომ გადმომხედა წყალობის თვალით. მარტო მე კი არ ჩამიდგა ხელახლა სული, ერთი-ორი, შიშისაგან დადამბლავებული ცხვარიც დაზოგა, ერთი-ორი, ცხენის ფლოქვით გაჭყლეტილი, მტვერში ამოგანგლული პურიც, ერთი ყურმოტეხილი, ზეთით სავსე კოკურაც. პური კალთაში გამოვიკარი, ყურმოტეხილი კოკურა მხარზე შევიდგი, ცხვარი წინ გავიგდე და წამოვედი. იმის მერე მოვდივარ. მეორე დღეა, მუხლი არ ჩამიღუნავს, წვეთი წყალი არ ჩამსვლია პირში. მაგრამ აღარაფერს ვჩივი, რაკი თქვენამდე მოვაღწიე, რაკი იმედი გაგიმართლე და რაღაცა მაინც მოვუტანე ჩემს უბედურ ხალხს. ღმერთმაც ამიტომ გადამარჩინა, კოხბა. გესმის, კოხბა?! აჰა, პური!

ბაბილა მეორე: უპასუხე რამე, შენ გელაპარაკება.

ბაბილა პირველი: მე კი არ მელაპარაკება, ძილში ლაპარაკობს... ადამიანი საერთოდ ლაპარაკობს ხოლმე ძილში. ჯერ არ გაგიგია?

მთვრალი: აჰა, პური, აჰა, ხორცი, აჰა, ზეთი...

ბაბილა მეორე: როგორ არ გამიგია... ირემი ყვირის, მგელი ყმუის...

მთვრალი: ამიტომ გადავრჩი მხოლოდ...

ბაბილა მეორე: სირაქლემა დარბის, ბეღურა დაფრინავს...

ბაბილა პირველი: ადამიანი კი ლაპარაკობს!

დასასრული

1990 წ.

სარჩევი

ფათეს ფითელი ფაღები 3

ლაბირინთი 87



წიგნში შესულია გამოჩენილი
მწერლის ოთარ ჭილაძის
პიესები: „წათეს წითელი ნაღები“
და „ლაბირინთი“.
ეს პიესები ცალკე წიგნად
პირველად გამოდის.

9 789994 069446

www.pegasus.ge